საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№34 (221)
18 – 24 სექტემბერი, 2013
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## საქართველო და სირია ომსა და მშვიდობას შორის 6

2



ალექსანდრე ჭაჭია:

«შევარდნაძე გვპირდებოდა, რომ «მეორე შვეიცარიად» ვიქცეოდით, სააკაშვილი დაგვპირდა, რომ «მეორე სინგაპური» გავხდებოდით, ივანიშვილი კი «მეორე დუბაიდ» გადაქცევას გვპირდება... ამ ადამიანებმა ვერა და ვერ გაიგეს, რომ ჩვენ გვსურს, ვიყოთ საქართველო და მხოლოდ საქართველო»

## არ მოველოდი, რომ ივანიშვილის «ქართული ოცნება» ასე სწრაფად გადაიქცეოდა «ქართულ ფანტაზიად»



4 «ნიურნბერგის პროცესზე არ ყოფილა იმდენი მტკიცებულება, რამდენიც დღეს «ნაციონალების» წინააღმდეგ არსებობს»



## «მაინტერესებს, მარგველაშვილის განცხადება კოაბიტაციის დასრულების შესახებ ბლეფი იყო თუ სიმართლე?» 7

12



## კოაბიტაციის პროცესი ოქტომბრის არჩევნებით არ დასრულდება

„დავით ბაქრაძემ, რომელიც დაცვის გარეშე ვერ ბედავს სიარულს, ძალიან კარგად იცის, რა რეაქცია ექნება ხალხს მის გამოჩენაზე, მით უფრო იცოდა, სამეგრელოში როგორ დახვდებოდნენ, მაგრამ მაინც ჩამოვიდა“



## «ნაცლიდერებს სამეგრელოში ჩამოსვლის მორალური უფლება არა აქვთ!» 9

## მხეცის ფარული ნიშნები ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში 24

## ბენდუქიძის პირადი პატიმრის შემზარავი ისტორია 10

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ახალი ხელისუფლება უმნიშვნელოდ თუ გამოირჩევა წარმავალი რეჟიმისგან, ამიტომ უახლოეს წლებში არანაირი თვისობრივი პოზიტიური ცვლილებები არ იქნება, მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება, სოციალური, ეროვნებათაშორისი და რელიგიათაშორისი დაპირისპირება გაიზრდება.“**

# ალექსანდრე ჭაჭია: არ მოველოდი, რომ ივანიშვილის «ქართული ოცნება» ასე სწრაფად გადაიქცეოდა მორიგ «ქართულ ფანტაზიად»

**გაზეთ „საქართველო და სოფლიოს“ ესაუბრება პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია.**

**— ბატონო ალექსანდრე, ბოლო დროს ბიძინა ივანიშვილმა არაერთხელ, მათ შორის საერთაშორისო შეხვედრებზეც, დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკიდან წასვლის თაობაზე. როგორ შეაფასებთ ამ გადაწყვეტილებას?**

— დიახ, ივანიშვილი, როგორც ჩანს, ტოვებს თავის პოსტს. ეს სხვადასხვანაირად შეიძლება შეფასდეს, მათ შორის ძალიან ნეგატიურადაც, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ **მან უდიდესი ეროვნული საქმე გააკეთა — ხელისუფლებას მოაშორა და მარგინალად აქცია სამარცხვინო „ნაციონალური მოძრაობა“. ივანიშვილის გარდა, ამ საქმეში ამერიკელები მხარს არავის დაუჭერდნენ.** პარალელურად მან, რა თქმა უნდა, შეასრულა ამერიკელების დავალება — ითამაშა ლოკომოტივის როლი და ხელისუფლებაში მოიყვანა ის პოლიტიკური ჯგუფები, რომელთაც დამოუკიდებლად ხელისუფლებაში მოსვლის არანაირი შანსი არ ჰქონდათ. იქნებ მისი წასვლა უკეთესიც იყოს. ივანიშვილი ხელისუფლებაში რომ დარჩენილიყო, მოსახლეობა ქვეყანაში მდგომარეობის მალე უკეთესობისკენ შეცვლის იმედით კიდევ ორიოდე წელიწადი ილუზიებში, მოლოდინის რეჟიმში იქნებოდა და ბოლოს უფრო მეტად იმედგაცრუებული აღმოჩნდებოდა. საქმე ისაა, რომ, **პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ახალი ხელისუფლება უმნიშვნელოდ თუ გამოირჩევა წარმავალი რეჟიმისგან, ამიტომ უახლოეს წლებში არანაირი თვისობრივი პოზიტიური ცვლილებები არ იქნება, მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება, სოციალური, ეროვნებათაშორისი და რელიგიათაშორისი დაპირისპირება გაიზრდება.**

**— კი მაგრამ, ივანიშვილი გვპირდება, რომ დაგვიტოვებს ძლიერ მთავრობას, რომელიც მოახდენს მისი პოლიტიკური კურსისა და აღორძინების პროგრამის რეალიზებას.**

— ჯერ ერთი, არ ვიცი, რა არის „ივანიშვილის პროგრამა“, და ვფიქრობ, საქართველოში ეს არც არავინ იცის, თვით ივანიშვილის ჩათვლით. მეორე — **ივანიშვილი სერიოზულ შეცდომას უშვებს, თუკი სახელმწიფოს განიხილავს, როგორც კომერციულ ფირმას, კერძო კომპანიას, რომელშიც მას აქციათა თითქმის 100-პროცენტიანი პაკეტი აქვს და სადაც მინისტრები, დეპუტატები — მისი თანაშემწეები, კლერკები, ნება-სურვილის შემსრულებლები არიან. მისი განცხადებები იმის თაობაზე, რომ დატოვებს „საინტერესო“ პრეზიდენტს და „საინტერესო“ პრემიერს, ხოლო თვითონ გარედან გააკონტროლებს სიტუაციას, არის ბიზნესმენის ტიპიური მიდგომა ბიზნესსტრუქტურისადმი: შევქმნი კომპანიას, დავნიშნავ ჩემს ხალხს და გავაკონტროლებო, მაგრამ სახელმწიფო კერძო კომპანია არ არის.** სახელმწიფოს მართვაში სულ სხვა პრინციპები მოქმედებს, რომლებიც, როგორც ჩანს, ივანიშვილს არ ესმის. საერთოდ, ბიზნესი და პოლიტიკა მოღვაწეობის სრულიად განსხვავებული სფეროებია. სიტყვამ მოიტანა და, პირადად მე ვერ ვიხსენებ ისტორიაში შემთხვევას, როდესაც ბიზნესმენი წარმატებული სახელმწიფო მოღვაწე გახდა; უფრო მეტიც — კერძო ბიზნესი და ქვეყნის ეკონომიკის მართვაც კი ასევე ძალიან განსხვავებული სფეროებია.

**— გულისხმობთ, რომ მისი დაპირებები მსხვილი ინვესტიციების მოზიდვასა და სერიოზული ეკონომიკური ზრდის შესახებ არაკომპეტენტურობის შედეგია?**

— თუ საუბარია ინვესტიციებზე მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მაშინ უნდა ითქვას, რომ საქართველოს შიდა ბაზარი ძალიან მცირეა იმისთვის, რათა მსხვილი ინვესტორები დააინტერესოს. მსხვილი ინვესტიციებისთვის საჭიროა გასაღების მასშტაბური ბაზარი, ქართული პროდუქციისთვის კი ასეთი ბაზარი მხოლოდ რუსეთი შეიძლება იყოს. უფრო მეტიც, ამ მსხვილი ინვესტიციების განხორციელებაც მხოლოდ რუსულ კაპიტალს შეუძლია, რომელიც თვითონვე უზრუნველყოფს პროდუქციის რუსეთის ბაზარზე გასაღებას. ქართულ წარმოებაში ფულს სხვა არავინ ჩადებს. რუსული კაპიტალის მოსაზიდად კი საჭიროა რუსეთთან სრულფასოვანი სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების აღდგენა, რაც, ამჟამინდელი ხელისუფლების საგარეოპოლიტიკური კურსის გათვალისწინებით, უბრალოდ გამორიცხულია.

**გგონიათ, სააკაშვილს არ უნდოდა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების მოზიდვა? უნდოდა, მაგრამ**



**«პოლიტიკოსი, რომელიც საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში შესვლას გვპირდება, ან ბრიყვია, ან უნამუსოდ გვატყუებს»**

**არავინ დებდა ინვესტიციას. დასავლეთს არ სჭირდება საქართველოს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. ამდენად, ამ სფეროებში დასავლური კაპიტალი ინვესტიციას არ ჩადებს. სწორედ ამიტომ შევარდნაძეც და სააკაშვილიც დასავლეთისგან მხოლოდ კრედიტებს იღებდნენ, ანუ ფულს სესხულობდნენ. დღეს საქართველოს საგარეო ვალი, თუ არ ვცდები, 13 თუ 14 მილიარდი დოლარია. საკუთარი ეკონომიკის არარსებობის პირობებში, ამ ვალის მხოლოდ პროცენტების გადასახდელად ახალ-ახალი კრედიტები უნდა ავიღოთ. ეს კაბალაა.**

**— ივანიშვილმა ამას წინათ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველო შეიძლება „მეორე დუბაიდ“ იქცეს...**

— საინტერესო კანონზომიერებაა: **შევარდნაძე გვპირდებოდა, რომ „მეორე შვეიცარიად“ ვიქცეოდით, სააკაშვილი დაგვპირდა, რომ „მეორე სინგაპური“ გავხდებოდით, ივანიშვილი კი „მეორე დუბაიდ“ გადაქცევას გვპირდება. მოაზროვნე ადამიანისთვის გასაგები უნდა იყოს, რომ არც ერთი ამ ორიენტირთაგანი ჩვენთვის პრინციპულად ვერ იქნება რეალური მიზანი.** და მადლობა ღმერთს, რომ ვერ იქნება. ამ ადამიანებმა ვერა და ვერ გაიგეს, რომ **ჩვენ გვსურს, ვიყოთ საქართველო და მხოლოდ საქართველო.** მაგრამ იმ ვითარებაში, როდესაც ჩვენს მმართველებს არ გააჩნიათ არც ქვეყნის აღორძინების რეალური პროგრამა, არც მკაფიო წარმოდგენა საქართველოს მომავალზე, ცდილობენ, საზოგადოებას თავს მოახვიონ ფანტასტიკური მიზნები და იმედოვნებენ, ამით ადამიანებს გონება დაუბინდონ. **გულწრფელად გითხრათ, არ მოველოდი, რომ ივანიშვილის „ქართული ოცნება“ ასე სწრაფად გადაიქცეოდა მორიგ ფუყე „ქართულ ფანტაზიად“.**

**— ივანიშვილმა განაცხადა, რომ ძალაუფლებას გადასცემს ძალიან ძლიერ სამთავრობო გუნდს, რომელიც ააღორძინებს საქართველოს და ხაზი გაუსვა, რომ ამ გუნდზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს...**

— და რა ფორმის პასუხისმგებლობაზეა საუბარი? როგორ აგებს ივანიშვილი პასუხს თავისი გუნდის ნამოქმედარზე? გადადგომის შემდეგ ივანიშვილი იქნება რიგითი მოქალაქე, თანაც საფრანგეთის. უბედურება სწორედ ისაა, რომ ჩვენი მმართველები, თავიანთი შეუსრულებელი დაპირებების გამო, პასუხს არ აგებენ და ვერც აგებენ, რადგან მსგავსი პასუხისმგებლობის არანაირი მექანიზმი არ არსებობს. **განაცხადოს ივანიშვილმა ის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრები, რომლებიც მისმა მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სამი წლის შემდეგ, მერე კი საჯაროდ თქვას და ნოტარიალურადაც დაამოწმოს, რომ ამ პარამეტრების შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი, როგორც სამთავრობო გუნდის საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირი, ამ პასუხისმგებლობის ფარგლებში საქართველოს თითოეულ მოქალაქეს გადაურიცხავს ათას დოლარს. სულ 4 მილიარდი დოლარი გამოდის. აი, ეს იქნება მისი პირადი პასუხისმგებლობის რეალური ზომა. მზად არის ივანიშვილი ასეთი პასუხისმგებლობისთვის?**

შევარდნაძეს 10 წელი მიყავდა საქართველო კატასტროფების გზით და ყოველი ახალი კატასტროფის წინ აცხადებდა: „მთელ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ“. ეს ფრაზა სააკაშვილისგანაც ძალიან ხშირად გვესმოდა. ქვეყანა დააქციეს და დაშალეს, ეკონომიკა დაასამარეს, ხალხი გაძარცვეს და ვინმემ აგო პასუხი? ივანიშვილი ამბობს, რომ ჩვენს ხალხს დაბალი პოლიტიკური კულტურა აქვს და რომ მას სურს საკუთარი თავი ამ კულტურის ამაღლებას მიუძღვნას. არადა, ამჟამინდელ ვითარებაში, მთავრობის საქმიანობის გამო ივანიშვილის მიერ პირადი პასუხისმგებლობის შესახებ განცხადება მხოლოდ საზოგადოების დაბალ პოლიტიკურ კულტურაზე გათვლით შეიძლება აიხსნას. სხვათა შორის, ერისადმი მიმართვაში ივანიშვილს ჩამოთვლილი აქვს თავისი წინასაარჩევნო დაპირებები და აცხადებს, რომ მან ეს დაპირებები შეასრულა და ამდენად, ასე ვთქვათ, თავისუფალია. ესეც არის გათვლა დაბალ პოლიტიკურ კულტურაზე, რადგან მცირედ მოაზროვნე ადამიანისთვისაც კი ნათელია, რომ ამ დაპირებათა 90 პროცენტი შესრულებისგან ძალიან შორს არის. იგი აცხადებს, რომ სამოქალაქო სექტორში მისი საქმიანობით, ჩვენს საზოგადოებას ასწავლის ხელისუფლების გონებით და არა ემოციებით არჩევას, მაგრამ ამასთანავე მოუწოდებს საზოგადოებას, ენდონ მას სიტყვაზე და ხმა მისცენ პრეზიდენტობის მისეულ კანდიდატს, ანუ კვლავ მიიღონ გადაწყვეტილება ემოციებზე — ივანიშვილისადმი ნდობასა და პატივისცემაზე დაყრდნობით.

**— პრემიერი ხშირად უსვამდა ხაზს სიტუაციის ანალიზისა და „უშეცდომო პროგნოზების“ კეთების მისეულ უნარს. ქართული საზოგადოების ნაწილი სწორედ ივანიშვილის ამ უნარების იმედადაა...**

— მას რომ სწორად გაეანალიზებინა და „უშეცდომო პროგნოზები“ გაეკეთებინა, მაშინ 8 წლის მანძილზე სააკაშვილის ანტიეროვნულ რეჟიმს ამდენ მხარდაჭერას არ გაუწევდა. უშეცდომო ადამიანები არ არსებობენ. შეცდომები ისეთ გენიოსებსაც კი დაუშვიათ, როგორიც სტალინი იყო... განა სტალინის შეცდომა არ არის ის, რომ ხელისუფლებაში ხრუშჩოვი, მიქოიანი, მალენკოვი, ბულგანინი თუ სხვა არამზადები და მოღალატეები დატოვა? ძალიან უნდა იყო საკუთარ თავზე შეყვარებული, რომ უშეცდომო ადამიანად მიგაჩნდეს თავი...

**— პრემიერმინისტრი დაგვპირდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ე. წ. კოაბიტაციის პერიოდი დამთავრდება. ეს შესაძლებელია?**

— გააჩნია, რა იგულისხმება კოაბიტაციაში. ფართო გაგებით, კოაბიტაცია ვერ დასრულდება იმიტომ, რომ პარლამენტის 40 პროცენტს „ნაციონალური მოძრაობა“ შეადგენს, ხოლო რეგიონებში ძირითადად მათი კადრები აგრძელებენ მუშაობას. მეტიც, ვფიქრობ, რომ ივანიშვილის წასვლის შემდეგ „ნაციონალების“ გავლენა ხელისუფლებაზე გაიზრდება. იდეოლოგიური უთანხმოება მათ არ აქვთ, კურატორებიც სა- ▶

# „რას ნიშნავს რუსეთისთვის საქართველოსთან ევრაზიულ კავშირში გაერთიანება? ეს ნიშნავს 13-მილიარდიანი საგარეო ვალის გადახდას, ქარხნების, ფაბრიკების ხელახლა აშენებას, მილიარდების ჩადებას სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებაში, განათლებაში და ა.შ., ანუ პასუხისმგებლობის აღებას სახელმწიფოს განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე."

**ექსკლუზივი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ერთო ჰყავთ, რაც შეეხება პირად უთანხმოებებს, მალევე შეთანხმდებიან.

თუკი კოაბიტაციის დასრულებაში ვგულისხმობთ რამდენიმე ჩინოვნიკის ისე გასამართლებას, რომ პრეზიდენტმა მათი შეწყალება ვერ მოახერხოს, ეს სავსებით შესაძლებელია. საზოგადოების დასაშოშმინებლად ამერიკელები რამდენიმე ცნობილი მოღვაწის დაპატიმრების ნებას დართავენ ახალ ხელისუფლებას.

**— და რა რეაქცია ექნებათ ამაზე ევროპის ქვეყნებს?**

— ევროპულ ქვეყნებს აბსოლუტურად არ ანაღვლებთ ქართველი „რეფორმატორების" ბედი. ვფიქრობ, ივანიშვილი ევროპულ ქვეყნებში ვიზიტების დროს დარწმუნდა, რომ იქაურ ხელისუფალთ იოტისოდენადაც არ აინტერესებთ არათუ ყოფილი ჩინოვნიკების, არამედ თავად სააკაშვილის ბედიც კი. არაფერს ვამბობ ძირითად ევროპულ ქვეყნებზე, რომელთაც არც საქართველო და არც მისი მმართველები არ აინტერესებთ. რაც შეეხება მოლაყბეებს ევროპარლამენტიდან, უნდა შევიგნოთ, რომ ევროკავშირის სტრუქტურები და ევროპული სახელმწიფოები ერთი და იგივე არ არის. ევროპარლამენტის წევრების ლაყბობა ევროპული ქვეყნების რეალურ პოლიტიკაზე გავლენას არ ახდენს. სააკაშვილის მმართველობისას, წლების მანძილზე ევროპარლამენტის დელეგაციები მუდმივად ბუდობდნენ საქართველოში, არ ჩამოდიოდნენ ჩვენი ტელეეკრანებიდან, მაგრამ დათვალეთ, ამ 9 წლის მანძილზე ევროპული ქვეყნების მეთაურთა რამდენი სახელმწიფო თუ ოფიციალური ვიზიტი შედგა თბილისში და თავად დარწმუნდებით, რომ ევროპისთვის საქართველო რეალური ინტერესის საგანს არასდროს წარმოადგენდა.

**— პრესკონფერენციის მსვლელობისას ივანიშვილმა ასევე განაცხადა, რომ არ გამორიცხავს საქართველოს ევრაზიულ კავშირში ინტეგრაციის საკითხის განხილვას, რამაც „ნაცმოძრაობის" მხრიდან მკვეთრად აგრესიული რეაქცია გამოიწვია. როგორ შეაფასებთ პრემიერის ამ განცხადებას?**

— მოვისმინე გამოსვლა, რომელშიც სააკაშვილი არწმუნებდა სტუდენტებს, თითქოს ივანიშვილმა ევროპულ გზას გადაუხვია, მან, სააკაშვილმა, კი მიაღწია, რომ ხვალზეგ საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში მიიღებენ. რაც უფრო ხშირად გამოდის სააკაშვილი სიტყვით, მით უფრო სასაცილოდ გამოიყურება.

ნატოსა და ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებულ ზღაპრებზე ბევრჯერ გამომითქვამს აზრი, ამ თემაზე მეტს არაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რაც ქართულ საზოგადოებას დიდი ხნის წინ უნდა მიეღო აქსიომად: **პოლიტიკოსი, რომელიც საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში შესვლას გვპირდება, ან ბრიყვია, ან უნამუსოდ გვატყუებს.**

რაც შეეხება ევრაზიულ კავშირს, ამ კავშირის რეალური პროექტი არ არსებობს, მეტიც, მის შესაქმნელად არანაირი სერიოზული მუშაობა ჯერ არ მიმდინარეობს. ასეთი კავშირი თუკი ჩამოყალიბდა, ეს იქნება რუსეთის, ბელარუსის, უკრაინისა და ყაზახეთის, ანუ მდიდარი და განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების ბაზაზე. არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს ქვეყნები დათანხმდებიან საკუთარ რიგებში გალატაკებული საქართველოს მიღებას მრავალმილიარდიანი საგარეო ვალითა და ნულოვანი ეკონომიკით. თუმცა, რა თქმა უნდა, **საქართველო გეოპოლიტიკურად და მენტალურად ევრაზიული ცივილიზაციური სივრცის ნაწილია, მეტიც, რამდენიც არ უნდა იფურთხებოდეს სააკაშვილი, საქართველო კლასიკური ევრაზიული ქვეყანაა.** ეს უტყუარი ჭეშმარიტებაა ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელმაც გეოგრაფიის, ისტორიის, ფსიქოლოგიის, გეოპოლიტიკის ანაბანა იცის.

ამ თემასთან დაკავშირებით, მინდა, ხაზი გავუსვა ერთ მნიშვნელოვან მომენტს. **ჩვენს საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, თითქოს რუსეთი დღენიადაგ ოცნებობს საქართველოსთან გაერთიანებაზე და მზადაა, ამისთვის ყველაფერი გააკეთოს. „მედასავლეთეები" და რუსოფობები თვლიან, რომ კრემლში დღედაღამ აწყობენ ხრიკებს, რომ როგორმე მიიერთონ საქართველო; რუსოფილები მიიჩნევენ, რომ თითქოს საკმარისია, საქართველოს ხელისუფლებამ გამოთქვას რუსეთთან მეგობრობის და ძმობისკენ მისწრაფება და უცებ დაიწყება რეინტეგრაციული პროცესები.** სინამდვილეში ეს ასე არ არის. 90-იან წლებში არაერთხელ ვაფრთხილებდი ყველას, რომ დადგება დრო და რუსეთში გაბატონდება აზრი, რომლითაც ხელმძღვანელობდა ვლადიმერ ლენინი, როდესაც 1920 წელს დაწერა: „რად გვინდა საქართველო? მოგვიწევს მისი რჩენა". **დღეს რუსეთის ხელმძღვანელობაში და, საერთოდ, რუსეთის პოლიტიკურ კლასში უმრავლესობა სწორედ ასე ფიქრობს. და ეს ეხება არამარტო საქართველოს, არამედ სხვა ამიერკავკასიურ ქვეყნებსაც და შუააზიურ რესპუბლიკებსაც. მიზეზი მარტივია: მათ მოუწევთ, რუსეთის ხარჯზე არჩინონ ეს ქვეყნები. რას ნიშნავს რუსეთისთვის საქართველოსთან ევრაზიულ კავშირში გაერთიანება? ეს ნიშნავს 13-მილიარდიანი საგარეო ვალის გადახდას, ქარხნების, ფაბრიკების ხელახლა აშენებას, მილიარდების ჩადებას სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებაში, განათლებაში და ა.შ., ანუ პასუხისმგებლობის აღებას სახელმწიფოს განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე.**

ამიტომაც საქართველოს მიმართ ყველაზე კეთილგანწყობილი პოლიტიკოსებიც კი დელიკატურად დუმან, როგორც კი საუბარი რეინტეგრაციის პერსპექტივებს შეეხება. საქართველოს ეროვნულად ორიენტირებულ, პატრიოტულ ხელისუფლებას, თუკი

## «შევარდნაძე გვპირდებოდა, რომ «მეორე შვეიცარიად» ვიქცეოდით, სააკაშვილი დაგვპირდა, რომ «მეორე სინგაპური» გავხდებოდით, ივანიშვილი კი «მეორე დუბაიდ» გადაქცევას გვპირდება... ამ ადამიანებმა ვერა და ვერ გაიგეს, რომ ჩვენ გვსურს, ვიყოთ საქართველო და მხოლოდ საქართველო»

## «საქართველო გეოპოლიტიკურად და მენტალურად ევრაზიული ცივილიზაციური სივრცის ნაწილია, მეტიც, რამდენიც არ უნდა იფურთხებოდეს სააკაშვილი, საქართველო კლასიკური ევრაზიული ქვეყანაა»

ასეთი ოდესმე გვეყოლება, მოუწევს კოლოსალური მუშაობა რუსეთის პოლიტიკური და ფინანსურ-ეკონომიკური წრეების დასარწმუნებლად, რომ დახმარება და მხარდაჭერა, რომელსაც საქართველოს აღმოუჩენენ, მომავალში რუსეთს სერიოზულ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ მოგებას მოუტანს. ასეთია რეალობა. **სხვათა შორის, არ მომისმენია, რომ ახალი ფორმაციის რუსი პოლიტიკოსები სააკაშვილს საქართველოს რუსეთისგან დაშორების გამო აგინებდნენ; აგინებენ იმის გამო, რომ აგვისტოს ავანტიურით აიძულა რუსეთი, ეღიარებინა და სარჩენ კმაყოფაზე აეყვანა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი.**

**— წინა წლებში ხშირად გითქვამთ, რომ ადრე თუ გვიან აშშ წავა კავკასიიდან და საქართველო კვლავ აღმოჩნდება არჩევანის წინაშე — თურქეთი თუ რუსეთი. ეს პერსპექტივა კვლავ აქტუალურია?**

— დიახ, დღესაც ასე ვთვლი, მაგრამ ვფიქრობ, რომ არჩევანი, როგორც ასეთი, აღარ გვექნება. საქმე ისაა, რომ აშშ ასე უბრალოდ არ წავა, იგი საქართველოს თავის სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირეს — თურქეთს გადასცემს. ამიტომაც ამერიკელები აქტიურად უწყობდნენ ხელს თურქეთის ფინანსურ-ეკონომიკურ ექსპანსიას საქართველოში, რომლის შედეგადაც თურქებმა არამარტო მოიპოვეს გადამწყვეტი გავლენა საქართველოს ხელისუფლებაზე, არამედ მთელ აჭარას დაეპატრონენ. **როდესაც სააკაშვილმა ასლან აბაშიძის გაძევების შემდეგ განაცხადა, რომ „აჭარა დაიბრუნა", საზოგადოების გაბრიყვებული ნაწილი აღფრთოვანებისგან ყიჟინას სცემდა და ამ ყიჟინის ფონზე სააკაშვილმა აჭარა დედაბუდიანად გადასცა თურქებს! საპასუხოდ თურქები მას ეპატიჟებოდნენ წითელი ლენტების გასაჭრელად, იმ ობიექტების გასახსნელად, რომლებიც მათ თავიანთთვის, კავკასიაში თურქეთის დამკვიდრებისთვის ააშენეს...** ამ დღეებში სააკაშვილმა ათას თურქს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა და ამით სერიოზული პრეცედენტი შექმნა. თუკი მომავალ წელს ათი ათასი თურქი, რომელმაც ასამდე ქართული სიტყვა იცის, გამოთქვამს საქართველოს მოქალაქეობის მიღების სურვილს, ხელისუფლებას აღარ ექნება მათთვის უარის თქმის საფუძველი. უარი თურქეთის მიერ განხილული იქნება, როგორც არამეგობრული ნაბიჯი და შეიძლება ამან ძალიან მძიმე შედეგები გამოიღოს.

**— კი მაგრამ, რუსეთი ხომ დღემდე არის აჭარის ავტონომიის გარანტი — განა მისი თურქეთთან შეთანხმებანი არ არის ჩვენი უსაფრთხოების გარანტია?**

— რუსეთ-საქართველოს ამჟამინდელი ურთიერთობების გათვალისწინებით, რუსეთი დიდხანს აღარ დარჩება ასეთ გარანტად. **რაღაც პერიოდის შემდეგ რუსეთმა რომც გაააქტიუროს თავისი კავკასიური პოლიტიკა და საქართველოს მხარდაჭერა გადაწყვიტოს, აჭარის შენარჩუნება, მე მგონი, მაინც აღარ გამოგვივა. იმ დროისთვის რუსეთი, ალბათ, ამერიკელების მსგავსად, თუ მთელ საქართველოზე არა, აჭარაზე ნამდვილად აღიარებს თურქეთის უფლებას.** ნებისმიერ შემთხვევაში, აჭარისთვის რუსეთი მეტს აღარ იომებს. ამიტომ ძალიან მაშინებს რელიგიურ ნიადაგზე შეხლა-შემოხლა, რაც ბოლო დროს ჩვენთან ასე გახშირდა. ასეთი დაპირისპირებები, განსაკუთრებით აჭარაში, შეიძლება თურქეთის აგრესიის პირდაპირი საბაბი გახდეს. თუმცა **„აჭარის საკითხის" გადაწყვეტა, შესაძლოა, რეგიონში მასშტაბური სამხედრო კონფლიქტის, მაგალითად, სირიაში ომის შედეგადაც მოხდეს.**

**— როგორ ფიქრობთ, რუსეთმა შეძლო სირიაში ომის თავიდან აცილება თუ ეს დროებითი სიწყნარეა?**

— პრეზიდენტმა პუტინმა მოახერხა და მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი ობამა აიძულა, უარი ეთქვა სირიაში ფართომასშტაბიანი ომის გაჩაღებაზე, რომელსაც მილიონობით მსხვერპლი მოჰყვებოდა. ვფიქრობ, ამ საქმეში მნიშვნელოვანი დახმარება გასწიეს ისრაელმა და ებრაულმა ლობიმ ამერიკაში, რომლებიც შიშობდნენ, რომ ომის შემთხვევაში სირია ქიმიურ იარაღს, როგორც თავდაცვის უკანასკნელ საშუალებას, აშშ-ის მოკავშირეების წინააღმდეგ გამოიყენებდა. მაგრამ სირიიდან ქიმიური იარაღის გატანისა და განადგურების შემდეგ ომის საფრთხე თავიდან დადგება. ამერიკელები სირიას ახალ-ახალ მოთხოვნებს წაუყენებენ, მათ მიერვე დაფინანსებული ისლამისტი ტერორისტების ხელით ახალ-ახალ სისხლიან სპექტაკლებს გაუთამაშებენ, რათა სირიის ხელისუფლება „საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მხეცურ მოპყრობაში" დაადანაშაულონ, მოაწყობენ ათეულობით პროვოკაციას, მაგრამ მაინც აუცილებლად „იპოვიან" საბაბს, თუნდაც ამისთვის ბაშარ ასადის ყურის ფორმის „ანტისაკაცობრიოდ" და „ბარბაროსულად" გამოცხადება დასჭირდეთ. **მსოფლიოში ლიდერობის შესანარჩუნებლად, გაკოტრების თავიდან ასაცილებლად, ევროპელი მარიონეტების მორჩილებაში საყოლად, რუსეთისა და ჩინეთის დასასუსტებლად ამერიკას სჭირდება ომები, ქაოსი მსოფლიოში, მას სჭირდება „ყველას ყველასთან" დაპირისპირება. შეერთებული შტატები მოძებნის საბაბს და დაბომბავს ყველა ქვეყანას, რომელსაც აქვს განვითარებისა და რესურსების საკუთარი მოსახლეობის სასარგებლოდ გამოყენების პრეტენზია.**

გაიხსენეთ ისტორია. მრავალრიცხოვანი ომებიდან, რომელთაც აშშ აწარმოებდა უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, ყველა მათ მიერვე ორგანიზებული პროვოკაციების, ინსინუაციების, უტიფარი ტყუილის შედეგად იწყებოდა. ვიეტნამში 10-წლიანი ომი კონგრესის მოტყუებით დაიწყეს, რომ თითქოს ვიეტნამელები ამერიკულ გემს დაესხნენ თავს. შედეგად მივიღეთ 3 მილიონი მოკლული ვიეტნამელი, რომელთაც, სხვათა შორის, ქიმიური იარაღის მასობრივი გამოყენებით ხოცავდნენ, სანაცვლოდ კი აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა მილიარდობით დოლარი იშოვა. **გაიხსენეთ კოსოვოში ბოსნიელების „მასობრივი მკვლელობებისა" და „ალბანელთა გენოციდის" ამსახველი დადგმული ვიდეოკადრები, რომელთაც სერბი მოსახლეობის უმოწყალო დაბომბვა მოჰყვა. შედეგი კი იუგოსლავიის დანაწევრება, შემდეგ სერბეთის დაშლა და ევროპის ცენტრში მუსლიმანური ანკლავის შექმნაა, რომლის ამოქმედებაც ნებისმიერ წუთს შეიძლება, თუკი ევროპელები ურჩობას გაბედავენ და დამოუკიდებელ პოლიტიკას წამოიწყებენ.** გაიხსენეთ „უტყუარი მონაცემები" ერაყის მიერ მასობრივი განადგურების იარაღის ფლობაზე და კოლინ პაუელი რაღაც კოლბით ხელში. შედეგი — მილიონობით დახოცილი ერაყელი, დღემდე ყოველდღიურად 50-100 მშვიდობიანი მოქალაქე იღუპება, მძლავრად განვითარებადი ქვეყანა შუა საუკუნეებში დააბრუნეს, სამაგიეროდ ნავთობკომპანიებმა, მათ შორის ბუშისა და ჩეინისამ, მუქთა ნავთობი მიიღეს. მოგვიანებით აღიარეს, რომ მასობრივი განადგურების იარაღი უტიფარი სიცრუე იყო, მაგრამ მოსახდენი უკვე მომხდარი იყო, საქმე — გაკეთებული. **გაიხსენეთ ლიბია, დაქირავებული ტერორისტები რომ შეაგზავნეს და ამ ყველაზე თანამედროვე იარაღით კბილებამდე შეიარაღებულმა „დისიდენტებმა" „დემოკრატიისა და თავისუფლების" მოთხოვნა დაიწყეს.** შედეგი — მოსახლეობის კეთილდღეობის ყველაზე მაღალი დონის მქონე ქვეყანა აღარ არსებობს, ადგილობრივი კლანები ერთმანეთს ეომებიან, იღუპება ასობით მშვიდობიანი მოქალაქე. სამაგიეროდ, ნავთობი შეუფერხებლად გადაედინება საერთაშორისო კორპორაციების კუთვნილ ტანკერებში. გაიხსენეთ ეგვიპტე, ტუნისი, იემენი, სადაც ამერიკული სპეცსამსახურების პოლიტტექნოლოგებმა უკრაინული „ნარინჯისფერი" და ჩვენებური „ვარდების" მსგავსი „რევოლუციები" რომ მოაწყვეს. ამ ქვეყნების განვითარება შეჩერებულია, ისინი დენთის კასრებად იქცნენ, რომლებმაც ნებისმიერ წუთს შეიძლება ააფეთქონ რეგიონი.

**სამწუხაროდ, ბოლო ათწლეულებში ამერიკა თანამედროვე მსოფლიოსთვის დესტაბილიზაციის მთავარ ძალად, ხოლო ამერიკული არმია კბილებამდე შეიარაღებული მკვლელებისა და მოძალადეთა ბანდად იქცა. ერთადერთი ხსნა ამ ბანდიტებისგან არის ბირთვული იარაღი. ამიტომაც ის ქვეყნები, რომლებსაც არ აქვთ ასეთი იარაღი, მაგრამ სურთ, დარჩნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და განვითარდნენ, ფორსირებული ტემპით ცდილობენ ბირთვული იარაღის შექმნას.** ამერიკამ მათ სხვა გამოსავალი არ დაუტოვა. სააკაშვილის საყვარელი მასწავლებლის, სენატორ მაკკეინის მოსმენისას ნორმალური ადამიანი ფიქრობს, რომ სისხლით გაუმაძღარ მანიაკს უსმენს და აშშ-ში არსებობენ ძალები, რომელთაც შეუძლიათ მისი აგრესიის მოთოკვა. სამწუხაროდ, სწორედ ასეთი სისხლმოწყურებული კაციჭამიები და მათ ზურგს უკან მდგარი გაუმაძღარი კორპორაციები განაგებენ ამერიკას და ეს შეიძლება ძალიან ცუდად დამთავრდეს არამარტო შეერთებული შტატების, არამედ მთელი კაცობრიობისთვის.

ესაუბრა
**ირაკლი თოდუა**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ხალხს ერთადერთი იმედი კიდევ რჩება, რომ არჩევნები დასრულდება და „ნაციონალური მოძრაობა“ მთლიანად ჩამოშორდება ყველაფერს, მაგრამ ეს როგორ მოხდება, როდესაც სასამართლოებსა და თვითმმართველობებში ისევ „ნაციონალები“ მუშობენ? თუ არ შეიცვალა საკადრო პოლიტიკა, რომელიც ახალ, სუფთა კადრებს მოიზიდავს, არაფერი გამოვა... „ნაციონალებს“ პოლიტიკური საქმიანობა საერთოდ უნდა აეკრძალოთ, ვინაიდან ეს ის პოლიტიკური ძალაა, რომელიც სისტემურ დანაშაულს სჩადიოდა.“**

ნანა კაკაბაძე:

# ნიურნბერგის პროცესზე არ ყოფილა იმდენი მტკიცებულება, რამდენიც დღეს «ნაციონალების» წინააღმდეგ არსებობს



**უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციების დაწყებას გეგმავს და აცხადებს, რომ ახალმა ხელისუფლებამ დაპირებული სამართლიანობის აღდგენა ვერ მოახერხა. მიმდინარე მოვლენებისა და სამომავლო გეგმების შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე ესაუბრება.**

**— ქალბატონო ნანა, თქვენ განაცხადეთ, რომ მალე ფართომასშტაბიანი აქციების დაწყებას აპირებთ. რას აპროტესტებთ და რა იქნება თქვენი ძირითადი მოთხოვნები?**

— ხელისუფლება ვერ ახერხებს წინასაარჩევნოდ მოსახლეობისთვის მიცემული დაპირებების შესრულებას. აქედან გამომდინარე, საზოგადოებაში უკმაყოფილება ყოველდღიურად იზრდება. **თუ ეს პარლამენტი დარჩა, რომელსაც ძალიან დაბალი ლეგიტიმაცია აქვს, ქვეყანაში არაფერი შეიცვლება. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ კი პარლამენტი საერთოდ ლეგიტიმაციის გარეშე რჩება. ეს პარლამენტი ხალხს არ აურჩევია.**

**— გამოდის, თქვენი ძირითადი მოთხოვნა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება იქნება?**

— ეს იქნება ჩვენი ერთ-ერთი მოთხოვნა. მთავარი მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენააა, რაც ვერ მოხდება, თუ სააკაშვილის რეჟიმი არ გასამართლდება. უპირველესად კი, უნდა მოხდეს რეჟიმის შეფასება, რომელიც 9 წლის განმავლობაში, ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას აწარმოებდა.

**მთელი ამ წლების განმავლობაში ჩვენ ვუყურებთ მხოლოდ დასავლეთის ან სხვა ქვეყნების მიერ დაკვეთილი პოლიტიკის გატარებას, მაგრამ ქართული პოლიტიკა და ქართულ სახელმწიფოზე ორიენტირებული პოლიტიკა ჯერჯერობით არ ჩანს.** ვგულისხმობ იმავე კოაბიტაციას. არამარტო ეს სიტყვაა გაუგებარი, არამედ პოლიტიკაც. ეს სიტყვა არანაირად არ შეესაბამება იმას, რასაც დღეს კოაბიტაციას ეძახიან, ვინაიდან კოაბიტაცია ორი, განსხვავებული პოლიტიკური ძალის თანაარსებობაა. დღეს რასაც ვხედავთ, ეს არ არის ორი განსხვავებული ძალის თანაარსებობა, ეს არის ხელისუფლების თანაარსებობა კრიმინალურ ძალასთან. სწორედ ამ კოაბიტაციის შედეგია, რომ დღეს არ ხდება მიტაცებული ბიზნესისა თუ ქონების დაბრუნება, უსამართლოდ დაპატიმრებული ადამიანების საქმეების ხელახალი გადახედვა და რეალური შედეგების დადგომა, რადგან იგივე პროკურორები, მოსამართლეები და გამომძიებლები ისევ თანამდებობებზე მუშაობენ. ისინი კი სხვაგვარ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებენ, რადგან, ასეთ შემთხვევაში, გამოდის, თავად უნდა წავიდნენ ციხეებში, რაც გამორიცხულია. თავის დასაკლავ დანას თავად ხომ არ გალესავენ?!

**ხალხს ერთადერთი იმედი კიდევ რჩება, რომ არჩევნები დასრულდება და „ნაციონალური მოძრაობა“ მთლიანად ჩამოშორდება ყველაფერს, მაგრამ ეს როგორ მოხდება, როდესაც სასამართლოებსა და თვითმმართველობებში ისევ „ნაციონალები“ მუშობენ? თუ არ შეიცვალა საკადრო პოლიტიკა, რომელიც ახალ, სუფთა კადრებს მოიზიდავს, არაფერი გამოვა.**

**— ანუ თქვენც ემხრობით კობა დავითაშვილის ინიციატივას — „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს სახელმწიფო თანამდებობების დაკავება აეკრძალოთ?**

— კობა დავითაშვილის ინიციატივა სავსებით ჯდება იმ მოთხოვნაში, რომელსაც რეჟიმის გასამართლება ჰქვია. **„ნაციონალებს“ პოლიტიკური საქმიანობა საერთოდ უნდა აეკრძალოთ, ვინაიდან ეს ის პოლიტიკური ძალაა, რომელიც სისტემურ დანაშაულს სჩადიოდა.** მაგრამ, ეს რომ სისტემური დანაშაული იყო, ამისათვის აუცილებელია მტკიცებულებების წარმოდგენა, რასაც ეს პროკურატურა არ გააკეთებს.

**— აღნიშნეთ, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში ქართულ სახელმწიფოზე ორიენტირებული პოლიტიკა არ ჩანს. ბიძინა ივანიშვილმა პრესკონფერენციაზე, ფაქტობრივად, განაცხადა, რომ სამართლიანობის აღდგენა მასაც სურს, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოება მხარს არ უჭერს. მათთვის გაუგებარია თუნდაც ყოფილი პრემიერის დაპატიმრების საკითხი. როგორ უნდა მოიქცეს ხელისუფლება, არ გაითვალისწინოს საერთაშორისო საზოგადოების აზრი?**

— რა თქმა უნდა, ჩვენ გვიწევს სხვა ქვეყნების ინტერესების გათვალისწინება, მაგრამ მთავარი პრობლემა ისევ პროკურატურაშია. ბიძინა ივანიშვილს კი მტკიცებულებების გარეშე დასავლეთთან საუბარი უჭირს. არადა, თავზესაყრელია ეს მტკიცებულებები. ნიურნბერგის პროცესზე არ ყოფილა ამდენი მტკიცებულება, რამდენიც დღეს „ნაციონალების“ წინააღმდეგ არსებობს. გვჭირდება პარლამენტი, რომელიც „ნაციონალური“ მმართველობის რეჟიმს სათანადოდ შეაფასებს.

**— ხელისუფლებას ვირჩევთ გარკვეული ვადით, შემდეგ ვხედავთ რა, რომ დაპირებებს არ ასრულებენ, აქციებს ვაწყობთ და ეს სცენარი გამუდმებით მეორდება... ხომ არ სჯობს, აქციების დაწყებამდე თუნდაც ახალი საკანონმდებლო ინიციატივა შესთავაზოთ პარლამენტს და აღნიშნულმა საარჩევნო ზღვარმა დაიწიოს?**

— წლების შემცირება პრობლემას ვერ გადაჭრის, რადგან პრობლემა შემადგენლობაშია. თუ ხალხი იქნება ძალაუფლების წყარო, როგორც კონსტიტუციითაა განსაზღვრული, ნებისმიერ დროს შეცვლის ხელისუფლებას. **ივანიშვილი აცხადებს, რომ დასავლეთი არ აძლევს სამართლიანობის აღდგენის საშუალებას. ვინ ჰკითხავს სხვა ქვეყნებს, მთავარი ხომ ქართველი ხალხია? მაგრამ ივანიშვილი ძალაუფლებას ქართველ ხალხში ვერ ხედავს, ხედავს სხვაგან. სანამ ჩვენ არ დავანახებთ, რომ ჩვენ ვართ ძალა, ასეც იქნება.**

**— რატომ ვერ ხედავს?**

— იმიტომ, რომ სააკაშვილმა მთელი ქვეყანა, ფაქტობრივად, „იპოთეკაში ჩადო“ — მილიარდობით სესხი აიღო სხვა ქვეყნებიდან. გარკვეული ვალდებულებები არსებობს. ხვალვე რომ ამ ვალის გადახდა მოსთხოვონ ივანიშვილს, ქვეყანა აღარ იარსებებს. ტერიტორიები დაკარგა, მილიარდობით ვალი აიღო, ყველა ინსტიტუტი მოშალა, პროკურატურიდან დაწყებული — სასამართლოთი დამთავრებული. ბუნებრივია, ეს ყველაფერი პრობლემებს ქმნის, რითაც გარე ძალები სარგებლობენ.

## «როგორ შეიძლება «ნაციონალები» ყველგან პრივილეგირებულები იყვნენ — ხელისუფლებაშიც და ციხეშიც და უბრალო მოქალაქე მუდმივად ფეხქვეშ იყოს გათელილი?»

**— კიდევ ერთი საკითხი, რომელმაც საზოგადოების ვნებათაღელვა გამოიწვია, ფარული ჩანაწერებია. უნდა განადგურებულიყო თუ არა ფარული ვიდეოჩანაწერები?**

— არა, რადგან ხელისუფლება ანადგურებს მტკიცებულებებს. სანამ განაჩენი არ დამდგარა, მტკიცებულებების განადგურება არ შეიძლება. შინაგან საქმეთა სამინისტროს მივწერეთ, გაგვცეს პასუხი, რა იურიდიულ საფუძველზე გაანადგურეს აღნიშნული ჩანაწერები და ვინ მიიღო ეს გადაწყვეტილება, მაგრამ პასუხი არ მიგვილია. ამ უკანონო გადაწყვეტილებას აუცილებლად გავასაჩივრებთ.

**— სამართლიანობის აღდგენის მიზნით, თქვენ ჯერ კიდეც გაზაფხულზე განაცხადეთ ახალი სახალხო მოძრაობის დაწყების თაობაზე. რა გააკეთეთ მას შემდეგ?**

— მას შემდეგ ჩვენ პარლამენტს გავუგზავნეთ რეზოლუცია, რომელსაც 11 ათასზე მეტი კაცი აწერს ხელს და რომლითაც სხვა ქვეყნების მაგალითზე რეჟიმის გასამართლებას ვითხოვდით. პარლამენტს ვთხოვეთ ამ ყველაფრის შეფასება, თუმცა მხოლოდ ერთი მოსმენა ჩაატარეს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში და ამით დასრულდა ყველაფერი.

გამოვყავით ფოკუსჯგუფები, ალვნუსხეთ, თუ ვის, რა სახის ზიანი მიაყენეს „ნაციონალებმა“, მაგრამ **პარლამენტი ქმედით ნაბიჯებს არ დგამს მდგომარეობის გამოსასწორებლად, რადგან დასავლეთის ზეგავლენა არამარტო ივანიშვილზე, არამედ პარლამენტზეც აქვს.** მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვამბობთ, რომ დამოუკიდებლები ვართ, რეალურად დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებისგან შორს ვდგავართ. თუ ხალხმა არ იაქტიურა, მარტო ბიძინა ივანიშვილი ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს. დღეს ქვეყანას ძალიან უჭირს — ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ვართ.

**— ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია ყოფილი ხელისუფლების დროს პატიმრების უფლებების დარღვევის ფაქტებზე, რა ვითარებაა დღეს ციხეში, გაქვთ თუ არა უფლებადამცველებს სასჯელაღსრულების დაწესებულებების კონტროლის შესაძლებლობა?**

— თქვენ იცით, რომ 2004 წლამდე ჩვენს ორგანიზაციას ეს უფლებები ჰქონდა. პენიტენციარულ სისტემას მუდმივად ვაკონტროლებდით. შემდეგ, მოგეხსენებათ, სააკაშვილმა მონიტორინგის ჯგუფი გააუქმა, რადგან მათი მიზანი იყო, ციხე პატიმრების წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის მეშვეობით ემართათ. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ვიმედოვნებდით, რომ მონიტორინგის საბჭო აღდგებოდა, ითქვა, რომ უფრო გამჭვირვალე იქნებოდა ციხე, მაგრამ ასე არ მოხდა. მიუხედავად ამისა, ინფორმაცია მაინც ხელმისაწვდომია ჩვენთვის და **განსაკუთრებული შემთხვევების დროს ციხეშიც შევდივართ. თუმცა ახლა სხვა პრობლემები გაჩნდა — პატიმრები საკუთარ უფლებებს აჭარბებენ და ციხის ადმინისტრაციას ძალიან რთულ მდგომარეობაში აყენებენ. არის მეორე პრობლემაც — ძველი ადმინისტრაცია ისევ ციხის ძველებური მეთოდებით მართვას ცდილობს და პატიმრებს ძველი რეჟიმის აღდგენით ემუქრება.**

**— გამოდის, რომ პატიმრების კონტროლი ეფექტურად ველარ ხდება...**

— დიახ, ასეა, რადგან ადრე, ერთის მხრივ, წამებით მართავდნენ ციხეს; მეორე მხრივ კი, ჰყავდათ ე. წ. მაყურებლები, რომლებიც ასევე სცემდნენ პატიმრებს.

უნდა გაიხსნას ციხეები, მაგრამ არ იხსნება, ჩემი აზრით, ერთი მიზეზის გამო — არ სურთ, საზოგადოებამ დაინახოს, თუ რა ფუფუნებაში ჰყავთ „ნაციონალური მოძრაობის“ მაღალჩინოსნები. მივესალმები, თუ მათ კარგად ეპყრობიან, მაგრამ სხვა პატიმრები რატომ არიან გაუსაძლის პირობებში? **როგორ შეიძლება „ნაციონალები“ ყველგან პრივილეგირებულები იყვნენ — ხელისუფლებაშიც და ციხეშიც და უბრალო მოქალაქე მუდმივად ფეხქვეშ იყოს გათელილი?**

**— ეს რისი ბრალია?**

— ისევ დასავლეთის ზეწოლის, რომელიც აიძულებს ხელისუფლებას, ყოფილი მღალჩინოსნები კარგ პირობებში ამყოფონ.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

## შსს მოქალაქეებს აფრთხილებს, რომ, ცრუ შეტყობინების შემთხვევაში, კანონის სრული სიმკაცრით დაისჯებიან



**ცრუ შეტყობინებთან დაკავშირებით ირაკლი ღარიბაშვილის უწყება ავრცელებს განცხადებას, რომლითაც მოქალაქეებს აფრთხილებს, რომ მსგავსი ქმედებისთვის კანონის სრული სიმკაცრით დაისჯებიან.**

„ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება სისხლის სამართლის დანაშაულია, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. იმ შემთხვევაში, თუ ცრუ ზარის ავტორი არასრულწლოვანია, პასუხისმგებლობა დანაშაულზე დაეკისრება მის მშობლებს ან მეურვეებს. ამასთანავე, ზიანის ანაზღაურება, რომელიც ცრუ განგაშის შედეგად ორგანიზაციებს მიადგათ, ზარის არასრულწლოვანი ავტორის მეურვეებს დაეკისრებათ. აქვე, კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ მიმდინარე თვეში შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, ცრუ შეტყობინების ავტორების მიმართ კანონი კიდევ უფრო გამკაცრდება“, — ნათქვამია შსს-ის განცხადებაში.

**რაღაც მომენტში სააკაშვილს შეიძლება მოეჩვენოს, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება (გადატრიალების სცენარის ამოქმედებით) შეიძლება წარმატებით დაგვირგვინდეს და მას ნეგატიურ შედეგს არ მოუტანს. ეს ნამდვილად შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ „ნაცმოძრაობის“ ბელადი ჩათვლის, რომ მის პირად უსაფრთხოებას არაფერი დაემუქრება.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვინ დგას «სატელეფონო ტერორიზმის» უკან?

**ბოლო დროს გახშირდა ცრუ შეტყობინებები ამა თუ იმ შენობაში ასაფეთქებელი მოწყობილობის არსებობის შესახებ; ზოგი ამას თავგასული ბავშვების გართობად, ზოგი კი მზაკვრული პოლიტიკური გეგმის ნაწილად განიხილავს. ვინაიდან უახლესმა ისტორიამ გვასწავლა, რომ ბუნდოვან სიტუაციაში ყველა შესაძლო ვარიანტიდან, უპირველესად, ყველაზე ნეგატიური უნდა განვიხილოთ, ალბათ, აჯობებს მეორე ვერსიის ფარგლებში დავრჩეთ, მითუმეტეს, რომ სოცქსელებში ეს თემა ნელ-ნელა წინა პლანზე გამოდის.**
**რა მოხდება, თუ არჩევნების დღეს შსს-ს სტრუქტურებში შევა უამრავი ზარი საარჩევნო უბნების თუ კომისიების დანაღმვასთან დაკავშირებით? რა მოხდება იმ შემთხვევაში (ღმერთმა დაგვიფაროს), თუ ერთ-ერთ მსგავს ზარს, ახლო მომავალში ნამდვილი აფეთქება მოჰყვება? ვის აძლევს ხელს ეს საშიში თამაში?**



ვიდრე ვარაუდებზე გადავალთ, ალბათ, ურიგო არ იქნება კონსტიტუციიდან რამდენიმე ციტატის მოყვანა (თუ რისთვის, ამაზე ოდნავ ქვემოთ): **„საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს, ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს კონსტიტუციის მე-18, მე-20, 21-ე, 22-ე, 24-ე, 25-ე, 30-ე, 33-ე და 41-ე მუხლებში ჩამოთვლილი უფლებანი და თავისუფლებანი“** (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 46). საგანგებო მდგომარეობის დროს **პრეზიდენტი „გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე, ახორციელებს საგანგებო ღონისძიებებს“** (მუხლი 73). ამასთანავე, **„თუ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შემოღებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, სხვა წარმომადგენლობით ორგანოთა არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმების შემდეგ“** (მუხლი 46).

მართალია, იმავე 46-ე მუხლის თანახმად, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებს, ის **„ვალდებულია, არა უგვიანეს 48 საათისა, ეს გადაწყვეტილება შეიტანოს პარლამენტში დასამტკიცებლად“** (მუხლი 46). მაგრამ, თუ ამ ნორმას ჰიპოთეტური გადატრიალების (ან სხვა მსგავსი უბედურების) კონტექსტში განვიხილავთ, ალბათ, გვერდს ვერ ავუვლით ვარაუდს, რომ **პარლამენტი შეიძლება ვერ შეიკრიბოს. 48 ან თუნდაც 24 საათში შესაძლებელია ათასგვარი ხერხის გამოყენება იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს და ამას უცხო ქვეყნებში მომხდარი არაერთი გადატრიალების გამოცდილება ადასტურებს.** ჩვენ არ შევეხებით იმ კოშმარულ სცენარს, რომლის ფარგლებშიც პარლამენტში აფეთქება მოხდება, მაგრამ, ვინაიდან ბოლო დროს დაფიქსირდა ზარები მის დანაღმვასთან დაკავშირებით და ამას ევაკუაციის გამოცხადებაც მოჰყვა, ალბათ, ეს შესაძლებლობაც უნდა ვახსენოთ.

**კონსტიტუციის ჩამოთვლილი მუხლები შესაძლებლობას აძლევენ მიხეილ სააკაშვილს არა მხოლოდ ჩაშალოს არჩევნები და გარკვეული დროით პოსტზე დარჩეს, არამედ კარგად გათვლილი მოქმედების შემთხვევაში რეალური ძალაუფლება დაიბრუნოს,** მაგრამ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას სერიოზული საბაბი სჭირდება. „ნაციონალებს“ არ აქვთ რესურსი იმისთვის, რომ საკუთარი პარტიის ძალებით მასობრივი არეულობა მოაწყონ, თუმცა, ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ რელიგიურ ან ეთნიკურ ნიადაგზე მასშტაბური დაპირისპირების პროვოცირების შესაძლებლობა. გამორიცხული, აგრეთვე, არაა გარიგება უცხოელ ბოევიკებთან (ასე ვთქვათ, „ლაფანყური 2“) ან პროვოკაცია კონფლიქტის ზონებში. ხოლო ყველაზე საზარელ და, რესურსების ხარჯვის თვალსაზრისით, „მინიმალისტურ“ გადაწყვეტილებად ამ კონტექსტში ექსპერტები, სავარაუდოდ, მასშტაბურ ტერორისტულ აქტს (ტერაქტების სერიას) ჩათვლიან. **ყოველივე ჩამოთვლილი მიხეილ სააკაშვილს შესაძლებლობას მისცემს, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს.**

ჩვენ, ნებისმიერ შემთხვევაში, უდანაშაულობის პრეზუმფციას უნდა დავეყრდნოთ. **„ნაციონალებს“ ყოველივე ჩამოთვლილი არ ჩაუდენიათ და არავის დაუდასტურებია, რომ მათ მსგავსი გეგმები აქვთ. მაგრამ ვინაიდან, საზოგადოების დიდი ნაწილი, ბოლო 10 წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით, მიიჩნევს, რომ ძალაუფლების გულისთვის ეს ჯგუფი ხელს აბსოლუტურად ყველაფერს მოაწერს და მას ვერანაირი ზნეობრივი წინაღობა ვერ შეაჩერებს, მსგავსი სცენარების ჩამოთვლა და განხილვა სავსებით ლეგიტიმური ჩანს.**

ალბათ, უნდა აღინიშნოს (და ეს ძალზე მნიშვნელოვანია), რომ ჩვენ არ ვსაუბრობთ ჯგუფზე, რომელიც თავის გათვლებში იდეალურ ლოგიკას ეყრდნობა. **მომავლის შიში და ძალაუფლების წყურვილი მის წევრებზე, სავარაუდოდ, ძალიან სერიოზულ, თუ არა განმსაზღვრელ, ზემოქმედებას ახდენს. ასე რომ, მათ შესაძლო გეგმებზე საუბრისას, ალბათ, „სიგიჟის ფაქტორიც“ უნდა გავითვალისწინოთ.** მარტივად რომ ვთქვათ, დღევანდელ მდგომარეობაში მათ, სავარაუდო შედეგების გაუთვალისწინებლად, შეუძლიათ ძალიან სულელური გეგმები შეადგინონ და თანმიმდევრულად მისდიონ მათ. ეს ისეთი სიტუაციაა, როდესაც ჰიპოთეტური გეგმის იდიოტიზმი არ წარმოადგენს წონად არგუმენტს მისი არარსებობის სასარგებლოდ.

ტრადიციულად, მსგავსი ცრუ სატელეფონო შეტყობინებები გამოიყენება იმისთვის, რომ შემოწმდეს საფრთხეზე სამართალდამცავთა სტანდარტული რეაგირების პროცედურა (და შესაძლო ცვლილებები მასში), დადგინდეს, თუ რა ძალისხმევაა საჭირო უსაფრთხოების სამსახურების საინფორმაციო „გადატვირთვისთვის“, მოხდეს ე. წ. „აღქმის ზღურბლის დაწევა“ (ანუ მიღწეულ იქნას სიტუაცია, როდესაც შსს-ს და საზოგადოებას ახალ შეტყობინებებზე დაახლოებით ისეთივე რეაქცია ექნება, როგორც მწყემსი ბიჭუნას შეძახილებზე „მგელი, მგელი!“ (ცნობილი ზღაპრის დასკვნით ნაწილში) და ა. შ. **არსებობს უამრავი ხერხი, რომელთა გამოყენებით პროვოკაციის დამკვეთს შეუძლია პოლიციაში მორიგ „ბომბზე“ დაარეკინოს მოზარდს, რომელმაც არ იცის, რომ მკაცრად დაისჯება, ისე, რომ გამოძიება დამკვეთის კვალზე აპრიორი ვერ გავიდეს.** ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, **უცხო ქვეყნებში იყო არაერთი შემთხვევა, როდესაც „სატელეფონო ტერორიზმის“ ტალღას ნამდვილი ტერორისტული შეტევები მოჰყვა.**

ცხადია, ეს შეიძლება იყოს მხოლოდ საინფორმაციო ოპერაცია, რომლის მიზანი არჩევნების დღეს პანიკის დათესვა და მათი ლეგიტიმურობის ეჭვქვეშ დაყენებაა, თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, ბოლო წლების გამოცდილება, უპირველესად, ყველაზე ცუდი ვარიანტების განხილვისკენ გვიბიძგებს.

ცნობილ ფილმ „გლადიატორში“ იმპერატორ კომოდუსისა და მისი მრჩევლის დიალოგში ასეთი რეპლიკაა: **„მე მომიყვნენ ზღვის გველზე, რომელსაც ნადირობის ძალიან უცნაური წესი აქვს. ის ფსკერზე წევს, თითქოსდა დაჭრილი... მტრები უახლოვდებიან, ის მაინც წევს. შემდეგ მტრები ნელ-ნელა მის კბენას იწყებენ, მაგრამ ის მაინც არ ინძრევა...“** ალბათ, გასაგებია, რა ხდება ამის შემდეგ და, აგრეთვე, ის, რომ ამ რეპლიკამ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ სტილზე შეიძლება გაცილებით მეტი მოგვითხროს, ვიდრე ასი პოლიტოლოგის ერთობლივმა ნაშრომმა. მაგრამ ამ თეორიას ყველა როდი იზიარებს და რომც იზიარებდეს, მიმდინარე და მოსალოდნელ პროცესებს მაინც ეჭვის თვალით უყურებს.

**დღეს, ალბათ, „კბენას იწყებენ“ სტადიაში ვართ, რომელსაც „ქართული ოცნების“ რიგითი ამომრჩევლები ხშირად ასე აღწერენ: „ისინი სოროებიდან გამოძვრნენ“. ეს ხალხი გაოგნებული უყურებს გათამამებულ „ნაციონალებს“ და თავის, კოჰაბიტაციის ჭაობში ჩაფლულ, რჩეულებს და უკვე ღიად საუბრობს შეთქმულებაზე, პარლამენტში ახალი უმრავლესობის შესაძლო ფორმირებაზე და ღალატზეც კი.** ზოგიერთი მათგანის განწყობა იმდენად რადიკალური ჩანს, რომ **იმ შემთხვევაში, თუ „ნაციონალების“ ხელისუფლებაში დაბრუნების თუნდაც მცირე პრაქტიკული შანსი გაჩნდება, ხელში, ალბათ, არათუ საპროტესტო ტრანსპარანტებს, არამედ პირდაპირ იარაღს აიღებენ, რადგან სისხლისღვრას „ნაცების დაბრუნებაზე“ ნაკლებ ბოროტებად განიხილავენ.** თუ ამ ფსიქოლოგიურ ფონზე აზარტში შესული „ნაციონალები“ გადატრიალების მოწყობას დააპირებენ, საქართველოში, დიდი ალბათობით, „ბართოლომეს ღამეზე“ უარესი მოვლენები დატრიალდება. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რამდენად ადეკვატურად აფასებენ ამ საფრთხეს ქვეყნის ძველი მმართველები (და მათთან კოჰაბიტირებული ელემენტები) და გრძნობენ თუ არა, რომ მათი რესურსები და შესაძლებლობები უმეტესწილად ილუზორულია.

**ძნელი სათქმელია, გაბედავენ თუ არა მიხეილ სააკაშვილი და გიგა ბოკერია წასვლას საბედისწერო ავანტიურაზე, თუმცა მათ, ალბათ, უნდა გააცნობიერონ, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში ახლო მომავალში ზემოაღწერილი უბედურების მსგავსი რამ მოხდება, ათასობით რადიკალურად განწყობილი ადამიანი მათ** (თანამოაზრებთან ერთად) **ავტომატურ რეჟიმში მთავარ დამნაშავეებად „დანიშნავს“.** იმ სიტუაციაში უკვე აღარ იქნება საუბარი ფაქტების დადგენასა და სასამართლო განხილვებზე, არამედ მხოლოდ პირდაპირ ანგარიშსწორებაზე; ხელისუფლებას ამ ტალღის შეკავება ძალიან გაუჭირდება და, ჩვენი სამართალდამცავების შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე, ყველა ექსცესის თავიდან არიდება, სავარაუდოდ, ვერ მოხერხდება.

**დემოკრატიულ სახელმწიფოს არ შეუძლია წინმსწრებ რეპრესიებს მიმართოს და უშიშროება ვერ დაიწყებს კუდიანებზე** (უკაცრავად, „ნაციონალებზე“) **ნადირობას მხოლოდ იმიტომ, რომ მათ სავარაუდო გეგმებთან დაკავშირებით გარკვეული ვარაუდები ან საფუძვლიანი ეჭვები არსებობს. მაგრამ არავის გაუუქმებია სამოქალაქო კონტროლი პოლიტიკოსებზე და საზოგადოების ფსიქოლოგიური ზეწოლა მათზე.** გაზაფხულზე მიხეილ სააკაშვილმა ვერ გაბედა მთავრობის დათხოვნა (და, შესაძლოა, პარლამენტის დაშლა), რადგან იგრძნო საზოგადოების განწყობა და გააცნობიერა, თუ რით დასრულდებოდა მისთვის მსგავსი ნაბიჯის გადადგმა. არადა, იურიდიული მექანიზმები ფაქტობრივი გადატრიალებისთვის მაშინ არსებობდა, გაცილებით უფრო ძლიერი იყო ე. წ. „მეხუთე კოლონა“ ძალოვან სტრუქტურებში და, 99%-იანი ალბათობით, იყო შესაბამისი გეგმაც (ამაზე არაერთი გარემოება მიანიშნებს). **დღეს იმ სიტუაციასთან შედარებით მიხეილ სააკაშვილისა და მისი გარემოცვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, სავარაუდოდ, დამძიმებულია, არაადეკვატურობა კი, შესაბამისად, — გაზრდილი, საზოგადოება ერთ მუშტად შეკრული არ არის და გაცილებით დაბნეული ჩანს, ხოლო საპარლამენტო უმრავლესობაში არაერთგვაროვანი პროცესები დაიწყო.** ასე რომ, **რაღაც მომენტში სააკაშვილს შეიძლება მოეჩვენოს, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება** (გადატრიალების სცენარის ამოქმედებით) **შეიძლება წარმატებით დაგვირგვინდეს და მას ნეგატიურ შედეგს არ მოუტანს** (მითუმეტეს, იურიდიული თვალსაზრისით, ის კონსტიტუციის ფარგლებში იმოქმედებს). **ეს ნამდვილად შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ „ნაცმოძრაობის“ ბელადი ჩათვლის, რომ მის პირად უსაფრთხოებას არაფერი დაემუქრება. რაც შეეხება საბაბს საგანგებო მდგომარეობისთვის, მისი პოვნა ან, სულაც, შექმნა, უსინდისო ადამიანისთვის გადაულახავ პრობლემას არ წარმოადგენს.**

რა თქმა უნდა, ჩვენ არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ჩვენი შეშლილობის ზღვარზე მყოფი ქვეყნის ზოგიერთ მოქალაქეს ფსიქიკური აშლილობა დაეწყო და ისინი გარკვეულ დღეებში ერთი მეორეს მიყოლებით რეკავენ პოლიციაში, რათა არარსებული ბომბების შესახებ შეატყობინონ. ღმერთმა ქნას, რომ პრობლემა მხოლოდ ამით შემოიფარგლებოდეს, რადგან, სხვა შემთხვევაში, ახლო მომავალში შეიძლება ძალიან სერიოზული საფრთხეების წინაშე აღმოვჩნდეთ.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვაშინგტონი არ ეწინააღმდეგება იმას, რომ მოსკოვმა მშვიდობისმყოფელის მანტია მოირგოს, ანუ მოაგვაროს პრობლემა, რომელიც მისთვის აგვისტოს ომის შემდეგ ძალზე აქტუალური გახდა, ხოლო კრემლი ყველანაირად უწყობს ხელს იმას, რომ ობამას ადმინისტრაცია კრიზისიდან „სახის დაკარგვის“ გარეშე გამოვიდეს.**

# საქართველო და სირია ომსა და მშვიდობას შორის

**ინტერესმა სირიის კრიზისის მიმართ საქართველოში გასულ კვირას მნიშვნელოვნად იკლო და ეს მედიასა და სოციალურ ქსელებს აშკარად დაეტყო. პარადოქსულია, მაგრამ ამის მთავარი მიზეზი, როგორც ჩანს, ამერიკული ინტერვენციის ალბათობის შემცირებაა. ისინი, ვინც ცუდად შენიღბული აღტაცებით ელოდნენ ესკალაციას და აშშ-რუსეთის დაპირისპირების გაღრმავებას, დღეს კომენტარებისგან თავს იკავებენ, რადგან საერთაშორისო არენაზე ხდება რაღაც ისეთი, რაც მათ მოლოდინს თუ რწმენა-წარმოდგენას არ შეესაბამება და ისიც აშკარაა, რომ, როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები სირიაში, პროცესი უკვე აღარასოდეს იქნება წარმოჩენილი, როგორც ვაშინგტონისა და მოსკოვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელზეც „ნაციონალები“ დღეს ისეთივე აღტკინებით ოცნებობენ, როგორც 2008-ში. რა ხდება სირიაში და რატომაა ასე გავრცელებული ჩვენში „ცივი ომის“ დროინდელი სტერეოტიპები?**




## სირია: მეორე სერია

**„ცივი ომი“ დაუნდობელი დაპირისპირება იყო, თუმცა მის ისტორიაში საკმარისზე მეტი ორაზროვანი, დამაფიქრებელი ეპიზოდი მოიძებნება.** მაგალითად, 1956 წლის შემოდგომაზე, სსრკ-მა უნგრული კრიზისის გადასაჭრელად ბუდაპეშტში ჯარები შეიყვანა, ხოლო აშშ-მა თავისი ძალები ევროპაში სრულ მზადყოფნაში მოიყვანა; მაშინ, ისევე, როგორც დღეს, არაერთი კომენტატორი საუბრობდა იმაზე, რომ დიდი ომის საფრთხე სავსებით რეალურია, მაგრამ იმავე დღეებში **ორივე ზესახელმწიფომ ერთად აიძულეს ინგლისი, საფრანგეთი და ისრაელი, ეგვიპტედან ჯარები გაეყვანათ** (ე. წ. სუეცის კრიზისი). **ეს უნიკალური სიტუაცია იყო — ერთსა და იმავე დროს უნგრეთთან დაკავშირებით მხარეები ერთმანეთს მიწასთან ასწორებდნენ, ხოლო ეგვიპტეში შეხმატკბილებულად მოქმედებდნენ და ძალიან ძნელი დასადგენია, რა იყო იმ მომენტში მეტი: კონკურენცია თუ თანამშრომლობა.**

მოგვწონს ჩვენ ეს თუ არა, მსოფლიოში არსებობს ორადორი სახელმწიფო — აშშ და რუსეთი, რომელთაც შეუძლიათ რამდენიმე საათში კაცობრიობის ისტორიას ბირთვული წერტილი დაუსვან. მსჯელობა ამ ქვეყნების ურთიერთობაზე განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს. ის არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც საქართველო-სომხეთის, საქართველო-აზერბაიჯანის ან რუანდა-ბურუნდის ურთიერთობა;, ის, აგრეთვე, განსხვავდება მსოფლიო ომების დროინდელი ზესახელმწიფოების, მაგალითად, გერმანია დიდი ბრიტანეთის ურთიერთობებისგან. **XX საუკუნის უმწვავესი კრიზისების დროსაც კი მოსკოვი და ვაშინგტონი არასოდეს შესულან უშუალო სამხედრო დაპირისპირებაში და ყოველთვის წარმატებით „ძირავდნენ“ მათ, ვისაც დამოუკიდებელი თამაშით გლობალური სტაბილურობისთვის (აგრეთვე, მათი ჰეგემონიისთვის) რეალური საფრთხის შექმნა შეეძლოთ; ყოველივე ეს დაიყვანება ბანალურ პრინციპამდე „მესამე ზედმეტია“.**

**ამ გარემოებას, სხვათა შორის, მშვენივრად აცნობიერებენ ჩინეთში; ბევრს უკვირს, როდესაც კრიტიკულ სიტუაციებში ამ უძლიერესი ქვეყნის პოლიტიკა, ერთი შეხედვით, მისთვის დამამცირებელ პოზიციამდე დადის — „თავი დამანებეთ... მე სუსტი ვარ!“,** თუმცა პეკინში, როგორც ჩანს, ესმით, რომ ვიდრე „წითელი დრაკონის“ ეკონომიკური ძლიერება არ არის კონვერტირებული გლობალური ამბიციებისთვის ადეკვატურ სამხედრო პოტენციალში (უპირველესად, იგულისხმება ბირთვული კომპონენტი; ჩინეთის არსენალი შედარებით მოკრძალებულია და ომში აშშ-თან ან რუსეთთან „გარანტირებულ ურთიერთგანადგურებას“ ვერ უზრუნველყოფს), ხოლო მისი გავლენა უცხო ქვეყნებში ჯერჯერობით არასაკმარისად ძლიერია, პეკინს ურჩევნია, ისევ მიბაძოს ბრძენ მაიმუნს, რომელიც ხეზე ზის და აკვირდება, როგორ იბრძვიან და აუძლურებენ ერთმანეთს ვეფხვები; ან კიდევ, მეორე ცნობილი ჩინური ანდაზის თანახმად, დაჯდეს და დაელოდოს, როდის ჩამოიტანს მდინარე მისი მტრების გვამებს. ეს ძლიერი და, ამასთან ერთად, ძალიან თავმოყვარე ქვეყანა, საჭიროების შემთხვევაში, უპრობლემოდ უკან იხევს, ხოლო მაშინ, როდესაც ცდილობს, ერთმანეთს აშშ და რუსეთი დააჯახოს, ფრთხილად მოქმედებს, ისე, რომ აშკარა კვალი არ დატოვოს და ყოველთვის ზომიერებას იცავს. **საინტერესოა, საიდან გაჩნდა ჩვენში, უფრო სწორად, სააკაშვილის თანამოაზრეებში ამბიცია, რომ აშშ-სა და რუსეთს ერთმანეთს არათუ დავუპირისპირებთ, არამედ საქართველოს გულისთვის ვაომებთ?**

**ის, რაც დღეს სირიაში ხდება, მნიშვნელოვნად განსხვავდება 2008 წლის მოვლენებისგან საქართველოში, თუმცა არის გარკვეული მსგავსებაც. როგორც ჩანს, ზოგიერთმა ქვეყანამ** (ეს, უპირველესად, საუდის არაბეთს ეხება), **ისევე, როგორც სააკაშვილის რეჟიმმა თავის დროზე, ჩათვალა, რომ შეძლებს გამოიყენოს აშშ, როგორც თავისი ფალავანი, მაგრამ თავის გათვლებში ვერ გაითვალისწინა ან კიდევ მნიშვნელოვნად არ ჩათვალა ის, რომ ჩანაფიქრის რეალიზების პროცესმა შეიძლება გეოპოლიტიკური ხასიათის რყევები გამოიწვიოს. ამ ზღვარის გადაბიჯებისთვის კი ზესახელმწიფოები თავის „უმცროს პარტნიორებს“ 99% შემთხვევაში სჯიან, რადგან მათმა შემდგომმა მცდელობებმა შეიძლება კიდევ უფრო მძიმე შედეგები მოიტანოს.**

დღეს ამერიკელი და რუსი დიპლომატები მოლაპარაკების მაგიდასთან სხედან და, განსხვავებული პოზიციების მიუხედავად, ორივე მხარე სასურველ ბონუსებს იღებს. **ვაშინგტონი არ ეწინააღმდეგება იმას, რომ მოსკოვმა მშვიდობისმყოფელის მანტია მოირგოს, ანუ მოაგვაროს პრობლემა, რომელიც მისთვის აგვისტოს ომის შემდეგ ძალზე აქტუალური გახდა, ხოლო კრემლი ყველანაირად უწყობს ხელს იმას, რომ ობამას ადმინისტრაცია კრიზისიდან „სახის დაკარგვის“ გარეშე გამოვიდეს.** ის ქართველი კომენტატორები კი, რომელნიც ელოდნენ, რომ რუსები და ამერიკელები სირიის ნაპირებთან ერთმანეთს რაკეტებს დაუშენდნენ, ყოველივე ამას პირდაღებულები უყურებენ. რა თქმა უნდა, გეოპოლიტიკური კონკურენცია ორ ზესახელმწიფოს შორის არსად გამქრალა, თუმცა ისინი აშკარად არ აპირებენ, ის მწვავე კონფრონტაციად გადააქციონ და, მითუმეტეს, თავიანთი რეგიონული მოკავშირეების მანიპულაციის ობიექტად იქცნენ.

## იმპერიის მძიმე ტვირთი

**საერთოდ, ძალიან ძნელია საერთაშორისო ურთიერთობების უახლეს ისტორიაში ისეთი ეპიზოდის პოვნა, რომელშიც უმცროსი ბუშის ადმინისტრაცია შემცვლელზე უკეთ გამოიყურება, თუმცა თეორიულად ეს შესაძლებელია, იმ შემთხვევაში, თუ ათვლის წერტილად ძველ, იმპერიული ტიპის კონტროლის სისტემას ავიღებთ.** ბუშის ადმინისტრაცია, ყველა მინუსის მიუხედავად, ტერიტორიებთან ერთად, მათ მომავალზე გარკვეულ პასუხისმგებლობასაც იღებდა. ისევე, როგორც ძველ რომში ჯერ მოდიოდნენ ჯარისკაცები, შემდეგ კი — ჩინოვნიკები და ინჟინრები; იმავე ერაყის რეაბილიტაციასა და მეტ-ნაკლებად ნორმალური ადგილობრივი რეჟიმის ჩამოყალიბებაში მილიარდობით დოლარი ჩაიდო. მართალია, ამან ბიძგი მისცა კორუფციის უპრეცედენტო ტალღას და საბოლოოდ ამ წამოწყებიდან კარგი არაფერი გამოვიდა, უამრავ ამერიკელს გულწრფელად მაინც სჯეროდა, რომ, პრობლემების მიუხედავად, ისინი ერაყში უკეთეს მომავალს ააშენებენ (როგორც, თავის დროზე, ვიეტნამში). ობამას ადმინისტრაცია კი ცოტა სხვაგვარად იქცევა. **სიტუაცია „არაბული გაზაფხულის“ ქვეყნებში არეულია, რევოლუციების მხარდაჭერას არ მოჰყოლია ამერიკელების საფუძვლიანი ჩარევა მიკრომენეჯმენტში და კონტროლის გამყარება ამ ქვეყნებზე; ეგვიპტე და ლიბია მართლაც რომ „უბედურების ზონებად“ გადაიქცა.**

აქ, ალბათ, ძალზე მნიშვნელოვანია დავადგინოთ, თუ რა შინაარსით ვავსებთ სიტყვას „კონტროლი“. ბუშის ადმინისტრაციის მიდგომა, მისი პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელება ადრე თუ გვიან მიიყვანდა შტატებს ბრიტანეთის იმპერიის მოდერნიზებული ვარიანტის შექმნამდე, რაც თანამედროვე პირობში არაადეკვატურია. ზბიგნევ ბჟეზინსკი სავსებით სამართლიანად მიუთითებს იმაზე, რომ **აშშ-ს არ შეუძლია „გლობალური რომის“ როლი შეასრულოს, ამისთვის სათანადო რესურსი არ აქვს და საერთოდ იმპერიების ხანა კაცობრიობის ისტორიაში დასრულდა.** ობამას ადმინისტრაციამ გადადგა ნაბიჯი ახალი ტიპის კონტროლისკენ, მინიმიზებული ინტერვენციებით და პასუხისმგებლობით, მაგრამ მთელ რიგ ტაქტიკურ სირთულეებს შეეჯახა. ამასთანავე, ბევრმა ადამიანმა მსოფლიოში, უბრალოდ, ვერ აღიქვა ამ ტრანზიტული პერიოდის თავისებურებები და მივიდა დასკვნამდე, რომ ახალი ადმინისტრაცია ქაოსში ძირავს პლანეტას, არ იცის, რას აკეთებს და მართვის სადავეები ხელიდან გაუშვა. ობამა, ალბათ, ძალიან სწორად მოიქცა, როდესაც წინამორბედის პოლიტიკის გადასინჯვა, ამერიკის ომიდან გამოყვანა და „ძველი რომაული გზიდან“ გადახვევა დაიწყო. მაგრამ მსგავსი „გადაწყობა მარშზე“ არც ისე ადვილია. ბოლო დროს ობამას ადმინისტრაციაში (და ეს მეორე ვადით არჩევის შემდეგ საკადრო ცვლილებებსაც უკავშირდება) მოხდა გადასვლა რბილი „ლიბერალური ინტერვენციონიზმის“ პოზიციებზე; **კონცეპტუალურმა ძიებამ „ამერიკის ახალ როლთან“ და შესაბამისი პოლიტიკის ფორმირებასთან დაკავშირებით უკანა პლანზე გადაინაცვლა და ტაქტიკურმა იმპროვიზაციებმა დღის წესრიგში გაცილებით დიდი ადგილი დაიკავა. ამბივალენტური პოზიცია ლიბიის კრიზისის დროს და დღევანდელი გაურკვევლობა სირიაში, სავარაუდოდ, სწორედ აქედან მოდის.**

შეიძლება მონდომო და დაამხო ასადის ძალზე არასიმპათიური რეჟიმი, ▶

**„ნაციონალური მოძრაობა“ არის ტოტალიტალური ტიპის ორგანიზაცია, რომელმაც 9 წელი ქვეყანა წამების, გაუპატიურების, შიშისა და ტერორის რეჟიმში ამყოფა, ამიტომ მათ სახელმწიფო თანამდებობები არ ეკუთვნით. დიახ, არ არიან სანდონი, ვერ ვანდობთ უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებს; გამონაკლისი ის თანამდებობებია, რომლებსაც ირჩევს ხალხი და, თუ ხალხი ენდობა მათ, ჩვენ ხალხს ამ უფლებას ვერ შევუზღუდავთ.“**

პოლიტიკა

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მაგრამ ამის შემდეგ სირიაში, დიდი ალბათობით, უარესი ქაოსი დაისადგურებს. ნაკლებად სავარაუდოა, აშშ-ის რეგიონულმა პარტნიორებმა „სიტუაციის დალაგება“ შეძლონ და ურთულეს რეგიონში დესტაბილიზაციის მეტად საშიში კერა გაჩნდება. რა იქნება ამის შემდეგ? საოკუპაციო (კი, ბატონო, სამშვიდობო) კონტინგენტის შეყვანა? სირიაში ადეკვატური რეჟიმის შექმნის მცდელობები? მილიარდობით დახარჯული დოლარი და ათასობით ადამიანის, მათ შორის ამერიკელი სამხედროს, დაღუპვა? ახალი ერაყი? ახალი ავღანეთი? და ყოველივე ეს მაშინ, როდესაც ჩინეთის ზრდა მოითხოვს კონცენტრაციას აზია-წყნარი ოკეანის რეგიონზე, რასაც ობამას ადმინისტრაცია აკეთებს კიდეც. **ბევრ ქართველ კომენტატორს არ ესმის, რას ნიშნავს სიტყვები „იმპერიის ტვირთი“ და ჰგონია, რომ ყველაფერი დასრულდება, როდესაც დამასკოს** (ან ნებისმიერი სხვა ქალაქის) **ნანგრევების თავზე შესაბამისი დროშა აღიმართება; არადა, ეს, დასასრული კი არა, სწორედ რომ დასაწყისი იქნება.**

ამერიკელი ამომრჩევლების უმრავლესობა ამ პერსპექტივის წინააღმდეგია, რასაც ყველა გამოკითხვა ადასტურებს. ეს არც ბარაკ ობამას სჭირდება, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ საგარეო პოლიტიკაში პრინციპული ცვლილებების ტრანზიტულ პერიოდში ის, აშშ-ის ძლიერების მიუხედავად, ძალზე სუსტია, როგორც ჩემპიონი კრივში, რომელსაც ხელბორკილები დაადეს. არც ნიქსონი, არც კარტერი (ეს ორი ფიგურა შედარებითი ანალიზისთვის ძალზე საინტერესოა), ყველა პრობლემის მიუხედავად, ასეთი დრამატული არჩევანის წინაშე არ იდგა, რადგან იმ წლებში განხეთქილებას და 180 გრადუსით განსხვავებულ ხედვებს ამერიკულ ელიტაში ადგილი არ ჰქონია. შეიძლება ოდნავ პათეტიკურად გაიჟღეროს, მაგრამ **დღეს დამასკოს მისადგომებთან ამერიკის შეერთებული შტატების ბედი წყდება, ისევე, როგორც წყდებოდა ვიეტნამში ნიქსონის და ირანში** (ზოგადად „დიდ აღმოსავლეთში“) **კარტერის მმართველობის წლებში;** არც ერთი, არც მეორე „უბრალო კრიზისი“ არ იყო.

## არც ომი, არც მშვიდობა

**სირიის მოვლენებზე მსჯელობის დროს გამოვლინდა, რომ საქართველოში პრობლემების ომის გზით გადაწყვეტას საკმაოდ ბევრი მომხრე ჰყავს. სოციალური ქსელები ბოლო დროს ერთ დიდ პოლიგონს მოგაგონებს. მართალია, სამშვიდობო დარეგულირების მომხრე გაცილებით მეტია, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, რადიკალი მილიტარისტების სიმცირესაც ნამდვილად არ ვუჩივით.**

სოციოლოგიური გამოკითხვები ამ თემაზე არ ჩატარებულა, თუმცა, სავარაუდოდ, ქართული საზოგადოება უფრო ახლოს დგას იმ განწყობებთან, რომლებიც დღეს საფრანგეთში ფიქსირდება და მნიშვნელოვანწილად ეფუძნება ოლანდის მთავრობის პოლიტიკას სირიის კრიზისთან დაკავშირებით, ვიდრე იმ სიტუაციასთან, რომელსაც გერმანიაში ვხედავთ.

გერმანელებმა ძალიან კარგად იციან, რა არის ომი და მისი წარმოების ხელოვნებაში მათ ცოტა ვინმე თუ შეედრება. მაგრამ, აგრეთვე, გაცნობიერებული აქვთ, თუ რა საფასურის გადახდას მოითხოვს ომი და, რაც მთავარია, ის, რომ **გაქცევა კრიზისისგან ომის მიმართულებით, მისი გააზრების და დაძლევის ნაცვლად, პრინციპულად არასწორი არჩევანია. ეს არ არის ვარდისფერი პაციფიზმი** (საჭიროების შემთხვევაში, ბუნდესვერი თავ-ყბას გაუერთიანებს მსოფლიოს თითქმის ნებისმიერ არმიას, ხოლო მცირე გამონაკლისებს ომის დაწყებას მწარედ ანანებს); **ეს, ალბათ, მაინც სიბრძნეა, რომელიც მიღებული გამოცდილების გააზრებას ემყარება.**

არის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა ბრძოლის ველზე შეუძლებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, გერმანელებისგან განსხვავებით, ქართული საზოგადოების ნაწილმა ეს ჯერ ვერ გაიგო. **ჩვენი სოციალური ქსელები სავსეა აღგზნებული მოლოდინით იმისა, თუ როგორ აფრინდებიან ამერიკული რაკეტები დამასკოს და რუსული ხომალდების მიმართულებით, ხოლო იმაზე, თუ რა შეიძლება მოხდეს ამის შემდეგ, მათ შორის საქართველოს თავს, ძალიან ცოტას საუბრობენ.** ამაში, სხვა ყველაფერთან ერთად, ალბათ, ჯადოსნური ჯოხის ძიების, საკუთარი პრობლემებისგან გაქცევის ელემენტიც არის. ერთია, ხელში თოხის და წიგნის აღება, როგორც ეს გერმანელებმა ან თუნდაც იმავე ფინელებმა გააკეთეს, და სულ სხვაა იმის (უსაქმური) ლოდინი, რომ ჩვენს პრობლემებს ამერიკული რაკეტები მოაგვარებენ, რომელთა გაშვებას რუსული ხომალდების მიმართულებით, სხვათა შორის, არავინ აპირებს, თუმცა ეს, ამ კონტექსტში, ნაკლებად მნიშვნელოვანია. **მთავარი ისაა, რომ ამერიკულ** (ჩინურ, საერთოდ, ნებისმიერ) **რაკეტას ჩვენი პრობლემების გადაწყვეტა არ ძალუძს.**

**ომის იდეა** (ტრადიციული თუ პოლიტიკური გაგებით), **შესაბამისი მსოფლმხედველობით, სააკაშვილის მმართველობის წლებში საქართველოში ძალიან ფართოდ დამკვიდრდა. ჩვენ ძალიან ხშირად ვუყურებთ სამყაროს** (გერმანულ მეტაფორას თუ მოვიშველიებთ) **ალფრედ ფონ შლიფენის და არა ვილჰელმ ჰუმბოლდტის გადასახედიდან და ეს მაშინ, როდესაც ომის წარმოება პრაქტიკულად აღარ შეგვიძლია და შესაბამისი მსხვერპლის გაღებისთვის მზად არ ვართ.** ეს ძალზე უცნაური სიტუაციაა და ის, ალბათ, უნდა შეიცვალოს. ამისთვის კი, უპირველესად, საჭირო იქნება იმის გააზრება, როგორ წარმოგვიდგენია მშვიდობა, რომლისკენაც თუნდაც დეკლარაციის დონეზე მივისწრაფვით და მზად ვართ თუ არა, ის მშვიდობის იდეა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ქვაკუთხედად ვაქციოთ, რაც უკვე არაერთმა, საქართველოზე გაცილებით ძლიერმა სახელმწიფომ გააკეთა.

**დიმიტრი მონიავა**

### კობა დავითაშვილი:

# მაინტერესებს, მარგველაშვილის განცხადება კოაბიტაციის დასრულების შესახებ ბლეფი იყო თუ სიმართლე?

**მსოფლიო ისტორიიდან ასობით მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა ყოფილი თანამოაზრეები უფრო დაუნდობლები არიან ერთმანეთის მიმართ, ვიდრე ისინი, ვინც ისტორიამ თავიდანვე მტრებად შეახვედრა. მაგალითისთვის ბოლშევიკებისა და მენშევიკების დაპირისპირებაც იკმარებდა. ჰოდა, ყოფილი „ნაციონალები“ რომის პაპზე უფრო კათოლიკეები არიან და გულში მჯიღის ბაგუნით მოითხოვენ „ნაცმოძრაობის“ ნაციონალი ჩინოვნიკების და, მგონი, ყველაფერი ნაციონალურის აკრძალვას და ხანდახან (ზომიერად, რა თქმა უნდა, „მე ხომ არ მოვიჭრი კუდ“-ის პრინციპით) საკუთარ თავსაც აკრიტიკებენ ხოლმე. საინტერესოა, რა მიზანს ისახავდა კობა დავითაშვილი, როცა „ნაციონალების“ ამკრძალავ კანონპროექტს წერდა? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა ხალხის პარტიის ლიდერი კობა დავითაშვილი.**



**— ბატონო კობა, ახლა, არჩევნების წინ რამ განაპირობა თქვენი მოთხოვნა ,,ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებისთვის მაღალი სახელმწიფო თანამდებობების დაკავების აკრძალვის თაობაზე?**

— უკაცრავად და, მაინცდამაინც ახლა არ დამიყენებია ეს საკითხი, კარგა ხანია ვამბობ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დამნაშავე ორგანიზაციაა და მასთან კოაბიტაცია არ შეიძლება. არჩევნები არის საშუალება, ხალხმა აირჩიოს გზა და მხარი დაუჭიროს იმ პოლიტიკას, რომელიც მოსწონს, ეს კანონი კი ხალხს მოსწონს, მათთვის სავსებით მისაღებია. სხვათა შორის, ეს პირველი პრეცენდენტი არ არის. გაგახსენებთ, მთელ აღმოსავლეთ ევროპაში ტოტალიტალური რეჟიმიდან თავის დაღწევის შემდეგ მიიღეს კანონები ლუსტრაციის შესახებ, რომლებიც ზუსტად გულისხმობს ტოტალიტალური რეჟიმის თანამდებობის პირებისთვის მაღალი სახელმწიფო თანამდებობების დაკავების აკრძალვას. შემდეგ ეს კანონი მიიღეს საქართველოშიც და მიმაჩნია, რომ **„ნაციონალური მოძრაობა“ არის ტოტალიტალური ტიპის ორგანიზაცია, რომელმაც 9 წელი ქვეყანა წამების, გაუპატიურების, შიშისა და ტერორის რეჟიმში ამყოფა, ამიტომ მის წევრებს სახელმწიფო თანამდებობები არ ეკუთვნით. დიახ, არ არიან სანდონი, ვერ ვანდობთ უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებს; გამონაკლისი ის თანამდებობებია, რომლებსაც ირჩევს ხალხი და, თუ ხალხი ენდობა მათ, ჩვენ ხალხს ამ უფლებას ვერ შევუზღუდავთ. ასეთი პარტიის წევრები შეიძლება გახდნენ პარლამენტარები, მაგრამ დანიშვნად თანამდებობებზე, პარლამენტის მიერ ასარჩევ თანამდებობებზე ვერ მოხვდებიან.**

**— კი, ბატონო, ამის თაობაზე ადრეც აცხადებდით, მაგრამ დღემდე არ დაგისვამთ ეს საკითხი... როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, მაშინვე რატომ არ მოითხოვეთ ეს? სრულიად ნათელი იყო, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დანაშაულებრივი ორგანიზაცია იყო... ისე, ცოტა ხომ არ არის „ნაცებისთვის“ მხოლოდ მაღალი სახელმწიფო თანამდებობების დაკავების აკრძალვა?**

— იცით, მე, არც მეტი, არც ნაკლები, ვიხელმძღვანელე იმ სტანდარტით, რომელიც გამოიყენეს აღმოსავლეთ ევროპაში. კომუნისტური პარტიის მიმართ ასეთი ჩანაწერი არსებობს, მაგრამ კომუნისტური პარტია, როგორც მოვლენა, არ არის აკრძალული. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დარეგისტრირებულიც არის რამდენიმე ასეთი პარტია, უბრალოდ, მათ თანამდებობის პირებს მაღალი თანამდებობების დაკავება ეკრძალებათ.

**— აი, გერმანიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნაცისტების პარტიის წევრებს და მათ ხელის ჟურნალისტებსაც კი აკრძალული ჰქონდათ პროფესიული საქმიანობა. თვლით, რომ „ნაცმოძრაობა“ თავისი მასშტაბებით უტოლდება გერმანულ ნაციონალ-სოციალისტურ პარტიას?**

— გერმანიაში დენაციფიკაციის უფრო მკაცრი პოლიტიკა გატარდა. მე, უბრალოდ, ავიღე უფრო ეროვნული სტანდარტი და ამაზეც დიდი ამბავი ატყდა. პირდაპირ გეტყვით: ის ხელისუფლება, რომელიც არ ითვალისწინებს ხალხის აზრს, წყვეტს ხელისუფლებად ყოფნას!

**— და კანონის ეს შეზღუდვა უნდა გავრცელდეს თუ არა კობა დავითაშვილზე? თქვენ „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური მდივანი იყავით, ეს პარტია თქვენზე იდგა...**

— მე ხომ კანონში არ ვწერ, რომ ყველას ეხება, გარდა კობა დავითაშვილისა?! **ეს ეხება ყველას, მათ შორის მეც. მე, „ნაციონალებისგან“ განსხვავებით, საკუთარ თავზე არ ვირგებ კანონებს.**

**— ალბათ, საინტერესოა, როგორი იქნება დასავლეთის რეაქცია ამ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში...**

— და რატომ უნდა მაინტერესებდეს ეს? მე, კობა დავითაშვილს, დასავლეთის რეაქცია არ მაინტერესებს. მე მაინტერესებს მხოლოდ სააკაშვილის მფარველების რეაქცია, რომლებიც საკუთარ ტყავს უფრთხილდებიან. სხვათა შორის, აღმოსავლეთ ევროპაში რომ გატარდა ლუსტრაცია, არ მახსოვს, ამაზე დასავლეთს პროტესტი გამოეხატოს, ვნახოთ, აქ რა დამოკიდებულება იქნება.

**— „ქართულ ოცნებას“ კი ნამდვილად აინტერესებს დასავლეთის რეაქცია. ისიც მითხარით, როგორ აფასებთ თქვენს შანსებს არჩევნებზე?**

— ამას ხალხი გადაწყვეტს. ვხედავ, რომ იმ საკითხებს, რომლებსაც მე ვაყენებ, ხალხი მხარს უჭერს.

**— თქვენი აზრით, რა იქნება მარგველაშვილის გამარჯვების შემთხვევაში — დასრულდება კოაბიტაცია, როგორც დაგვპირდა? ვითომ დასავლეთი კოაბიტაციას აღარ დააძალებს, თუ მათ პოზიციას აღარ გაითვალისწინებენ?**

— აი, ეს პროექტი ორმაგი ლუსტრაციის პროექტია — „ნაციონალების“ ლუსტრაცია მისი იმ კლასიკური გაგებით, რომ მაღალი სახელმწიფო თანამდებობების დაკავება აეკრძალოთ; და მეორე, **მაინტერესებს „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის აზრი, რომელიც რატომღაც გაჯორებულია ამ კანონზე** („ოცნების“ გარკვეული წარმომადგენლები უკვე გმობენ ამ კანონპროექტს), **ანუ მე მაინტერესებს, მარგველაშვილის განცხადება კოაბიტაციის დასრულების შესახებ ბლეფი იყო თუ სიმართლე და ამას ნათლად აჩვენებს მისი და მისი პოლიტიკური გუნდის დამოკიდებულება ამ კანონპროექტის მიმართ.** ეს არის ტესტი მისთვის და, რამდენად გაივლის, არ ვიცი. და თუ არ მოიწონებს ამ კანონპროექტს, გვეცოდინება, რომ მარგველაშვილმა იცრუა.

დასავლეთს რაც შეეხება, დასავლეთი, რა, ერთიანია? **დასავლეთში არიან სააკაშვილის მფარველები, რომლებმაც თავის დროზე დიდი ფული და, ასე ვთქვათ, რეპუტაციაც კი დადეს სასწორზე, ახლა კი საკუთარ თავს იცავენ. დიახ, როდესაც სააკაშვილსა და მის რეჟიმს იცავენ, იცავენ საკუთარ თავს. მათთვის მომაკვდინებელია ჟვანიას მკვლელობის გამოძიება, დანაშაულების გახსნა, დამნაშავეთა დასჯა, სააკაშვილის დაპატიმრება, რადგან საკუთარ ქვეყანაში ველარ აუხსნიათ თავიანთი ამომრჩევლებისთვის, „დემოკრატიის შუქურა“ რომ იყო და ამდენი ფული რომ ჩაახუტეს, რატომ ხდებოდა ამ ქვეყანაში კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული ამდენი დანაშაული.** აი, ეს გასაგებია და ვიმეორებ: დასავლეთში მარტო ეს ხალხი არ არის, იქ არიან მათი პოლიტიკური ოპონენტებიც, რომლებთანაც მუშაობა და ინფორმაციის მიწოდებაა საჭირო და არა ბუზების ყლაპვა.

**— ივანიშვილთან ერთად, ალბათ, ველარ იბრძოლებთ, როგორც ჩანს, უკვე დაალაგა ქვეყანა და მიდის...(?!)**

— პრაქტიკულად, ერთადერთი პოლიტიკოსი ვარ, რომელიც მიესალმება ამ პროცესს. ქვეყნის დალაგება ერთჯერადი პროცესი არ არის! ეს მუდმივი პროცესია და ჩვენ ვერასდროს ვიქნებით ისეთ მდგომარეობაში, როცა ვიტყვით, რომ ავშენდით, დავლაგდით და ახლა შეგვიძლია განცხრომას მივეცეთ-თქო. ადამიანმა თქვა, მალე წავალო და მიდის, უფლება აქვს, წავიდეს. სხვათა შორის, სწორადაც იქცევა. აი, აქამდე ჩვენი პრობლემა სულ ის იყო, რომ მოდიოდნენ ხელისუფლებაში ადამიანები და იძახდნენ, სიცოცხლის ბოლომდე არსად წავალთო. პირველი პრეცენდენტია, როდესაც ხელისუფალი თავისით მიდის და ამას უნდა მივესალმოთ.

ივანიშვილი პოლიტიკოსი არ არის, აქედან გამომდინარე, არ არის ეს მისი საქმე და, როცა ხედავს, რომ არ არის მისი საქმე, მიდის და სწორადაც იქცევა. ხალხი რომ ლაპარაკობს, ვის უტოვებს ქვეყანასო, ხალხს უტოვებს! იქნება არჩევნები და გაირკვევა, ხალხი რა გადაწყვეტილებას მიიღებს.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საზოგადოებას ჰგონია, რომ მდგომარეობა გამოსწორდება, მაგრამ ეს ასე ადვილად ვერ მოხდება. იმიტომ, რომ დღევანდელი მოსამართლეების უმეტესობა ექვემდებარებოდა და ახლაც ექვემდებარება ფარულ ჩანაწერებს. აქ იგულისხმება მათი სატელეფონო საუბრები, პირადი ცხოვრება — ყველაფერი, რაც იყო ასახული იმ ფაილებში, რომლებიც ამას წინათ სრულიად დაუსაბუთებლად გაანადგურეს.“**



### მინდია უგრეხელიძე:

# მოსამართლეთა უმეტესობა ფარული ჩანაწერებითაა დაშანტაჟებული

**მიმდინარე სამართლებრივ პროცესზე, კონსტიტუციაში განხორციელებულ ცვლილებებსა და ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ევროპის სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, ცნობილი იურისტი მინდია უგრეხელიძე.**

**— ბატონო მინდია, სამართლიანობის აღდგენის პროცესმა, რომელიც 1 ოქტომბრის შემდეგ დაიწყო, საზოგადოების გარკვეული ნაწილის იმედგაცრუება გამოიწვია. დღეს ბევრი ამბობს, რომ მართლმსაჯულება თავის ფუნქციას ბოლომდე ვერ ასრულებს. თქვენი აზრით, რა გაკეთდა ამ ხნის მანძილზე და რა მდგომარეობა გვაქვს ხელისუფლების შეცვლიდან თერთმეტი თვის თავზე?**

— უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ საზოგადოებაში სუფევს უკმაყოფილების განცდა. ეს კი ეფუძნება იმ დაპირებების შეუსრულებლობას, რომელთაც ყველა ელოდა ახალი ხელისუფლებისგან და, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა. საერთოდ, იმდენად ბევრი მიზეზი არსებობს დღეს ამ უკმაყოფილებისთვის, რომ დეტალურად ამაზე საუბარი ერთ საგაზეთო ინტერვიუში შეუძლებელია. არც ის ვიცი, აინტერესებს თუ არა ეს მიზეზები თქვენს მკითხველს, მაგრამ რამდენიმეს მაინც დაგისახელებთ.

**მთავარი პრობლემა არის ის, რომ ერთმმართველობის პირობებში საერთოდ არ იყო არანაირი საჭიროება იმ ორგანოებისა, რომლებსაც მართლმსაჯულებისა და გამოძიების ორგანოები ჰქვია. რა საჭიროა პროფესიონალი კადრი იქ, სადაც ერთი კაცის ნება უსიტყვოდ უნდა სრულდებოდეს?! დღესდღეობით, მაგალითად, სულ ათიოდე გამომძიებელი შემორჩა საქართველოში და ასევე მინიმუმამდე დავიდა მოსამართლეთა რაოდენობაც.** ახლა რაც შეეხება უშუალოდ იმას, რაც მოხდა 1 ოქტომბრის შემდეგ: ერთის მხრივ, როგორც გითხარით, ძალიან ცოტანი დარჩნენ სამართლის აღსრულებაში უფლებამოსილი ადამიანები და მეორე მხრივ, ვინც დარჩა, ძირითადად არაკვალიფიციური ხალხია. ბუნებრივია, მათ არ შესწევთ უნარი, სათანადო დონეზე განახორციელონ მართლმსაჯულება და პროცესი წინ წასწიონ. გეუბნებით იმას, რაც ფაქტია, მაგრამ ამას ემატება კიდევ უფრო საშინელი რამ — **გამოტანილი გამამართლებელი განაჩენები საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევს, ვინაიდან უნდობლობა სასამართლო ხელისუფლების მიმართ ისევ და ისევ ძალიან დიდია.**

**— რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

— სამწუხაროდ, ჩვენს ახალ ხელისუფლებას ეგონა, რომ ადვილად მოგვარდებოდა სასამართლოს მიუკერძოებლობის პრობლემა, თუ მოსამართლეებს მიეცემოდათ თავისუფლება. ამიტომ იუსტიციის სამინისტრომ ამ მხრივ რამდენიმე კარგი პროექტი განახორციელა. მიუხედავად ამისა, როცა იყო იუსტიციის საბჭოს არჩევნები, მოსამართლეთა მხრიდან იქ არჩეულ იქნენ საზოგადოებისთვის სრულიად მიუღებელი პიროვნებები. მაგალითად, ამ საბჭოში მოხვდნენ ადამიანები, რომლებმაც ბიძინა ივანიშვილს აბსოლუტურად უსაფუძვლოდ ჩამოართვეს მოქალაქეობა, ასევე მოხვდნენ ის ადამიანები, რომლებმაც თავის დროზე სულხან მოლაშვილს გამოუტანეს არასწორი, პროცედურულად გაუმართლებელი განაჩენი. ბუნებრივია, ყველას გაუჩნდა კითხვა: რა მოხდა?

**«სამართლებრივ პროცესზე მორატორიუმის გადაწყვეტილება ხელისუფლებამ სააკაშვილის გასაუვნებელყოფად მიიღო...»**

**საზოგადოებას ჰგონია, რომ მდგომარეობა გამოსწორდება, მაგრამ ეს ასე ადვილად ვერ მოხდება. იმიტომ, რომ დღევანდელი მოსამართლეების უმეტესობა ექვემდებარებოდა და ახლაც ექვემდებარება ფარულ ჩანაწერებს. აქ იგულისხმება მათი სატელეფონო საუბრები, პირადი ცხოვრება — ყველაფერი, რაც იყო ასახული იმ ფაილებში, რომლებიც ამას წინათ სრულიად დაუსაბუთებლად გაანადგურეს.**

**— გინდათ, თქვათ, რომ მოსამართლეებს აშანტაჟებენ?**

— რასაკვირველია, ამიტომ, სანამ სული უდგათ, ამ ფარული ფირების ჩამწერთა საწინააღმდეგოს ვერაფერს გაბედავენ.

**— გამოდის, ამ სასამართლოს პირობებში მართლმსაჯულების იმედი არ უნდა გვქონდეს?**

— სანამ ამ მოსამართლეებით იქნება სისტემა დაკომპლექტებული, ოპტიმიზმისა და დიდი იმედის საფუძველს ვერ ვხედავ; ასე რომ, თუ ვინმეს სჯერა, რომ ამათგან რაიმე გამოვა, ეს გულუბრყვილობად მიმაჩნია.

**— დავუბრუნდეთ სამართლიანობის აღდგენის საკითხს. ამ პროცესის შეფერხების ერთ-ერთ მიზეზად პროკურატურაში შესული საჩივრების სიმრავლესაც ასახელებენ. თქვენი აზრით, რამდენად საფუძვლიანია ეს მოსაზრება?**

— მე აქტიურად ვადევნებ თვალს ამ პროცესს და რამდენიმე ფაქტორს ვხედავ, რომლებიც გარკვეულწილად აბრკოლებს მის ბოლომდე მიყვანას. უწინარესად, აქ კონცეპტუალურ საფუძველზე არ ხდება არაფერი და, სანამ ეს არ იქნება, მანამდე დიდი იმედები არ უნდა ვიქონიოთ. ასევე არ არის არანაირი დებატები, კამათი. არადა, ხომ უნდა შევთანხმდეთ, რას ნიშნავს, რას გულისხმობს სამართლიანობის აღდგენა. დღეს რასაც ვხედავ, ზოგმა კვალიფიციურმა იურისტმა ისიც კი არ იცის, რომ ეს სამართლიანობა არა იურიდიული, არამედ, პირველ რიგში, მორალური კატეგორიაა. მოკლედ, უამრავი საკითხია, რომელიც უნდა გავიაროთ.

**— თქვენ თქვით, რომ დღევანდელი მოსამართლეების გარკვეული ნაწილი შანტაჟის ქვეშაა და ისინი ვერასოდეს იქნებიან რეალურად დამოუკიდებლები. რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ სასამართლო სისტემა გაიწმინდოს ასეთი ხალხისგან?**

— სავსებით სწორი და ლოგიკური კითხვაა. **პრობლემა აქ მარტო ის კი არაა, არსებობს თუ არა დღეს რომელიმე მოსამართლეზე ფარული ჩანაწერი, პრობლემას მათ მიერ წარსულში გამოტანილი უსამართლო განაჩენები წარმოადგენს. აი, ესაა მათი მთავარი მადისკრედიტებელი ფაქტორი და ზუსტად ამიტომ იმყოფებიან ისინი იმთავითვე ჩოქმბჯენში.** ახლა რაც შეეხება გამოსავალს: რა თქმა უნდა, ამოცანა არის ის, რომ მაქსიმალურად სწრაფად მოხდეს ამ ადამიანების გადანაცვლება სხვა სფეროში, კერძოდ იქ, სადაც შანტაჟის საშუალება ნაკლები იქნება. ისე, საერთოდ, მე თუ მკითხავთ, ასევე უნდა გადაიხედოს ის საკონსტიტუციო ცვლილებაც, რომელიც მარადი მოსამართლის სტატუსის შემოღებას უკავშირდება. ეს ერთი. მეორეც — ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მათთან საუბარს და მუშაობას; როგორმე უნდა შევაგნებინოთ იმ ხალხს, რომ მაღალი ხელფასისა და რაღაც სტატუსის ხათრით თავიანთ შვილებს, შვილიშვილებს ცუდ მომავალს უმზადებენ...

**— სამართლიანობის აღდგენაზე ვსაუბრობთ და წინა ხელისუფლებისდროინდელი მოსამართლეების პასუხისმგებლობის საკითხი რამდენად შეიძლება დადგეს, როგორ ფიქრობთ?**

— ამაზე გამოძიებამ უნდა იმუშაოს და შესაბამისმა უწყებებმა გასცენ პასუხი, მაგრამ მე ერთი რამის თქმა შემიძლია: დანაშაულებრივი რეჟიმის პირობებში მომუშავე მოსამართლეთაგან, მიჭირს, დავასახელო ისეთი, რომელიც აბსოლუტურად სუფთა იყო ყოველგვარი გადაცდომისგან. კი, ბევრს პირადად არ ჩაუდენია დანაშაული და ცოდვა არ აწევს კისერზე, მაგრამ, ვიმეორებ, უმრავლესობას ადამიანთა ცოდვაში ფეხი აქვს ჩადგმული.

პირდაპირ შემიძლია, გითხრათ, რომ, როგორც კი „ნაცები“ მოვიდნენ ხელისუფლებაში, იმ დღიდან დაიწყო დარღვევები. მაგალითად, **საქართველოს უზენაესი სასამართლო და მთლიანად ეს სისტემა დაფინანსებული იყო არა ბიუჯეტიდან, არამედ სოროსის ფონდიდან, რაც იმთავითვე გულისხმობს დანაშაულებრივ მიდგომას. არსებობს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის ე.წ. გარანტიები და ერთ-ერთი მთავარი გარანტია არის სწორედ საბიუჯეტო გარანტია.** აი, ამის უგულებელყოფა მოხდა, რაც, ჩემი აზრით, უკვე იყო ანტისახელმწიფოებრივი, საზიანო ქმედება.

**— წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლებამ სამართლებრივი პროცესის მორატორიუმი გამოაცხადა. როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა მმართველი გუნდის ეს გადაწყვეტილება და რამდენად ლოგიკურია ის?**

— რომ გითხრათ, მსგავსი პრეცედენტი არსებობს და მსმენია-მეთქი, არ ვიქნები გულწრფელი. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის არაა ცნობილი. საერთოდ, მე ამ მორატორიუმის ინიციატივაში არ ვარ ჩახედული, ვინაიდან, მოგეხსენებათ, არანაირი ოფიციალური თანამდებობა არ მიკავია. უფრო მეტიც, მიუხედავად ჩემი გამოცდილებისა, არავინ თავს არ იწუხებს ჩემთან მოთათბირებით, არც დღევანდელი მართლმსაჯულების სისტემის შიდასამზარეულოს ვიცნობ. ისე, გუმანით ვხვდები, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღეს სააკაშვილის გასაუვნებელყოფად; უფრო კონკრეტულად, — იმის გამო, რომ ამათ მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ მან არ შეიწყალოს ესა თუ ის მსჯავრდებული.

თქვენ იცით, რომ არჩევნების შემდეგ ერთი თვეა საჭირო ახალი პრეზიდენტის დასამტკიცებლად. ასე რომ, მარტივადაც არ არის საქმე.

**«საქართველოს უზენაესი სასამართლო და მთლიანად ეს სისტემა დაფინანსებული იყო არა ბიუჯეტიდან, არამედ სოროსის ფონდიდან, რაც იმთავითვე გულისხმობს დანაშაულებრივ მიდგომას»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## «პროკრედიტ ბანკთან» დაკავშირებით ცრუ შეტყობინების ავტორს სამ წლამდე პატიმრობა ემუქრება

**როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაშია აღნიშნული, შსს-ს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხაშურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1967 წელს დაბადებული ნოდარ ა. ცრუ შეტყობინების ბრალდებით დააკავეს.**

სამინისტროს ცნობით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში დარეკა და ხაშურში, „პროკრედიტ ბანკში“ ნაღმის არსებობის შესახებ აცნობა.

„სამართალდამცველები შეტყობინებისთანავე გამოცხადდნენ ადგილზე. შესაბამისი წესების დაცვით, შსს-ს გამნაღმველთა სამსახურმა და კინოლოგებმა იმუშავეს, რის შედეგადაც გაირკვა, რომ შენობაში ასაფეთქებელი მოწყობილობა არ იყო და შესაბამისად განგაშიც ცრუ აღმოჩნდა. სამართალდამცველებმა ცრუ შეტყობინების ავტორის ვინაობა დაადგინეს და იგი ზარის განხორციელებიდან რამდენიმე საათში დააკავეს. გამოძიება ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების ფაქტზე სსსკ-ს 331-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, — ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

ProCredit Bank

ფერი ფერსო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

«პარტია, რომელიც მამაკაცებს აუპატიურებდა, ქვეყანას აჩანაგებდა და ტერორში ამყოფებდა საზოგადოებას 9 წლის მანძილზე, არსებობის ღირსი არაა»

„არც ერთი კუთხე ისე არ გაუმწარებიათ „ნაციონალებს“, როგორც სამეგრელო გაამწარა ახალაიების, ქარდავების, კოდუების და გოროზიების კლანმა. ეს კუთხე მთლიანად რეპრესირებული იყო. აქ, ფაქტობრივად, ბატონყმობა დააბრუნა სააკაშვილის რეჟიმმა.“

კახა მიქაია:

# ნაცლიდერებს სამეგრელოში ჩამოსვლის მორალური უფლება არა აქვთ!

**გასულ კვირას წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში სამეგრელოში ჩასულ დავით ბაქრაძეს „დაიცავი საქართველოს“ ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა კახა მიქაიამ, თავის მხარდამჭერებთან ერთად, ორიგინალური დახვედრა მოუწყო: „ნაცმოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატს ქალაქის ცენტრში უზარმაზარი ფალოსი დაუდგეს. მოგვიანებით ბაქრაძის მოწინააღმდეგეებსა და მის მომხრეებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. სამართალდამცავების ჩარევის შემდეგ კი ინციდენტი რამდენიმე პირის დაჯარიმებით დასრულდა. როგორც „დაიცავი საქართველოს“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, მსგავსი აქციები ზუგდიდში „ნაცმოძრაობის“ ლიდერების ჩასვლის შემთხვევაში კიდევ გაიმართება... რა მოხდა და რას აპროტესტებდნენ ადგილობრივები, უფრო დეტალურად თავად კახა მიქაია გვიამბობს.**



**— ბატონო კახა, დაახლოებით ერთი თვის წინ სააკაშვილს ცოცხებით დახვდით და რესტორან „დიარონში“ ვახშამი ჩაუშხამეთ. ახლა ბაქრაძეს გაუმართეთ „პომპეზური“ დახვედრა. რას ისახავს მიზნად მსგავსი აქციები და როდემდე აპირებთ ამის გაგრძელებას?**

— მინდა, საზოგადოებას ვუთხრა, ეს არის პროტესტი, უპირველესად, იმის გამო, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ და მათ ლიდერებს მორალური უფლება არ აქვთ, სამეგრელოში ჩამოვიდნენ. წლების მანძილზე ხომ ყველას ეგონა ეს კუთხე რეჟიმის დასაყრდენი? ჰოდა, ახლა ყველამ დაინახოს, რომ ამ კუთხეში ყველაზე მძაფრია სიძულვილი იმ რეჟიმის მიმართ. სხვათა შორის, **დავით ბაქრაძემ, რომელიც დაცვის გარეშე ვერ ბედავს სიარულს, ძალიან კარგად იცის, რა რეაქცია ექნება ხალხს მის გამოჩენაზე, მით უფრო იცოდა, სამეგრელოში როგორ დახვდებოდნენ, მაგრამ მაინც ჩამოვიდა.** იცით, ამას რისთვის აკეთებენ? ისევ და ისევ ხელისუფლებას რომ მოსცხონ ჩირქი, — წინასაარჩევნო კამპანიაში ხელს გვიშლიანო. აი, ესაა ამათი მზაკვრული გეგმა — უნდათ, ქვეყანა არიონ...

**— ისინი საკუთარ თავს მთავარ ოპოზიციურ ძალას უწოდებენ.**

— სინამდვილეში ეს არის მთავარი პოლიტიკური გვამი, რომელიც დროზე უნდა მოშორდეს ქვეყანას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოება ვერ დამშვიდდება, ხალხი ვერ იქნება წყნარად, როცა იცის, რომ სახელმწიფო დანაღმულია.

**— თუკი „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკური გვამია, მაშინ რატომაა ის ნაღმი და საფრთხე?**

— იმიტომ, რომ თავიდან ბოლომდე დესტრუქციული ძალაა და ყველაფერზე წამსვლელია. დააკვირდით ამათ საარჩევნო რგოლებს, მუდმივად არეულობაზე და 90-იან წლებზე საუბრობენ. თქვენ გგონიათ, მათ ამის შიში აქვთ? სინამდვილეში თვითონ არიან ასეთ უბედურებაზე წამსვლელები. ახლა ვიღაც იკითხავს, რა ძალა აქვთო, ძალა ყოველთვის მოიძებნება. მით უფრო, რომ დღეს „ნაცმოძრაობაში“ ძალიან ბევრია ისეთი ადამიანი, რომელთაც შეიძლება, დასაკარგი არაფერი ჰქონდეთ...

**— დესტრუქცია ახსენეთ და ადრე თქვენ საუბრობდით სამეგრელოში არსებულ შეიარაღებულ დაჯგუფებებზე, რომელთაც ახალაიების კლანი მართავდა. სად არის დღეს ის ხალხი?**

— მე ამ საკითხის გამოძიებას ვითხოვ დღემდე. თქვეს, რომ ეს ხალხი ინკორპორირებულია თავდაცვის სამინისტროში და სხვა უწყებებში. კი, ბატონო, თუ ვინმეს რამეში სჭირდებოდა ისინი, გასაგებია, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: **დღემდე ვითხოვ, დაიდოს მაგიდაზე დასკვნა; გამოძიებულ იქნეს, ვინ იყო ამ დაჯგუფების შექმნის ორგანიზატორი, ვინ დააფინანსა და რა მიზნით; ვინ იყვნენ უშუალოდ ამ იდეის ხორცის შემსხმელები და ვის ემორჩილებოდნენ ეს ზონდერჯგუფები.**

არანაირი პასუხი, ეს საქმე არის მიჩუმათებული, დახურული. ერთადერთი, ალასანიას განცხადება მოვისმინეთ, დაჯგუფება თავდაცვის სამინისტროშია ინკორპორირებულიო. კიდევ ვიმეორებ: ჩვენ ამის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ აქ იყო კრიმინალი. კრიმინალების გამოყენება სად და რაში შეიძლება, არ ვიცი...

**სააკაშვილის ხროვა უნდა აღიგავოს პოლიტიკური ასპარეზიდან.** კიდევ ვიმეორებ: **„ნაცმოძრაობას“ მორალური უფლება არ აქვს, ჰყავდეს საპრეზიდენტო კანდიდატი და იყოს პარლამენტში, ამიტომ აქციები სამეგრელოში, ბაქრაძის წინააღმდეგ იქნება ეს თუ სააკაშვილის, მომავალშიც გაგრძელდება.** ყველამ იცოდეს, ჩვენ ვერ მოვითმენთ „ნაციონალების“ ბოგინს, მათ პარპაშს და, რაც მთავარია, არავის სჯერა, რომ ესენი შეიცვალნენ. ამათ აქვთ ერთადერთი სახე, ეს არის მიხეილ სააკაშვილი.

**— რაც შეეხება იმ ფსევდოპოლიტიკურ ძალებს, რომლებიც წლების მანძილზე თითქოს „ნაცმოძრაობის“ ოპოზიციას წარმოადგენდნენ, მათ წინასაარჩევნო კამპანიას რატომ არ აპროტესტებთ, მაგალითად, „ქრისტიან-დემოკრატებისას“?**

— ჯერ ერთი, „ქრისტიან-დემოკრატების“ წინასაარჩევნო კამპანია ზუგდიდში ძალიან პასიურია, ფაქტრობრივად, არ ჩანან; მეორეც, მე ვთვლი, რომ „ნაციონალებთან“ ერთად მათი დროც დამთავრდა. ისინი ხომ არ იყვნენ რეალურად დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტები, წარმოადგენდნენ სააკაშვილის რეჟიმის დანამატს, ამიტომ არ ვთვლი საჭიროდ მსგავსი პოლიტიკური ნარჩენების წინააღმდეგ ბრძოლას.

**— თქვენ თქვით, რომ ცხრა წლის მანძილზე სამეგრელო ყველაზე მძაფრად განიცდიდა სააკაშვილის რეჟიმის ზემოქმედებას. რამდენად კმაყოფილია დღეს იქ ხალხი მიმდინარე სამართლებრივი პროტესტით?**

— კმაყოფილებაზე ჯერ ზედმეტია საუბარი, აქ ხალხი ჯერაც მოლოდინშია. ან როგორ შეიძლება ვინმე კმაყოფილი იყოს, როცა ქარდავა თავისუფალია, გარეთ არიან მისი ჯალათებიც. **იმედი მაქვს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სიტუაცია შეიცვლება და ყველა, ვინც დასასჯელია, დაისჯება. თუ ეს არ მოხდება, მაშინ ხელისუფლება წავა ძალიან დიდ რისკზე — ამგვარი მოქმედებით ის შეიძლება პოლიტიკურად გაკოტრდეს.**

**— კოაბიტაციაც, ალბათ, მნიშვნელოვანია.**

— დამისახელონ იმ ევროპელებმა, ეს ტერმინი რომ პირზე აკერიათ, ერთი ნორმალური, ჭეშმარიტად დემოკრატიული ქვეყანა, რომელშიც დამნაშავეს პასუხს არ აგებინებენ და მე ხმას არ ამოვიღებ. რა შუაშია აქ თანაცხოვრება?! **მკვლელი, მოძალადე და გამაუპატიურებელი სასამართლოს წინაშე არ უნდა წარსდგეს?! ევროკავშირისა და ნატოს კარი ღია არისო, რომ იძახიან, უნდათ ისეთი ქვეყანა, სადაც სამართალი არ იქნება?!** მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ: „ნაცმოძრაობა“ უნდა დაჯდეს საბრალდებო სკამზე და, სანამ პირადად მიხეილ სააკაშვილი არ დაისჯება, ეს ქვეყანა წინ ვერ წავა, საზოგადოება ყოველთვის იქნება საპროტესტოდ განწყობილი.

**— კობა დავითაშვილის ინიციატივაზე რა აზრის ხართ „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვასთან დაკავშირებით?**

— დიდი ხანია, თავადაც ამას გავიძახი.

**— როგორ ფიქრობთ, სამართლებრივად რამდენად შესაძლებელია ეს?**

— სამართლებრივ მხარეზე მე ვერ ვისაუბრებ, ამაზე უფრო იურისტები გიპასუხებენ, მაგრამ აქ წმინდა მორალური მომენტია. ეს არის დანაშაულებრივი ორგანიზაცია, ამიტომ **პარტია, რომელიც მამაკაცებს აუპატიურებდა, ქვეყანას აჩანაგებდა და ტერორში ამყოფებდა საზოგადოებას ცხრა წლის მანძილზე, არსებობის ღირსი არაა.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

«თუ სააკაშვილი არ დაისჯება, საზოგადოება ყოველთვის საპროტესტოდ იქნება განწყობილი»

«ევროკავშირისა და ნატოს კარი ღია არისო, რომ იძახიან, უნდათ ისეთი ქვეყანა, სადაც სამართალი არ იქნება?!»

მოკლედ

## ვაშინგტონში, სამხედრო-საზღვაო მეთაურთა ცენტრში თავდასხმას ოთხი ადამიანი ემსხვერპლა

**ინფორმაციას ვაშინგტონში, სამხედრო-საზღვაო მეთაურთა ცენტრში თავდასხმის თაობაზე ბი-ბი-სი „ვაშინგტონ პოსტზე“ დაყრდნობით ავრცელებს.** არსებული ცნობით, ცეცხლი სამმა პირმა გახსნა. პოლიციის განცხადებით, თავდამსხმელთაგან ერთი ლიკვიდირებულია, მეორე იძებნება, მესამეზე კი ჯერჯერობით ინფორმაცია არ ვრცელდება.

ამასთან, სამხედროები აცხადებენ, რომ რვა ადამიანი დაიჭრა, რომელთა შორის ორი პოლიციელია. ექიმების განმარტებით, სამი დაჭრილის მდგომარეობა მძიმეა. ერთ-ერთმა თვითმხილველმა შორიდან დაინახა პიროვნება, რომელმაც ცეცხლი გახსნა, იგი მათი მისამართით დამიზნებით ისროდა.

ცენტრში 3 ათასი ადამიანი მუშაობს და იქ საშვის გარეშე არავის უშვებენ. ადგილზე საგანგებო სიტუაციათა სამსახურის რამდენიმე მანქანა და ვერტმფრენია მობილიზებული. მომხდარის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტს აცნობეს, რომელმაც ფედერალურ სამსახურს განკარგულება მისცა, ადგილზე კოორდინირებულად იმოქმედონ. ობიექტი — ამერიკის სამხედრო ფლოტი ერთ-ერთი უძველესია და იგი მე-19 საუკუნის დასაწყისში აშენდა.



საქართველო და მსოფლიო
სკანდალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ერთხელ ერთი ქალი მოვიდა, ცხელი საჭმელი მომიტანა, მაგრამ ჯამი გისოსებში არ შემოეტია. ვინც მე მდარაჯობდა, იმათ დაუძახა და სთხოვა, — შემიშვით, ცხელ საჭმელს შევუტანო. რომ შემოვიდა, ორ წუთში დაუძახეს, რეგლამენტი ამოიწურა, ოთახი დატოვეთო, ისე, თითქოს ციხეში ვიყავი.“**

# ბენდუქიძის პირადი პატიმრის შემზარავი ისტორია

**„ნაციონალების“ გადამკიდე აღარაფერი გვაკვირვებს — არც ადამიანის წამება, არც გაუპატიურება, არც ქონების წართმევა, არც გატაცება, მაგრამ, ამ ქვეყანაში ლიბერალიზმის მამამთავრებსა და განათლების სისტემის მესვეურებს ადამიანის დატყვევებაც თუ მოუვიდოდათ აზრად, ალბათ, ნამდვილად ვერავინ იფიქრებდა. სინდისნამუსგაყიდულმა და ნახევარ საქართველოზე მეტის მყიდველმა კახა ბენდუქიძემ 2008 წელს სამაჩაბლოდან დევნილი, მეცნიერ-თანამშრომელი, მარტოხელა ქალბატონი ესმერალდა მინდიაშვილი ერთ პატარა ოთახში დაატყვევა და, როგორც შეძლო, ისე აწამა. ბენდუქიძის ტყვე, ინსულტმიღებული რამდენიმე ხნის შემდეგ გონს რომ მოვიდა, „საქართველო და მსოფლიოს“ დაუკავშირდა. გასაოცარი ის არის, რომ ქალბატონი ესმერალდა თავის მწამებლებს პოლიციაში არ უჩივის. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მის ნაამბობს ისინი წაიკითხავენ, ვისაც ამ ადამიანების დასჯა ხელეწიფებათ. წერილში ნახსენებია ყველა მათგანის გვარი.**



— მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ვარ. 9 წელი დისერტაციაზე ვმუშაობდი, ინსტიტუტში წლების მანძილზე რაიონიდან დავდიოდი, როდესაც დისერტაციის დაცვა დავასრულე, სოფელში დავბრუნდი. 2008 წლის ომის შემდეგ, ლტოლვილი გავხდი, 9 სოფელი საზღვარს მიღმა დარჩა და მეც აქეთკენ გამოვეშურე.

მარტოხელა ქალი ვარ, მეუღლეს დიდი ხანია დავცილდი, მშობლები დამეხოცა და სულ მარტო დავრჩი. თბილისში რომ ჩამოვედი, მაშინვე მცენარეთა დაცვის ინსტიტუტისკენ გავემართე, რადგან ჩემთვის ახლობელი ადამიანები იქ მეგულებოდნენ. ჩემი დანახვა ძალიან გაუხარდათ. დისერტაციის დაცვის პარალელურად არქივს ვხელმძღვანელობდი, ჩვენს ინსტიტუტს არნახული არქივი ჰქონდა და ამაში ჩემი დიდი წვლილიც იყო. ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ, რადგან უსახლკაროდ დავრჩი, დარაჯად გამაფორმა, შენობის მამასახლისობაც ჩამაბარეს, შენობისთვის რომ მიმეხედა. იქ ჩემ გარდა დევნილებიც ცხოვრობდნენ. სააკაშვილის მთავრობამ ნელ-ნელა ხალხის გამოსახლება დაიწყო, ბოლოს რამდენიმე ოჯახი რომ დავრჩით, საცხოვრებლად, ლილოში გადაგვიყვანეს, ჰოსპიტალში ჩაგვასახლეს. მერე დამპირდნენ, რომ კომპენსაციის სახით თანხას მომცემდნენ. გავიდა დრო და იმ შენობიდანაც გამომიყვანეს. აღარ ვიცოდი, სად წავსულიყავი და ისევ მცენარეთა დაცვის ინსტიტუტს მივმართე, ისევ დამეხმარნენ, მიმიღეს. ინსტიტუტის დირექტორის, შაქრო ყანჩაველის, ბრძანების თანახმად, კვლავ არქივის ზედამხედველობა დამევალა. 2010 წელს შენობა გაიყიდა. მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ კარლო კიკორიამ და მე შენობა უკანასკნელებმა დავტოვეთ. ეს იყო 2011 წლის 23 ოქტომბერი. შენობას იმიტომ ვდარაჯობდით, რომ კახა ბენდუქიძე ყველაფერს აგრარულ უნივერსიტეტში ეზიდებოდა.

23 ოქტომბერს ბატონმა კარლო კიკორიამ და აგრარული უნივერსიტეტის წარმომადგენელმა იმის გამო, რომ დარაჯად ვიყავი გაფორმებული, ბიოქიმიის ინსტიტუტში გადმომიყვანეს, აქ ინახებოდა მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ინვენტარი და მასალები. **ბენდუქიძის წარმომადგენელმა, კობა გოგიჩაიშვილმა, თავისი მანქანით მომიყვანა და ოთახიც მანვე შემირჩია. ოთახში დენის ხაზი შემოიყვანეს, საწოლი კომენდანტმა მომცა. წყალი არ მქონდა, მესამე სართულზე ავდიოდი და იქიდან ვეზიდებოდი. გაუსაძლისი პირობები იყო, მაგრამ მთავრობისგან ფულს ველოდებოდი და ვითმენდი, თან შენობასაც ვდარაჯობდი, ამაში ხელფასს მიხდიდნენ.** მთავრობამ დანაპირები თანხა არ მომცა, თქვეს, რომ აგვისტოში, წინასაარჩევნოდ დარიგდებაო, მაგრამ არც მაშინ დარიგდა. გვითხრეს, დეკემბერში მოგცემთ თქვენს კუთვნილ თანხასო. იქიდან რომ დავბრუნდი, ჩემს ხელმძღვანელებს ვუთხარი, რომ თანხა დეკემბრამდე არ იქნება და რა ვქნა, როგორ მოვიქცე, ინსტიტუტთან ხელშეკრულების ვადა სექტემბერში რომ მიმთავრდება, მერე მაცხოვრებთ ამ შენობაში თუ არა-მეთქი. **კარლო კიკორიამ და შაქრო ყანჩაველმა აგრარული უნივერსიტეტის რექტორთან — ლაშა გოცირიძესთან წამიყვანეს, მაგრამ ის არ დაგვხვდა და მის სიძეს — ზურაბ ხორბალაძეს შევხვდით. მან თქვა, რომ შენობაში უამრავი აპარატურაა და ეს ქალბატონი იქ იყოს, დაიცავსო.**

ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, სიტუაცია რომ შეიცვალა, ბოლო თვის ხელფასი აღარ მომცეს და თან შემომითვალეს, ახალმა მთავრობამ მოგცეს ხელფასიც და შენობაცო. შაქრო ყანჩაველმა იმ პროექტის მენეჯერს, ცისია ჩხუბიანიშვილს, რომლის პროექტშიც მე დარაჯად ვიყავი გაფორმებული, უთხრა, რომ ჩემთვის ბოლო ხელფასი მოეცა, მაგრამ მათ მხოლოდ 80 ლარი დამირიცხეს, ეს ფული კი წამლებზეც არ მეყო, 40 ლარი თანამშრომლებმა შემიგროვეს.

**ამ ამბიდან რამდენიმე დღეში ბენდუქიძის წარმომადგენელი, კობა გოგიჩაიშვილი, მოვიდა და გამიმეორა, რომ შენობა დამეცალა. ისიც მითხრა, რომ ნაბრძანები ჰქონდა კარის ჩაკეტვა. ამოაშენეს კედელი, გადამიჭრეს დენის ხაზი, თან მითხრეს, აქვე ქუჩაში იარეო. თურმე რამ გააღიზიანა ბენდუქიძე — მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის თანამშრომელი, აჩიკო სუბატაშვილი, დადიოდა, სამუშაო ჰქონდა. ერთხელაც რომ მოვიდა, წყლის მილი იყო დაზიანებული და ვთხოვე, შეეკეთებინა. ამაზე გადაირივნენ, როგორ თუ შენ ვიღაცას გზა ასწავლეო. რა ჩემი სასწავლებელი იყო, ის თანამშრომელი იყო და სულ დადიოდა.**

გახსოვთ, ალბათ, ახალი ხელისუფლება რომ მოვიდა და დევნილებმა შენობების უკანონოდ დაკავება დაიწყეს. დევნილები აქაც გამომიგზავნეს. მე, რა თქმა უნდა, არ შემოვუშვი. ვიფიქრე, ახლა აქ რომ ესენი შემოვუშვა, მეც გამაგდებენ, მეტყვიან შენობა ვერ დაიცავიო, მაგრამ პირიქით მოხდა, მათ ხელს აძლევდათ დევნილების შემოსვლა, ალბათ, ახალ ხელისუფლებას რაღაცას უწყობდნენ; ვითომ გაბრაზდნენ და **2012 წლის 23 ოქტომბერს შენობაში გამომამწყვდიეს. მოვიდა ბენდუქიძის კიდევ ერთი წარმომადგენელი — ბექა ბაღათურია და ჩამკეტა. მანამდე ისედაც ყველა მხრიდან კედელი იყო ამოშენებული, გარედან კი გისოსებს ჯაჭვი დაადეს. ერთი სიტყვით, ბენდუქიძის მითითებით, 23 ოქტომბრიდან დეკემბრის ბოლომდე ოთახში ვიყავი ჩაკეტილი. ჩემი ახლობლები და თანამშრომლები საჭმელს გისოსებიდან მაწვდიდნენ.**

ბექა ბაღათურია პერიოდულად მოდიოდა და ჩემს გასაგონად ამბობდა, — ეს შენობა უნდა დავანგრიოო. ვფიქრობდი, ახლა რომ შემეშინდეს და გამოსვლა ვთხოვო, აქედან ყველაფერს გაიტანენ და ამდენი წლის ნაშრომი დაიკარგება-მეთქი.

დევნილები, რომლებიც მაშინ აქ მომადგნენ და შენობის დაკავება მოინდომეს, კობა გოგიჩაიშვილის მოყვანილები იყვნენ, მერე დევნილთა სამინისტროდან წარმომადგენელი მოვიდა და მეც იმ დევნილთა სიაში ჩამწერეს. გავგიჟდი, რომ გავიგე, ვუთხარი, ეს დევნილები აქ 19 ოქტომბერს მოვიდნენ, მე კი 2011 წლის 23 ოქტომბრიდან ამ შენობაში ვცხოვრობ-თქო. მეშინოდა, რომ იმ დანაპირებ ფულს დავკარგავდი, ამიტომაც არ მინდოდა აქედან გადასვლა.

**გადიოდა დრო და მე ჩაკეტილი ვიყავი. ერთხელ ერთი ქალი მოვიდა, ცხელი საჭმელი მომიტანა, მაგრამ ჯამი გისოსებში არ შემოეტია. ვინც მდარაჯობდა, იმათ დაუძახა და სთხოვა, შემიშვით, ცხელ საჭმელს შევუტანო. რომ შემოვიდა, ორ წუთში დაუძახეს, რეგლამენტი ამოიწურა, ოთახი დატოვეთო, ისე, თითქოს ციხეში ვიყავი.** ერთ დღეს, ჯაჭვი, რომელიც გისოსებს ეკეთა, დილით მოპარული დაუხვდათ, მე ცუდად ვიყავი, ჩამძინებია, ხმაურმა გამომაღვიძა, ჯაჭვს ცვლიდნენ, უფრო დიდი, მსხვილი ჯაჭვით ჩამკეტეს. კინაღამ გადავირიე, ვუთხარი: — გასაგებია, რომ შენობა ბენდუქიძის არის, ისიც გავიგე, რომ ტუალეტისკენ და წყლისკენ გასასვლელი ჩამიკეტეთ, მაგრამ ოთხ დღეში ერთხელ რომ ცხელი საჭმელი ვჭამო, ამით რა დაშავდება-თქო?

**— თქვენ გინდათ თქვათ, რომ ჩაგკეტეს და გდარაჯობდნენ, ვინმეს საჭმელიც კი რომ არ მოეწოდებინა?**

—კი, მდარაჯობდნენ, უფრო მეტიც, ბენდუქიძე თავის დაცვასაც არ ენდობოდა და პოლიცია მოჰყავდა ჩემს სათვალთვალოდ. ჩემი ნათესავი ბიჭები რომ მოდიოდნენ ჩემს სანახავად, ვუთხარი, — ნუ მოხვალთ, პოლიციამ წამალი არ ჩაგიდოთ და რაიმე შარში არ გაეხვეთ-თქო. ოთახში გაზიც გაუშვეს. მოკლედ, ყველა ღონეს ხმარობდნენ ჩემს დასაშინებლად.

**— კი მაგრამ, ერთი მარტოხელა ქალის ასე ძალიან რატომ ეშინოდათ?**

— ერთ დღეს ჩემთან მოვიდა კობა გოგიჩაიშვილი და მითხრა, რომ მექანიზაციის ინსტიტუტში გადაგიყვანთ და სამას ლარს ხელფასს დაგინიშნავთო, მაგრამ არ დავუჯერე და უარი ვუთხარი. „აი, შენ ნახავ, მაგ პასუხის სამაგიეროს როგორ გადაგიხდიო“, — დამემუქრა. იყო ერთი სატანა კაცი — გივი, რომელსაც ჩემი ჩაკეტვა და კონტროლი ევალებოდა. დღეს ის აღიარებს, რომ ბრძანება კობამ გასცა.

ახლა ბოდიშებს იხდიან, ვფიქრობ, ასე იმიტომ მიცავდნენ, არ მეჩივლა, რაც მათ ჩაიდინეს, ხომ სისხლის სამართლის დანაშაულია.

ღმერთო ჩემო, რა საშინელებები გადავიტანე, გზადაგზა მახსენდება, მაგრამ კიდევ ბევრ რამეს ვერ ვყვები.

ჩემი დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ ბოლომდე ერთგულად ვიცავდი მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ქონებას. ამას გარდა, ვფიქრობდი, რომ, თუ აქედან გამიყვანდნენ, სულ დავიკარგებოდი და ვერც ბინას და ვერც თანხას ვერ მივიღებდი.

ესმერალდა მინდიაშვილი:

## ბენდუქიძის მითითებით, 23 ოქტომბრიდან დეკემბრის ბოლომდე ოთახში ვიყავი ჩაკეტილი — თანამშრომლები საჭმელს გისოსებიდან მაწვდიდნენ!

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**„იმის მაგივრად, რომ ჩემ წინააღმდეგ ზურაბ ადეიშვილის შეთითხნილი საქმე მოეხსნათ და სამართლიანობა აღედგინათ, აქეთ დამემუქრნენ. როგორც ფსიქოლოგიურ, ასევე ბიზნესტერორში ვარ და ამას აკეთებს ქალაქის პროკურატურა, ქალაქის პროკურორ მაია მწარიაშვილის ჩათვლით“**

კოაბიტაციის მსხვერპლი

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



### თამაზ ელიზბარაშვილი:

# ბიზნესტერორში ვარ და ამას აკეთებს თბილისის პროკურატურა

**ვინ ებრძვის ახალი ხელისუფლებიდან ბიზნესმენ თამაზ ელიზბარაშვილს, რატომ გაიწელა უსასრულოდ სასამართლოში მისი საქმის განხილვა და გათავისუფლდა თუ არა ქართული ბიზნესი ხელისუფლების ზეგავლენისგან — ამ და სხვა საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ბიზნესმენი თამაზ ელიზბარაშვილი ესაუბრა, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ 2010 წელს დააპატიმრა.**

**— თქვენ პირველი ბიზნესმენი ხართ, ვინც ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ განაცხადა, რომ ბიზნესმენებზე ზეწოლა ისევ გრძელდება. თქვენს განცხადებას ხელისუფლების მხრიდან თუ მოჰყვა რეაგირება?**

— მე არ ვიცი, სხვა ბიზნესმენების მიმართ რა ხდება, მაგრამ ჩემზე ზეწოლის მცდელობა იყო და იმ ადამიანს საკადრისი პასუხი უკვე გავეცი. ვინაიდან საჭიროდ ჩავთვალე, ეს ამბავი გამეხმაურებინა და აღნიშნული ინფორმაცია ხელისუფლებამდე მისულიყო, საგანგებო ბრიფინგიც ჩავატარე, რათა ხელისუფლება ფხიზლად იყოს და იცოდეს, რა ხდება რეალურად, რადგან, შესაძლოა, ამ ხელისუფლებაშიც არიან ისეთი ადამიანები, რომლებმაც ძალაუფლება ჩაიგდეს ხელთ და ახლა მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობენ.

მჯერა, რომ ქვეყანაში აუცილებლად დალაგდება ყველაფერი, თუ ხელისუფლებაში იქნებიან ისეთი პატიოსანი ადამიანები, როგორებიც არიან ბიძინა ივანიშვილი, ირაკლი ღარიბაშვილი, კახა კალაძე. ამ ადამიანებს ვენდობი. დანარჩენ მინისტრებს არ ვიცნობ და ვერაფერს ვიტყვი. ბიძინა ივანიშვილს დიდ პატივს ვცემ და მიმაჩნია, რომ არა ბატონი ბიძინა, დღეს საქართველო ისევ ავტორიტარული რეჟიმის კლანჭებში იქნებოდა ჩაფლული. ქვეყანა უფსკრულის პირას იყო და ამ ერთმა კაცმა თავისი კეთილდღეობა დაივიწყა და ხელისუფლებას დაუპირისპირდა. თუმცა მე პირადად პოლიტიკიდან წასვლის თაობაზე მის გადაწყვეტილებას არ ვეთანხმები. რადგან თავი გადადო ქვეყნისთვის, პირველი ვადის ამოწურვამდე, მინიმუმ 4 წელი, მაინც უნდა დარჩეს ხელისუფლებაში.

**— თქვენ ბრიფინგზე განაცხადეთ, რომ თქვენი ბიზნესით ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები არიან დაინტერესებულები. ვინ არიან ეს ადამიანები?**

— მე იმ ადამიანს პასუხი უკვე გავეცი, ამიტომ არ მინდა ამ ეტაპზე საჯაროდ დავასახელო, მაგრამ, თუ არ გაჩერდება, ვაცხადებ, საკადრისს მიიღებს, მართალია, ეს ადამიანი დღეს თანამდებობაზეა, მაგრამ არ მეშინია. **თუ ჩემ მიმართ გამოჩენილ უსამართლობას ბოლო არ მოეღება, ავდგები და იმ ხალხის, იმ ჯგუფის ვინაობას საჯაროდ დავასახელებ და უკვე უშუალოდ ბიძინა ივანიშვილს მივმართავ დასახმარებლად.**

იყო მცდელობა ჩემს ბიზნესში შემოსვლის. მაშანტაჟებდნენ იმით, რომ მე დღემდე ბრალდებული ვარ. **2010 წელს დაწყებული ჩემი სასამართლო პროცესი დღემდე არ დასრულებულა. ბოლომდე ვიბრძოლე და ის 6 მილიონი ლარი, რომელიც ადეიშვილმა წამართვა, დავიბრუნე. სწორედ ეს ადამიანი ცდილობდა, თანხა არ დამებრუნებინა, შემდეგ კი ყველანაირად ეცადა ჩემი საქმის შეფერხებას.** არადა, ვინაიდან მე დღეს ბრალდებული ვარ, ხელ-ფეხი მაქვს შეკრული. უცხოეთში ვერ გავდივარ, ვერ ვიღებ მონაწილეობას ბიზნესფორუმებში, რადგან სააკაშვილის ხელისუფლებამ კრიმინალად გამომაცხადა, არც ერთი სერიოზული კომპანია, რომელსაც მივმართავ, არ მეკონტაქტება. მე დღეს ვერ ვახორციელებ ჩემს ბიზნესპროექტებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ვერ ვქმნი ახალ სამუშაო ადგილებს. მე ვარ პროფესიონალი ბიზნესმენი, რომელსაც შეუძლია საქართველოში ბიზნესის განვითარება. საკმაოდ დიდი ინვესტიციების განხორციელება, ამიტომ ის ადამიანები, რომლებიც დღეს მებრძვიან, პირდაპირ ვამბობ — სახელმწიფოს მტრები არიან.

**— კონკრეტულად რას ითხოვდნენ თქვენგან?**

— როდესაც არჩევნების შემდეგ ჩემი საქმის განხილვა განახლდა, **პროკურატურიდან შემომთავაზეს, მოდი, ამ 6 მილიონიდან ერთი მილიონი დატოვე, 5 მილიონს დაგიბრუნებთ და ამით შენი საქმე სასამართლოში დასრულდებაო. ეს შემომთავაზა პროკურატურის თანამშრომელმა ბესო თხელიძემ.** როდესაც ბრიფინგი ჩავატარე, მისი ვინაობაც დავასახელე, მაგრამ გავიდა მცირე დრო და ბესო თხელიძე კვლავ დააწინაურეს. **ასევე გამომიგზავნეს იუსტიციის გენერალი პაატა ჯახუტაშვილი. სხვათა შორის, ძალიან წესიერი კაცია, მაგრამ, რაც დაავალეს, ის გადმომცა.**

შემდეგ მუქარის მეორე ტალღა წამოვიდა, როგორ გაბედე და გაახმაურე ეს ამბავი, ახლა ნახე, რას გიზამთ, ციხეშიც წახვალ და ამ 6 მილიონსაც დაკარგავო, — დამემუქრნენ. **იმის მაგივრად, რომ ჩემ წინააღმდეგ ზურაბ ადეიშვილის შეთითხნილი საქმე მოეხსნათ და სამართლიანობა აღედგინათ, აქეთ დამემუქრნენ. პროკურატურამ ომი გამომიცხადა. როგორც ფსიქოლოგიურ, ასევე ბიზნესტერორში ვარ და ამას აკეთებს ქალაქის პროკურატურა, ქალაქის პროკურორ მაია მწარიაშვილის ჩათვლით.** მიუხედავად იმისა, რომ მოწმეებმა აღიარეს, რომ ზეწოლის, შანტაჟისა და დაშინების ფონზე მისცეს ჩვენება, დაასახელეს კიდეც ის პირები, რომლებიც მათ ჩემ წინააღმდეგ ჩვენების მიცემას აიძულებდნენ, მწარიაშვილი ცდილობს, მაინცდამაინც ადეიშვილის ცრუ, შეთითხნილ ბრალს ჩაეჭიდოს და მე გამამტყუნოს.

**— თავად ბიზნესმენები წინა ხელისუფლების დროს დუმილს ამჯობინებდნენ, მაგრამ ახლა რატომ არ იღებენ ხმას? შიშის ფაქტორი ხომ აღარ არსებობს?**

— რომელი ბიზნესმენები? „პამპერსიან“ ბიზნესმენებზე თუ ლაპარაკობთ, ისინი, რა თქმა უნდა, ჩუმად იქნებიან. არსებობენ ადამიანები, რომლებიც უსამართლობას ვერ ეგუებიან და, თუნდაც საკუთარი კეთილდღეობისა და პირადი უსაფრთხოების საფასურად, უსამართლობას ებრძვიან, ამიტომაც შევებრძოლე სააკაშვილის რეჟიმს. **აბსოლუტურად ყველა მიტინგის მონაწილე ვარ. ვიდექი ვაჟკაცი ქართველების გვერდით არა როგორც ბიზნესმენი, არამედ როგორც რიგითი მოქალაქე და ჩემს ქვეყანას იმ ბოროტებისგან ვიცავდი. ზოგიერთი ბიზნესმენი დღესაც თვალს ვერ მისწორებს, რადგან ყველა მთავრობას უვაზელინოდ „უძვრება“.** ახალი ხელისუფლება როცა მოვიდა, გამოვედი და, რაც არ მომეწონა, ხმამაღლა ვთქვი. რაღაც ზეწოლის ფაქტების შესახებ მსმენია, მაგრამ მათ მაგივრად მე ვერ ვილაპარაკებ. ჭორაობა გამომივა. თუ სხვა ბიზნესმენებსაც შეემთხვათ მსგავსი რამ, გამოვიდნენ და თქვან, მაგრამ ასეთი „პამპერსიანი“ ბიზნესმენები, ბუნებრივია, ისევ დუმილს ამჯობინებენ.

**— თქვენ კარგი ურთიერთობა გქონდათ „ნაციონალებთან“, „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი დამფინანსებელიც იყავით. რა მოხდა შემდეგ, რატომ დაგიპირისპირდათ ხელისუფლება?**

— არათუ კარგი ურთიერთობა მქონდა, შეიძლება ითქვას, რომ 1995 წლიდან, მე „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდული ფრთის ერთ-ერთი დონორი ვიყავი, სადაც მთელი „ნაციონალები“ დაფრთიანდნენ, გია ბარამიძით დაწყებული — მიხეილ მაჭავარიანით დასრულებული. თუმცა **2004 წლის ბოლოდან, როცა უკვე დავინახე, ვინ იყვნენ და რას უპირებდნენ ქვეყანას, მივხვდი, რომ ყოველივე ქართულის მოსპობა და ჩვენი ჯიშისა და გენის ამოძირკვა უნდოდათ. როცა ნულოვანი ტოლერანტობით ქართველ ერს გასაჟლეტად დაერივნენ და ამდენი უდანაშაულო ბიჭი ჩაცხრილეს, რა უფლება მქონდა, ხმა არ ამომეღო? პირდაპირ შევუთვალე იმ „ნაციონალებს“, რომლებსაც ვიცნობდი — გია ბარამიძესა და მიშა მაჭავარიანს, არაფრის სათხოვნელად აღარ მოხვიდეთ ჩემთან-მეთქი. ამას მოჰყვა კონფლიქტი ჩვენ შორის და შემდეგ კიდეც დამაპატიმრეს.**

**— ოფიციალურად ბრალად რა წაგიყენეს?**

— ოთხი მუხლით წამიყენეს ბრალი. ბრალად მედებოდა ჩემი შვილის სასარგებლოდ სამედიცინო დოკუმენტაციის გაყალბება, კომერციული მოსყიდვა, ქრთამის მიცემა, ფალსიფიცირებული დოკუმენტის შეძენა. თან საყურადღებოა, რომ ვითომდა ეს ხდებოდა 2003 წელს, რაც მხოლოდ 2010 წელს, 7 წლის შემდეგ, გაახსენდათ. **ზურაბ ადეიშვილის პროკურატურამ სხვა მიზეზი რომ ვერაფერი მომიძებნა, ექიმები დააშინა და ჩემ წინააღმდეგ ცრუ ჩვენება მიაცემინა. სწორედ ამ ცრუ ჩვენების საფუძველზე დამიჭირეს.** არადა, არანაირი დოკუმენტი არ გამიყალბებია. ჩემს შვილს ბავშვობიდან მართლა ჰქონდა პრობლემები. არ ვამართლებ, მან საშინელი დანაშაული ჩაიდინა, ადამიანი მოკლა და უნდა ეგო პასუხი, მაგრამ ციხეში სასჯელი ადეკვატურ პირობებში უნდა მოეხადა, როგორც კანონი ითვალისწინებდა. ახლა ვანო მერაბიშვილზე რომ გაჰყვირიან, აუცილებელია გამოკვლევები ჩაუტარდეს, ავადააო, ჩემი შვილიც ავად იყო, მაგრამ ციხეში მისთვის თუნდაც მედიკამენტები რომ მიეცათ, 2003 წელს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარდა. 6 თვე აკვირდებოდნენ ბავშვს. შემდეგ სწორედ ამ დასკვნის გამო დამიჭირეს ადეიშვილმა და სააკაშვილმა.

**ჩემი პოლიტიკური აქტიურობის გამო ციხეში ჩემს შვილს სადისტურად ექცეოდნენ, რაც სტრასბურგშიც გავასაჩივრეთ. მას ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა; თვითდაზიანების მიზნით 82 ჭრილობა აქვს მიყენებული. როდესაც მკურნალობის კურსს შეუწყვეტდნენ, დეპრესია ეწყებოდა. ბოლოს, ხელი რომ აღარაფერზე მიუწვდებოდა, კბილებით ამოიჭამა ხორცი.**

ჩემი შვილი ახლახან გამოვიდა ციხიდან, 12 წელი მოიხადა სასჯელი. 18 წლისა მოხვდა ციხეში და 30 წლისა გამოვიდა. 20 დაავადება აქვს, მაგრამ ცოცხლი მაინცაა, იმ ოჯახზე მტკივა გული, რომელსაც შვილი ცოცხალი აღარ ჰყავს. დავიფიცე, რომ ცხოვრების ბოლომდე მათ გვერდით დავდგები, მაგრამ მესმის, რომ იმ ტკივილს ვერაფრით გავუნელებ.

**— ციხეში როგორ გექცეოდნენ?**

— როგორც ფაშისტები ექცეოდნენ ებრაელებს, ციხეში ზუსტად ისე მექცეოდნენ. 14 დღე „კარანტინში“ გამომკეტეს. რამდენიმეჯერ მხოლოდ იმიტომ შემაგდეს „ფუქსში“, რომ კბილის ჯაგრისი მოვითხოვე. „ფუქსი“ ძალიან ვიწრო საკანია, არც საწოლი დგას, არც სკამი, არც მაგიდა. ბოდიში და შუა ოთახში განავალი დამახვედრეს და ამ აყროლებულ ოთახში მამყოფეს 24 საათი, თან მომაძახეს, ამით გაიხეხე კბილებიო.

**6-ადგილიან საკანში 22 პატიმარი ვიყავით. სრულიად უმიზეზოდ შემოვარდებოდნენ, ჯერ საკანში სცემდნენ პატიმარს, მერე აბანოში გაიყვანდნენ და იქ აწამებდნენ.**

**— „ნაციონალებიდან“ ვინ გთხოვდათ თანხას?**

— შემოსავლების სამსახურიდან პირდაპირ მოდიოდა მითითება, რა უნდა დაგვეფინანსებინა. კახეთში რთველსა თუ უცხოელი მომღერლების ჩამოყვანას — ყველაფერს ბიზნესმენები აფინანსებდნენ, შემდეგ გამოდიოდნენ „ნაციონალები“ და ტრაბახობდნენ, რა კარგები ვართ, ეს ყველაფერი ჩვენ გავაკეთეთო.

**— უარის თქმის შემთხვევაში რა მოხდებოდა?**

— როდესაც უარი ვუთხარი, 2010 წელს, სანამ დამიჭერდნენ, საგადასახადო სამსახური შემოვიდა და სრულიად უმიზეზოდ, მილიონ სამასი ათასი ლარით დამაჯარიმეს. ამის შემდეგ „ელიზი ჯგუფის“ რესტორანში შევარდნენ და 130 ათასი ლარით დაგვაჯარიმეს.

**— ცოტა ხნის წინ პრემიერმაც დაადასტურა პრესკონფერენციაზე, რომ ეკონომიკური მაჩვენებლის ვარდნა შეინიშნება. თუმცა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა, რომ ქვეყნის ეკონომიკაში აღმავლობის შეუქცევადი პროცესი დაიწყო. რა ხდება რეალურად, თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?**

— ამიტომ არის საჭირო, ბიძინა ივანიშვილი დარჩეს ხელისუფლებაში, დარწმუნებული ვარ, ყველაფერს დაალაგებს. მე ნდობა ხადურისთვის არ გამომიცხადებია, მე ბატონ ბიძინას გამოვუცხადე ნდობა. ნოდარ ხადურს ყველაფერში არ ვეთანხმები. **სიგარეტზე აქციზი 15 თეთრით რომ გაძვირდა, ამით საქართველოს ბიუჯეტში სიგარეტის ბიზნესიდან მინიმუმ 30%-ით შემცირდება შემოსავალი. ზუსტად იგივე გააკეთა ნოღაიდელმა 2005 წელს, რამაც კატასტროფა გამოიწვია. ლეგალური სიგარეტის ბიზნესი საერთოდ გაჩერდა. მაშინაც არ დაგვიჯერეს და სავალალო შედეგი მიიღეს.**

ეკონომიკაში საგანგაშო ვითარება ნამდვილად არ არის. ბუნებრივია, როდესაც ახალი ხელისუფლება მოვიდა და სამართლიანობის აღდგენა დაიწყო, ამან გამოიწვია ეკონომიკური მაჩვენებლის შემცირება, რადგან მანამდე, ტერორის ხარჯზე იყო, ერთი შეხედვით ვითომ რომ ვითარდებოდა ეკონომიკა. სინამდვილეში კი ისეთ სულელურ პროექტებს, როგორიც იყო, მაგალითად, ლაზიკა, აფინანსებინებდნენ ბიზნესმენებს და სააკაშვილის მთავრობა ქულებს იწერდა.

**— თქვენ საკუთარ თავზე გამოსცადეთ „ნაციონალური“ მმართველობის სიმძიმე, რას ფიქრობთ ე. წ. კოაბიტაციაზე?**

— კოაბიტაცია მესმის მე პარტნიორთან. **კოაბიტაცია ნიშნავს თანაცხოვრებას და როგორ შეიძლება დამნაშავეებთან თანაცხოვრება? დამნაშავე ციხეში უნდა იყოს. მით უმეტეს, როდესაც ისეთ დანაშაულებრივ ორგანიზაციაზეა საუბარი, როგორიც „ნაციონალური მოძრაობა“ იყო.** მე „ნაციონალებს“ ფაშისტურ პარტიასთან ვაიგივებ. მათი ლიდერების ადგილი ციხეშია, ამ პარტიის საქმიანობა კი საერთოდ უნდა აიკრძალოს.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სააკაშვილის უგუნური წაქეზებით მათ გააგრძელეს ერთხელ და სამუდამოდ არჩეული გაუკუღმართებული, ანტისახალხო მოქმედება და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებმა მოითხოვეს მათი გაძევება არამარტო პოლიტიკური ასპარეზიდან, არამედ საერთოდ ამოკვეთა პოლიტიკური ისტორიიდან... განვლილი ერთი წელიწადი „ნაციონალების“ მიერ ხალხის მასხრად აგდების წელიწადი, აშკარა დემონსტრაცია იმისა, თუ როგორ დასცინოდნენ ისინი ადამიანებს.“**



## მარიამ ცაცანაშვილი:

# კოაბიტაციის პროცესი ოქტომბრის არჩევნებით არ დასრულდება

**„საქართველო და მსოფლიომ“ რამდენიმე შეკითხვით მიმართა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს — მარიამ ცაცანაშვილს.**

**— ავადსახსენებელმა კოაბიტაციამ ხალხისა და მთავრობის მოთმინების ფიალა, როგორც ჩანს, აავსო და გადმოვიდა კიდეც ზოგიერთი მაქსიმალისტური იდეისა თუ წინადადების სახით. მათ შორის არის „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვა და „ნაცების“ „გამორჩეული“ თანამდებობის პირებისთვის სახელმწიფო მოღვაწეობის აკრძალვის მოთხოვნა.**

**თქვენ, როგორც მეცნიერიიურისტი, რა კომენტარს გააკეთებთ?**

— კოაბიტაცია, თქვენს მკითხველებს მოეხსენებათ, ნიშნავს თანამშრომლობას რაღაც საქმის საკეთებლად საზოგადოებრიობის თუ პიროვნების სასიკეთოდ. ჩვენთან იმიტომ მოგვბეზრდა, რომ არ შედგა ასეთი თანამშრომლობა, არ გამოიკვეთა მიზანი, რაშიც შესაძლებელი იქნებოდა თანამშრომლობა. ეს გახდა საშუალება ხელისუფლების განაწილების იმ ძალებს შორის, რომლებიც პოლიტიკური ასპარეზის წინა პლანზე არიან დღეს გამოსულნი.

**„ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლება მთლიანად ვერ აიღო ხელში, რადგან კონსტიტუციური გზით მიდიოდა, პრეზიდენტი კი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი იყო, „ნაციონალების“ პრეზიდენტად დარჩა და დაუპირისპირდა პარლამენტის უმრავლესობას.**

ასეთ ვითარებაში პოლიტიკური კრიზისის თავიდან ასაცილებლად მოუხმობენ კოაბიტაციის იდეას, თანამშრომლობის პრინციპს, რომელიც, როგორც ვნახეთ, არ შედგა. ამიტომ იყო, რომ **კოაბიტაცია გახდა საშუალება ხელისუფლების მხოლოდ შესრულების და არა ხელისუფლების განხორციელების.**

**— თანაც ცალმხრივია. თუ „ქართული ოცნება“ გარკვეულ დათმობებზეც კი მიდის, მეორე მხარე, ოპოზიცია და, უპირველეს ყოვლისა, საპარლამენტო უმცირესობა, ნაცვლად იმისა, რომ ცხრაწლიანი მმართველობის დროს ჩადენილი დანაშაულობანი მოენანიებინა და ბოდიში მოეხადა ხალხის წინაშე, აქეთ უტევს. ეგებ, მეშლება, ამას რომ ვამბობ?**

— სწორად ბრძანებთ. ბოდიშის მოხდა ჩადენილი დანაშაულის ან გადაცდომის აღიარებას ნიშნავს. ისინი არც აპირებენ, აღიარონ და რახან ამას არ აკეთებს რომელიმე პოლიტიკური ძალა თუ ლიდერი, მაშინ წინსვლა თითქმის შეუძლებელია. **გერმანელმა ერმა მსოფლიოს ბოდიში როცა მოუხადა ფაშისტური რეჟიმის გამო, მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო მისი წარმატებული წინსვლა.**

**— როგორ მიგაჩნიათ: გამართლებულია თუ არა დღეს ხალხში გაბატონებული მოსაზრება „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვის შესახებ, თუნდაც ის, რომ ამ მოძრაობის ბოსები ამოიკვეთონ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებიდან?**

— ასეთი განწყობილება ქვეყანაში განვითარებული მოვლენების თანმდევი შედეგია. ბოდიში რომ მოეხადათ, მაშასადამე, უნდა ეღიარებინათ დანაშაული, ეთანამშრომლათ ახალ ხელისუფლებასთან თუნდაც ისეთ ძირითად საკითხებში, როგორიცაა სოციალური დაუცველობა, განათლების პრიორიტეტულობა, სამართლიანობის დამკვიდრება და ა.შ., რათა ადამიანებს თავიანთ მხრებზე ცხოვრების ტვირთის შემსუბუქება ეგრძნოთ, ისინი კი კონფრონტაციის გზით წავიდნენ. ხალხი მზად იყო, გარკვეულწილად დაევიწყებინა მათი მმართველობისთვის დამახასიათებელი ძალადობრივი, ანტიდემოკრატიული, ტოტალიტარული, ხშირ შემთხვევაში, ტირანული მეთოდები, რომლებიც საკუთარი მოსახლეობის დაშინებისა და დათრგუნვისკენ იყო მიმართული. მაგრამ **სააკაშვილის უგუნური წაქეზებით მათ გააგრძელეს ერთხელ და სამუდამოდ არჩეული გაუკუღმართებული, ანტისახალხო მოქმედება და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებმა მოითხოვეს მათი გაძევება არამარტო პოლიტიკური ასპარეზიდან, არამედ საერთოდ ამოკვეთა პოლიტიკის ისტორიიდან.**

ეს მოთხოვნა აბსოლუტურად ლოგიკურია და, ვიმეორებ, ამ ერთი წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენების თანმდევი შედეგია.

**განვლილი ერთი წელიწადი „ნაციონალების“ მიერ ხალხის მასხრად აგდების წელიწადი, აშკარა დემონსტრაცია იმისა, თუ როგორ დასცინოდნენ ისინი ადამიანებს.**

თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამას ერთგვარად ხელი შეუწყო კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთგვარმა უხერხემლობამაც.

**— „ნაციონალებმა“ თავიანთი მმართველობის პერიოდში მიიღეს დოკუმენტი, რომლის ძალითაც ყოფილ კომუნისტურ ფუნქციონერებს აეკრძალათ სახელმწიფო მოღვაწეობა, მათ უფლება წაერთვათ, ყოფილიყვნენ წარმოდგენილი პარლამენტში, სხვა არჩევით ორგანოებში. გასული საუკუნის 30-იანი წლების „ლიშენცების“ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. თქვენ, როგორც იურისტი, ფიქრობთ, რომ იგივე უნდა გავრცელდეს „ნაცებზეც“?**

— მიმაჩნია, რომ ეს ადამიანის უფლებათა შეზღუდვა იყო და ასეთივე იქნება, თუ „ნაცებზეც“ იმავეს გავავრცელებთ. მხოლოდ იმის გამო, რომ ადამიანი რომელიღაც პარტიის წევრი იყო, აუკრძალო თანამდებობის დაკავება, ესაა შეცდომაც და იდეოლოგიური წნეხიც. ასეთი წნეხი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში გამოიყენეს, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ამან სოციალურად და პოლიტიკურად სასურველი შედეგი გამოიღო, რომ ღირდა ამის გაკეთება.

თუ ჩვენ იმავე გზით წავალთ და „ნაციონალებს“, როგორც იმ პარტიის წევრებს, აკრძალვებს დავუწესებთ, ეს იდეას კი დაარტყამს, მაგრამ ჩვენ ხომ კარგად ვხედავთ, ადამიანების ქამელეონისებრ ფერიცვალებას: **ისინი, ვინც „მოქალაქეთა კავშირის“ ყველაზე აგრესიულ ფრთას წარმოადგენდნენ, კომპარტიიდან და კომკავშირიდან იყვნენ მოსულები, დაანგრიეს ეს პარტია, გადმობარგდნენ „მოქკავშირში“, ისიც დაანგრიეს, გადავიდნენ „ნაციონალურ მოძრაობაში“, ახლა ამასაც გამოეყოფიან და ან „ქართულ ოცნებაში“ გადავლენ, ან სხვა პარტიას მონახავენ.**

ეს ადამიანები ცეცხლს უკიდებენ იმ პარტიებს, იმ ხიდებს წვავენ, რომლებზეც თვითონ გაუვლიათ... მაგრამ სახელმწიფოსა და საზოგადოების წინსვლისთვის საჭირო საქმეს არ აკეთებენ და მაღალ პოსტებს იყენებენ, როგორც იარაღს საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

**— ესე იგი, აკრძალვა ეფექტიან შედეგს არ მოგვცემს.**

— დიახ, უეფექტო იქნება.

**— მაგრამ იმ „ნაციონალებმა“, რომლებიც თანამდებობებზე ყოფნის დროს დანაშაულს სჩადიოდნენ, სისხლის სამართლის დანაშაულს, ხომ უნდა აგონ პასუხი?**

— რა თქმა უნდა, კანონის წინაშე უნდა აგონ პასუხი. ერთი მეორეს არ გამორიცხავს. პერსონიფიცირებულად ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებლობა პერსონიფიცირებულად უნდა გავრცელდეს.

პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ უკვე მიიღო ხალხის რეაქცია: ხალხმა უთხრა არა. ახლა დგება საკითხი, იმათი პასუხისმგებლობის, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი, ვიცით, რომ ჩადენილი აქვს, მაგრამ ეს უნდა დადასტურდეს სამართლებრივი ხერხებითა და მეთოდებით, თორემ ხალხს არ სჭირდება დადასტურება. **ასიათასობით კაცი რომ ქუჩაში რეჟიმის წინააღმდეგ გამოვიდა, ეს ნიშნავდა, რომ ზემოქმედება ადათობრივი პრინციპით განხორციელდა. მაგრამ ესენი ხომ მიიჩნევენ, რომ ხალხზე, სამართლიანობაზე მაღლა იდგნენ და დგანან.**

**«ბევრი რამ, რაც საზოგადოებას სურდა, პოლიტიკოსებმა, მაპატიეთ და, ფეხქვეშ გაიგდეს; სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხალხის აზრი არად ჩააგდეს»**

**— ადათობრივი წესი და რიგიო, ბრძანეთ თქვენ. იქნებ განმარტოთ?**

— ადათები საერთოდ სამართლის წყაროც არის, რაც ნიშნავს იმას, რომ, რაც ერის ჩვეულებებისა და ზნეობისთვის მიუღებელია, ანომალურია, ხალხი ასეთ ანომალურ მოვლენებს ადათური პრინციპით აპროტესტებს.

ოპოზიციური ძალების უნიათობა ვახსენე თქვენთან საუბარში. ახლა დავაზუსტებ: არ იყო სასიამოვნო, როცა „სახალხო კრების“ იდეები ჩავარდა, იმიტომ, რომ პოლიტიკურ ანგაჟირებად იქცა, პოლიტიკურ წუწკობად. ადათობაში არ ვგულისხმობ აუცილებლად ჩაქოლვას, განდევნას და სხვა ასეთს, არამედ ხალხის, საზოგადოების მიერ მოვლენებზე ზემოქმედებას იმ მენტალობითა და იმ პრინციპით, რომლებიც მას ტრადიციულად ჩამოუყალიბდა.

**ქართულმა ადათობრივმა წესმა ვერ მოითმინა, ვერ შეეგუა ჩვენი ხალხი იმ უზნეობას, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ სჩადიოდა. უამრავი მაგალითია ამ უზნეობის დამადასტურებელი და ყველა ეს მაგალითი, ცალცალკე და ყველა ერთად აღებული, „სახალხო კრების“ განხილვის საგანი უნდა გამხდარიყო და არა რომელიმე ერთი პოლიტიკური პარტიის. ამ იდეის ჩაძირვა იმ პოლიტიკოსების კისერზეა, რომელთაც საზოგადოებრივი მოძრაობა პოლიტიკურ მოძრაობაში აურიეს.**

**— მიითვისეს?**

— და არა მარტო! ბევრი რამ, რაც საზოგადოებას სურდა, პოლიტიკოსებმა, მაპატიეთ და, ფეხქვეშ გაიგდეს; სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხალხის აზრი არად ჩააგდეს.

**— თქვენი ნათქვამი ისე გავიგე, რომ მთავარი ხალხის განაჩენია.**

— დიახ.

**— მიუხედავად იმისა, გამოიხატება ეს კონკრეტული აკრძალვით, კანონით თუ კანონქვემდებარე აქტით?**

— რა თქმა უნდა, ასეა. ხალხია უზენაესი. მისი გადაწყვეტილებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება და მასხრად აგდება, როგორც ამას „ნაციონალები“ აკეთებდნენ, ძვირად უჯდებათ ხელისუფლებაში მყოფთ.

ხალხი მარადიული ღირებულებაა, ხელისუფალნი კი, ცნობილია, მოდიან და მიდიან, ან ხალხი აიძულებს, რომ წავიდნენ.

**— ქალბატონო მარიამ, ჩვენ დაგვპირდნენ, რომ ყბადაღებული კოაბიტაცია ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დამთავრდება. გჯერათ?**

— თუ დასასრულში იგულისხმება, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე გადაპრანჭული და „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიები ერთად დადგებიან და განაცხადებენ, კოაბიტაცია დავასრულეთო, კარგად გაიგონ და შეუშვან თავში: **ჩვენ კოაბიტაციას კი არ ვებრძვით, ნეტავ, კოაბიტაციაში გაეკეთებინათ ის, რასაც ხალხი თხოვდა. ჩვენ ვიბრძვით იმისთვის, რომ შედეგიანად და ტემპში განხორციელდეს სოციალური პროექტები, განვითარდეს ეკონომიკა, დასაქმდნენ ადამიანები, აღდგეს სამართლიანობა.**

თუ ამის გაკეთებას აპირებენ, გამაგებინეთ, როგორ დასრულდება კოაბიტაცია ნოემბერში?!

ეს არის პროცესი, რომელიც ასე ერთი ხელის დაკვრით ვერ დასრულდება.

ვიმეორებ, კოაბიტაციის დასრულება ან გაგრძელება ხალხის მიზანი არ ყოფილა. ხალხმა საარჩევნო ტექნოლოგიების დაცვით, დელიკატურად, მშვიდობიანად მოიცილა სააკაშვილის რეჟიმი. ეს დიდი საქმე, კარგად დაიწყო და შეასრულა „ქართულმა ოცნებამ“ და რაც, რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა, მაგრამ შემდგომ მის გარშემო შემოკრებილებმა ვერ უზრუნველყვეს ამ იდეის გაშლა და განვითარება. დამუხრუჭდა ხალხის მოთხოვნის შესრულება.

**ახლა იმის განცხადება, რომ არჩევნებით დასრულდება კოაბიტა-** ▶

**«ისინი, ვინც «მოქალაქეთა კავშირის» ყველაზე აგრესიულ ფრთას წარმოადგენდნენ, კომპარტიიდან და კომკავშირიდან იყვნენ მოსულები, დაანგრიეს ეს პარტია, გადმობარგდნენ «მოქკავშირში», ისიც დაანგრიეს, გადავიდნენ «ნაციონალურ მოძრაობაში», ახლა ამასაც გამოეყოფიან და ან «ქართულ ოცნებაში» გადავლენ, ან სხვა პარტიას მონახავენ»**

„სანამ არ დადასტურდება, რომ ადგილი აქვს სისტემურ დანაშაულს „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან, მანამ საუბარი წინა ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის რაიმე თანამდებობის დაკავების აკრძალვაზე, ფაშისტური და კომუნისტური რეჟიმის მსგავსად, არ იქნება მიღებული და გათავისებური დასავლეთის საზოგადოების მხრიდან.“

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ციია, ისეთივე აბსურდულია, როგორც თავად კოაბიტაციის მთავარ მიზნად წარმოჩენა.

**— თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, რომ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ და „წინააღმდეგობის მოძრაობამ“ დაიწყეს სერიოზული აქციები უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტის მოთხოვნით. მიიჩნევენ, რომ სამართლიანობის აღდგენა, სასამართლოს ჭეშმარიტი თავისუფლების მოპოვება კუბლაშვილის პირობებში ვერ მოხერხდება.**

— ხალხს აქვს მოთხოვნის უფლება. ეს უდავო ჭეშმარიტებაა, მაგრამ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ იმპიჩმენტის დაწყება პარლამენტიდან ხდება. ცოტა ეჭვი მეპარება, რომ პარლამენტი დაიწყებს ამ პროცედურას და შემდგომ განავითარებს. გადაყენების მოთხოვნას ხმათა ისეთი რაოდენობა სჭირდება, რასაც დეპუტატთა ეს კორპუსი, მგონი, ვერ შეაგროვებს.

ფორმალობას თავი რომ დავანებოთ, პარლამენტის შემადგენლობა პარლამენტის თავმჯდომარიანად ამაზე წამსვლელი არ არის.

მაგრამ სახელმწიფო ურთიერთობანი მხოლოდ კანონებით არ იმართება. როგორც ვთქვი, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადათობრივ-ზნეობრივ ნორმებს. ამიტომ საკითხის დაყენებაც კი ნორმალურ ქვეყანაში პარლამენტის ყურადღების ცენტრში მოექცეოდა. **რახან ხალხმა დაიწყო ამაზე საუბარი, ნორმალური მოღვაწე, ცხადია, გადადგებოდა. მაგრამ ჩვენთან სახელმწიფო მმართველობა ხალხზე ორიენტირებული ხომ არ არის! ჩვენთან მთავარია, ვინ ვის ჩაუსაფრდება, როგორ სურათს გადაუღებს, როგორ მაკომპრომენტირებელ მასალას დაუდებს, რით „დაიჭერენ“ ერთმანეთს.**

**— ხალხიც რომ უგდებს ყურს და აჰყვება კიდეც?!**

— ამ ყურის დაგდებასაც თავისი პერიოდი აქვს.

თქვენი შეკითხვა გულისხმობს — საით წავა ხალხი?

**— დიახ, გულისხმობს.**

— უკაცრავად, მაგრამ რაგინდ დელიკატური ვიყო და რაგინდ მინდოდეს, რომ „რბილად“ წავიდეს, უნდა გითხრათ, რომ გამწარებული ხალხის ფსიქოლოგია სხვა მოდელებსაც იცნობს. კონსტიტუციაც იცნობს. როცა ხალხის ხელისუფლება არ ხორციელდება, მას აქვს უფლება, აჯანყებით უარი თქვას ასეთ ხელისუფლებაზე: გინდა, კოაბიტირებული იყოს, გინდა — არა. რაღაც მომენტში დგება ასეთი ეტაპი, გარდამტეხი ჟამი. ამიტომ პოლიტიკოსები, რომლებსაც ზნეობის მყარი ხერხემალი გააჩნიათ, როცა კვალიფიციური აზროვნების უნარი აქვთ, ხალხის სწორედ ასეთ აფეთქებას იცილებენ თავიდან თავიანთი გადადგომით, რათა არ გამოიწვიონ ასეთი ურთულესი პროცესების განვითარება საზოგადოებაში.

**— ჩვენთან რომ არავინ აპირებს გადადგომას?**

— ჩვენ ახლა ხალხის პრობლემაზე ვსაუბრობთ და ხალხის აზრს ვაწვდით. ვეუბნებით, რომ არ დაგვავიწყებია საზოგადოების განვითარების პრინციპები. **ფრანგებმა თორმეტი რევოლუცია გამოიარეს, მაგრამ მათ ღირსებას არაფერი შეხებია. ჩვენ დემოკრატიზაციის ჩამოყალიბების პროცესში ვართ და არავისზე ნაკლებ დემოკრატებად არ ჩამოვყალიბდებით. კიდევ კარგი გაძლება ჰქონია ჩვენ ხალხს, ამდენს რომ ითმენს.** ხელისუფლებას კი, როგორც ჩანს, გადაავიწყდა, რომ კონსტიტუციაში, ერის ადათ-წესებში ჩადებულია დემოკრატიზაციის მიღწევის სხვა საშუალებაც, რა თქმა უნდა, ნაკლებად მისაღები, მაგრამ მაინც შესაძლებელი.

**კოაბიტაცია ჩვენი მიზანი არ ყოფილა და ამიტომ იმის თქმა, რომ პრეზიდენტის არჩევის შემდეგ კოაბიტაცია დასრულდება, უსაფუძვლო განცხადებაა, ფორმალური.**

აი, პრეზიდენტის არჩევა კი ნამდვილად არ იქნება ფორმალური. ამ უმაღლეს თანამდებობაზე საკმაოდ საინტერესო პიროვნება მოვა, რაშიც დარწმუნებული ვარ და რასაც მოგვიანებით ვიტყვი სხვა ინტერვიუში, დავაზუსტებ, რატომ და რანაირად.

კოაბიტაციის დასასრული კი არა, კეთილდღეობა იყო ჩვენი მიზანი. ორივე მხარეს ვთხოვ, თავს ნუ იმართლებენ იმით, რომ, რადგან კოაბიტაციის რეჟიმში უხდებოდათ მუშაობა, ძალიან ბევრ საქმეს თავი ვერ დაადგეს, ვერ გადაწყვიტეს. ორივე მხარე, პირდაპირ გეტყვით, სუპერ არაპროფესიულად აკეთებდა ბევრ რამეს.

რაც შეეხება „ნაციონალებს“ ისინი მხოლოდ ავანტიურაში არიან პროფესიონალები. ეს მათ ბოლომდე შეინარჩუნეს.

დღევანდელ საქართველოში ძირითადი დატვირთვა მაინც პარლამენტსა და მთავრობაზე მოდის. მათი პოლიტიკა კი ჯერჯერობით ვერ უპასუხებს იმ სტანდარტს, რომელსაც ხალხი მათგან მოითხოვს.

**— კოაბიტაცია გარე ძალებმა მოგვახვიეს თავს, თუ ჩვენვე მოვიხვიეთ თავს?**

— როცა ძალთა განაწილების საკითხი დადგა, სიტუაციის უკონტროლო განვითარების თავიდან ასაცილებლად, მით უფრო იმ ვითარებაში, როცა პარლამენტში მოსული ძალები და ჩვენი საკანონმდებლო ბაზა ვერ უზრუნველყოფდა მაქსიმალური შედეგის მიღწევას, როგორც იდეა, რა თქმა უნდა, გარედან იქნებოდა მოწოდებული, მაგრამ ფაქტია, რომ **ამ ამერიკულმა თუ ფრანგულმა იდეამ უმეტეს ქვეყნებში ვერ იმუშავა. მიუღებელი იყო ჩვენი იდეოლოგიისთვისაც. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს ერთი წელიწადი, ასე თუ ისე, უდანაკარგოდ რომ გავიარეთ, მაინც არა უშავს.** ახლა იმას ნუ დაგვაბრალებენ, რომ კოაბიტაცია ან არ გაგვეგონა, წაკითხული არ გვქონდა, ან არ გვესმოდა, ან ამაზე ვამყარებდით მთელ ჩვენს იმედებს.

მაჩვენონ ერთი საქმე, რომელიც კოაბიტაციით გაკეთდა. განათლებაში შეიცვალა რამე, ეკონომიკაში თუ ნებისმიერ სხვა დარგში? ერთადერთი, რაც მოხდა, ერთმანეთის დანიშვნა-გადანიშვნაში გარიგებები იყო.

გარიგება კოაბიტაციისგან უნდა გავარჩიოთ!

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

# «ნაციონალური მოძრაობა» — ავკრძალოთ თუ შევიწყალოთ?

**წლების განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობის“ სისასტიკემ საკუთარი მოსახლეობის მიმართ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ სხვადასხვა ტოტალიტარული რეჟიმის სისასტიკეზე გადაღებული ბევრი დოკუმენტური ფილმი, სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლთ, უბრალოდ, რელაქსაციის საშუალებად მოეჩვენებათ.**

**და როდესაც ამ ადამიანებს ხელისუფლება, დაპირებული სამართლიანობის ნაცვლად, პირში ბურთივით ჩრის კოაბიტაციას და სტანდარტული ფრაზით „გამოძიება გრძელდება“ ცდილობს თავის მართლებას, ადვილი შესაძლებელია, მოხდეს უსამართლობის მსხვერპლთა სპონტანური აფეთქება, რაც კოაბიტაციის შედეგად „გულში ჩაკრული“ „ნაცების“ ჩაქოლვითა და ლინჩის წესით მათი გასამართლებით დასრულდება.**

**ამ ფონზე საინტერესოა კობა დავითაშვილის ინიციატივა, რომელიც „თავისუფლების ქარტიაში“ ცვლილებების შეტანას და „ნაცმოძრაობის“ წევრებისთვის სახელმწიფო თანამდებობების აკრძალვას მოითხოვს. „საქართველო და მსოფლიო“ ამ აქტუალურ საკითხზე უფლებადამცველ გელა ნიკოლეიშვილს, ლეიბორისტული პარტიის წევრ გიორგი გუგავასა და არასამთავრობო ორგანიზაციის „გადაარჩინე სიცოცხლე“ დამფუძნებელ იური ვაზაგაშვილს დაუკავშირდა.**






**გელა ნიკოლეიშვილი:**

— „თავისუფლების ქარტიაში“, რომელიც ამ 2-3 წლის წინ მიიღეს, აკრძალვებია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელების მიმართ. კერძოდ, ქარტიის თანახმად, მათ გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლება კატეგორიულად ეკრძალებათ. იმ პროექტის მიხედვით კი, რომელიც კობა დავითაშვილმა წამოაყენა, ქარტიას ემატება ერთი მუხლი, რომლის თანახმად, ასეთი აკრძალვები დაწესდება „ნაციონალური მოძრაობის“ მაღალჩინოსნების მიმართაც. ვფიქრობ, ამ ეტაპზე ამის განხორციელება ნაადრევია, გამომდინარე იქიდან, რომ ჯერ არც მომხდარა სრულად შეფასება იმ სისტემური დანაშაულებრივი ქმედებების, რომლებსაც „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი მმართველობის პერიოდში სჩადიოდა. ჯერ საბოლოოდ უნდა შეფასდეს და დადასტურდეს ის, რომ, მაგალითად, ციხეში თუ მის გარეთ ადამიანთა წამებას და არაადამიანურ მოპყრობას, ქონებების წართმევას, პოლიტიკური მიზნით სამსახურიდან დათხოვნას და ა.შ. სისტემური ხასიათი ჰქონდა. ეს ყველაფერი შეიძლება ჩვენ ვიცით, ვინც შიგნიდან ვუყურებთ პროცესებს, მაგრამ დასავლეთი, ვინც გარედან აკვირდება ამ ყველაფერს, თვლის, რომ ეს იქნება უბრალოდ პოლიტიკური ნიშნით დევნა.

კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ, **სანამ არ დადასტურდება, რომ ადგილი აქვს სისტემურ დანაშაულს „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან, მანამ საუბარი წინა ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის რაიმე თანამდებობის დაკავების აკრძალვაზე, ფაშისტური და კომუნისტური რეჟიმის მსგავსად, არ იქნება მიღებული და გათავისებური დასავლეთის საზოგადოების მხრიდან.** ამდენად, ჯერ საჭიროა ამ ყველაფრის დამტკიცება, დადასტურება და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მივიდეთ საბოლოო სამართლიან შედეგებამდე.



**გიორგი გუგავა:**

— უპირველესად, საჭიროა რეჟიმის სამართლებრივი შეფასება. ამის შანსი კი დღევანდელ ხელისუფლებას ნამდვილად ჰქონდა. მას იმპიჩმენტი უნდა გამოეცხადებინა პრეზიდენტისთვის. ამ პროცედურისთვის კი აუცილებელი იყო, პარლამენტში შესულიყო ინიციატივა და დოკუმენტი პრეზიდენტის დანაშაულებათა და გადაცდომათა შესახებ. შემდეგ ეს უნდა გადაგზავნილიყო საკონსტიტუციო ან უზენაეს სასამართლოში, სადაც მოხდებოდა რეჟიმის სამართლებრივი შეფასება. ამის შემდეგ შეიძლებოდა მიგველო გადაწყვეტილება „ნაციონალური მოძრაობის“ საქმიანობის აკრძალვის თაობაზე.

აქ უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოება, რომ **ეს ყველაფერი მარტო „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს კი არ უნდა ეხებოდეს, არამედ ყველას, ვინც მათ წლების განმავლობაში გვერდით ედგა: ეკავათ მაღალი პოლიტიკური თანამდებობები, იყვნენ პარლამენტის წევრები, დეპუტატები, მინისტრები, პროკურორები, მოსამართლეები, მონაწილეობდნენ „ვარდების რევოლუციის“ გადატრიალებაში ან იმართებოდნენ უცხოეთიდან და ფინანსურად აძლიერებდნენ ამ რეჟიმს.** სწორედ მათი წყალობით ჩამოყალიბდა ის მანკიერი, ძალადობრივი და რეპრესიული რეჟიმი, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და მრავალი უბედურება მოუტანა ქვეყანას. ამის დასრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ხელისუფლებაში მოვა ისეთი ეროვნული, სოციალურად ორიენტირებული და პრაქტიკული ძალა, როგორიცაა შალვა ნათელაშვილი. ახლა კი რა ხდება? — ვუყურებთ, რომ **დღევანდელ ხელისუფლებაში მხოლოდ ერთჯერადი დეკორაციები იცვლება, სოციალური სიდუხჭირე, გაჭირვება, მონოპოლიები იგივე რჩება,** ქვეყანა კი ისევ იქცევა, მოქალაქეები კვლავაც ლატაკდებიან და ხალხი უსამართლო მდგომარეობაშია.



**იური ვაზაგაშვილი:**

— დავიწყებ იმით, რომ ისევ ის ზონდერები და დამნაშავეები არიან ძველ თანამდებობებზე, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს იყვნენ. არავინ დასჯილა. **პროკურატურაში 25 ათასი საჩივარია შესული — მკვლელობებით დაწყებული და კერძო საკუთრებით დამთავრებული, მაგრამ ჯერჯერობით არც ერთი საქმე არაა ბოლომდე მიყვანილი.** რა თქმა უნდა, მივესალმები კობა დავითაშვილის განცხადებას ლუსტრაციის კანონთან დაკავშირებით, მაგრამ სამართლიანობის აღდგენისთვის მარტო ეს არაა საკმარისი. ყველა დამნაშავე უმკაცრესად უნდა დაისაჯოს. მკვლელს რა უნდა გარეთ?! ჩვენ ხელისუფლების გადადგომას არ ვითხოვთ, როგორც ამას წარსულში ვაკეთებდით. უბრალოდ, სამართლიანობის აღდგენა გვსურს.

ვინც წინა ხელისუფლების რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდა, ახლა სწორედ მათ აქვთ „ნაციონალებთან“ კოაბიტაცია. საზოგადოება მხოლოდ ლუსტრაციის კანონს არ დასჯერდება და განცხადებების გაკეთების დროს ცოტა ჩვენკენაც გამოიხედონ. წინა ხელისუფლების დროს 170-მდე ახალგაზრდა იყო ჩაცხრილული. ყველა ქუჩა სისხლითაა მორწყული. ღმერთმა ყველა დაიფაროს ჩემს მდგომარეობაში ყოფნისგან, მაგრამ მე სწორედ ჩემი გასაჭირი მალაპარაკებს. ამ ხელისუფლებამ ბოლომდე არც ერთი საქმე არ მიიყვანა, ამას კი საზოგადოება არაფრით შეურიგდება. ეს მარტო იური ვაზაგაშვილის სიტყვები არაა, ეს მთელი საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნაა. **თუ ხელისუფლება თვითონ არ შეუდგება სამართლიანობის აღდგენას, მაშინ მის დამყარებას გამწარებული ხალხი შეეცდება და შემდეგ მთელი პასუხისმგებლობა ხელისუფლებას დაეკისრება. ძალიან შეურაცხყოფილები ვართ, რადგან, სანამ ეს ხელისუფლება ქვეყნის სათავეში მოვიდოდა, ყველანი ერთად ვიდექით; ახლა კი ხმას არავინ არ იღებს და წინა ხელისუფლების წარმომადგენლებთან კოაბიტაციას სჯერდებიან.**

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: წინა ხელისუფლების ყველა დამნაშავის ადგილი საბრალდებო სკამზეა!

მოამზადა
**შორენა ღვაჩლიანმა**

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სააკაშვილმა 42 ათას არაქართველს მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა, რომელთა შორის 32 ათასი თურქია (ახლახან მათგან მხოლოდ 936 თურქეთის მოქალაქეს მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა) და მათი უმრავლესობა ბათუმში ცხოვრობს. გამოდის, ბათუმში 32 ათასი მეომარი თურქი გვყავს. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაარქვას ხალხმა. ქუდზე კაცი უნდა დავირაზმოთ და ქვეყანა გადავარჩინოთ".



## მამა ელიზბარი (დიაკონიძე):

# საპატრიარქო რაღაცის სანაცვლოდ გაიტრუნა

**საქართველოს სასულიერო თუ საერო ცხოვრებაში მიმდინარე აქტუალურ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს" წმინდა სამების ტაძრის დიაკონი, „წმინდა გიორგის სადროშოს" დამფუძნებელი, მამა ელიზბარი (დიაკონიძე) ესაუბრება.**

**— მამაო ელიზბარ, თქვენ ინტერვიუებში არაერთხელ გისაუბრიათ საერო თუ სასულიერო ხელისუფლებაში არსებული პრობლემების შესახებ. გამართლდა თუ არ მოლოდინი, რომ ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად ეს პრობლემებიც გადაიჭრებოდა, რა ვითარებაა ამჟამად ეკლესიაში?**

— უფალმა სოლომონის ტაძარში სავაჭრო დახლები ამოატრიალა, რადგან ეკლესიაში ვაჭრობა მიუღებელია, სამების ტაძარში კი უკვე თეთრეულის მაღაზია, სახაჭაპურე და საცურაო აუზი გახსნეს. ეს აუზი ვითომ ბავშვებისთვის გაიხსნა, მაგრამ, როგორც არ უნდა შენიღბო, ეკლესიაში ხალხს საცურაოდ როგორ უნდა ეპატიჟებოდე?! ეს დაწესებულებები საპატრიარქოს თანხმობის გარეშე ხომ ვერ გაიხსნებოდა? დამისახელეთ თუნდაც ერთი საკითხი, როცა საპატრიარქოს რაიმე არ მოეწონა და ხელისუფლებას ბოლომდე პრინციპულად შეეწინააღმდეგა. **მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ ყურად არ იღო მისი არც ერთი თხოვნა, საპატრიარქოც გაიტრუნა და დარწმუნებით გეუბნებით, სწორედაც რომ რაღაცის სანაცვლოდ გაიტრუნა.**

**— საპატრიარქო რიყეზე ბუდა-ბარის, საპატრიარქოს წინ კი კაზინოს მშენებლობას ხომ აპროტესტებდა? თუმცა ყოფილმა ხელისუფლებამ ყურად არ იღო...**

— კი, ბატონო, საპატრიარქომ თავიდან რელიგიური გაერთიანებებისთვის სტატუსის მინიჭების თაობაზეც გამოხატა პროტესტი, მაგრამ რაღაცების სანაცვლოდ ესეც დათმო. პრობლემების თავიდათავი ისაა, რომ, **რამდენიმე ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა, საერო თუ სასულიერო ხელისუფლებაში სულგარყვნილი, სულმდაბალი ხალხია.**

სასულიერო პირის მიზანი უნდა იყოს, რაც შეიძლება მეტი მრევლი მიიზიდოს ტაძარში და სამშობლოსადმი თავდადება და სიყვარული ასწავლოს. როგორც ავლანეთში დაბადებულ ქალსა თუ კაცს ბავშვობიდან უნერგავენ, რომ მისი სიცოცხლე ავლანეთთან ერთად უნდ დასრულდეს, ასევე უნდა ასწავლიდნენ ჩვენთან. დღევანდელი სასულიერო პირები კი თავიანთ ქადაგებებში მხოლოდ პატერიკებიდან ამოკითხულ სცენებს გვიყვებიან, რათა თავი განათლებულად წარმოაჩინონ.

ამიტომ დროა, მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე ხალხმა მართებული გადაწყვეტილება მიიღოს. არჩევანი იმ ადამიანზე უნდა შეჩერდეს, რომელსაც თავის საარჩევნო პროგრამაში აქვს საქართველოს კულტურული, ეკონომიკური განვითარებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სტრატეგია და ამასთან, აქვს სურვილი, ქართული ეკლესია სახელმწიფო მმართველობას მიაბას და არა დამოუკიდებლად გარყვნას, რაც დღეს ხდება.

**— რას გულისხმობთ?**

— **სასულიერო პირები უნდა ერეოდნენ სახელმწიფოს საკანონმდებლო სტრუქტურების საქმიანობაში. ბუნებრივია, მღვდელი მინისტრად და ქალაქის მერად არ უნდა დანიშნო, მაგრამ სინოდს საქართველოს პარლამენტში მუდმივი წარმომადგენლობა უნდა ჰყავდეს.** საკანონმდებლო ორგანოში ერთი ფრაქცია უნდა იყოს, რომელიც აუცილებლად გააკონტროლებს, რომელიმე საკანონმდებლო საკითხში რაიმე გადახრას ხომ არ აქვს ადგილი.

## «სინოდს საქართველოს პარლამენტში მუდმივი წარმომადგენლობა უნდა ჰყავდეს»

**— ეს ხომ ეკლესიის მხრიდან სახელმწიფო საქმეებში ღია ჩარევა იქნება?**

— არ უნდა ჩაერიოს ეკლესია? სწორედ ეს გააკეთა დავით აღმაშენებელმა, როდესაც გიორგი ჭყონდიდელს მწიგნობართუხუცესობა ჩააბარა. აბა, რატომ მოგვწონს აღმაშენებლის საქციელი?

**— მაგრამ მაშინ ხომ სრულიად სხვა ეპოქა იყო?**

— უფალი ხომ ყველა ეპოქაში ერთია და, თუ მაინცდამაინც ეპოქაზე ვისაუბრებთ, მაშინ ახლა უფრო გარყვნილ ეპოქაში ვცხოვრობთ და ახლა, როგორც არასდროს, საჭიროა საერო და სასულიერო სტრუქტურების ერთობლივი მოქმედება. **დღევანდელ ეკლესიას ხელს აძლევს დამოუკიდებლობა, რადგან, როგორც კი სახელმწიფო ჩაერევა ეკლესიის საქმიანობაში, ახალ რუის-ურბნისს მივიღებთ.**

მოგეხსენებათ, **საპატრიარქოს ზნეობრიობის დაცვის კომისიაში მარგვეთის ეპარქიის მღვდელმთავარს მრევლმა უჩივლა; ყველა სასულიერო პირი დასაჯეს, ვისაც ვერ მოერივნენ, სხვაგან გადაიყვანეს და ზოგს საერთოდ მღვდელმსახურება შეუჩერეს.** ამიტომ სასაცილოდ არ მეყო, როცა ეს საჩივარი შეჰქონდათ, ვიცოდი, ასეც მოხდებოდა.

## «საპატრიარქოს ზნეობრიობის დაცვის კომისიაში მარგვეთის ეპარქიის მღვდელმთავარს მრევლმა უჩივლა და საყურადღებოა, რომ, ვინც ეს საჩივარი მიიტანა საპატრიარქომდე, ყველა სასულიერო პირი დასაჯეს, ვისაც ვერ მოერივნენ, სხვაგან გადაიყვანეს და ზოგს საერთოდ მღვდელმსახურება შეუჩერეს»

**— თქვენ ხშირად ახსენებთ დავით აღმაშენებელს, მაგრამ დღეს ხომ არ გვყავს დავით აღმაშენებელი?**

— დავით აღმაშენებელი ხალხმა მოიყვანა, ხალხს უნდოდა, ჰყოლოდა და გამოაჩინა. დღეს ეს არ უნდათ. თქვენი გაზეთის საშუალებით ვაცხადებ: ათი დღის განმავლობაში ასი ქართველი მაინც მოვიდეს და მითხრას, რომ დღეს ქვეყანაში დავით აღმაშენებელია საჭირო და მე გზას ვუჩვენებ. იქ უნდა დავდგეთ, საპატრიარქოსთან, და სინოდის სხდომის გამართვა მოვითხოვოთ.

**— მამაო, აქციის მოწყობას აპირებთ საპატრიარქოსთან?**

— არა, მოთხოვნას წავუყენებთ საპატრიარქოს, რომ მართლად კვეთონ და სახელმწიფოს მართებული ქმედებებისკენ მოუწოდონ.

წავიდა დავით ბაქრაძე ადიგენში, ახალქალაქში და კუმურდოს მიტროპოლიტს შეხვდა. ისევ იმ ეპისკოპოსებს ხვდება, რომლებიც „ნაციონალებთან" არიან ჩაწნულნი და რეკლამას უწევენ მრევლის წინაშე, თან ერთგვარად ყველას აფრთხილებენ, თუ მხარს არ დაგვიჭერთ, დავბრუნდებით და მერე ნახეთო.

## «სამების ტაძარში უკვე თეთრეულის მაღაზია, სახაჭაპურე და საცურაო აუზი გახსნეს»

**— ბოლო დროს კიდევ ერთი პრობლემა — რელიგიური ესქტრემიზმის თემა წამოიჭრა. ბოლო ინციდენტი აჭარას უკავშირდება. დაპატიმრებამდე ცოტა ხნით ადრე ქართველმა მუსლიმანებმა — ფირუზ წულუკიძემ და თემურ ბახუნდარიძემ რელიგიურ ზეწოლაზე ისაუბრეს. რა ხდება, ვინ ცდილობს რელიგიური შუღლის გაღვივებას?**

— რელიგიური შუღლის გაღვივებას ისევ ქართველები, ისევ „ნაციონალები" ცდილობენ. ისევ იმ ქართველების, იმ არაკაცების წამოწყებულია ეს ამბები, რომელთა კორესპონდენტებიც ბიძინა ივანიშვილს ეკითხებოდნენ, რელიგიური ექსტრემიზმი როდის უნდა შეწყდეს საქართველოშიო, ექსტრემიზმი, რომელიც არ არსებობს საქართველოში. ვიღაცები ხელოვნურად ცდილობენ კონფლიქტის გაღვივებას. ლუკა კურტანიძემ მშვენიერი პასუხი გასცა ამ ადამიანებს, მისი თანასოფლელი ბოლქვაძეც მუსლიმანია, მაგრამ ის უპრობლემოდ წავიდა საჭიდაოდო. ეს ადამიანები რწმენის გამო არავის დაუპატიმრებია, ზნედაცემულობის გამო დააკავეს. იარაღი რატომ ჰქონდათ მანქანაში და პოლიციას ცეცხლი რატომ გაუხსნეს, ამას რატომ არავინ კითხულობს?

**სააკაშვილმა 42 ათას არაქართველს მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა, რომელთა შორის 32 ათასი თურქია (აქედან მხოლოდ ახლახან 936 თურქეთის მოქალაქეს მენიჭა საქართველოს მოქალაქეობა) და მათგან უმრავლესობა ბათუმში ცხოვრობს. გამოდის, ბათუმში 32 ათასი მეომარი თურქი გვყავს. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაარქვას ხალხმა. ქუდზე კაცი უნდა დავირაზმოთ და ქვეყანა გადავარჩინოთ.**

საქართველოს ეკლესიის ადგილას, საქართველოს მხედრობას და მთავრობას ლოცვიდან საერთოდ ამოვიღებდი ან ერთ სიტყვას ჩავამატებდი, ქრისტესმოყვარე მთავრობა და მხედრობა. ვისზე უნდა ვილოცოთ, სააკაშვილზე? შევარდნაძეზე? თუ უსუფაშვილზე, რომელსაც არაფერი ქრისტიანული არ სწამს?

**— პატრიარქმა აშშ-ის დელეგაციას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თხოვნით მიმართა. შეცვლის თუ რა ეს მცირედით მაინც არსებულ ვითარებას საქართველოს სასიკეთოდ?**

— პატრიარქი სულ რომ ობამას და პუტინს ჩაუვარდეს მუხლებში, ტერიტორიულ მთლიანობას, რაც ჩვენ გვინდა, ვერ აღვადგენთ. დავით აღმაშენებელს მიტაცებული მიწები რომ დაებრუნებინა, ჯერ დარჩენილი საქართველო გააერთიანა, ერთსულ და ერთხორც აქცია, ჩაატარა რუის-ურბნისი და თავაშვებული მღვდლები მოთოკა, შემდეგ კი შეუდგა ტერიტორიების დაბრუნებას. ამერიკისთვის შენ არ ხარ თანაბარი პარტნიორი, რომ ანგარიში გაგიწიოს. ის არის ძლიერი სახელმწიფო, მისი თითის გატკაცუნებაზე, მისი კარნახით დარბიან შენი ერის შვილები, საქართველოს მთავრობის წევრები, მისთვის ხელის ბიჭები და რა ანგარიშს გაგიწევს? პატრიარქის თხოვნაზე შერცხვება ამერიკის საელჩოს, გაიქცევა პუტინთან და სთხოვს, დაუბრუნე ტერიტორიებიო? აქამდე არ იცოდნენ, რომ პატრიარქს ეს საკითხი აწუხებდა თუ რა?! **მინდა, საქართველოს საპატრიარქოს მოვუწოდო, გონს მოეგოს და ჯერ აქ არსებულ ხელისუფლებას მოსთხოვოს მართლად კვეთა. ჯერ ჩვენ უნდა გავმთლიანდეთ, ერთმანეთის დარდი გვქონდეს, მაგრამ დღეს ეკლესია კარგად არის და ხალხის დარდი ნაკლებად აქვს. საქართველოს ეკლესიას სახელმწიფო ბიუჯეტიდან 25 მილიონი ლარი ერიცხება.**

**— და ბოლოს, მთელი მსოფლიოს ყურადღება სირიისკენაა მიპყრობილი, სადაც ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად უამრავი ქრისტიანული სიწმინდე ნადგურდება...**

— სირია ქრისტიანობის ერთგვარი აკვანია, სადაც უდიდესი მართლმადიდებლური ტაძრები და ეკლესია-მონასტრებია. სირიაში წირვა-ლოცვა დღესაც არამეულ ენაზე მიმდინარეობს, რომელზეც უფალი საუბრობდა. სირიაში უამრავი ქრისტიანული სიწმინდე ინახება, იქ არის ჯვრის ნატეხი, რომელზეც უფალი გააკრეს. იქ ცხოვრობდნენ ასურელ მამათა წინაპრები, უამრავი საფლავია წმინდანების, რომელთა შერყვნა, არათუ ქრისტიანებს, მუსლიმანებსაც არ ეპატიებათ, მაგრამ საყურადღებოა, რომ მუსლიმანები იმდენად არც ეხებიან ქრისტიანულ სიწმინდეებს.

**ობამა რომ გამოვიდა და აცხადებს, სირიას უნდა დავარტყაო. აბა, გაბედოს და თქვას, მექას უნდა დავარტყაო. სადაც ქრისტიანობის კერაა, მაინცდამაინც იქ აპირებენ დარტყმას? ეს არის მიზანმიმართული პოლიტიკა მართლმადიდებლობის აღმოსაფხვრელად. მართლმადიდებელ სერბეთს რა უქნეს?! ეს მართებული იყო? და ამის შემდეგ ვიღაცები თავს უფლებას აძლევენ და აცხადებენ, თითქოს საქართველოში რელიგიური ექსტრემიზმია. მართლმადიდებლობა რომ იდევნება, ეს არის სწორედ რელიგიური ექსტრემიზმი. მართლმადიდებლობის შევიწროების ფაქტებს ყოველ ნაბიჯზე უკვე თვით მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღიდანაც კი წააწყდებით.**

ესაუბრა **შორენა ციკქარაშვილი**

**„ბრალს პირადად ბატონ ლევან ყიფიანს ვდებ. ამ ადამიანმა თანამდებობაზე მოსვლის პირველივე დღიდან კალათბურთის ფედერაციის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის შევიწროება დაიწყო და უახლოეს მომავალში ფედერაციის პრეზიდენტის სავარძელში საკუთარი კადრის დასმას აპირებს. ამას შეეწირა ეროვნული გუნდის ინტერესები.“**

ნეპოტიზმი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბესიკ ლიპარტელიანი: ბრალს პირადად ლევან ყიფიანს ვდებ!

**ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ქართული სპორტი „ნაციონალური მოძრაობის“ ხელშია და ამა თუ იმ ფედერაციის მაღალჩინოსნების დანიშვნა-არდანიშვნის საკითხი მმართველი პარტიის ხელმძღვანელების კაბინეტებში წყდებოდა. გასული წლის ოქტომბერში ხელისუფლების სათავეში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები მოვიდნენ და სპორტის რამდენიმე სახეობის ფედერაციებში თავისუფალი საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი ხშირად აღნიშნავდა, რომ სამინისტრო ფედერაციების საქმიანობაში არ ჩაერეოდა. გვსურს, ბატონი ლევანის სიტყვები ვირწმუნოთ, მაგრამ ქართულ კალათბურთში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები საწინააღმდეგოს მეტყველებს. გასული წლის დასასრულს, ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ლევან ყიფიანმა განაცხადა, რომ ქვეყანაში გამართულად მხოლოდ რაგბისა და კალათბურთის ფედერაციები მუშაობენ. იმ გამოსვლიდან ცოტა ხნის შემდეგ ბატონი ბესიკ ლიპარტელიანისა და მისი თანამოაზრეების მიმართ ნამდვილი „ჯვაროსნული ომი“ გამოცხადდა. არ მსურს ამ ზეწოლის მთავარ ინიციატორად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ამჟამინდელი პირველი პირი გამოვიყვანო, მაგრამ, კალათბურთის ფედერაციის თანამშრომლების მტკიცებით, ფაქტებს ბატონ ლევან ყიფიანთან მივყავართ.**
**ქართულ საკალათბურთო ოჯახში არსებული დაპირისპირების გასარკვევად რამდენიმე დღის წინ სპორტის ამ სახეობის ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანს ვესტუმრეთ. სანამ უშუალოდ პრობლემებზე ვისაუბრებდით, ბატონ ბესიკს ეროვნული გუნდის სლოვენიაში ასპარეზობის შეფასება ვთხოვეთ.**



— სლოვენიაში ასპარეზობა ორი წამყვანი კალათბურთელის გარეშე მოგვიწია, მაგრამ გუნდს თავი არ შეურცხვენია, მიუხედავად იმისა, რომ ხორვატებთან ერთი დასანანი შეცდომის გამო დავმარცხდით, მასპინძლებთან მოგება კი მსაჯებმა წაგვართვეს. ბოლო ორ შეხვედრაში გუნდი გადაიღალა და მეტოქეებს ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მანუჩარ მარკოიშვილი და პიკმანი მუხლის ტრავმით თამაშობდნენ. დღეს საქართველოს ნაკრები კონტინენტზე ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბდა და მას ნებისმიერი მეტოქე უფრთხის.

**— ქართველ გულშემატკივრებს ეროვნული გუნდის მომავალი მთავარი მწვრთნელის საკითხი აინტერესებთ...**

— მიმაჩნია, რომ ბატონმა იგორ კოკოშკოვმა საკუთარი მისია უკვე შეასრულა. ეს ადამიანი გუნდს ბოლო ექვსი წლის განმავლობაში უძღვება. თავდაპირველად ქვედა დივიზიონიდან მაღალ საფეხურზე დააწინაურა, შემდეგ კი ნაკრები ზედიზედ ორჯერ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე გაიყვანა. იგორს ჩვენთან გაფორმებული ორწლიანი ხელშეკრულება უკვე დაუსრულდა და ამჟამად სამშობლოში იმყოფება. როდესაც საპრეზიდენტო არჩევნებს ჩავატარებთ, კალათბურთის სპეციალისტები შევიკრიბებით და ახალი მწვრთნელის შესახებ ვიმსჯელებთ. დიდი ალბათობით, გაისად ნაკრებს სათავეში ახალი სპეციალისტი ჩაუდგება.

**— ნაკრები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხრიდან სრულიად იგნორირებულია. თქვენი აზრით, რატომ?**

— ძალიან სამწუხარო ფაქტი მოხდა და ამაში **ბრალს პირადად ბატონ ლევან ყიფიანს ვდებ. ამ ადამიანმა თანამდებობაზე მოსვლის პირველივე დღიდან კალათბურთის ფედერაციის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის შევიწროება დაიწყო და უახლოეს მომავალში ფედერაციის პრეზიდენტის სავარძელში საკუთარი კადრის დასმას აპირებს. ამას შეეწირა ეროვნული გუნდის ინტერესები.** მიმდინარე წლის აგვისტოში ბიჭებმა თბილისში ერთკვირიანი სავარჯიშო ციკლი გაიარეს და მათთან შესახვედრად სამინისტროს არც ერთი მაღალჩინოსანი არ გამოჩენილა. უფრო მეტიც: მინისტრის რამდენიმე მოადგილეს სლოვენიაში წამოსვლა სურდა, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა ყიფიანის შიშით ვერ გაბედეს. ბატონმა ყიფიანმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ, მეორე ეტაპზე გასვლის შემთხვევაში, სამინისტროს წარმომადგენლები ევროპის პირველობაზე აუცილებლად გაემგზავრებოდნენ. გეტყვით, რომ ეს სიცრუეა. სამწუხაროა, მაგრამ მინისტრს ტყუილების თქმა არ ერიდება. **ეს პიროვნება სპორტში სრულიად არაკომპეტენტური ბრძანდება და, მის ადგილას რომ ვიყო, სამუშაო კაბინეტში შესვლა შემრცხვებოდა. ეროვნული გუნდი სრულიად საქართველოს საკუთრებაა, ყიფიანმა კი ეს ბიჭები საკუთარ ამბიციებს გადააყოლა.**

**— გასული წლის დასასრულს მინისტრმა კალათბურთის ფედერაცია ერთ-ერთ სანიმუშოდ მოიხსენია. როდის დაიძაბა თქვენ შორის ურთიერთობა?**

— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ **ყიფიანმა ჩვენი ჩაძირვისა და დისკრედიტაციის პოლიტიკა გამინისტრების პირველივე დღეებიდან დაიწყო.** 2012 წლის შემოდგომაზე ორგანიზაცია „ქართული კალათბურთი“ ჩამოყალიბდა. მისი დამფუძნებლები ლევან მიქელაძე, გიორგი მარკოიშვილი, ზურა გრძელიძე და მიხეილ ახვლედიანი იყვნენ. ამ ოთხეულიდან ფედერაციის მომავალ პრეზიდენტად გიორგი მარკოიშვილი მოიაზრებოდა. როდესაც ამ ორგანიზაციის წევრები მინისტრის კაბინეტში შეიკრიბნენ, ყიფიანმა მათ განუცხადა, რომ ფედერაციის პირველი პირი აუცილებლად მიხეილ ახვლედიანი უნდა ყოფილიყო.

**— ვინ არის მიხეილ ახვლედიანი?**

— მიშა ახვლედიანი ყოფილი კალათბურთელია, მაგრამ ბოლო ოცი წლის განმავლობაში სპორტის ამ სახეობასთან არანაირი შეხება არ აქვს. ერთი პერიოდი ესპანეთში ცხოვრობდა, თბილისში კი ძირითადად სალეჭი რეზინის დისტრიბუტორად მუშაობდა. მისი მთავარი კოზირი ლევან ყიფიანთან მეგობრობაა. სხვათა შორის, „დიროლისა“ თუ „სტიმოროლის“ გამყიდველი მიშა საკალათბურთო საკითხებში მიქელაძემ და მარკოიშვილმა გაანათლეს. შემდეგ ახვლედიანმა პრესკონფერენციებზე მეგობრების იდეები საკუთრად გაასაღა. მოგვიანებით ახალი ორგანიზაცია „კალათბურთელთა კავშირი“ დაფუძნდა და ახვლედიან-ყიფიანის წყვილმა ამ ორგანიზაციის მეშვეობით დამიწყო ბრძოლა. ალბათ, გახსოვთ 10 აგვისტოს ჩაშლილი კალათბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა. ამ ღონისძიებამდე **ყიფიანის კაბინეტში ჩვენი და მეორე მხარის იურისტები ერთმანეთს შეხვდნენ. ახვლედიანის მომხრეები წესდების ათი პუნქტის შეცვლას მოითხოვდნენ. რვა მათგანი ულაპარაკოდ დავაკმაყოფილეთ. მათ სურდათ, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში საკალათბურთო კლუბებს, ერთის ნაცვლად, სამი ხმა ჰქონოდათ. გუნდები მეტწილად მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაში იმყოფებიან და ლევან ყიფიანი სახელისუფლო ბერკეტების გამოყენებით მათ გაკონტროლებას შეძლებდა.** ოპონენტების მტკიცებით, არჩევნებში სამინისტროსაც ერთი ხმა უნდა ჰქონოდა, რადგან ეს ორგანიზაცია სპორტის ამ სახეობას აფინანსებს. ამ ლოგიკით რომ ვიმსჯელოთ, საარჩევნო ხმა კომპანია „ნატახტარისთვისაც“ უნდა მიმეცა, რადგან ის ფედერაციის უმთავრესი სპონსორია. რასაკვირველია, ამ ორი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე სასტიკი უარი განვაცხადეთ.

ამ ამბებიდან ცოტა ხანში ყიფიანმა ახალი მზაკვრობა ჩაიდინა. სამინისტროს ოფიციალურ ბლანკზე შესაბამისი წერილი დაიწერა, რომლითაც ორივე დაპირისპირებულ მხარეს მოლაპარაკებათა მაგიდასთან დასხდომისკენ მოგვიწოდებდნენ. სინამდვილეში ეს წერილი ახვლედიანმა და მისმა მეგობრებმა ყველა კლუბსა და საკალათბურთო სკოლაში მიიტანეს და ჩვენ წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობა წამოიწყეს.

ამაზეც არ გაჩერდნენ და მორიგი „სიურპრიზი“ შემოგვთავაზეს. **თავდაპირველად 16-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი გია კაზანჯიანი კლუბ „ოლიმპიდან“ გაათავისუფლეს. მის ნაცვლად გუნდი თორთლაძემ ჩაიბარა. ლევან ყიფიანმა პირდაპირ მითხრა, რომ ეს უკანასკნელი მისი კლასელია და „უმუშევრად ხომ არ დავტოვებდიო“. შემდეგ „რუსთავის“ თავკაცი მიხეილ ბერუაშვილი გაათავისუფლეს, მოგვიანებით კი — „ქუთაისის“ მთავარი მწვრთნელი — დავით უსტიაშვილი. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს „არმიის“ მწვრთნელის — კოტე ტუღუშის მოხსნაც სურდა, მაგრამ ამ კლუბის ხელმძღვანელობას ეყო გონიერება და საკონსულტაციოდ ჩვენ დაგვიკავშირდა.** ამაზრზენია ის ცილისწამებები, რომელთაც ტუღუშის შესახებ ყიფიანი და ახვლედიანი ავრცელებდნენ.

სპორტის სამინისტროს ჩვენს საქმიანობაში ჩარევის არანაირი იურიდიული უფლება არ გააჩნია. საქართველოს კალათბურთის ფედერაცია მხოლოდ ფიფას დირექტივებით მოქმედებს და ამ ორგანიზაციას ემორჩილება. მეტსაც გეტყვით: გასული წლის დასასრულს „ქართული კალათბურთის“ ხელმძღვანელებმა ფიფაში ოფიციალური წერილი გააგზავნეს და ჩვენი წესდება სასტიკად გააკრიტიკეს. პასუხმა არ დააყოვნა. ევროპული კალათბურთის მამებმა სრული სოლიდარობა გამოგვიცხადეს — წესდებაში დარღვევები ვერ გვიპოვეს და მოწინააღმდეგე მხარეს ჩვენთან თანამშრომლობა შესთავაზეს.

**— მოწინააღმდეგეები სხვა რა ბრალდებებს გიყენებენ?**

— ერთ-ერთი ბრალდებაა, ბოლო თორმეტი წლის განმავლობაში ბავშვთა კალათბურთის თითქოსდა უგულებელყოფა. ფედერაციის თავკაცად 2001 წელს მოვედი. სპორტული ინფრასტრუქტურა მთლიანად გაჩანაგებული დამხვდა. თავდაპირველად ვერის დარბაზი მოვაწესრიგეთ, შემდეგ კი საკალათბურთო სკოლებსაც მივხედეთ. დღეს სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ბავშვთა პირველობებს მაღალ დონეზე ვატარებთ. რაც შეეხება საკალათბურთო სკოლებს, ეს შენობები მერიის უშუალო დაქვემდებარებაშია და იქ შესვლის იურიდიული უფლება არ გვაქვს. ერთადერთი, რასაც მუდმივად ვახორციელებთ, ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების შესაბამისი ლიტერატურითა და საჭირო ინვენტარით მომარაგებაა. მიმაჩნია, რომ ამ სფეროში ფედერაცია საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს აკეთებს.

კიდევ ერთი ბრალდებაა ის, რომ ქართველი მწვრთნელების პროფესიული დონის ამაღლებაზე არ ვზრუნავთ. ოპონენტებს ამ შემთხვევაშიც ვერ დავეთანხმები. ყოველწლიურად რამდენიმე ლექცია-სემინარს ვატარებთ, მაგრამ პრობლემა თავად მწვრთნელებში უნდა ვეძიოთ. პირველ მეცადინეობას თუ 50 ადამიანი ესწრება, მეორე დღეს მათი რაოდენობა განახევრებულია, მესამე დღეს კი საერთოდ აღარავინ მოდის. იცით, რატომ? ვისაც საკუთარი საქმე უყვარს, ის პროფესიულად გაზრდას ყოველთვის ახერხებს.

**გვიყენებენ ბრალდებას, რომ თორმეტი წლის განმავლობაში მოწესრიგებული საკლუბო ჩემპიონატის ჩამოყალიბება ვერ შევძელით. წესითა და რიგით კლუბების დაფინანსების 51 პროცენტი საკუთარ თავზე მუნიციპალიტეტებმა უნდა აიღონ, დანარჩენი ნაწილი კი — სპონსორებმა. კალათბურთის განვითარებისა და გუნდების გაძლიერების პროცესი ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული და მას ფედერაცია მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერ შეეჭიდება. ჩვენი ძირითადი მოვალეობა სხვადასხვა ასაკის ნაკრებთა მომზადება და ეროვნული პირველობის ორგანიზებაა.**

**— საინტერესოა არსებული დაპირისპირების შესახებ ქართული კალათბურთის ვეტერანების აზრი...**

— მათ ნაცვლად პასუხს ნამდვილად ვერ გაგცემთ, ერთს კი მოგახსენებთ: ნიკოლოზ დერიუგინი ძალიან უმადურად მოგვექცა. ამ კაცისთვის არაერთი სიკეთე გვაქვს გაკეთებული, მან კი უნამუსოდ გვილალატა. ცოტა ხნის წინ თბილისში არვიდას საბონისი ჩამოვიდა. პროტოკოლის მიხედვით, საბონისი კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, გენერალურ მდივანს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრსა და ქვეყნის პრემიერმინისტრს უნდა შეხვედროდა. რასაკვირველია, დერიუგინი ძველ მეგობარს აეროპორტშივე დახვდა და თბილისში ყოფნისას გვერდიდან არ მოსცილებია. სამწუხაროდ, ბატონ ბიძინა ივანიშვილთან ნიკოლოზი ვერ წავიყვანეთ და ეს უკანასკნელი ძალიან გაგვინაწყენდა. რასაკვირველია, საკმაოდ უსუსური არგუმენტია და ამის მომიზეზებით მოწინააღმდეგე ბანაკში გადასვლა ნორმალურ საქციელად არ მიმაჩნია.

**— ნება მომეცით, ბოლო შეკითხვა დაგისვათ: გულახდილად მითხარით, ამდენი უსიამოვნების შემდეგ გადადგომაზე ხომ არ გიფიქრიათ?**

— სიმართლე გითხრათ, 2011 წელს წასვლაზე სერიოზულად დავფიქრდი და ამ ნაბიჯის გადადგმას მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე ვაპირებდი. **სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ჩემი და ჩემი თანამოაზრეების მისამართით ისეთი სიბინძურის ნიაღვარი წამოვიდა, მორალური უფლება აღარ მაქვს, ქუდი დავიხურო და ულაპარაკოდ წავიდე. დღესაც მზად ვარ, თანამდებობიდან გადავდგე, მაგრამ ქართულ კალათბურთს მიშა ახვლედიანის ხელში ნამდვილად ვერ დავტოვებ.** ოღონდაც ღირსეული პიროვნება გამოჩნდეს და დღესვე წავალ.

ესაუბრა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

რეპორტაჟი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვაჟა ხაჭაპურიძე: „უბედურებაა კიდევ ის, რომ უმუშევრობაა! 99% დევნილებისა დაუსაქმებელია! „ორიოდე კაპიკის" საშოვნელად ახალგაზრდები თითო-ოროლა თვეს თუ წაიმუშავებენ. ესაა და ეს! ხელისუფლებას ხომ საერთოდ „ხელი აქვს დაბანილი"! 1 ოქტომბრის მერე დავიწყებული ვყავართ. მისი წარმომადგენლები ერთხელაც არ ჩამოსულან და არ უკითხავთ: ხალხო, რა გიჭირთ, რა გილხინთ?.."

# «ვანოგრადობის» ხუთი წელი

# წილკნის გეტო, შავი ქალი და ლეილას ოცნება

**დიდუბის ავტოსადგურიდან სულ რაღაც 25 წუთში წილკნის დევნილთა დასახლებაში ჩავედი. გაგანია აგვისტოა, მაგრამ დღეს, მადლობა ღმერთს, გრილა. საქმეს ის გარემოებაც მიადვილებს, რომ წინა ორი სტუმრობისგან განსხვავებით, არ მომიწევს მოსაუბრეთა ძებნა — ყველაფერი წინასწარ შეთანხმებული მაქვს დევნილებში ყველაზე ცნობილ და ავტორიტეტულ პიროვნებასთან — ვაჟა ხაჭაპურიძესთან, რომელიც, თავის დროზე, შიდა ქართლის გუბერნატორი გახლდათ და ამავე დროს — ცხინვალში პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელიც. დღეს კი... დღეს კი, ბატონი ვაჟა, დაუფარავი სიამაყით მათვალიერებინებს თავის ბაღს, რომელსაც 4000 კვ.მეტრი ფართობი უკავია.**



— ოთხი წლის წინ ჩემი ხელით დავრგე 150 ძირი ხე და, აჰა! — **ახალგაზრდა ენთუზიასტივით უბრწყინავს თვალები ყოფილ გუბერნატორს**, — ნახეთ, ეს ირანული, „შალახის" ჯიშის გარგარია! სამწუხაროდ, გარგრის სეზონი დასრულდა... მოგიწევთ ლოდინი მომავალ ზაფხულამდე. ეს კი, ბერძნული ქლიავია. საოცრად ლამაზია, მაგრამ საოცრად უგემურიც. მგონი, გრძნობს, რომ ვერაფრით მახარებს და „სირცხვილისგან" ხმობა დაიწყო. ეს კი ჩვენი გირვანქანახევრიანი ქართული „ანტონოვკაა", ხომ გახსოვთ ფილმ „ჭრიჭინადან" „გირვანქანახევრიანი მიჩურინის ვაშლი"! აგერ, „ალექსანდროული" ჯიშის მსხალი; ამ მსხალს კი, ნაპოლეონის ცოლის პატივსაცემად „ჟოზეფინა" უწოდეს.

**ბატონი ვაჟა იმდენადაა გართული თავისი ბაღის ტკბილი „ექსპონატების" ღირსებების აღწერით, რომ მერიდება, შევახსენო სიმწარე — მისი დევნილობა... ხუთმა წელმა ხუთ დღესავით გაიელვა. მასზე კარგად ვინ იცის, რა უჭირს დევნილ ადამიანს?! უჭირს დღესაც, როდესაც ქვეყანას, ნაწილობრივ მაინც, აღარ მართავს მოქალაქე სააკაშვილის სისხლიანი ხროვა; უჭირს, მიუხედავად იმისა, რომ ამ გეტოს, უფრო ზუსტად, „ნაცების" მიერ აშენებული საკონცენტრაციო ბანაკის „მთავარი არქიტექტორი" — ივანე მერაბიშვილი საპყრობილეშია. ხმაც დაირხა, გული აწუხებსო. დამაიმედებელი სასიხარულო ცნობაა! კაცი ბიორობოტად მიგაჩნია და თურმე გული ჰქონია!**

— მართალია, ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ აქ დევნილებად ვართ ჩასახლებულნი, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, დღეს ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არაფრით გაუმჯობესებულა, თუ არ გაუარესდა! — **მიყვება ვაჟა ხაჭაპურიძე.** — მაგალითად, არიან ოჯახები, რომლებსაც სოციალური დახმარება მოუხსნეს! ლტოლვილს, სოციალურ დახმარებას რომ მოუხსნი და აქეთ „დააბრალებ", კარგ პირობებში ხარო, ამის შემდეგ რაღა უნდა ვთქვა?!

**უბედურებაა კიდევ ის, რომ უმუშევრობაა! 99% დევნილებისა დაუსაქმებელია! „ორიოდე კაპიკის" საშოვნელად ახალგაზრდები თითო-ოროლა თვეს თუ წაიმუშავებენ. ესაა და ეს! ხელისუფლებას ხომ საერთოდ „ხელი აქვს დაბანილი"! 1 ოქტომბრის მერე დავიწყებული ვყავართ. მისი წარმომადგენლები ერთხელაც არ ჩამოსულან და არ უკითხავთ: ხალხო, რა გიჭირთ, რა გილხინთ?..**

ბევრი ოჯახი ნისიად იღებს მაღაზიიდან პურს!.. პურს! და არა ხორცს, კარაქს ან თევზს! არადა, იქ, ხეობაში, ყველაფერი გვქონდა! გვყავდა ძროხა, ღორი, ქათამი და ინდაური! გვქონდა სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები და შემოსავალი. დღეს კი არაფერი გვაქვს! **ვიტანჯებით საკარმიდამო ნაკვეთების უქონლობით. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები რომაა ჩვენ ირგვლივ, დროებით სარგებლობაში მაინც მოგვცენ, ადამიანმა სული რომ მოითქვას და ამ გაჭირვების ორმოდან ამოვიდეს!**

**დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია — ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში საკმაო რაოდენობით ლიახვის ხეობის მკვიდრნიც არიან დასაქმებულნი; მაგრამ ამით, რა ხეირი? როგორც დევნილები მიხსნიან, ეს ის ადამიანებია, რომლებსაც არასოდეს არაფერი უკეთებიათ და არც იციან, რა და როგორ უნდა გააკეთონ!.. დამოუკიდებელი საქართველოს მართვის სისტემაში ადამიანი ფასობს არა პროფესიონალიზმით, საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულებით, ზნეობით, არამედ საქმის არცოდნით, უპასუხისმგებლობით, მონური მორჩილებით, ყველაფერზე ხელის მოწერით, წერა-კითხვის უცოდინარობითაც კი!..**

## ამბავი დევნილისა

**წილკნის გეტოში მცხოვრებმა ერთმა დევნილმა ძროხა იყიდა, იფიქრა, თავს ვირჩენო. წაიყვანა ფოთოლა (ასე დაარქვა ძროხას) საძოვარზე. დახვდა იქ წილკნელი და ეუბნება: აქ არ დაგინახო, მოშორდი აქედანო! წილკნის საკრებულოს თავმჯდომარემ კი შეტყობინებაც გამოუგზავნა ლტოლვილებს: სოფლის ბიჭებს შევაგროვებ, თავები უნდა დაგიხეთქოთო!..**

**ესაა ქართველობა და ამას ჰქვია თანაგრძნობა? შე დალოცვილო, შენა! მე ხომ გაჭირვებული კაცი ვარ! დალხინებული რომ ვიყო, მე აქ რა ჭირი მინდა?! კი შეუთვალეს დევნილებმა: რამდენსაც ჩამოიყვან ამ არაკაცობის ჩასადენად, იმდენ მკვდარსაც უკან გაგატანთო, მაგრამ რად გინდა?! ხომ მოგშხამა!**



ვაჟა ხაჭაპურიძე:

**ხელისუფლებას ხომ საერთოდ «ხელი აქვს დაბანილი»! 1 ოქტომბრის მერე დავიწყებული ვყავართ. მისი წარმომადგენლები ერთხელაც არ ჩამოსულან და არ უკითხავთ: ხალხო, რა გიჭირთ, რა გილხინთ?..**

**ადამიანს ადამიანი აღარ უყვარს. დევნილობას ადრე თუ გვიან ეშველება, მაგრამ დღეს მთელი საქართველო ზიზღში რომ იხრჩობა?! აი, ე. წ. დამოუკიდებლობის და მისი მწვერვალის — კაცთმოძულე სააკანტროპის ცხრაწლიანი ტირანიის შედეგი! იმ დროს, როდესაც ჩვენს დევნილებს სააკაშვილის ხელისუფლება უარს ეუბნებოდა საკარმიდამო ნაკვეთების გადაცემაზე, თავად უხვად ჰყიდდა ქართულ მიწებს უცხოელებზე, თანაც, ჩალის ფასად! ზუსტად ვიცი, რომ სოფელ იორ-მუღანლოს სახნავ-სათესი სავარგულები (7000 ჰექტარი) „ნაცბანდამ" ძალზე საეჭვოდ დაბალ ფასად მიჰყიდა არა იორმუღანლოელებს ან საქართველოს სხვა მოქალაქეებს, არამედ ვიღაც ვიგინდარა არაბს! დიახაც, ვიგინდარას! არ წამომცდა, რადგან პატიოსანი უცხოელი „ნაციონალებთან" საქმეს არავითარ შემთხვევაში არ დაიჭერდა! დაინტერესდით ამ ფაქტით, სამართალდამცველნო!**

**ისევ ვუბრუნდები ჩემს მოსაუბრეს.**

**— ბატონო ვაჟა, ცხინვალის ავანტიურის მეხუთე წლისთავზე სააკაშვილი აშშ-ის ელჩის თანდასწრებით გვიმტკიცებდა, რომ მან გადაარჩინა ქვეყანა რუსული ოკუპაციისგან, ხოლო ლიახვის ხეობა — განადგურებისგან და ა.შ. თუ შეესაბამება ეს სიმართლეს?**

— სააკაშვილმა ჩაიდინა ფაშისტური, ბარბაროსული საქციელი. ამ მტარვალმა, სახელმწიფო დამნაშავემ არა მარტო ქართულ-ოსურ ურთიერთობათა საკითხებში, არამედ მთელ რიგ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებშიც საქართველო კატასტროფამდე მიიყვანა! სამწუხაროა, რომ ახლანდელი ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს დღემდე ვერ გაუგია, რომ სააკაშვილი არის და რჩება პოტენციურ დამნაშავედ ჩვენი ქვეყნისა და ერის წინაშე; იგი არის ჩვენი ეროვნული ინტერესების მოწინააღმდეგე!

მეტსაც გეტყვით, **ოსები თხოულობდნენ, რომ ჩვენი შერიგება რაც შეიძლება მალე მომხდარიყო. საქმითაც ამტკიცებდნენ ამას!** მაგალითად, ხილის რეალიზაციაში გვეხმარებოდნენ. გაჰქონდათ რუსეთში. ისინიც შოულობდნენ ფულს და ჩვენც. ასევე, ოსებს რუსეთიდან შემოჰქონდათ პროდუქტი, რომელსაც იაფად ვყიდულობდით. **ცხინვალში ვაჭრობდა არა მხოლოდ დიდი და პატარა ლიახვის, არამედ გორის რაიონის მოსახლეობაც. არანაირი კონფლიქტი, პირიქით, ერთმანეთის სიყვარული, პატივისცემა და ურთიერთგაგება სუფევდა.** ერთი სიტყვით, არაფერი იყო ისეთი, რომ სააკაშვილს საბაბს მისცემდა ომის გასაჩაღებლად და საკუთარი მოსახლეობისთვის კასეტური ბომბების დასაშენად!..

**დღემდე მიკვირს, 2008 წლის აგვისტოში რამ დაამუნჯა ოპოზიცია? მათ რიგებში რატომ არ აღმოჩნდა ერთი მამულიშვილი მაინც, რომელიც მოუწოდებდა ხალხს, გაესამართლებინა ომის გამჩაღებელი და დეზერტირი „მთავარსარდალი"? რა, ამერიკამ არ მისცა მათ ამის უფლება? საინტერესოა, როდემდე გაამართლებენ „ამერიკით" საკუთარ უნიათობას და ცრუპატრიოტიზმს?! იმ დღეებში უცნაურად მოიქცა ახლანდელი პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატიც, ქალბატონი ბურჯანაძე. მანაც არ მოუწოდა საზოგადოებას სააკაშვილის დასჯისკენ. პირიქით, შიშით პარალიზებულ მიშას ამხნევებდა.**

**აი, დავდივარ დევნილთა დასახლებაში და, როგორც ამ ხალხის გაჭირვებისა და სიღატაკის დამნახველი და მოწმე, ვეკითხები სააკაშვილს: ეი, შენ! საკუთარ ქალაქს, მძინარე მოსახლეობას ბომბებს რომ უშენ, მერე ტანკით რომ შედიხარ, რისთვის? ასეთი კანიბალიზმი ეკადრება „დემოკრატიის შუქურას"? შეჩვენებულო, ფეხით შესულიყავი, ყვავილებით შესულიყავი, პურ-ღვინით შესულიყავი! რა, ოსები ვერ გაგიგებდნენ? ჩვენ ხომ ერთნი ვართ, ერთნი! ისტორიულად, დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული, თამარ მეფიდან მოყოლებული ერთად მოვდივართ და ოსზე უკეთესი ნათესავი ჩვენ დედამიწის ზურგზე არ გვყავს! ისინი ხომ ქართულ ტრადიციებზე იყვნენ აღზრდილნი, ყველაფერი ქართული ჰქონდათ... ასე რატომ გაიმეტე ეს ხალხი? მშვიდობიანად შესულიყავი და ზვიად გამსახურდიას დროიდან მოკიდებული შეცდომები გელიარებინა და ბოდიში მოგეხადა! შენ კი ზარბაზნები დაუშინე.**

**2004 წლის პირველი სამხედრო ავანტიურის შემდეგ, ცხინვალში ჩასვ-** ▶

# ლეილა ბასიშვილი: „ერგნეთის ბაზრობამ ქართველი და ოსი ისევ შეაერთგულა, ისევ მშვიდი ცხოვრება გვქონდა. მხოლოდ ერთხელ, 2004 წლის ზაფხულში, მოხდა გართულება. მიუხედავად ერგნეთის ბაზრობის გაუქმებისა, მაინც მიმდინარეობდა დაახლოება-შერიგება, ვიდრე 2008 წლის აგვისტოში დიდი უბედურება არ დაგვატყდა თავს!“

რეპორტაჟი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ყველასგან მიტოვებულ დევნილებს არც პრეზიდენტობის კანდიდატები იხსენებენ წინასაარჩევნოდ! დიდი და პატარა ლიახვის მოსახლეობა გმირულად იტანს გაუსაძლის მდგომარეობას, მაგრამ ვერ ეგუება მშობლიური კერისგან მოწყვეტას

ლას თუ ვერ ბედავდი, გაგეგზავნა ავტორიტეტული ადამიანები, აგერ, ვაჟა ხაჭაპურიძე გაგეგზავნა. ამ კაცმა გუბერნატორობისას ცხინვალში ქართული სული გააცოცხლა! საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან ჩამოდიოდა აქ ხალხი სავაჭროდ; ხალხი საქმიანობდა და ცხოვრობდა. მან შეძლო ის, რომ 90-იანი წლების დასაწყისიდან გაბრაზებული ოსი არათუ შეგვარიგა, ისევე ჩვენი ოჯახის წევრად აქცია! შენ კი, უჯიშომ და მკვლელმა, მხოლოდ ის მოახერხე, რომ მბჟუტავ მუგუზალს ბენზინი გადაასხი! ტფუი!.. შენ ქართული მოსახლეობა კი არ გადაარჩინე, შეგნებულად გაწირე!

**ომი რომ სააკაშვილის დაწყებულია, წილკნის დევნილთა დასახლებაში ეჭვი არავის ეპარება. ვისაც პირადად გავესაუბრე, თითქმის ერთნაირად ფიქრობენ — ომი 7 აგვისტოს არ დაწყებულა. მანამდე საპროვოკაციო მოქმედებები იყოო. მაგალითად, 1 აგვისტოს ჩვენი სამშვიდობო ძალების მანქანა აფეთქდა წვერიახოზე.**

თუ ორი ქართული საგუშაგოს ცხვირწინ (10 მეტრში!) ოსი მოვიდა წერაქვით, ლომით, ბარით, გათხარა გზის სავალი ნაწილი, ჩადო ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი და მანქანა აგვიფეთქა, მაშინ ვაი ჩვენს პატრონს! აფეთქებას ორი ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო სამი — მძიმედ დაშავდა. მერე გაირკვა, ეს იყო ვანუა (ასე ეძახიან დევნილები ნამინისტრალს) მერაბიშვილის პროვოკაცია, რომელმაც, თუმცა არ გაჭრა. მაშინ, 2 აგვისტოს ერგნეთის, ნიქოზისა და ხვითის ტერიტორიიდან დაიწყეს ცხინვალის დაბომბვა. რა სახის იარაღს არ ესროდნენ, მათ შორის, მშვიდობიან მოსახლეობას! ამ ბარბაროსობის შედეგად დაიღუპა შვიდი ოსი (მათ შორის ქალი და ბავშვი), 57 დაიჭრა... თუ გამოძიება დაინტერესდება, არიან ქართველი მოწმეები, რომლებიც ამ ტრაგიკულ ფაქტს დაადასტურებენ. ეს ადამიანები თავად იყვნენ დაღუპულთა პანაშვიდებზე; განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ჭირისუფლებს მათთვის არათუ სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ, საყვედურიც კი არ უთქვამთ!

ახლა დაბრუნებაზე რომ ვლაპარაკობთ, რანაირად უნდა დავბრუნდეთ? იმ შვილმკვდარ დედებს, იმ მორალურად განადგურებულ მოსახლეობას როგორღა უნდა მოულბო გული და რა უნდა უთხრა ისეთი, რომ დაამშვიდო? ისე, ამ დორბლიანს, როგორც კოჭებში ეტყობა, (და ეს ჩვენში დიდ საიდუმლოდ დარჩეს), ოსებიდან მხოლოდ ალანა გაგლოევა და მისი ცხინვალიდან დროულად ევაკუირებული ბებია უყვარს, დანარჩენ ოსებს კი ველურებად თვლის, რომლებსაც არავითარი გრძნობა არ გააჩნიათ! მოუნდება სააკაშვილს მათი მოკვლა, მოკლავს, მოუნდება, მოეფერება; მოუნდება, ყვავილებს მიართმევს, მოუნდება, ცხვირ-პირს დაულეწავს... ესაა სააკაშვილის ცხოვრების „ფალოსოფია“...

**წილკნელებს კიდევ რა უჭირს, აი, ჭაობზე დასახლებული წეროვნელები უნდა იხილოთ!.. ელვისებური სისწრაფით, ჯოჯოხეთური ფერხულით ტრიალებს შენს გარშემო გაჭირვება-დარდი-უიმედობა! თავბრუსხვევისგან ლამის გონება დაკარგო და წაიქცე!... ან უმწეობისგან, გინდა, მარტოხელა მგელივით იყმუვლო!..**

არააა! ეს არაკაცი უნდა გასამართლდეს! საქვეყნოდ უნდა დაისაჯოს თავის პირსისხლიან ბანდასთან ერთად.

### „რად უნდოდა სააკაშვილს მაგ შავი ქალის ჩამოყვანა?!“

დევნილთა წილკნის დასახლებაში წილად მხვდა პატივი, გამეცნო ლიახვის ხეობის დედად წოდებული, რვა ქართველის დედა, **ქალბატონი ლეილა ბასიშვილი.**

— ვმუშაობდი ქურთის სკოლა-ინტერნატში მზარეულად. ოთხასი მოწაფე სწავლობდა ჩვენს სკოლაში: ქართველები, ოსები, რუსები... ბავშვებს ეროვნებით არ ვასხვავებდით. ოსი დირექტორი გვყავდა, დიდებული პიროვნება — გრიშა ბიკოევი, რომ იტყვიან, სკოლის მამა-მარჩენალი. ჩვენი სკოლა გაუქმდა 1991 წლის 7 ნოემბერს, როდესაც გამსახურდიამ ცხინვალში მილიცია შემოიყვანა. ყველაფერი აირდაირია! ოსები სკოლიდან გამორეკეს, მშობლებმაც წაიყვანეს ბავშვები და მთელი ინვენტარი გაიტანეს ცხინვალში...


ლეილა ბასიშვილი:

### რამდენიმე დღით ადრე მთავრობის ხალხს რომ გავეფრთხილებინეთ ომის დაწყების თაობაზე, ამ საშინელებას ვერ ვნახავდით, მხოლოდ 27 აგვისტოს დავაღწიეთ თავი იმ ჯოჯოხეთს

**ერგნეთის ბაზრობამ ქართველი და ოსი ისევ შეაერთგულა, ისევ მშვიდი ცხოვრება გვქონდა. მხოლოდ ერთხელ, 2004 წლის ზაფხულში, მოხდა გართულება. მიუხედავად ერგნეთის ბაზრობის გაუქმებისა, მაინც მიმდინარეობდა დაახლოება-შერიგება, ვიდრე 2008 წლის აგვისტოში დიდი უბედურება არ დაგვატყდა თავს!** 5 აგვისტოს დაირხა ხმა, ომი იწყებაო, თუმცა ჩვენი გამგეობა გვამშვიდებდა: არაფერი მოხდება, ჭორებიაო. არადა, ჩემმა ახლობელმა ოსებმა შემატყობინეს, კოკოითმა ცხინვალიდან ქალები და ბავშვები გაიყვანაო, მხოლოდ ხანდაზმულები და მეომრები დარჩნენო. ბავშვები მაინც გაიყვანეთო, მირჩიეს.

**ქალბატონი ლეილა მიყვება იმ უბედურებებზე, მას და მის მეუღლეს რომ გადახდათ — ოს მძარცველებზე, რომელმაც ოქროს ბეჭდის მოხსნისას, ორი თითი მოსტეხეს და ისევ ოსებმა როგორ შეიფარეს; როგორ დაალევინა წამალი მის მეუღლეს რუსმა ჯარისკაცმა, ხოლო მოროდიორმა კაზაკმა როგორ ჩაარტყა ავტომატი.**

— რამდენიმე დღით ადრე მთავრობის ხალხს რომ გავეფრთხილებინეთ ომის დაწყების თაობაზე, ამ საშინელებას ვერ ვნახავდით, — **დარწმუნებულია ქალბატონი ლეილა.** — მხოლოდ 27 აგვისტოს დავაღწიეთ თავი იმ ჯოჯოხეთს. როგორც იქნა, გამოვედით სამშვიდობოზე, ჩამოვედით თბილისში, მაგრამ იქ საბავშვო ბაღის გამგემ არ მიგვიღო. ისევ გორში ჩავედით და ღმერთმა გაახაროს მეოთხე საბავშვო ბაღის გამგე, რომელმაც შეგვიფარა! აქ 2009 წლის იანვრიდან ვართ. როცა ამ კოტეჯში შემოვედით, არც საწოლი, არც მაგიდა, არც სკამები არ გვქონდა! მთელი კვირა ვსადილობდით მუყაოს ყუთზე... **ამ ხუთი წლის განმავლობაში ჩვენთან არავინ მოსულა — არც პრეზიდენტი, არც რომელიმე პარლამენტარი; არც ლტოლვილთა სამინისტროდან მოუქცევიათ ყურადღება.** ერთადერთს შაშკინს შევხვდით. ვუთხარი: შვილო, ლტოლვილები ვართ, ეგებ, რაღაცით დაგვეხმაროთ-მეთქი. მარტო ხელები გაშალა და მხრები აიჩეჩა: აბა, რით დაგეხმაროთო?!. დღეს ისე აღარ მიჭირს: ძროხაც მყავს, ღორებიც გავზარდე, ქათმებიც, ბაღსაც ვუვლი. აი, ბიჭებს სამსახური რომ ჰქონოდათ, ბევრად გაგვიადვილდებოდა ცხოვრება. „ბარამბოში“ წავიდნენ, მაგრამ უკან გამოისტუმრეს: თუ ნაცნობი არ გყავთ, არავინ მიგიღებთ სამუშაოდო... ერთ ჩემს ბიჭს დროებით მისცეს კოდაში ბინა; მერე ზონდერობა შესთავაზეს. არ იკადრა და ბინაც დააცლევინეს.

**გაგვწირა სააკაშვილმა! გაქანებული სროლების დროს რაში სჭირდებოდა იმ შავი ქალის ჩამოყვანა და კონცერტების გამართვა?! ამბობენ, ამ ქალის ჩამოყვანაში 72 ათასი ლარი დახარჯაო.**

**ეს „შავი ქალი“, როგორც მიხვდით, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი — კონდოლიზა რაისი გახლდათ.**

**მიუხედავად იმისა, რომ ლეილა ბასიშვილმა დევნილთა დასახლებაში, მეტ-ნაკლებად, ცხოვრება მოიწყო, იგი მზადაა, ნებისმიერ დროს მშობლიურ ქურთაში დაბრუნდეს, სადაც მისი წინაპრების საფლავებია.**

— ერთი პატარა სახლი გვინდა, რომ თავზე არ დაგვაწვიმოს. ჯერ მარტო ჩვენი ჰაერი რად ღირს!

**კიდევ ერთი მშვენიერი ოსი ეროვნების ქალბატონი — ლუდმილა ხაბალოვა გავიცანი, რომლის დაც აგვისტოს დღეებში ცხინვალში, მისი სახლის სარდაფიდან მკვდარი ამოიყვანეს...**


ლუდმილა ხაბალოვა:

### სოფელ ქურთაში ხალხი შეძლებულად ცხოვრობდა. კარგად მახსოვს, როგორ შემოვიდა მოროდიორთა პირველი ნაკადი... მძარცველებს ყველაფერი მიჰქონდათ: მაცივრები, ტელევიზორები, მანქანები; მიერეკებოდნენ საქონელს

— ყოველ წელს ქმართან ერთად ტონა-ნახევარ შავ მოცვს ვკრეფდით. ნაწილი ჩაგვქონდა ცხინვალში, ნაწილი — გორში. კილოგრამს ლარ-ნახევრად — ორ ლარად ვაბარებდით. სოფელ ქურთაში ხალხი შეძლებულად ცხოვრობდა. კარგად მახსოვს, როგორ შემოვიდა მოროდიორთა პირველი ნაკადი... მძარცველებს ყველაფერი მიჰქონდათ: მაცივრები, ტელევიზორები, მანქანები; მიერეკებოდნენ საქონელს.

**— ვინ იყვნენ ეს მძარცველები?**

— ჰმ! მოროდიორი იყო ჩემი ბიძაშვილიც! რომ ვიცანი, აღშფოთებულმა შევეკითხე: მერსიკ, შენ აქ რა დაკარგე, რას ეძებ? და იცით, რა მიპასუხა? იმას ვეძებო, რასაც 1992 წელს ქართველები ეძებდნენო... ძალიან უსუსური გამართლება იყო ეს, რადგან მაგ წლებში ორივე მხარე, როგორც ოსური, ისე ქართული მშვიდობიანი მოსახლეობა იძარცვებოდა უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისგან.

**ქალბატონ ლუდმილას ოჯახმაც ოდნავ მოითქვა სული, მაგრამ პირადად მას უკან დაბრუნებაზე არაფრის გაგონებაც არ სურს ერთი მიზეზის გამო: რაც იქ გადავიტანე, მეორეჯერ ველარ გადავიტანო...**

**ყველასგან მიტოვებულ დევნილებს არც პრეზიდენტობის კანდიდატები იხსენებენ წინასაარჩევნოდ! დიდი და პატარა ლიახვის მოსახლეობა გმირულად იტანს გაუსაძლის მდგომარეობას, მაგრამ ვერ ეგუება მშობლიური კერისგან მოწყვეტას და ამის დარდი კლავს. კვირა არ გავა, რომ აქედან ორი-სამი მიცვალებული არ გაასვენონ. გაივსო სასაფლაოები! დევნილთა სასაფლაომ მკვდრების რაოდენობით გაუსწრო ადგილობრივთა სასაფლაოს! არ გჯერათ, გაზულუქებულო მინისტრებო და დეპუტატებო? ჰოდა, მიდით და ნახეთ!**

**გიორგი კორძაძე**


ვაჟა ხაჭაპურიძის მეუღლე — იამზე გოგბერაშვილი და შვილიშვილი მარიამ სარალიძე

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე აშშ-მა ახლო აღმოსავლეთში რამდენიმე მსხვილმასშტაბიანი ომი და ათობით სახელმწიფო გადატრიალება თუ რევოლუცია მოაწყო. შედეგად, მრავალ ქვეყანაში ხელისუფლებაში რადიკალი ისლამისტები მოვიდნენ. რისთვის აკეთებენ ამას ამერიკელები, რომლებმაც 11 სექტემბრის ტერაქტები იგემეს? პასუხი ძალიან მარტივია: იმისთვის, რომ გაანადგურონ რუსეთი მისგან კავკასიის მოწყვეტის გზით!**

# სირიული კრიზისის ნამდვილი მიზეზები

**სირიის საწინააღმდეგო სამხედრო ოპერაცია სინამდვილეში რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული და ვაშინგტონში ამას განსაკუთრებულად არც არავინ მალავს. რამდენიმე დღის წინ აშშ-ის ფინანსთა მინისტრის ყოფილმა მოადგილემ პოლ კრეიგ რობერტსმა ჯარისკაცული პირდაპირობით ყველაფერი თაროებზე შემოალაგა. სირიაზე შეტევა, უპირველესად, ნიშნავს უცხოეთში რუსეთის ერთადერთი სამხედრო ბაზის განადგურებას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოსკოვი დაკარგავს თავის ადგილს ახლო აღმოსავლეთსა და ხმელთაშუა ზღვისპირეთში. მეორეც, რუსეთს აღარ ეყოლება იარაღის ძველი კლიენტი და მესამეც, რაც ყველაზე მთავარია, სირიაში რადიკალი მუსლიმანების ხელისუფლებაში მოსვლა (ქვეყნის ახლანდელი ლიდერი ბაშარ ასადი მიისწრაფოდა ელიტური სახელმწიფოს მშენებლობისკენ. მან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხიჯაბით სიარულიც კი აკრძალა) ნიშნავს რუსულ კავკასიაზე ზეწოლას რუსეთის ფედერაციიდან მისი მოკვეთის მიზნით. ვის უშლის ხელს სირია და ვისი ინტერესები დგას ამ ყველაფრის უკან?**

რამდენიმე დღის წინ **ბრიტანული ტელეკომპანია „ბი-ბი-სის“ ოფიციალურ საიტზე გაჩნდა შემზარავი ფოტო სათაურით „მასობრივი ჟლეტა სირიაში“. იქვე განმარტებული იყო, რომ ფოტოზე ასახულია იმ სირიელი ბავშვების ცხედრები, რომლებიც სახელისუფლო ჯარებმა დახოცეს.** საიტზე უმალ გაჩაღდა ბრიტანელი ინტერნეტმომხმარებლების ცხარე დისკუსია, უმეტესობა მოითხოვდა ასადისა და მისი სისხლიანი რეჟიმის დაუყოვნებლივ განადგურებას. მაგრამ, **რამდენიმე საათის შემდეგ სკანდალი გამოიწვია მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულმა ფოტოგრაფმა მარკო დი ლაურომ, რომელმაც განაცხადა, რომ ეს მისი ფოტოა და გადაღებულია არა სირიაში, არამედ ერაყში თითქმის ათი წლის წინ.**

მრავალი პოლიტოლოგი დარწმუნებულია, რომ სირიის წინააღმდეგ, უკვე მრავალი წელია, მიმდინარეობს საინფორმაციო ომი, მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, სირია აირჩიეს იმიტომ, რომ დარტყმა მიეყენებინათ რუსეთისთვის.



**ვალერი კოროვინი, პოლიტოლოგი, ჟურნალისტი, პოლიტიკური მოღვაწე, გეოპოლიტიკური ექსპერტიზის ცენტრის დირექტორი:**

— აშშ რუსეთის ირგვლივ ანაკონდას მარყუჟს ავიწროებს. არსებობს ასეთი კონცეფცია, ანაკონდას სტრატეგია, რომელიც მოწინააღმდეგის მოგუდვას გულისხმობს. და რუსეთის წინააღმდეგ დღეს სწორედ ამ სტრატეგიის რეალიზება მიმდინარეობს. პრაქტიკულად დღეს რუსეთი უკვე იზოლირებულია დასავლეთისა და ატლანტიკაში გასასვლელისგან აღმოსავლეთევროპული სანიტარული კედლით. იაპონია და აზიური კედელი უკეტავს მას გასასვლელს ინდოეთის და წყნარი ოკეანისკენ. სირია არის ხმელთაშუა ზღვაში გასვლის უკანასკნელი შესაძლებლობა რუსეთისთვის.

ცხადია, ამის დაჯერება ადვილი საქმე არაა, რადგან ცივი ომი, უკვე დიდი ხანია, ისტორიას ჩაბარდა, მაგრამ მოუსმინეთ, რას ამბობს სირიაში არსებული სიტუაციის შესახებ აშშ-ის ყოფილი მინისტრის მოადგილე პოლ კრეიგ რობერტსი.



**პოლ კრეიგ რობერტსი, ეკონომისტი, „რეიგანომიკის“ მამა, აშშ-ის ფინანსთა მინისტრის მოადგილე რონალდ რეიგანის ადმინისტრაციაში:**

— ჩვენ არ გვსურს ბაჰრეინის ან საუდის არაბეთის ხელისუფლებების დამხობა. არადა, ორივე ხელისუფლება იყენებს ძალადობას პროტესტანტების წინააღმდეგ. საქმე ისაა, რომ ისინი ჩვენი მარიონეტები არიან, ბაჰრეინში კი ჩვენ მსხვილი სამხედრო ბაზა გვაქვს. ჩვენ გვსურს, დავამხოთ ლიბიაში კადაფი და სირიაში ასადი, იმიტომ, რომ გვსურს, გავდევნოთ რუსეთი ხმელთაშუა ზღვიდან.






როდესაც ამბობს ხმელთაშუა ზღვას, ამერიკელები გულისხმობენ ტარტუსს, სირიაში სიდიდით მეორე ქალაქს, სადაც 1971 წლიდან მდებარეობას რუსეთის სამხედრო გემების ბაზა. სწორედ ეს ბაზა უშლით ხელს ამერიკელებს, აკეთონ ახლო აღმოსავლეთში ყველაფერი, რაც მოესურვებათ.





**იგორ ხოხლოვი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი:**

— ამრიგად, ეს მნიშვნელოვანი საკითხია რუსეთისთვის არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ ეკონომიკურადაც. ეს ბაზა, შესაძლოა, ყველაზე მოკლე პერიოდში მოდერნიზდეს იმისთვის, რომ მიიღოს ავიამზიდი კრეისერები რუსეთიდან და მძიმე სარაკეტო კრეისერები. ეს არსებითად შეცვლის ძალთა ბალანსს ხმელთაშუა ზღვაზე.

ერაყი, ავღანეთი, ლიბია, ეგვიპტე, ტუნისი... **უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე აშშ-მა ახლო აღმოსავლეთში რამდენიმე მსხვილმასშტაბიანი ომი და ათობით სახელმწიფო გადატრიალება თუ რევოლუცია მოაწყო. შედეგად, მრავალ ქვეყანაში ხელისუფლებაში რადიკალი ისლამისტები მოვიდნენ. რისთვის აკეთებენ ამას ამერიკელები, რომლებმაც 11 სექტემბრის ტერაქტები იგემეს?** პასუხი ძალიან მარტივია: **იმისთვის, რომ გაანადგურონ რუსეთი მისგან კავკასიის მოწყვეტის გზით!** ამერიკელები ამ ყველაფერს არც მალავენ. მათ სავსებით აძლევთ ხელს ჩეჩნეთის მესამე ან დაღესტნის პირველი ომის სცენარი, რომლის გათამაშების შემდეგაც ზოგიერთი რესპუბლიკა ქვეყნის შემადგენლობიდან გასვლას მოინდომებს.

**ვალერი კოროვინი:**

— პრინციპში, დასავლეთის მიერ ინიცირებული ისლამური ინტერნაციონალი, რომელიც დასავლური ქვეყნების ხელშეწყობით აქტიურად მოქმედებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, აშშ-ის ინტერესების შესაბამისად, უკვე დესანტივითაა გადასმული დასავლური ამერიკაცენტრისტული გლობალური ძალების მიერ და ეს ისლამისტური სტრუქტურები ახლა უკვე აწარმოებენ რაღაც პარტიზანულ, მოსამზადებელ ომს რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის წინააღმდეგ.

რუსეთის განადგურება აშშ-ის უმთავრესი მიზანია. რუსეთს ხომ თვით საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც კი დედამიწის მთელი ხმელეთის ერთი მერვედი უკავია, თანაც ის ნაწილი, რომელზეც ბუნებრივი რესურსების უდიდესი რაოდენობა ინახება. რუსეთიდან ჩრდილოეთ კავკასიის მოწყვეტით ადვილად მიიღწევა ნავთობისადმი წვდომა.

**ჯერ კიდევ 1997 წელს აშშ-ის კონგრესმა კავკასია ამერიკის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების ზონად გამოაცხადა. აშშ-ის ენერგეტიკის სამინისტრომ კავკასიის აუზის რესურსები 230 მილიარდ ბარელ ნავთობად და 350 ტრილიონ კუბურ ფუტ გაზად შეაფასა. ამერიკელები იმედოვნებენ, რომ ამ სიმდიდრეს საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარებენ.**

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა ყველაფერი. აშშ-ს თვალი ციმბირისკენაც გაურბის. 2012 წელს იქ გრანდიოზული სკანდალი გაჩაღდა: აშშ-ის წარმომადგენლებმა ირკუტსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ძალზე უცნაური თამაში შესთავაზეს. მათ უნდა შეექმნათ რუსეთისგან დამოუკიდებელი სახელმწიფო ციმბირის ეკონომიკის მოდელი. უფრო მეტიც, **აშშ აფინანსებს აქტივისტებს, რომლებიც რუსეთისგან ციმბირის გამოყოფის პროპაგანდას ეწევიან. ამერიკული ფულის სანაცვლოდ ისინი ატარებენ აქციებს ლოზუნგებით „დამოუკიდებელი ციმბირისთვის“.**

სამწუხაროდ, აშშ-ის მცდელობებს უკვალოდ არ ჩაუვლია. მაგალითად, ეწყობა გამოფენები სახელწოდებით „ციმბირის შეერთებული შტატები“, რომლის ორგანიზატორებიც ირწმუნებიან, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა გეოგრაფიის მხიარული ხედვა, მაგრამ, უყურებდნენ რა იქ გამოფენილ ნახატებს, ბევრს არ ემ-








# პირველი „ჰუმანიტარული ინტერვენცია“ აშშ-ის არმიამ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში განახორციელა — ინდიელებს ქოლერით დასნებოვნებული პლედები დაურიგა და რეზერვაციებში, ანუ იგივე საკონცენტრაციო ბანაკებში შეყარა. დღეს დღის წესრიგში სირია დგას, მაგრამ ჩნდება კითხვა: ვინ იქნება შემდეგი?

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ხიარულებოდა. გამოფენის ერთ-ერთი ცენტრალური ნამუშევარი იყო ნახატი, რომელზეც გამოსახული იყო აშშ-ის დროშის მსგავსად სტილიზებული ციმბირის დროშა.

**ვალერი კოროვინი:**

— ისინი საზოგადოებას ამზადებენ იმისთვის, რომ ახლანდელი ფედერალური ხელისუფლება უნდა დასუსტდეს, დაკარგოს ქვეყანაში სიტუაციის კონტროლი, დაკარგოს მართვის სადავეები და სწორედ ამ დროს, ფედერალური ხელისუფლებისთვის ყველაზე შეუსაბამო დროს, ციმბირი, ამერიკელი სტრატეგების აზრით, გამოაცხადებს საკუთარ სუვერენიტეტს, რაც რუსეთის დაშლის სტარტი იქნება.

თუ რუსეთის რესურსების ხელში ჩაგდება აშშ-ის გრძელვადიანი გეგმაა, ახლო აღმოსავლეთის ნავთობი ამერიკისთვის უკვე აწმყოა. ეს გახდა ომის მიზეზი ერაყში, სადაც ნავთობის მარაგები 143 მილიარდ ბარელადაა შეფასებული. სწორედ ამიტომ მოინდომა აშშ-მა კადაფისგან ლიბიის გათავისუფლებაც. იქ ნავთობის მარაგი 29 მილიარდ ბარელს შეადგენს. სირიის ბედითაც ამერიკელები მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც ნორვეგიულმა კომპანიამ სირიის ტერიტორიული წყლების გეოლოგიური დაზვერვის შედეგები გამოაქვეყნა.

**იგორ ხოხლოვი:**

— ნორვეგიელები ატარებდნენ გაზისა და ნავთობის მატარებელი პლასტების კვლევებს სირიის სანაპიროებთან და დაადგინეს, რომ ძალზე მცირე სიღრმეზე, წყლის დონიდან სულ რაღაც 250 მეტრით დაბლა, არის ნავთობითა და გაზით მდიდარი საბადოები. ამასთან, ნავთობის მარაგი შეფასდა 37 მილიარდ ტონად. ეს კოლოსალური მარაგია. ამასთან, ეს იოლად და იაფად მოსაპოვებელი ნავთობია.

ახლა აშშ-ს სირიაში ნავთობის მოპოვებაში ხელს ბაშარ ასადი უშლის, ესე იგი აუცილებელია მისი თავიდან მოშორება. ინტერნეტში ყოველ წუთს ჩნდება ვიდეორგოლები, რომლებშიც მოსახლეობის სახელით ასადს უამრავ მიუტევებელ ცოდვაში ადანაშაულებენ. იგი მშვიდობიანი მოქალაქეების მკვლელად, ტირანად, დესპოტად გამოჰყავთ. ამ ყველაფრის პარალელურად, ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ პროფესიით ოფთალმოლოგი ასადი სირიის სამხედრო ელიტის წარმომადგენელია. იგი ქვეყნის წინამორბედი პრეზიდენტის, ხაფიეზ ასადის, შვილია, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ ქვეყანას სათავეში იმიტომ ჩაუდგა, რომ მოსახლეობის 97 პროცენტმა მისცა ხმა. უფრო მეტიც, იგი ზომიერ პოლიტიკას ატარებდა და ცდილობდა, სირია ელიტურ სახელმწიფოდ ექცია და არა რელიგიურად.

**იგორ ხოხლოვი:**

— უკანასკნელ წლებში ბაშარ ასადი დასავლეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების გზით მიდიოდა და ის აქტიურად თანამშრომლობდა ევროპულ სპეცსამსახურებთან მრავალი მიმართულებით.

ექსპერტები ირწმუნებიან, რომ ყველაფერი, რაც სირიაში ხდება, აშშ-ის კარგად დაგეგმილი ოპერაციაა. ამერიკელებმა გადაწყვიტეს, რომ რადიკალური ისლამისტები საუკეთესო იარაღს წარმოადგენენ არა მხოლოდ რუსეთისა და ჩინეთის, არამედ თვით ევროპის წინააღმდეგ საბრძოლველადაც კი. ამ ქვეყნების ტერიტორიაზე ხომ დიდი რაოდენობით ცხოვრობენ მუსლიმანები, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში დააფინანსებენ და ნებისმიერ ომს დააწყებინებენ. პოლიტოლოგები დარწმუნებულნი არიან, რომ ტერორისტების მხარდაჭერით აშშ ცეცხლს ეთამაშება.






**ბოლო პერიოდში ცსს-ს ანალიტიკოსებმა ძალზე საინტერესო კვლევა ჩაატარეს და დაადგინეს, რომ, თუ უახლოეს პერიოდში არ მოხდება ბაშარ ასადის ლიკვიდაცია, როგორც ეს მრავალტანჯულ კადაფთან დაკავშირებით მოხდა, 2014 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე მას მოსახლეობის 70 პროცენტი დაუჭერს მხარს. ამერიკა ბევრ რამეზეა წამსვლელი, ოღონდაც ეს არჩევნები არ დაუშვას.**

„ჰუმანიტარული ინტერვენცია“ — ასე უწოდებს ამერიკის ხელისუფლება სირიის წინააღმდეგ დაგეგმილ ოპერაციას. მშვენიერი სიტყვათა შეთანხმებაა, მაგრამ გავიხსენოთ, თუ რას აღნიშნავს ის პრაქტიკაში: **თეთრი ფოსფორის გამოყენება ერაყში ფალუჯის აჯანყების ჩახშობისას, ქიმიური იარაღის გამოყენება ვიეტნამში, ქიმიური შეტევა კუბაზე, ბოლოს და ბოლოს იაპონიის ქალაქების ატომური დაბომბვა, თუ ვინმეს დაავიწყდა, ასევე ჰუმანიტარული მოსაზრებებით განხორციელდა.** მსოფლიო ბატონობისთვის ომში სამართლიანობის, თანასწორობისა და ძმობის დროშის ქვეშ მომხდარი უცნობი ფაქტებიც არანაკლებ შემზარავია.

რამდენიმე დღის წინ აშშ-ში გრანდიოზული სკანდალი გაჩაღდა. ამერიკულმა ჟურნალმა foreign policy გამოაქვეყნა სენსაციური დოკუმენტები, რომლებიც ცსს-ს ეკუთვნოდა. ამას ბომბის აფეთქების ეფექტი ჰქონდა. დოკუმენტებიდან ცნობილი გახდა, რომ **დაახლოებით 25 წლის წინ ირან-ერაყის ომის დროს ამერიკის ხელისუფლებამ იცოდა, რომ სადამ ჰუსეინმა თავისი ოპონენტების წინააღმდეგ ქიმიური იარაღი გამოიყენა. იცოდა, მაგრამ დუმდა, რადგან ეს მისთვის მომგებიანი იყო. მაშინ ვაშინგტონი ბაღდადის საუკეთესო მეგობარი იყო. უფრო მეტიც, აშშ-მა არა მხოლოდ იცოდა ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ, არამედ თავად გასცა სანქცია საამისოდ.** ცსს-ს ყოფილი თანამშრომელი რეი მაკგოვერნი ადასტურებს, რომ ქიმიური იარაღის გამოყენების ნებართვა ნამდვილად პენტაგონისგან იქნა მიღებული.



**რეი მაკგოვერნი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი:**

— აშშ-ის ხელისუფლება ერაყს ირანის დაპყრობაში ეხმარებოდა. ამერიკამ მიაწოდა ერაყს ფოტოები თანამგზავრებიდან და თვალები დახუჭა ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტზე. შედეგად, ერაყმა თითქმის მოიგო ომი. არადა, ირანელები უკვე ძალიან ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან, როდესაც ეს მოხდა. ჩვენ ვიცოდით, რაც ხდებოდა და ყველამ იცოდა, რომ არსებობს ჟენევის კონვენცია, რომელიც კრძალავს ქიმიური იარაღის გამოყენებას.

ამის თაობაზე დუმს გაეროც და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კომისიაც. ცხადია, დუმან თავად ამერიკელებიც, მაგრამ **მთელმა მსოფლიომ დიდი ხანია იცის, რომ აშშ-ის არმია მუდამ იყენებს ქიმიურ იარაღს.** 2004 წლის 18 ივნისის კადრებში ერაყული ქალაქი ელ-ფალუჯა ამერიკული დაბომბვის შემდეგ მიწასთანაა გასწორებული. ქალაქი მთლიანად აღგვილია პირისაგან მიწისა. ქუჩები სავსეა დახოცილების დასახიჩრებული ცხედრებით. მსხვერპლი იმდენი იყო, რომ ქუჩებიდან მიცვალებულების გატანას ვერ ასწრებდნენ. დახოცილებს შორის იყო უამრავი მოხუცი, ქალი და ბავშვი. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. **დოკუმენტურ კადრებში გარკვევით ჩანს, რომ ყველა დაზარალებულს ერთნაირი დამწვრობები აქვს მიღებული. ეს ქიმიური დამწვრობაა, რომელსაც განაპირობებს უძლიერესი მომწამვლელი ნივთიერების — თეთრი ფოსფორის გამოყენება.** ჰაერთან ურთიერთქმედების შედეგად ის ყველაფერ ცოცხალს ანადგურებს მთელი კილომეტრის რადიუსში. ეს იარაღი გაეროს კონვენციითაა აკრძალული, მაგრამ აშშ-მა ამ კონვენციას რატომღაც ხელი არ მოაწერა.

არსებობს სხვა კადრებიც, რომლებზეც სერბეთია აღბეჭდილი. **1999 წელს ამერიკულმა გამანადგურებლებმა ის გაღატაკებული ურანით დატენილი ბომბებით დაბომბეს. გაღატაკებული ურანი არის ბირთვული იარაღის წარმოების ერთ-ერთი გვერდითი პროდუქტი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამერიკელები სერბეთს მინი ბირთვული ბომბებით ბომბავდნენ.** ყველაზე საშინელი ისაა, რომ ამერიკული ბომბდამშენები სპეციალურად უმიზნებდნენ სერბეთის სამრეწველო კომპლექსებს, ნავთობკომბინატებს, აზოტის ქარხნებს, ალუმინის საწარმოებს. ეს ყველაფერი განადგურდა. უდიდესი რაოდენობით ტოქსიკური ქიმიური შენაერთები შედეგად ატმოსფეროში, ჰაერსა და ნიადაგში მოხვდა. ამერიკული დაბომბვების შემდეგ ეკოლოგიური კატასტროფა იმდენად მასშტაბური იყო, რომ **სერბეთის ჯანდაცვის მინისტრმა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა: „ჩვენი ქიმიური ქარხნები ადოლფ ჰიტლერსაც კი არ დაუბომბავს. აშშ და ნატო კი მშვიდად აკეთებენ ამას — ანადგურებენ მდინარეებს, წამლავენ ჰაერს, ხოცავენ ხალხს, კლავენ ქვეყანას“.**

საოცარია, მაგრამ დღეს ბევრს არც კი ახსოვს, რომ პირველი და ერთადერთი ბირთვული თავდასხმა ჩვენს პლანეტაზე სწორედ აშშ-მა განახორციელა. ხიროსიმაში აფეთქების ტალღა შენობების ფანჯრებზე შუშებს 19 კილომეტრის რადიუსში ამსხვრევდა. რადიაციული ხანძრის ფართობი 11 კვადრატულ კილომეტრს მოიცავდა. ადამიანთა სხეულები წამში იფერფლებოდა, ვინც აფეთქებისთანავე არ მოკვდა, ტანჯვა-წამებით კვდებოდა რამდენიმე დღის მანძილზე. რადიაციისგან მათ კანი გადაძვრათ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. **იმ დღეს, 1945 წლის 6 აგვისტოს, ამერიკელების ხელით 90 ათასი ადამიანი მოკვდა. ხუთი წლის შემდეგ რადიაციით კიდევ 200 ათასი ადამიანი დაიხოცა.**

**საოცარია, მაგრამ ამერიკის სკოლებში ჰიროსიმისა და ნაგასაკის ბირთვული დაბომბვის შესახებ საუბარი მაინცდამაინც მიღებული არაა, ამიტომ უამრავ ამერიკელ ბავშვს ჰგონია, რომ იქ ბომბები საბჭოთა კავშირმა ჩამოყარა და არა ამერიკამ. აღზრდის სფეროში მოქმედებს პატრიოტული ცენზურა, რომელიც იდეოლოგიურ ასპექტებს ეფუძნება.**

იმის თაობაზე, რომ აშშ-ის არმიის სინდისზე უამრავი სამხედრო დანაშაულია, პირველად ღიად მხოლოდ 70-იანი წლების დასაწყისში ალაპარაკდნენ. მაშინ მსოფლიოში ნამდვილი სკანდალი იყო, რადგან **სიმართლე არა დამოუკიდებელმა მკვლევარმა ან ჟურნალისტმა, არამედ პენტაგონის ყოფილმა თანამშრომელმა გაამხილა.** ეს **დენიელ ელსბერგი** იყო.



**„ვიკილიქსის“ დამაარსებელი ჯულიან ასანჟის და ცსს-ს ყოფილი აგენტის — ედვარდ სნოუდენის გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე მან გადაწყვიტა, რომ მსოფლიოს სიმართლე უნდა სცოდნოდა და მოიპარა 7 ათასი საიდუმლო დოკუმენტი ვიეტნამის ომის შესახებ.** სწორედ ელსბერგის დამსახურებით გაიგო მსოფლიომ, როგორ ანადგურებდნენ ამერიკელები ვიეტნამელებს.

**1968 წლის 16 მარტის ვიეტნამურ კადრებზე კარგად ჩანს, თუ როგორ გადაწვა ამერიკის არმიამ სოფელი სანგმი მოსახლეობასთან ერთად. რაც ცეცხლს გადაურჩა, ჯარისკაცებმა ბომბებით გაასწორეს მიწასთან, დაჭრილი ბავშვები, ქალები და მოხუცები კი ავტომატებით ჩაცხრილეს. სოფელში ამერიკელებმა სულ 500 მშვიდობიანი ვიეტნამელი მოკლეს, მათ შორის მხოლოდ 60 იყო ზრდასრული მამაკაცი.**

ამ სასაკლაოს მომწყობთაგან სასამართლომდე ერთადერთმა ადამიანმა მიაღწია. ეს იყო ლეიტენანტი კელი, რომელსაც სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. სამი დღის შემდეგ, თავად პრეზიდენტ ნიქსონის განკარგულებით, იგი შიდა პატიმრობაში გადაიყვანეს, სამი წლის შემდეგ კი სულაც გაათავისუფლეს და აშშ-ის არმიაში დააბრუნეს. კელი პენსიაზე პოლკოვნიკის წოდებით გავიდა.

„ჰუმანიტარული ინტერვენცია“ ერქვა ერაყსა და ავღანეთში შეჭრასაც, სერბეთში მომხდარსაც და რუსეთში შეჭრასაც. რუსეთის ისტორიაში ეს ნაკლებად ცნობილი და დავიწყებული ეპიზოდია, მაგრამ **ამერიკელებმა რუსეთშიც მოასწრეს ცხვირის შეყოფა. მე-20 საუკუნის დასაწყისში, როდესაც სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, რუსეთში უცხოელი ინტერვენტები — ინგლისელები, იაპონელები, ფრანგები და კანადელები შეიჭრნენ. ყველას აშშ ედგა სათავეში და, როგორც ამბობდნენ, ისინი თეთრი არმიის დასახმარებლად გამოცხადდნენ.** მაგრამ არქივებში დაცული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ **ბრძოლებში მათი ჯარები არ მონაწილეობდნენ. მაშ, რაღას აკეთებდნენ და როგორ ეხმარებოდნენ თეთრ არმიას?** ისტორიკოსებმა იციან ამ კითხვაზე პასუხი — **ძარცვავდნენ რუსეთს, ხოცავდნენ და აწამებდნენ ქალებს, კაცებსა და ბავშვებს!**

ბევრს საკონცენტრაციო ბანაკები ჰიტლერის გამოგონება ჰგონია, მაგრამ სინამდვილეში სახელგანთქმულ დაჰაუმდე 15 წლით ადრე პირველი საკონცენტრაციო ბანაკები რუსეთში, არხანგელსკთან ახლოს ინგლისელმა და ამერიკელმა ინტერვენტებმა დააარსეს. უფრო ადრე პირველი საკონცენტრაციო ბანაკი ამერიკელებმა ინდიელებისთვის შექმნეს და დიდი წარმატებითაც გამოიყენეს.

**პირველი „ჰუმანიტარული ინტერვენცია“ აშშ-ის არმიამ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში განახორციელა — ინდიელებს ქოლერით დასნებოვნებული პლედები დაურიგა და რეზერვაციებში, ანუ საკონცენტრაციო ბანაკებში შეყარა. დღეს დღის წესრიგში სირია დგას, მაგრამ ჩნდება კითხვა: ვინ იქნება შემდეგი?**



**„РЕН-ТВ“**
**Военная тайна**
**с Игорем Прокопенко**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ ომში ყველაზე მძიმე მდგომარეობაში სირიელი ქრისტიანები არიან... ტერორისტები წვავენ ტაძრებს, თავს ესხმიან მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს... ამ დრომდე ვაშინგტონის მოკავშირე რადიკალური ისლამის მიმდევართა ანტიქრისტიანული მიმართულება სირიაში სათანადო წინააღმდეგობას არ შეხვედრია.**

# ობამას ომი ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანების წინააღმდეგ

**აშშ-ის შესაძლო შეჭრა სირიაში იმ ქაოსისა და სისხლიანი აურზაურის პირობებში, რომელიც ამ ქვეყანაში, უკვე ორი წელია, მეფობს, შესაძლოა, მთელი მსოფლიოსთვის გარდატეხის მომენტად იქცეს. ყველაფერი, რაც ხდებოდა და ხდება ახლო აღმოსავლეთში ობამას პრეზიდენტობის პერიოდში — ტუნისი იქნებოდა ეს, ლიბია, ეგვიპტე, იემენი თუ სირია — სხვა არაფერია, თუ არა ამერიკის პირდაპირი ჩარევა ამ ქვეყნების შიდა საქმეებში.**




## ახლოაღმოსავლეთის ქრისტიანთა დევნაში ობამას ადმინისტრაციამ გადამწყვეტი როლი შეასრულა

ახლა ობამას, უბრალოდ, არ შეუძლია აღიაროს, რომ სირიამ გაუძლო დასავლეთის ზეწოლას, აშშ-ის ფსონმა ისლამისტების ტერორზე ვერ გაამართლა, ასადის მთავრობა ხელისუფლებაში რჩება და, რაც უფრო მეტ ხანს გრძელდება ეს, მით უფრო მეტი ადამიანი უჭერს მხარს მოქმედ რეჟიმს. ამიტომაც მზადების პროცესში არსებული **აგრესია, რომელსაც ცინიკურად უწოდებენ მშვიდობიანი მოსახლეობის გადარჩენისა და ხსნის მცდელობას, სინამდვილეში დამარცხების პირას მყოფი მეამბოხეების მხარდაჭერის საშუალებაა.**

საჰაერო და სარაკეტო დარტყმების მიყენების მთავარი მიზანი სირიის არმიის ინფრასტრუქტურის განადგურებაა, რის შემდეგად, ობამას ჩანაფიქრის თანახმად, ხელისუფლების შეცვლის საქმით დაკავდებიან მშვიდობიან მოსახლეობასთან ბრძოლის გამოცდილების მქონე ისლამისტი ბოევიკების ბანდები. **მათ შორის, ვინც იარაღით ხელში იბრძვის სირიაში სამთავრობო ჯარის წინააღმდეგ, მხოლოდ 5%-ს წარმოადგენენ სირიელები, დანარჩენები არიან უცხოელი დაქირავებული ჯარისკაცები, რომლებიც ფულის გამო ომობენ.**

**ამ ომში ყველაზე მძიმე მდგომარეობაში სირიელი ქრისტიანები არიან... ტერორისტები წვავენ ტაძრებს, თავს ესხმიან მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს... ამ დრომდე ვაშინგტონის მოკავშირე რადიკალური ისლამის მიმდევართა ანტიქრისტიანული მიმართულება სირიაში სათანადო წინააღმდეგობას არ შეხვედრია.**

ადრე კონგრესი უარს აცხადებდა, დაემტკიცებინა ობამას გეგმა „სირიელი მეამბოხეებისთვის“ სამხედრო-ფინანსური მხარდაჭერის შესახებ უპირველესად სირიის ქრისტიანული თემების დევნის გათვალისწინებით. კონგრესმენების აბსოლუტური უმრავლესობა ეთანხმებოდა აზრს, რომ აშშ-ს არ ჰქონდა უფლება, უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მხარი დაეჭირა „მხეცური განმათავისუფლებლებისთვის“, რადგან მშვიდობისმყოფელ პრეზიდენტ ობამასგან განსხვავებით, ისინი მიიჩნევდნენ, რომ ამგვარი პოლიტიკა არანაირ გარანტიებს არ ტოვებს სირიის რელიგიური უმცირესობებისთვის, ისლამისტების მხარდაჭერა კი განაპირობებდა მათ მიერ ქრისტიანი მოსახლეობის გაცნობიერებულ და მიზანმიმართულ ჟლეტას.

**ახლა ყოველდღიურად მოდის სირიიდან ახალი ამბები, რომლებშიც ტერორისტების მხრიდან ქრისტიანების წინააღმდეგ ჩადენილი სისასტიკეა აღწერილი.** მაგალითად, **რამდენიმე კვირის განმავლობაში ბოევიკების გარემოცვაში იმყოფებოდა ქრისტიანული ქალაქი რაბლეჰი. იქ ისლამისტები ხოცავდნენ ყველას, ვინც შეეცდებოდა ქალაქში შესვლას ან იქიდან გასვლას, მათ შორის ქრისტიანული რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებსაც, რომლებიც ცდილობდნენ, ალყაში მოქცეულთათვის საკვები და მედიკამენტები მიეწოდებინათ. ახლა სირიაში იმ ადგილებში, სადაც ბოევიკები ომობდნენ, არ მოიძებნება წაუბილწავი ქრისტიანული ტაძარი, უცხოელი დაქირავებული ჯარისკაცები ფეხქვეშ თელავენ ქრისტიანულ სიწმინდეებს.**

აშშ-ის ადმინისტრაციის ჩანაფიქრი, რაც შეიძლება მეტად გაამწვავოს კონფესიათშორისი კონფლიქტი, არ შემოიფარგლება მხოლოდ სირიით, ის მთელ არაბულ სამყაროს მოიცავს. ეს ძალიან ჰგავს ქრისტიანობის ჩასახვის ისტორიული რაიონების განადგურების საერთო გეგმას და ამჯერადაც მხოლოდ სირიაზე არ არის საუბარი. **დღეს მსოფლიო იმ ყველაფრის განადგურების მოწმეა, რასაც ქრისტიანობა ორი ათასწლეულის მანძილზე ქმნიდა. მძვინვარე „არაბული გაზაფხულის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი სწორედ ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანთა გენოციდია.**

ეგვიპტელმა კოპტებმა, რომლებიც ალექსანდრიაში ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ჩავიდნენ და პირველი ქრისტიანული თემები შექმნეს, უკვე საკუთარ თავზე იწვნიეს ამგვარი პოლიტიკა. კოპტები — მართლმადიდებელი ქრისტიანები, ეგვიპტეში 10 მილიონამდე სულს ითვლიდნენ ამერიკის მიერ თავსმოხვეულ რევოლუციამდე.

**არეულობების მხოლოდ ოთხი დღის მანძილზე ეგვიპტეში კოპტების 30 მართლმადიდებლური ტაძარი, 14 კათოლიკური ეკლესია და 5 პროტესტანტული სამლოცველო განადგურდა.** კოპტების უმეტესობამ დატოვა ეგვიპტე, რათა გადარჩენილიყო, თუმცა ამაზე, ისევე, როგორც იმაზე, რომ **ამერიკელების მიერ „გათავისუფლებულ“ ერაყში 2003 წელს ამერიკელების შეჭრამდე 2 მილიონი ქრისტიანი ცხოვრობდა, „გათავისუფლების“ შემდეგ კი — 300 ათასზე ნაკლები დარჩა,** დასავლეთში შეგნებულად ამჯობინებენ დუმილს. თანამედროვე ისტორიაში ანალოგიური შედეგების მოძებნა პრაქტიკულად შეუძლებელია.

ერაყში ამერიკელების შეჭრა ნამდვილ ქაოსად იქცა ადგილობრივი ქრისტიანებისთვის. ამერიკელი პოლიტოლოგი ***ენდრიუ დოულენი*** თავის სტატიაში How the Iraq War Became a War on Christians აღნიშნავს: **„საბრძოლო მოქმედებების დასრულებიდან სულ ცოტა ხანში, 2003 წლის 1 მაისს ნამდვილი კონფლიქტი დაიწყო. თანმდევი ქაოსისა და სექტანტური ძალადობის გარდა, ადგილობრივი ქრისტიანები დაუნდობელი დევნის ობიექტებად იქცნენ. არც ამერიკელ სამხედროებს, არც სახელმწიფო დეპარტამენტს არაფერი გაუკეთებიათ მათ დასაცავად... სისტემატიური ძალადობის კამპანიის პირობებში, ამერიკელმა სამხედროებმა არანაირი დაცვით არ უზრუნველყვეს ადგილობრივი ქრისტიანები. ზოგიერთ შემთხვევებში სასულიერო პირები მიმართავდნენ ამერიკელ სამხედროებს და ევედრებოდნენ, დაეცვათ ქრისტიანები, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ. ერაყში ამერიკული ადმინისტრაცია, ისევე, როგორც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, უარს ამბობდნენ იმის აღიარებაზე, რომ ქრისტიანებსა და სხვა რელიგიურ უმცირესობებს ერაყში მათი რწმენის გამო დევნიდნენ. იმ ერაყელ ქრისტიანებს, რომლებმაც ამერიკაში გაქცევა მოახერხეს, თავშესაფრის მიღებაზე უარი უთხრეს და დეპორტით დააბრუნეს უკან“.**

ერაყული კამპანიის შედეგად განადგურდა მთელი ქვეყნის მასშტაბით ქრისტიანული სიწმინდეები და მოსახლეობის მასობრივი გადინება დაიწყო. მხოლოდ 2003-2006 წლებში ქვეყანა 350 ათასმა ქრისტიანმა დატოვა. საერთაშორისო მართლმადიდებლური საქველმოქმედო სამსახურის — IOCC-ის მონაცემებით, ახლა ერაყში მხოლოდ 140 ათასი ქრისტიანილა ცხოვრობს, ვინც ანტიოქიის პატრიარქატს, სირიულ მართლმადიდებლურ და სომხურ სამოციქულო ეკლესიას მიეკუთვნებოდა.

**„ოდესღაც მათი რაოდენობა 750 ათასს უტოლდებოდა 30-მილიონიან ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა ისლამის მიმდევარია. 2003 წელს აშშ-ის მეთაურობით ქვეყანაში კოალიციის ძალების შეჭრით გაღვივებული ეთნიკური და რელიგიური სიძულვილის ცეცხლი პირველად სწორედ ქრისტიანებს მისწვდა. მათ ემუქრებოდნენ, დევნიდნენ საკუთარი სახლებიდან, კლავდნენ, უწვავდნენ სამლოცველოებსა და ტაძრებს. ათასობით ადამიანი, რომლებიც ერთ საათში იქცნენ არაერთმორწმუნედ მანამდე მეგობრულ ხალხს შორის, მთელ ქვეყანაში დაძრწოდა თავშესაფრის საძებნელად „შიდა გადაადგილებული პირის“ სტატუსით“,** — წერდა ჟურნალი Alarab Online.

ალსანიშნავია, რომ ერაყიდან დევნილი ქრისტიანების უმეტესობამ თავშესაფარი მუსლიმანურ სირიაში ჰპოვა. ეს ფაქტი იმაზე მიანიშნებს, რომ ქრისტიანებსა და მუსლიმანებს შორის თანაცხოვრება პრობლემა არ არის, მაგრამ **დასავლეთის მიერ დაფინანსებული „რადიკალური ისლამიზმი“ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ქრისტიანობას, არამედ რეგიონის მილიონობით მშვიდობიან მუსლიმანსაც.**

რაც შეეხებათ ზემოხსენებულ ეგვიპტელ კოპტებს, კაიროს კოპტების თემის ლიდერის განცხადებით, **„ძმებ მუსლიმებს“ ქრისტიანები მიზანში ჰყავთ ამოღებული. დასავლეთს ამ დრომდეც არ შეუძლია გაიგოს, რომ ეს არ არის დემოკრატიული ღირებულებების მქონე ისლამური პარტია. ესენი არიან ტერორისტები, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით“.**

ერაყისგან განსხვავებით, ეგვიპტელი ქრისტიანები საფრთხეს არ ერიდებიან და განაგრძობენ ბრძოლას საკუთარი უფლებებისთვის. ამასთან, ძალზე საინტერესოა ის ფაქტი, რომ ყველა შემთხვევაში, სადაც კი ქრისტიანებს დევნიდნენ ბოლო პერიოდში, რადიკალური ისლამისტები მომზადებას გადიან თურქეთში, საიდანაც დაიწყო კიდეც ახლო აღმოსავლეთის დექრისტიანიზაციის პროცესი 1915 წელს.

**„თურქეთის ხელისუფლებამ „ალ ქაიდას“ ათასობით მკვლელს სირიაში შემოღწევის საშუალება მისცა, რათა საზარელი დანაშაულები ჩაიდინონ მშვიდობიანი სირიელების წინააღმდეგ, განავრცონ ქაოსი და გაანადგურონ ქვეყანა. ის არა მხოლოდ ღებულობდა სირიისადმი მტრულად განწყობილ ორგანიზაციებს არაბული თუ სხვა ქვეყნებიდან, არამედ უზრუნველყოფდა მათ ფულითა და იარაღით და უქმნიდა საწვრთნელ ბანაკებს ტერორისტებს“,** — ეწერა სირიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართვაში გაეროსადმი.

**თუ ისლამისტები ხელში ჩაიგდებენ სირიას, ქრისტიანთა განადგურების სცენარი ბევრად უფრო შემზარავი იქნება, ვიდრე ერაყში იყო, რადგან სირიაში, ერაყისგან განსხვავებით, ქრისტიანებსა და მუსლიმანებს შორის გაცილებით უფრო მჭიდრო და ღრმა კავშირი იყო.** თუ ერაყში კონფესიათშორისი ურთიერთობები წმინდად პარტნიორული იყო, სირიაში ამას ჰუმანური და ჰუმანიტარული ხასიათი აქვს. ამიტომაც ისლამისტების დამოკიდებულება ქრისტიანების მიმართ აბსოლუტურად სხვაგვარი იქნება. **ისლამისტები მიიჩნევენ, რომ უნდა გაანადგურდეს ყველაფერი, რაც ქრისტიანულია, სირიაში ეს პროცესი უკვე დაიწყო.**

სირიის დაცემის შემთხვევაში, რეგიონში ქრისტიანობის ერთადერთ თავშესაფარად ლიბანი დარჩე- ▶

**დღეს მსოფლიო იმ ყველაფრის განადგურების მოწმეა, რასაც ქრისტიანობა ორი ათასწლეულის მანძილზე ქმნიდა. მძვინვარე «არაბული გაზაფხულის» ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი სწორედ ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანთა გენოციდია**

**11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ-უმცროსმა უსამა ბენ ლადენის გადაცემა მოითხოვა „თალიბანისგან“, რაზეც უარი მიიღო. დაიწყო ოპერაცია „უსაზღვრო მართლმსაჯულება“, რომელიც მალე გადაიქცა „დაუმარცხებელ თავისუფლებად“. 2001 წლის ოქტომბერში დაიწყო სარაკეტო დარტყმები და დაბომბვები. ეს არის ყველაზე ხანგრძლივი ომი აშშ-ის ისტორიაში, რომელიც ჯერაც არ დასრულებულა.**

მსოფლიო
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ-ის ბოლო 30 წლის სამხედრო ინტერვენციები

ბა. საბედნიეროდ, იქ, მრავალწლიანი მოლაპარაკებების შედეგად, ქრისტიანები და მუსლიმანები მივიდნენ იმ მნიშვნელოვან შეთანხმებამდე, რომელმაც ქვეყანა საპრეზიდენტო მმართველობიდან საპარლამენტოზე გადაიყვანა. შეთანხმების თანახმად, პრეზიდენტის თანამდებობაზე ქრისტიანული თემის წარმომადგენელი უნდა მუშაობდეს, პრემიერმინისტრად კი — მუსლიმანურის.

აღნიშნულმა შეთანხმებამ, რელიგიური თვალსაზრისით, განაპირობა ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნება, მაგრამ **ნებისმიერ გარეშე პროვოკაციას შეუძლია სამოქალაქო ომის რეანიმირება და ამ შემთხვევაში ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანების სრული გაწყვეტა გარდაუვალი იქნება.** ამ სავალალო პერსპექტივის პირველი ზარი მიმდინარე წლის აგვისტოში უკვე გაისმა — ლიბანის სიდიდით მეორე ქალაქ ტრიპოლში სირიელი „ამბოხებულების“ მხარდამჭერ რადიკალურ სუნიტურ დაჯგუფებებსა და ბაშარ ასადის მხარდამჭერ ალავიტებს შორის შეტაკებას 42 ადამიანი ემსხვერპლა, 400-მდე კი — დაიჭრა.

როგორც ჩანს, **რეგიონში ქრისტიანების განადგურება სერიოზული ინტერესების სფეროა. თუმცა გენოციდს ექვემდებარებიან არა მხოლოდ ქრისტიანები, არამედ ის მუსლიმანებიც, რომლებიც მშვიდობიანი თანაარსებობის მომხრენი არიან ორ უძველეს ცივილიზაციას შორის.** რაც მთავარია, ახლა ახლო აღმოსავლეთში მთელი ხალხების განადგურება წარსულის დანაშაულებათა უარყოფით ხორციელდება. სახელმწიფოებს, რომლებიც გენოციდის პოლიტიკას ახორციელებენ, საერთაშორისო საზოგადოების დუმილის სახით ამ გენოციდისთვის ორდერი ჯიბეში უდევთ.

**ვაშინგტონის ხელდასმითა და ხელშეწყობით ახლო აღმოსავლეთი „ალ ქაიდას“, „ანნუსრის ფრონტის“ და „ძმები მუსლიმების“ ხელში გადადის, საეჭვოა, იქ ქრისტიანულმა კულტურამ თავი გადაირჩინოს. ახლოაღმოსავლეთის ქრისტიანთა დევნაში კი ობამას ადმინისტრაციამ გადამწყვეტი როლი შეასრულა.** არადა, წინა პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის, კრიტიკა იმის გამო, რომ მან კონგრესის მხარდაჭერის გარეშე დაიწყო ერაყში ომი, ობამას პირველი წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მთავარი კოზირი იყო. ობამამ ამომრჩეველთა ხმები იმ დაპირების წყალობით მოიპოვა, რომ ახალ ომებს აღარ დაიწყებდა, ახლა კი იგი გამუდმებით იშველიებს ამერიკის მითიური ინტერესების დაცვას სირიაში და ნაკლებად აღელვებს, რომ თვით ამერიკელთა 60% სირიაში ინტერვენციას ვერანაირად აკავშირებს ნაციონალური ინტერესების დაცვასთან.

**თუ ამ ტემპით გაგრძელდება ობამას ომი ქრისტიანების წინააღმდეგ, იგი ნამდვილად „ღირსეული“ ცვლა იქნება თავისი წინამორბედებისა და თანამოაზრეებისა, რომლებმაც 1999 წლის აღდგომის დღესასწაულზე ნატოს თვითმფრინავებით ბელგრადი დაბომბეს, ბომბებზე კი დააწერეს: „ბედნიერი აღდგომა!“**

yerkramas.org, topwar.ru

**უკანასკნელი 30 წლის მაგალითები უდავოდ მოწმობს იმას, რომ სხვა ქვეყანაზე დარტყმისთვის აშშ-ს ნაკლებად სჭირდება გაეროს უშიშროების საბჭოს სანქცია ან ფართო მხარდაჭერა თუნდაც საკუთარი მოკავშირეების მხრიდან.**


გრენადა, 1983 წ.

## გრენადა, 1983 – ცალმხრივი ინტერვენცია აშშ-ის მხრიდან

1979 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ ხელისუფლებაში რადიკალური მემარცხენე მოძრაობა მოვიდა. 1983 წლის ოქტომბერში რამდენიმე ასეული ამერიკელი სტუდენტი-მედიკოსის დაცვის ეგიდით, **აშშ-ის პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა გასცა ბრძანება შეჭრის დასაწყებად. გრენადის წინააღმდეგ აშშ-ის სამხედრო ინტერვენციის კოდური სახელწოდება იყო „მრისხანების აფეთქება“.**

## პანამა, 1989 – ცალმხრივი ინტერვენცია აშშ-ის მხრიდან

80-იანი წლების შუა პერიოდში აშშ-სა და პანამას შორის გაჩაღდა კონფლიქტი პანამის არხზე კონტროლის გამო. როდესაც პანამის ხელისუფლებამ აშშ-ისგან დამოუკიდებელი საგარეოპოლიტიკური კურსის გატარება დაიწყო და ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ხელისუფლებებთან ურთიერთობები გაიმყარა, აშშ-ის მხრიდან სერიოზული დიპლომატიური, ეკონომიკური და ინფორმაციული ზეწოლა დაიწყო. ეკონომიკურ სანქციებს მოჰყვა გადატრიალების წარუმატებელი მცდელობა. **1989 წლის დეკემბერში აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ- ბუშ-უფროსმა პანამის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია „მართალი საქმის“ დაწყების ბრძანება გასცა.**

## ერაყი, 1991 – ნატოს ინტერვენცია გაეროს სანქცირებით

ინტერვენციის საბაბად იქცა ერაყის თავდასხმა ქუვეითზე. 1990 წლის ივლისში სადამ ჰუსეინმა ქუვეითი მსოფლიო ბაზარზე ფასების დაწევის გზით ერაყის წინააღმდეგ ომის წარმოებაში და რუმეილას სასაზღვრო საბადოზე ნავთობის უკანონო მოპოვებაში დაადანაშაულა. 1990 წლის აგვისტოში ერაყის არმია ქუვეითში შეიჭრა და მისი ოკუპირება მოახდინა. ამის გამო ერაყს სანქციები დაუწესეს, გაეროს უშიშროების საბჭომ შექმნა საერთაშორისო კოალიცია, რომელსაც სათავეში აშშ ჩაუდგა. **დაიწყო ოპერაცია „უდაბნოს ფარი“. 1991 წლის იანვარში კი აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა ქუვეითის გასათავისუფლებელი ანტიერაყული ოპერაცია დაიწყეს.**


სომალი, 1993 წ.

## სომალი, 1993 – აშშ-ისა და მთელი რიგი ქვეყნების ინტერვენცია გაეროს სანქციით

ეს არის კიდევ ერთი წარუმატებელი ფურცელი ამერიკის ისტორიაში ვიეტნამის ომის შემდეგ. 80-იანი წლების დასაწყისში სომალიში სამოქალაქო ომის ნიშნები გაჩნდა. 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში სრულმასშტაბიანი სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა და ჰუმანიტარული კატასტროფა მძვინვარებდა. **1992 წლის დეკემბერში ოპერაცია „იმედის გაცოცხლება“ დაიწყო და ქვეყანაში გაეროს სამშვიდობოები შევიდნენ. რეალურად ოპერაცია დაიწყო აშშ-ის საზღვაო ქვეითთა გადასმით ქვეყნის დედაქალაქში. 1993 წელს დაიწყო ახალი ოპერაცია „იმედის გაგრძელება“.**

## იუგოსლავია, 1995 – ნატოს ოპერაცია გაეროს უშოშროების საბჭოს სანქციის გარეშე

ეს იყო ნატოს ისტორიაში პირველი მსხვილმასშტაბიანი აქცია, რომელიც საერთაშორისო სამართლის პრინციპების წინააღმდეგ განხორციელდა. გაეროს უშიშროების საბჭო არ იღებდა რეზოლუციას, რომელიც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მხრიდან ძალის გამოყენების სანქციას გასცემდა. ბოსნიური ომის შემდეგ აშშ და მისი მოკავშირეები ანტისერბულ პოზიციას ინარჩუნებდნენ და ღიად უჭერდნენ მხარს ბოსნიელ მუსლიმანებს. **1995 წელს განხორციელდა ოპერაცია „გააზრებული ძალა“. ბოსნიელი სერბების პოზიციები ნატოს ავიაციის მხრიდან საჰაერო დაბომბვის სამიზნედ იქცა.**

## ავღანეთი და სუდანი, 1998 – ცალმხრივი ინტერვენცია აშშ-ის მხრიდან

1998 წელს ტანზანიასა და კენიაში აშშ-ის საელჩოს წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტები იქცა საბაბად, რომ აშშ-ს ავღანეთში ბოევიკების მოსამზადებელ ბანაკებზე სარაკეტო დარტყმები განეხორციელებინა. სარაკეტო დარტყმების მსხვერპლი გახდა სუდანის ფარმაკოლოგიური ფაბრიკაც, რომელიც, აშშ-ის მთავრობის მტკიცებით, ქიმიური იარაღის წარმოებისთვის გამოიყენებოდა.

## იუგოსლავია, 1999 – ნატოს ინტერვენცია გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე

აშშ-ის ხელმძღვანელობით, ნატოს ძალების ინტერვენციის საბაბი ამჯერად კოსოვოს ომი გახდა. ეთნიკურ წმენდებსა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულებში ბრალდების გამო **დაიწყო ოპერაცია „მოკავშირე ძალა“. ამ ოპერაციასაც „ჰუმანიტარული ინტერვენციის“ სტატუსი ჰქონდა. სარაკეტო დარტყმებისა და დაბომბვის სამიზნედ იქცა იუგოსლავიის დედაქალაქი ბელგრადი და მრავალი დასახლებული პუნქტი.**

## ავღანეთი, 2001 – ნატოს ინტერვენცია გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე

11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ-უმცროსმა უსამა ბენ ლადენის გადაცემა მოითხოვა „თალიბანისგან“, რაზეც უარი მიიღო. **დაიწყო ოპერაცია „უსაზღვრო მართლმსაჯულება“, რომელიც მალე გადაიქცა „დაუმარცხებელ თავისუფლებად“. 2001 წლის ოქტომბერში დაიწყო სარაკეტო დარტყმები და დაბომბვები.** ეს არის ყველაზე ხანგრძლივი ომი აშშ-ის ისტორიაში, რომელიც ჯერაც არ დასრულებულა.

## ერაყი, 2003 – აშშ-ისა და რიგი მოკავშირეების შეჭრა გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე

აშშ-ის ხელისუფლება მცდარი სადაზვერვო ინფორმაციისა და ყალბი მტკიცებულებების საფუძველზე ცდილობდნენ მსოფლიო საზოგადოების დარწმუნებას, რომ ერაყი მასობრივი განადგურების იარაღს ქმნიდა. **2003 წლის მარტში დაიწყო ოპერაცია „ერაყული თავისუფლება“.** მაისის დასაწყისში აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ-უმცროსმა გამოაცხადა ომის აქტიური ფაზის დასრულების შესახებ, მაგრამ ომის ოფიციალური დასრულების თარიღად ითვლება 2011 წელი, როდესაც ერაყიდან ამერიკის ჯარი გავიდა.

## პაკისტანი, იემენი, სომალი, 2002 წლიდან დღემდე – გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე უპილოტო საფრენი აპარატებით დარტყმები

უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება აშშ-ის მხრიდან ტერორისტულ დაჯგუფებებთან დაშორებული ომის განუყოფელ ნაწილად იქცა. დარტყმების ინტენსივობა გაორმაგდა მას შემდეგ, რაც აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა გახდა. გაერომ არაერთხელ გააკრიტიკა ეს პრაქტიკა და აღნიშნა, რომ დრონები გაუმართლებელ რისკს წარმოადგენენ მშვიდობიანი მოსახლეობისთვის.

## ლიბია, 2011 – ნატოს ინტერვენცია გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციით

2011 წლის თებერვალში ლიბიაში შეიარაღებული დაპირისპირება გაჩაღდა პრეზიდენტ მუამარ კადაფის მომხრეებსა და ოპოზიციურ დაჯგუფებებს შორის. დღემდე დაუმტკიცებელი მიზეზით, მშვიდობიანი აქციების დასაშლელად ავიაციის გამოყენების საბაბით, გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ლიბიის ოფიციალური ხელისუფლების წინააღმდეგ სანქციები უნდა დაწესებულიყო. მარტის ახალი რეზოლუციით, ლიბიის ცა არასაფრენ ზონად გამოცხადდა. **ნატოს ქვეყნებმა ლიბიაში სახელისუფლო ობიექტებისა და ჯარის დაბომბვა დაიწყეს. ოფიციალურად ომი 2011 წლის ოქტომბერში კადაფის მკვლელობით დასრულდა,** მაგრამ ლიბიაში ამ დრომდეც გრძელდება შეიარაღებული შეტაკებები მეამბოხე და გასამხედროებულ ჯგუფებს შორის.

Globalconflict.ru


პანამა, 1989 წ.

მედიცინა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დანადგარები, რომლებიც თოდუას კლინიკაში უნდა დაიდგას, არის თანამედროვე სხივური ტექნოლოგიები სხივური ამაჩქარებლის ბაზარზე, რაც საფუძველს უყრის ამ დარგის განვითარებას უკვე ბირთვული მედიცინის საფუძველზე. ამით კი იქმნება პერსპექტივა, რომ სხივურმა თერაპიამ სხივური ქირურგიის კონტური მიიღოს, როცა ჩვენ დანის ნაცვლად სხივს გამოვიყენებთ.“**

# კიბოს წინააღმდეგ — ახალი ტექნოლოგიებით

**კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, რომელიც ფრიდონ თოდუას კლინიკის სახელით უფროა ცნობილი, გასულ კვირაში ხელი მოაწერეს კონტრაქტს უახლესი სხივური თერაპიის აპარატურის შეძენის თაობაზე.**
**ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, საქმიანი სიტუაცია პროტოკოლის სრული დაცვით. ოვალურ სათათბირო მაგიდაზე — შესაბამისი დოკუმენტები და პარარეპტილიების მთელი რიგი — კუს დეკორაციული ფიგურები: „კუთა ქარს, კუთა რიგს“ — ეტყობა აქ სიმბოლური მნიშვნელობა აქვს — ნელა, მშვიდად, მაგრამ მიზნისკენ დაჟინებული სვლის გამოხატულებაა.**
**თუმცა მიზნისკენ ნელი სვლა თოდუას კლინიკაში ანაქრონიზმია, არ არსებობს, როგორც ასეთი. სამედიცინო დარგის ყველა უახლესი მიღწევა, ყველა უახლესი ტექნოლოგია პირველად მაინც და მაინც აქ შემოდის და აქ ინერგება.**
**ასეთია ინსტიტუტის ხელმძღვანელის, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას, მუშაობის სტილი, და ზემოთ მინიშნებულ კონტრაქტზე ხელის მოწერის ფაქტიც ამის დამადასტურებელია.**
**რა იგულისხმება ამჯერად ამ სიახლეში, მეცნიერი მედიკოსები განგვიმარტავენ.**
**პროფესორმა რომან შაქარიშვილმა განაცხადა, რომ ახალი ტექნოლოგიების საქართველოში შემოტანა შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას, როგორც ახალი ერის დადგომა ჩვენს სამედიცინო სივრცეში.**



— ეს არის სხივური მედიცინის იმ მიმართულების დასაწყისი, რომელიც ფაქტობრივად მსოფლიო ცივილიზაციის შემოსვლაა ქართული სამედიცინო პრაქტიკისა და კლინიკური გამოცდილების სივრცეში.

სხივური თერაპიის ელემენტები აქამდეც არსებობდა საქართველოში, მაგრამ დროთა განმავლობაში თანდათან ჩამოვრჩით ამ ტექნოლოგიების საერთაშორისო დონეს. ამიტომ იყო, რომ საქართველოში სხივური მედიცინა ლამის კუსტარულ საქმიანობად იქცა. დღეის შემდეგ, შეიძლება ითქვას, გავდივართ იმ ორბიტაზე, რომელიც მსოფლიოშია.

**დანადგარები, რომლებიც თოდუას კლინიკაში უნდა დაიდგას, არის თანამედროვე სხივური ტექნოლოგიები სხივური ამაჩქარებლის ბაზარზე, რაც საფუძველს უყრის ამ დარგის განვითარებას უკვე ბირთვული მედიცინის საფუძველზე. ამით კი იქმნება პერსპექტივა, რომ სხივურმა თერაპიამ სხივური ქირურგიის კონტური მიიღოს, როცა ჩვენ დანის ნაცვლად სხივს გამოვიყენებთ წერტილოვანი დასხივებით.**

**ეს არამარტო ახალი დონეა ტექნოლოგიური მედიცინის, არამედ ეს არის, აგრეთვე, ახალი სამედიცინო კულტურის შემოტანა, ახალი აზროვნების განვითარების საფუძველი. ახალი ინტელექტის შემოსვლაა. შედეგად შეიძლება პროგნოზირება, რომ საინტერესო ცვლილებები მოხდება სამედიცინო სტატისტიკაში: ამ ინსტიტუტის გამოცდილებით ვიცით, რომ მან შეცვალა სიმსივნური დაავადებების სტატისტიკა — გაიზარდა სიმსივნური დაავადებების რაოდენობა.** პარადოქსულად ჟღერს, რომ ამ ინსტიტუტს დამსახურებად ვუთვლით დაავადების რაოდენობის ზრდას. მაგრამ მან ამას მიაღწია მაღალი მგრძნობელობის დიაგნოსტიკის დანერგვით, რამაც გაზარდა გამოვლინება ამ დაავადების. ეს ერთი.

მეორე. დღეს იმის მოლოდინი გვაქვს, რომ **ამ საშუალებით გაიზრდება სიმსივნური დაავადების მქონე ავადმყოფების რაოდენობა, რომლებიც ამ დაავადების გამო არ დაიღუპებიან, გაუხანგრძლივდებათ ამ სიმსივნესთან ბრძოლისუნარიანობა და გაზრდის მათი ცხოვრების ხანგრძლივობას, რაც დიდი მიღწევა იქნება.**

— გაიზრდება ასეთ ავადმყოფთა კონტიგენტი, — **საუბარში ერთვება პროფესორი რეზო გაგუა, სააქციო საზოგადოება უნივერსალური სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელი,** — რომლებსაც ოპტიმალურად და თანამედროვე მეთოდებით ვუმკურნალებთ. **ეს აპარატი, რომელსაც სხივური ამაჩქარებელი ჰქვია, უახლესი სიტყვაა მედიცინაში.**

**— და რომელიც თოდუას კლინიკაში უნდა დაიდგას. კონკურენტი გიძლიერდებათ, ბატონო რეზო?**

— *(ეღიმება)* თეთრი შურით მშურს... სხივური ამაჩქარებელი ერთი და ორი არ ეყოფა საქართველოს. მეცნიერთა გამოთვლით, რვა მაინც უნდა იყოს. ვითარებაში, როცა მსოფლიოში (და საქართველოშიც) ონკოლოგიურ დაავადებთა კლების ტენდენცია არ შეიმჩნევა, ნუ გამოვრიცხავთ, რომ ასეთი აპარატურა ჩვენთანაც დამონტაჟდება, მით უფრო, რომ ჩვენთან ყოველწლიურად კიბოს დაახლოებით 7 ათასი ახალი შემთხვევა ვლინდება, აქედან 70-75 პროცენტი მოდის დაავადების მესამე-მეოთხე სტადიაზე, როცა მკურნალობის რადიკალური მეთოდი, ქირურგიული ოპერაციები, არ გამოიყენება.

ასეთ შემთხვევაში ყველაზე ეფექტიანი მეთოდი სხივური თერაპიაა, რომელიც **გამოიყენება არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ქირურგიული მკურნალობა უშედეგოა, არამედ იმ პაციენტებისთვისაც, რომლებსაც უკვე ჩატარებული აქვთ ოპერაცია, მაგრამ დაავადების რეციდივის გამო საჭიროებენ დამატებითი ონკოლოგიური მეთოდის გამოყენებას. ეს კი სხივური ამაჩქარებელია.** ეს მეთოდი ტრადიციული რადიოთერაპიისგან განსხვავდება იმით, რომ მიზანმიმართულად, უშუალოდ ზემოქმედებს სიმსივნურ უჯრედებზე, სიმსივნურ ქსოვილზე იმგვარად, რომ სხეულის დანარჩენ ნაწილზე უარყოფით გავლენას არ ახდენს.

**სამედიცინო სისტემა „ვარიანის“ ევროპის ოფისის დირექტორის — ფრიც დერესის პოზიცია ასეთია:**

— დღეს რაც მოხდა, საქართველოში კიბოს მკურნალობის ახალი ათვლის წერტილია: დღეს ხელი მოვაწერეთ კონტრაქტს, ფირმა „ვარიანის“ ახალი აპარატის — „თრუბიმის“ შეძენის შესახებ. **ეს არის უახლესი სხივური თერაპიის აპარატურა, რომელსაც აქვს ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობის უამრავი საშუალება.**

კონტრაქტის გაფორმებიდან ამ ახალი ტექნოლოგიის ამოქმედებამდე მრავალი პროცედურაა შესასრულებელი: შესაბამისი შენობის მომზადება, აპარატურის დაინსტალირება, მიღება კლინიკური პრაქტიკის დასაწყებად. მოსამზადებელი პერიოდი, სავარაუდოდ, 2014 წლის მარტში უნდა დამთავრდეს. თუმცა, რაც აქ ვნახეთ, კერძოდ, მშენებლობა იმდენად კარგად მიმდინარეობს, შეიძლება უფრო ადრეც დამთავრდეს.

10-15 წლის წინანდელი ტექნოლოგიების შემოტანა უაზრობაა, ამიტომ **ქვეყანაში, რომელსაც ძლიერი სამედიცინო პოტენციალი აქვს, სწორედ უახლესი ტექნოლოგია უნდა შემოვიდეს და დაინერგოს, ეს კი პაციენტებისთვის იქნება, უწინარეს ყოვლისა, კარგი.**

**— პაციენტებისთვის კარგი ფინანსურადაც?**

— ადგილობრივ უნდა განსაზღვროთ, ჩვენ, როგორც მწარმოებლები, ამ საკითხში არ ვერევით.

**— მაშინ, როგორც მწარმოებლებს შეგეკითხებით: საქართველო თქვენ იპოვეთ თუ საქართველომ გიპოვათ?**

— *(იცინის)*. ეს, ალბათ, ორმხრივი კომბინაცია იყო. ჩვენ ვეძებდით ერთმანეთს და ვიპოვეთ კიდეც. რადიაციული ონკოლოგიის საზოგადოება საკმაოდ მცირერიცხოვანია, თუ ვინმე დაინტერესებულია პარტნიორის პოვნით, ამას, როგორც წესი, დიდი დრო არ სჭირდება.

საქართველოში ყოფნა საქმიანიც არის და სასიამოვნოც, უკვე მესამედ თუ მეოთხედ ვარ თქვენს ქვეყანაში და სულ უფრო ვრწმუნდები, რომ საქმიან კონტაქტებს განსაკუთრებით შედეგიანს ხდის თქვენი ქვეყნისა და ხალხისთვის დამახასიათებელი კეთილისმყოფელი აურა. სამწუხარო ისაა, რომ ჯერჯერობით მხოლოდ თბილისით ვიფარგლები. ვიმედოვნებ, რომ შემდეგი ჩამოსვლის დროს ჩემი თქვენთან ყოფნის არეალი გაფართოვდება.

**— მოკლედ, — სიყვარული ერთი ნახვით?**

— ასეა. მჯერა, რომ ურთიერთობას უფრო გავაღრმავებთ.

**ოფიციალური ნაწილის დამთავრების შემდეგ, როცა ამოისუნთქა მასპინძელმა, აკადემიკოს ფრიდონ თოდუასთან საუბრის შესაძლებლობა ჟურნალისტებსაც მოგვეცა.**

**— ფირმა „ვარიანის“ წარმომადგენელს რომ ვკითხე, საქართველომ თქვენ მოგნახათ თუ პირიქით — თქვენ მონახეთ საქართველო, მან მიპასუხა, ორმხრივი მოძრაობა იყოო. თქვენ რას იტყვით?**

— მსოფლიოში ამგვარი აპარატურის წამყვანი ორი ფირმა ფუნქციონირებს: ერთი ამერიკული „ვარიანია“, მეორე — კანადური „სპექტრა“. განვიხილეთ ეს საკითხი ინსტიტუტში, კონსულტაციები გავიარეთ სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტებთან და დავიწყეთ მუშაობა ფირმა „ვარიანთან“, რომელიც თვითონ დაგვიკავშირდა. მოვნახეთ ოპტიმალური გზა იმისთვის, რომ ჩვენი ურთიერთობა დაგვირგვინებულიყო კონტრაქტით, რომელსაც დღეს მოვაწერეთ ხელი.

ევროპის ოფისის დირექტორი, ბატონი ფრიც დერესი დაგიმოწმებთ, რომ ამ დონის აპარატურა არამარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში არ არის, არამედ დასავლეთ ევროპაში მხოლოდ ავსტრიაშია.

კოლეგებმა უკვე ილაპარაკეს ამ ტექნოლოგიების უპირატესობაზე, ამიტომ მე სოციალურ საკითხს მივაქცევ თქვენს ყურადღებას, კერძოდ, იმას, რომ **ჩვენს მოქალაქეებს აღარ დასჭირდებათ საზღვარგარეთ წასვლა ამ მკურნალობის ჩასატარებლად, რაც ძალიან ძვირი ჯდება. და, საერთოდ, ამ არხით უდიდესი რაოდენობის თანხა გაედინება საზღვარგარეთის ქვეყნებში.**

ის, რასაც შემოვიტანთ საქართველოში, მხოლოდ პირველი ნაბიჯია, რადგან ასეთი სახის აპარატურა დამატებით 5-6 მაინც დაგვჭირდება საქართველოში.

**— თქვენმა კოლეგებმა თქვეს, რომ ის, რაც დღეს მოხდა, დიდი ჰუმანური აქტია. მაგრამ, ხომ ვიცით, რომ ასეთი ჰუმანურობა დიდი ფული ჯდება. სახსრები სად იშოვეთ?**

— თითქმის ოცი წელიწადია, ვმუშაობთ ბანკებთან, კარგი გადამხდელების სახელით ვსარგებლობთ და ვაგრძელებთ მათთან თანამშრომლობას...

**— და იღებთ სესხს?**

— დიახ, ვისესხებთ, ხუთი წლის ვადით. ბანკების ხელმძღვანელები მედიცინის მიმართ დიდი ჰუმანურობით გამოირჩევიან. ტრადიციას არც ამჯერად უღალატეს და ძალიან დაბალ პროცენტზე შევთანხმდით.

**— რამდენზე?**

— ამას ვერ გეტყვით. მაგრამ მერწმუნეთ, რომ ძალიან დაბალპროცენტიანი კრედიტი მოგვცა თიბისი ბანკმა. პრაქტიკულად ევროპულ დონეს უთანაბრდება.

**— სახელმწიფო, ცხადია, არ გეხმარებათ.**

— სახელმწიფო დაფინანსება ჩვენს ინსტიტუტს 1994 წლიდან არ მიუღია. რაც მას შემდეგ გავაკეთეთ, უახლესი აპარატურის შეძენიდან დაწყებული და ახალი, თანამედროვე კორპუსებით დამთავრებული — ყველაფერი ჩვენი ფულითაა გაკეთებული რეინვესტიციის გზით. სახელმწიფოს მიერ მედიცინა ისე არ არის დაზეგრილი, რომ ასეთი საქმიანობისთვის თავის დადგმა შეუძლებელი იყოს.

**— ბატონმა ფრიც დერერმა თქვა, რომ ახალი ტექნოლოგიებით პაციენტების მომსახურების ტარიფთან მათ ხელი არ აქვთ. ეს თქვენი გადასაწყვეტიაო.**

— ქართველ ხალხს ვპირდები, რომ ფასი მინიმალური იქნება, რომ მჭიდრო ურთიერთობას დავამყარებთ სადაზღვევო კომპანიებთან, ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროსთან და მოგებაზე ორიენტირებული მომსახურება არავითარ შემთხვევაში არ გვექნება.

მოკლედ, ახალი აპარატურის კიდევ ერთი სახეობა სულ მალე ამოქმედდება.

**— გვითხრეს, რომ მარტს არ გადასცილდება.**

— შეიძლება, უფრო ადრეც ჩადგეს მწყობრში. არ დაგიმალავთ, რომ ბავშვივით მიხარია.

**ჩვენც გვიხარია, ბატონო ფრიდონ!**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**რუსეთთან შეერთების შემდეგ სამეფო ტახტი გაუქმდა საქართველოში და ე. წ. დამოუკიდებლობა დავკარგეთ. სამაგიეროდ რა მივიღეთ? გარეშე მტრების შემოსევები შეწყდა, ქართველი ერი ფიზიკურად გადარჩა და გამრავლდა, სამთავრო-საერისთაოვებად დანაწევრებული ქვეყანა გაერთიანდა. თურქეთის მიერ მიტაცებული აჭარა და სამცხე-ჯავახეთი დედასამშობლოს დაუბრუნდა და დაიწყო ერთიანი ქართული ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბება.**

ფოსტა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს» რედაქციას

ვხედავ და ვგრძნობ, როგორ აწუხებს თქვენს გაზეთს ჩვენი სამშობლოს ბედი.

კარგად იცით, ქვეყნის ბედი და უბედობა იმაზეა დამოკიდებული, რა გზას დაადგება, როგორ არჩევანს გააკეთებს იგი.

ეძებთ თქვენც გზასა და გამოსავალს ჩვენი ბედკრული საქართველოსას და იქნებ ნაპოვნიც გაქვთ უკვე. ღმერთმა ქნას!

კადნიერებად თუ არ ჩამითვლით, ჩემს მოკრძალებულ მოსაზრებას შევთავაზებ თქვენი გაზეთის მრავალრიცხოვან მკითხველს; იმასაც გეტყვით, რომ ჩემს წერილში გამოთქმულ აზრს ძალიან ბევრი ჩვენი თანამემამულე იზიარებს.

# გზა მომავლისა — რუსეთისკენ!

**მკითხველს უთუოდ ემახსოვრება თენგიზ აბულაძის შესანიშნავ ფილმ „მონანიების“ ფინალური ეპიზოდი, როცა დიდი მსახიობის, ვერიკო ანჯაფარიძის, პერსონაჟი კითხულობს: „ეს გზა ტაძრამდე მიმიყვანს?“ და, როდესაც უპასუხებენ, არ მიდისო, გაოცებული რიტორიკულ შეკითხვას სვამს: „აბა, რად გვინდა ისეთი გზა, რომელიც ტაძრამდე არ მიგვიყვანს?!“.**

სრულიად აშკარაა, ფილმის ავტორები ტაძრის ცნებაში რომელიმე კონკრეტულ ეკლესიასა თუ სამლოცველოს არ გულისხმობენ. ამ შემთხვევაში ტაძარი გადარჩენის, ხსნის, ჭეშმარიტების სიმბოლოა. მართლაც, გაჭირვებული კაცისთვის რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ გზას, რომელიც გაჭირვებიდან ვერ ამოიყვანს მას.

ძალიან დალხინებული კაცები, რომლებმაც ყველა ხორციელი სურვილი შეისრულეს და ამავე დროს, სულიერებასთან ირიბი შეხებაც არ აქვთ, ხშირად დაადგებიან ხოლმე ისეთ გზას, რომელიც გაურკვევლობაში მიდის. მათ გადარჩენის პრობლემა კი არ აწუხებთ, მძაფრი განცდები სწყურიათ. გაურკვევლობაში თავით გადაშვება სწორედ მძაფრ განცდებს უკავშირდება და თუ რით მთავრდება ეს ყოველივე, კარგად მოგეხსენებათ.

**ჩვენ გაჭირვებული ქვეყანა ვართ. ჩვენი გაჭირვება იმდენად მატერიალური სიღარიბით კი არ არის გამოწვეული, რამდენადაც უმეცრებისგან: არ ვიცით, საით მივდივართ, მივდივართ თუ არა საერთოდ და, თუ მივდივართ, რატომ მივდივართ.**

აგერ უკვე ორი ათეული წელია, ჩვენი, ერთმანეთისგან თითქოს რადიკალურად განსხვავებული ხელისუფლებები დაბეჯითებით გვარწმუნებენ, ჩვენს მშობლიურ ევროპაში ვბრუნდებით და ნატოა ჩვენი სახლიო. როგორც კი ამ სახლში შევალთ, მგელი ვეღარაფერს დაგვაკლებსო.

ის გზა, რომელსაც, აგერ უკვე ორი ათეული წელია, საქართველოს მომავლის გზად მიიჩნევენ ჩვენი ხელისუფალნი და მათი უცხოელი პატრონმფლობელები, მოუსავლეთში მიდის იმ გვირაბით, რომლის ბოლოში სინათლე არც ჩანს და არც გამოჩნდება.

**დიდი პოლიტიკოსობა და ეკონომისტობა არ სჭირდება იმის გაგებას, რომ ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივა ნულის ტოლია.**

ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკა, ფაქტობრივად, არ არსებობს. ასეთი არარსებული ეკონომიკის მქონე ქვეყანა როგორ მოახერხებს ინტეგრაციას ევროპასთან, რომელზეც, „ჩვენი ოჯახიაო“, ბაიყუშებივით იმეორებენ ჩვენი „ჭკუის კოლოფები“. ჩვენნაირი ეკონომიკის პატრონებს ამ „ევროპულ ოჯახში“ სრულუფლებიან წევრად არავინ მიგვიღებს, ხელზე მოსამსახურედ — კი. უნდა კი საქართველოს სხვათა „ხელის ბიჭობა“? ვითომ სრულად და საბოლოოდ დავკარგეთ ღირსება?

არა! ბევრ ღირსეულ ქართველს ვიცნობ და, დარწმუნებული ვარ, ბევრად უფრო მეტს არ ვიცნობ. ამიტომ აუცილებლად უნდა მოვნახოთ ის გზა, რომელიც ტაძართან მიგვიყვანს — გზა მომავლისა.

ჩემი ფიქრით, ბევრი უბედურება იმიტომ გვჭირს, რომ წარსულის გამოცდილებას ადვილად ვივიწყებთ და ამიტომ ერთსა და იმავე შეცდომას ზედიზედ ვუშვებთ ხოლმე. სამწუხაროდ, სხვები რომ სხვის შეცდომებზე სწავლობენ, ჩვენ საკუთარ შეცდომებზე სწავლაც გვიჭირს.

ჩვენს წინაპრებს შემთხვევით და ჰაიჰარად კი არ უთქვამთ, „ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო“. მრავალსაუკუნოვანმა გამოცდილებამ ათქმევინათ ეს. სულაც არ ნიშნავს ეს დარიგება იმას, რომ მხოლოდ ერთხელ გატკეპნილი გზით იარეთო. არა, ახალი, უფრო რაციონალური გზებიც უნდა ეძებოთ, მაგრამ, როცა ახლადარჩეული გზა გაუვალ ჭაობთან მიგვიყვანს, „პრინციპულობის“ საბაბით ჭაობში კი არ უნდა შეტოპო და ჩაიხრჩო, უკან უნდა გამობრუნდე და ძველი, ნაცადი გზით წახვიდე, მიზანთან მშვიდობით მისვლა თუ გინდა.

**ისტორიის ქარტეხილებში ბევრი გზა სცადეს ჩვენმა წინაპრებმა, სამშვიდობოს რომ გაეყვანათ ქვეყანა. არ ივარგა არც ერთმა, მათ შორის ევროპულმაც. გახსოვთ, ალბათ, მუხრან მაჭავარიანის სტრიქონები, საფრანგეთის მეფის, ლუდოვიკო XIV-ს, კარზე დახმარების სათხოვნელად მისული სულხან-საბა მეფემ რომ „ალოდინა და მეთხუთმეტე კაცად მიიღო“. მხატვრული ტექსტი მოითხოვდა, რომ პოეტს ეთქვა, ლუდოვიკო XIV-მ სულხან-საბა მეთხუთმეტე კაცად მიიღოო, თორემ, მეთხუთმეტედ კი არა, მგონი, ასმეთხუთმეტედ მიიღო და თან ხელცარიელი გამოისტუმრა.**

**და, როცა ქართლ-კახეთის მოსახლეობა XVIII საუკუნის ბოლოსთვის ნახევარ მილიონამდე შემცირდა, ქართველებმა მტკიცედ და საბოლოოდ აირჩიეს ახალი გზა — გზა ერთმორწმუნე რუსეთისკენ.**

მისაყვედურებს ზოგიერთი ურაპატრიოტი (ან ფსევდოპატრიოტი!), ალბათ: ეგ რა გზა იყო, რომელზეც დამოუკიდებლობა დავკარგეთო.

ჯერ ის ვიკითხოთ, გვქონდა კი დამოუკიდებლობა? გიორგი ბრწყინვალეს მეფობის შემდეგ გარეშე მტრებმა ისე ააოხრეს საქართველო (განსაკუთრებით, თემურ ლენგის შემოსევებმა), რომ შემდგომში წელში ველარ გასწორდა. მერე იყო და აოხრებულ ქვეყანაში, გარეშე და შინაური მტრების მეცადინეობით, სეპარატიზმი აყვავდა. ქართლი, კახეთი და იმერეთი ცალკე სამეფოებად ჩამოყალიბდა და მათ შორის ომებიც გახშირდა. „დამოუკიდებლობა“ მოიპოვეს სამცხე-საათაბაგომ, სამეგრელომ, აფხაზეთმა, გურიამ. აჭარა სულაც თურქეთმა წაიღო. რაც შეეხება მთიან საქართველოს, ფშავხევსურეთი და თუშეთი ხან კახეთის მოკავშირეობაზე დებდნენ თავს, ხან ქართლისა და მათ ომებში მონაწილეობა იქაური პატრიოტების გუნებაგანწყობილებაზე იყო დამოკიდებული.

თვით ქართლის სამეფოც არ იყო პოლიტიკურად ერთიანი; ქსნისა და არაგვის საერისთავოები თავს დამოუკიდებლად თვლიდნენ და ქართლის მეფის დაუკითხავად ხან ერთმანეთს ეომებოდნენ და ხან საქართველოს სხვა კუთხეებს.

თვით ქართლ-კახეთისა თუ იმერეთის დამოუკიდებლობა რაღა იყო, ნეტავი? მეფეებს ირანი ნიშნავდა, როცა მოეპრიანებოდა, მაშინ გამოიძახებდა მათ ისპაჰანში და ქათამივით წააგდებინებდა თავს. სხვა სამთავროებზე კი ლაპარაკიც არ ღირს.

**არ ჩანდა ქვეყნის გამაერთიანებელი ძალა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთი მამა-შვილმა — თეიმურაზმა და ერეკლემ გააერთიანეს და ერეკლე II გახდა გაერთიანებული აღმოსავლეთ საქართველოს მეფე. ეს გაერთიანება მთლიანად დიდი მეფის, ერეკლეს, ვაჟკაცობის შედეგი იყო, თორემ ქართლელები მას ლეგიტიმურ მეფედ არ აღიარებდნენ, კახელი ბაგრატიონი არისო. ცნობილია, ქართლისთვის უკანასკნელ საბედისწერო ბრძოლაში ირანელი აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ კახელებმა მეფისწულის სარდლობით ჯარი არ მიაშველეს ერეკლეს: ნეტა, რა ჩვენი საქმეა, ომი ქართლშია, კახეთში ხომ არაო!**

ასეთი იყო მაშინდელი ეროვნული შეგნება და ქართული სახელმწიფოებრიობის განცდა. დამოუკიდებლობა ერქვა ამას?

**რუსეთთან შეერთების შემდეგ სამეფო ტახტი გაუქმდა საქართველოში და ე.წ. დამოუკიდებლობა დავკარგეთ. სამაგიეროდ რა მივიღეთ? გარეშე მტრების შემოსევები შეწყდა, ქართველი ერი ფიზიკურად გადარჩა და გამრავლდა, სამთავრო-საერისთაოვებად დანაწევრებული ქვეყანა გაერთიანდა. თურქეთის მიერ მიტაცებული აჭარა და სამცხე-ჯავახეთი დედასამშობლოს დაუბრუნდა და დაიწყო ერთიანი ქართული ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბება.**

ისტორიის ეს მკაცრი გაკვეთილები ქართველთა ერთ ნაწილს დავიწყებული აქვს და დღევანდელობას „ფართოდ დახუჭული თვალებით“ უცქერის.

აი, ახლა საქართველოში სულმოუთქმელად ელიან, როდის დაიწყება ახალი თურქული ტელესერიალი „დიდებული საუკუნე“. სერიალი ისტორიული შინაარსისაა და თურქეთის გამორჩეული სულთნის — სულეიმან დიდებულის ზეობის პერიოდს ასახავს. კი, ბატონო, **სულთან სულეიმანის მმართველობის დრო თურქეთისთვის დიდებული საუკუნე იყო: თურქეთმა იმდროინდელი ნახევარი მსოფლიო გადაჯეგა და ოსმანთა დიდი იმპერია შექმნა, მაგრამ საქართველო კი სისხლისგან დაცალა, ქართველთა დიდ ნაწილს ენა და სარწმუნოება წაართვა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საბოლოოდ დაუკარგა საკუთარ ისტორიაში დაბრუნების შანსი.** თურქეთის ბატონობაში მყოფ საქართველოში არამარტო სოციალურ-კულტურული განვითარება შეფერხდა, არამედ საკუთარი ვინაობა და სადაურობა დაავიწყეს ხალხს, მანქურთებად აქციეს იგი.

**ახლა გადავხედოთ, რა დაემართა XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესულ დამოუკიდებლობადაკარგულ საქართველოს.**

**ქართველმა ხალხმა განუწყვეტელი შემოსევებისგან დაისვენა და თავისი სასიცოცხლო ენერგია აღმშენებლობისა და კულტურული განვითარებისკენ მიმართა: რუსეთთან შეერთებამდე რომ წერა-კითხვა მოსახლეობის ერთ პროცენტზე ნაკლებმა იცოდა, XIX საუკუნის 30-იან წლებში თითქმის ყველა დიდ დასახლებულ პუნქტში სკოლა იყო გახსნილი. იხსნებოდა, როგორც სახელმწიფო სკოლები, ისე საზოგადოებრივი გაერთიანების მიერ ორგანიზებული სასწავლებლები; დაარსდა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები, ბანკები, ქართული თეატრი, ინტენსიურად ვითარდებოდა ქართული მწერლობა და მეცნიერული აზროვნება; ჩამოყალიბდა XIX საუკუნის დიდი ქართული ინტელიგენცია.**

**XIX საუკუნე რუსეთისთვის ოქროს საუკუნე იყო. ასევე ოქროს საუკუნე იყო იგი მის შემადგენლობაში მყოფი საქართველოსთვისაც. ნეტავი, ვინ დაასახელებს მეორე მაგალითს იმისას, რომ მეტროპოლიას** (ინგლისსა თუ საფრანგეთს, ესპანეთსა თუ პორტუგალიას) **თავის სოციალურ-კულტურულ დონეზე ამოექაჩოს კოლონიური ქვეყანა.** პირიქით კი ბევრი მაგალითის გახსენება შეიძლება იმისა, თუ როგორ გადაისროლეს ისტორიულ ბნელეთში დიდი კულტურისა და ისტორიის მქონე ერები ინგლისელმა თუ ესპანელმა კოლონიზატორებმა.

საქართველოს მიმართ როცა რუსეთის ამაგზე ვლაპარაკობ ხოლმე, ოპონენტები 1989 წლის 9 აპრილს მახსენებენ: დაგავიწყდაო, რა გვიქნა რუსეთმა, როგორ დაგვიხოცა გულანთებული პატრიოტები მშვიდობიან მიტინგზეო. არ დამვიწყებია, მაგრამ ის ჯარი, მაშინ რომ მესანგრის ნიჩბებით დაგვერია, რუსის ჯარი კი არა, საბჭოთა ჯარი იყო, ისე იყო რუსეთის, როგორც ჩვენი. რუსული ჯარი 1917-1920 წლებში გაანადგურეს ბოლშევიკებმა.

ისე კი, ისიც საკითხავია, საბჭოთა ჯარი რუსებმა შექმნეს თუ სულაც რუსების ნების საწინააღმდეგოდ შეიქმნა, რაშიც ქართველებმა, სხვა უცხოტომელებთან ერთად, დიდი წვლილი შეიტანეს.

**არც ერთი იმპერია ფრთიანი ანგელოზი არ არის, მაგრამ, როდესაც არჩევანის წინაშე დგას ქვეყანა, მან ერთმანეთს უნდა შეადაროს იმპერიები და აირჩიოს ის, ვისთანაც გადარჩენის მეტი შანსი აქვს.**

**სხვათა შორის, გენიალურმა სტალინმა, როგორც ყოველთვის, საქართველოს არჩევანიც ზუსტად შეაფასა: საქართველომ ორ ბოროტებას შორის ნაკლები ბოროტება აირჩიაო.**

**უკეთესად ვერ იტყვის ვერავინ!**

ახლაც საბედისწერო არჩევანის წინაშე დგას საქართველო: ერთ მხარეზეა ეროვნულ-კულტურული გაქრობისა და ზნეობრივი დაღუპვის რეალური საფრთხე, მეორე მხარეზე — ყოველმხრივ გადარჩენის კიდევ ერთი შანსი. ახლა ყველაფერი ქართველთა გონიერებასა და ისტორიულ მეხსიერებაზეა დამოკიდებული.

**მე რომ ვინმემ მკითხოს, რა გზა ავირჩიოთო, ვეტყოდი: ერთი გზა გვაქვს — რუსეთისკენ გზა მომავლისა!**

**ზურაბ ცუცქირიძე,**
**პედაგოგიკის დოქტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი**

## ბათუმში მომხდარი ინციდენტის მონაწილეებს პატიმრობა შეეფარდათ

**ბათუმის სასამართლომ ფირუზ წულუკიძეს, თემურ ბახუნდარიძეს და რუსეთის მოქალაქე იუსუფ ლაკაევს აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლო პროცესს ლაკაევი არ ესწრებოდა, ის დაჭრილია და ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფება.** იუსუფ ლაკაევი ბათუმში 13 სექტემბერს დააკავეს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შსს-ს კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა მიიღეს ოპერატიული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 1993 წელს დაბადებული ფირუზ წულუკიძე ქ. ბათუმში მდებარე დროებით საცხოვრებელ ბინაში უცხო ქვეყნის მოქალაქეს მალავდა.

წულუკიძეს მოქალაქე, რომელსაც მალავდა, საქართველოს საზღვრის გვერდის ავლით, უკანონოდ უნდა გადაეყვანა თურქეთის რესპუბლიკაში. მათ აღნიშნულ საქმიანობაში ეხმარებოდა ასევე ბათუმში დროებით მცხოვრები, 1969 წელს დაბადებული თემურ ბახუნდარიძე. აღნიშნული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, შსს-ს კონტრტერორისტული ცენტრის მიერ ჩატარდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობა შსს-ს ბათუმის საქალაქო სამმართველოსა და აჭარის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მიიღეს. დაახლოებით 23:00 საათზე, ქალაქ ბათუმში პუშკინისა და გრიბოედოვის ქუჩების კვეთაზე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა შეაჩერა პირი, რომელსაც ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა მოსთხოვეს. აღნიშნულმა პირმა ხელჩანთიდან ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო და პოლიციელების მიმართულებით რამდენიმეჯერ გაისროლა. თავდამსხმელმა მიმალვა სცადა, რა დროსაც რამდენიმე უმისამართო გასროლა მოახდინა, რის შედეგადაც დაიჭრნენ ბათუმის საქალაქო სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი ი.დ. და მოქალაქე ე.ხ.; პოლიციამ გახსნა საპასუხო ცეცხლი, თავდამსხმელი დაიჭრა. სამართალდამცველებმა თავდამსხმელიც და მისი თანხმლები პირებიც — ფირუზ წულუკიძე და თემურ ბახუნდარიძე ადგილზევე დააკავეს. **დადგინდა, რომ თავდამსხმელი რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, საქართველოში არალეგალურად მყოფი, 1988 წელს დაბადებული იუსუფ ლაკაევია.**

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობის, მუქარის ან ძალადობის გაწევისა და პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე თავდასხმის ბრალდებით მიმდინარეობს, რაც გათვალისწინებულია სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 353 პრიმა მუხლის მე-3 ნაწილით.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროკავშირის თანხებით ამ პროგრამის ჩარჩოებში საქართველოში იქმნება ელექტრონული მმართველობა. აღსანიშნავია, რომ ინგლისმა, გერმანიამ და სამხრეთ კორეამ უარი თქვეს ამ კანონპროექტზე, მოსახლეობის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, რადგან ტოტალური კონტროლით ირღვევა პიროვნების კონფიდენციალურობა! საქართველოში კი საჭირბოროტო საკითხები ჩვენი მოქალაქეების ცხოვრებისა წყდება ჩვენი ცნობიერების შემოვლით და მოსახლეობას არც კი გვეკითხებიან, გვინდა თუ არა საერთოდ ეს ID ბარათი.**

# მხეცის ფარული ნიშნები ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში

**ამ წერილის დაწერა მაიძულა იმ შემაშფოთებელმა მდგომარეობამ, რომელიც დღეს საქართველოს ეკლესიაშია. უდიდესის გულისტკივილით განვიცდი იმას, რომ გარკვეული ნაწილი სასულიერო პირებისა ძალზედ უდიერად ეპყრობა ამ ავადსახსენებელი ID ბარათების პრობლემას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ან საერთოდ არ აინტერესებთ მრევლის ბედი, ანდა აზრზეც არ არიან, რას სჩადიან. იმ ფონზე, როცა მთელი მართლმადიდებელი სამყარო და ნახევარი ევროპა უარს ამბობს ID ბარათებზე და ითხოვს ძველი საბუთების დატოვებას, პირადად მე ბევრჯერ შემქმნია ამ საკითხზე პრობლემა სასულიერო პირებთან, სტიქაროსნებთან და მრევლის წევრებთანაც კი. მათ არასწორ არგუმენტებზე მსურს გავცე პასუხი ამ წერილის მეშვეობით. მოციქული პავლე თესალონიკელთა მიმართ წერს: „ვინაიდან ჩვენს შეგონებაში არ არის არც ცდუნება, არც უწმინდურება და არც ცბიერება“, „არამედ როგორც ღვთისგან გამოვიცადეთ, რომ ჩვენთვის მოენდო სახარება, ისე ვლაპარაკობთ და ვაამებთ არა ადამიანებს, არამედ ღმერთს, რომელიც ცდის ჩვენს გულებს“, ასევე, „რათა ემსახუროთ ცოცხალ და ჭეშმარიტ ღმერთს“.**



**ID ბარათის ასაღებად მისულ ადამიანს უწევს სურათის გადაღება დიდ რობოტ აპარატთან, რა დროსაც ადამიანებს თვალისთვის უხილავ დამღას ასვამენ ლაზერით შუბლზე (შტრიხკოდს, რომელიც შეიცავს სამ ექვსიანს)**

ახლა განვიხილოთ ცალ-ცალკე ყველა ეს საკითხი. ID ბარათში სამივეა: ცდუნებაც, უწმინდურებაც და ცბიერებაც.

**პირველი — ID ბარათში ძალზედ დიდი საცდურია ჩადებული, რადგან მისით ყველგან და ყველაფერში გაგვაკონტროლებენ და არაკეთილმოსურნეებს შეუძლიათ ბოროტად გამოიყენონ ჩვენ შესახებ ID ბარათში შესული სრული ინფორმაცია.** ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს ჰაკერების ფაქტორიც, რომელთათვისაც არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს ნებისმიერ საიტში შეღწევა. მოქალაქის პირადი ინფორმაციის ეფექტური დაცვის მექანიზმი ამ ელექტრონულ ბარათებზე სახელმწიფოს ჯერ არ აღმოუჩენია და არც ცდილობს, რადგან ჰაკერების კიბერშემოტევებისგან სამთავრობო საიტებიც კი არ არის დაცული.

**მეორე** — როგორ დავიჯეროთ, რომ ID ბარათის აღება ცოცხალი და ჭეშმარიტი ღმერთის მსახურებაა?! **ეს არის კომფორტული კერპი, რომელიც გვპირდება ამქვეყნიურ პრივილეგიებს, ყველანაირ კომფორტულ და სწრაფ მომსახურებას. სინამდვილეში კი ეს არის იძულება ჩვენს თავისუფალ არჩევანზე, რადგან ID ბარათის გარეშე სკოლას ვერ დაამთავრებ, ინსტიტუტში ვერ მოეწყობი, სამსახურში არ მიგიღებენ.** ეს არის კომფორტული კერპი და ყოველი კერპი თავისთავად უწმინდურებაა, გამოცხადების მე-13 თავში წერია: **„ვისაც არ ექნება მხეცის ნიშანი, ვერც იყიდის და ვერც გაყიდის“.**

**მესამე** — ცბიერება: **ID ბარათის ასაღებად მისულ ადამიანს უწევს სურათის გადაღება დიდ რობოტ აპარატთან, რა დროსაც ადამიანებს თვალისთვის უხილავ დამღას ასვამენ ლაზერით შუბლზე (შტრიხკოდს, რომელიც შეიცავს სამ ექვსიანს).** ზოგიერთი სასულიერო პირის აზრით, შტრიხკოდის დადება არ იქნება ფარულად, არამედ ნებაყოფლობით და აუცილებლად შეგვეკითხებიან, თანახმა ვართ თუ არა. სინამდვილეში კი აქ დიდი საცდურია, რადგან თავის დროზე უხსენებელს ევასთვის რომ ეთქვა სიმართლე, აკრძალული ნაყოფის მიღების შემთხვევაში დაკარგავდა უკვდავებას, გახდებოდა მოკვდავი, ტანჯვით შობდა და ა. შ. მაშინ ევა არ დაუშვებდა ამ საბედისწერო შეცდომას, მაგრამ უხსენებელმა ის აცდუნა ცრუ დაპირებებით.

**პლანეტის საიდუმლო ხელისუფლებისთვის ყველაზე ხელსაყრელი არის სწრაფად და უმტკივნეულოდ გადაწყვიტოს მოსახლეობის დანიშვნის პრობლემა, ბიომეტრიული დოკუმენტების დამზადების დროს ადამიანის სახის 3D გამოსახულების სკანირებისას მასზე შტრიხკოდის დატანება და შემდეგ მოსახლეობის მართვა ფარასავით შეიძლება.** ლაზერული ტატუირება (შტრიხკოდის დადება შუბლზე) ხდება ბიომეტრიული სურათის გადაღებისას რობოტ აპარატთან, ამ დროს ხდება ცოცხალი უჯრედების მოლეკულებზე ლაზერით ინფორმაციის დატანება. **ჩიპი შეიძლება იყოს არამარტო ტრადიციული გზით შექმნილი ელექტრონული მოწყობილობა, არამედ ორგანიზმის ცოცხალი უჯრედების გროვა, რომელზეც ინფორმაციაა დატანებული. ეს ახალი თაობის ჩიპია.** მისი შესაძლებლობები გაცილებით დიდია ჩვეულებრივ ჩიპთან შედარებით. ახალ ჩიპს შეუძლია დამზადდეს კანზე ლაზერული ტატუირების დატანებით, ამ ჩიპს არ სჭირდება გარე ენერგიის წყაროსგან კვება, ეს იმიტომ, რომ შედგება უჯრედებისგან, რომლებიც ბუნებრივი სახით ფუნქციონირებს.

შტრიხული კოდირების მეთოდით დატანების შემთხვევაში ეს ჩიპი თვალით უხილავია, მაგრამ სკანერით იკითხება. **შტრიხკოდის შუბლზე დატანების შედეგად კანის რეცეპტორების საშუალებით ხდება ადამიანის ტვინის ინდივიდუალური ალგორითმის განსაზღვრა, მისი იდენტიფიკაცია და მსოფლიო კომპიუტერთან, სახელად ,,მხეცთან“, შეერთება თანამგზავრის საშუალებით.**

**ტვინის ფუნქციის ინდივიდუალური ალგორითმი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ადამიანის შესახებ ყველა იმ ბიომეტრიულ მონაცემს შორის, რომლებიც მის პასპორტში ზოლზეა ჩაწერილი, იგი შედის მონაცემთა ბაზაში, რის შედეგადაც ტვინთან მყარდება კავშირი. ტვინში იმპლანტირებული ჩიპისგან განსხვავებით, შტრიხკოდის წაშლა შეუძლებელია.** ჩვეულებრივი ჩიპის საშუალებით ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედებას არ მივყავართ მისი ცნობიერების კონტროლთან. ჩიპის შეერთება შესაძლებელია ნერვული ბოჭკოების მხოლოდ განსაზღვრულ რაოდენობასთან და ამგვარად ტვინის მიკროსკოპულ უბნებზე მისი ზემოქმედბა უმნიშვნელოა.

სულ სხვა საქმეა ტვინის ნებისმიერ უბანზე ან მთელ ტვინზე თანამგზავრული სისტემის მეშვეობით ელექტრომაგნიტური გამოსხივებით ზემოქმედების მოხდენა. აქ შესაძლებლობათა სპექტრი ძალიან ფართოა. მომავალში ამ ტექნოლოგიათა გამოყენება შესაძლებელია ანტიქრისტესადმი თაყვანისცემის სამართავად. მაგალითად, მისი ტელევიზიით გამოჩენისას, შესაძლოა, ადამიანებში ეიფორია ხელოვნურად გამოიწვიონ. ჩვეულებრივ ჩიპს ასეთი შესაძლებლობა არა აქვს.

**გამოცხადებაში არაფერია ნათქვამი ჩიპების შუბლში ჩანერგვაზე, ხელში კი აცრის ნემსით შეჰყავთ, სამაგიეროდ ნათქვამია შუბლზე დახაზულობის** (დამღის — начертание) **შტრიხკოდის დატანებაზე.** აცრის ნემსით ჩიპის მარჯვენა ხელში შეყვანის რეკლამა კი დროებით გამოიყენება, როგორც ყურადღების სხვაგან გადამტანი მანევრი (ჩიპებს მართლაც უნერგავენ და ეს კაფსულა არის კიდეც ერთ-ერთი ნიშანთაგანი), მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი მის ამოჭრას გადაწყვეტს, მაშინ მისი ეს აზრი მყისიერად გადაეცემა ცენტრალურ კომპიუტერს (მხეცს) და მოხდება ამ ჩიპის აფეთქება. მსურს აღვნიშნო, რომ ეს კაფსულა (ჩიპი), მონაცემების გარდა, შეიცავს მომაკვდინებელ ნივთიერებას — ვერცხლისწყალს (hydrargyrum [mercury]), რომელიც ორგანიზმში მოხვედრისთანავე იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის გათიშვასა და საზარელ ჭრილობებს, რაც წერია გამოცხადების XVI თავის II სტროფში — **„გაუჩნდათ სასტიკი და საზარელი ჭრილობები ადამიანებს, რომელთაც მხეცის ნიშანი ჰქონდათ და მის ხატებას სცემდნენ თაყვანს“.**

არ დაგვავიწყდეს, რომ ყველა ელოდება ჩიპის ჩაყენებას მარჯვენა ხელში აცრის ნემსით, მაგრამ ამ დროს კი ჩუმად მიმდინარეობს დატანება შტრიხკოდჩიპისა სურათის გადაღების დროს, იმიტომ, რომ **ანტიქრისტე სწორედ პირფერულად მოდის, ის არავის მონად არ გამოაცხადებს მანამ, სანამ აბსოლუტურ ხელისუფლებას არ დაამყარებს და არც არავინ იტყვის ღიად, რომ დახაზულობის დატანება მიმდინარეობს.** უნდა აღვნიშნო, რომ ბევრს უთქვამს ჩემთვის, — ID ბარათს ავიღებ, მაგრამ ჩიპიზაციის დროს არ ჩავიყენებ ჩიპს. ეს არის მცდარი მოსაზრება, ნუ დაელოდებით მიწვევას ნიშნის დადებაზე, ნათქვამია: **,,თაყვანს სცემენ მას დახაზულობის მიმღებნი“** (გამოცხადების IX თავი, სტროფი მე-20 ), ანუ ისინი, რომლებმაც ჯერ ნიშანი დაიდეს და მერე უკვე მხეცს ეთაყვანნენ და არსად არ არის ნათქვამი იმის თაობაზე, რომ ვინმე ამის შესახებ წინასწარ გამოაცხადებს. **ანტიქრისტე ჯალალედინივით წინასწარ კი არ გაგვაფრთხილებს: ,,აგერ, ხიდზე წმინდა ხატებია და, ვინც არ დააბიჯებს, ცოცხალს არ გავუშვებო“, არც არსად წერია, რომ წინასწარ გაგვაფრთხილებს ვინმეს, აჰა, ჩემი ბეჭედი და, თუ უარს იტყვით, დაგხოცავთო, პირიქით — ანტიქრისტე შეფარულად შემოგვაპარებს თავის ნიშანს შუბლზე ან მარჯვენა ხელზე, მაგრამ უფალი წმინდა იოანეს პირით გვაფრთხილებს, რომ ამ ნიშნის გარეშე ვერც იყიდი და ვერც გაყიდიო.**

ახლა კითხვა სკეპტიკოსებისთვის: ID ბარათის გარეშე სკოლას ვერ დაამთავრებ, ინსტიტუტში ვერ ჩააბარებ, სამსახურში ვერ მოეწყობი, ე.ი. ხელფასს ვერ აიღებ, ვერ იმგზავრებ და ა.შ. მაშ, არის თუ არა ID ბარათი დამაბრკოლებელი? მალე ეს ფულიც აღარ იქნება და ყველაფერი გადავა ელექტრონული გადახდის სისტემაზე. **ამ ბარათების მომხრე სასულიერო პირებს მინდა ვკითხო: უკაცრავად და შემოსაწირი ყუთის მაგივრად ტაძრებში სალარო აპარატებს და პლასტიკური ბარათების კონტეინერებს დადგამთ?! ან როგორ მოიქცეს ის გაჭირვებული ადამიანი, რომელიც დგას ქუჩაში და სამადლოდ მათხოვრობს, როგორ და რა ფორმით უნდა დაეხმაროს მას ადამიანი? თუ მასაც მოუწევს სალარო აპარატის და პლასტიკური ბარათის გადარიცხვის მოწყობილობის დადგმა ქუჩაში?**

ერთ-ერთ ჟურნალში წავიკითხე ერთი სასულიერო პირის ინტერვიუ, იგი აღნიშნავს, რომ ანტიქრისტეს ბეჭედი არამატერიალუ- ▶

## ქვირფასო სასულიერო პირებო, ნუ ცდილობთ სიცრუის მამა გამოსცადოთ სიცრუის დეტექტორზე და ნუ ელოდებით, რომ ის სიმართლეს გეტყვით თავისი მზაკვრული გეგმის შესახებ!




**უფალმა გაგვანთავისუფლა ცოდვის მონობისგან, ზოგიერთნი კი ისევ მიილტვიან, ოღონდ უფრო დახვეწილი მონობისკენ, რასაც ელექტრონული მონობა ჰქვია. გულდასაწყვეტი კი ისაა, რომ ამ საშინელი მონობისკენ, თვისი კურთხევით, მიგვაცილებს ზოგიერთი სასულიერო პირი, საიდანაც ვერაფერი დაგვიხსნის, რადგან ID ზომბებს (ID დემონებს) განეშორებათ სულიწმიდა, წაერთმევათ სინანული და ღვთის რისხვას დაიტეხენ თავს.**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ორიაო, ეს ბეჭედი ნიშნავსო აზროვნებით (შუბლი) და საქმიანობით (მარჯვენა ხელი) უფლისგან განდგომას. მას დავუსვამ კითხვას: სუპერმარმარკეტში შესულ ადამიანს რა მიზეზით არ მიჰყიდის პროდუქტს მოლარე, ნუთუ ის შეძლებს თავში ჩახედვას და მიხვდება, რომ კლიენტი უფლისგან განდგომილია?! თუ ასე ვიმსჯელებთ, მივალთ აბსურდამდე, რადგან ამ შემთხვევაში მოლარე მართალი იქნება, თუ უფლისგან განდგომილ ადამიანს არ მიჰყიდის პროდუქტს. სხვაგვარად შეუძლებელი ხდება აიხსნას, თუ როგორ მოხდება ანტიქრისტეს ნიშნის უქონელი ადამიანის განდევნა ვაჭრობის სისტემიდან (ნიშნის უქონელნი ვერც იყიდიან, ვერც გაყიდიან). ამასვე ადასტურებს თუნდაც ღირსი ნილოს მირონმდინარის სიტყვებიც: **ქრისტიანებს ნიშნის უქონლობის გამო არ მიჰყიდიან პურს.** ასევე წმ. ეფრემ ასური ამბობს, რომ **ანტიქრისტე მატერიალური გაჭირვებით აიძულებს ადამიანებს, მიიღონ მისი ნიშანი, ანუ სტომაქით დაიჭერს მცირედ მორწმუნეებს.** ამ შემთხვევაში კი ყველაფერი ნათელია. **ამ დამღის** (შტრიხკოდის, ნიშნის) **მიმღები ადამიანი აღმოჩნდება მთლიანად იმ ბოროტი ძალების გავლენის ქვეშ, რომლებმაც ჩაუტარეს ეს ფარული პროცედურა** (ლაზერული ტატუირება შუბლზე) **და ამის შედეგად კი ადამიანი კარგავს თავისუფალ ნებას და ყოველივე ამის შემდეგ უკვე არანაირი მნიშვნელობა არ ექნება მისთვის ტექნიკურ და სულიერ ასპექტებს.** დავუშვათ ეს მოსაზრება — დამღის დასმა (სურათის გადაღების დროს ლაზერული ტატუირება), მცდარია, რა მერე, შედეგი მაინც იგივეა! ამ საბუთის გარეშე (ID ბარათის) მაინც ვერანაირ საქმიანობას ვერ აწარმოებ, სამსახურიდან დაგითხოვენ და მოგწყვეტენ ყველანაირ მატერიალურ ყოფას, ე. ი. ვერაფერს ვერ იყიდი (მე-13 თავი, მე-17 სტრიქონი).

იუსტიციის მინისტრმა ბრძანა, რომ ევროკავშირის მოთხოვნაა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის აიდიზაცია. **ევროკავშირის თანხებით ამ პროგრამის ჩარჩოებში საქართველოში იქმნება ელექტრონული მმართველობა. აღსანიშნავია, რომ ინგლისმა, გერმანიამ და სამხრეთ კორეამ უარი თქვეს ამ კანონპროექტზე, მოსახლეობის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, რადგან ტოტალური კონტროლით ირღვევა პიროვნების კონფიდენციალურობა! საქართველოში კი საჭირბოროტო საკითხები ჩვენი მოქალაქეების ცხოვრებისა წყდება ჩვენი ცნობიერების შემოვლით და მოსახლეობას არც კი გვეკითხებიან, გვინდა თუ არა საერთოდ ეს ID ბარათი.** ამიტომაც ჩვენ გამოვხატავთ სამართლიან პროტესტს აიდიზაციისა და ელექტრონული მმართველობის წინააღმდეგ, როგორც გლობალური კონტროლის ფორმისა, რომელიც ანადგურებს ოჯახს, საზოგადოებას და ემუქრება სახელმწიფოს სუვერენიტეტს!

სამწუხაროდ, ერთ-ერთი მეუფე საერთოდ ვერ ხედავს პრობლემას ID ბარათის აღებაში, იმ მოსაზრებით, რომ ID ბარათს გარედან არ აწერია სიტყვები: ქრისტე უარყავი. ვფიქრობ, რომ ამ საკითხისადმი მეუფის ასეთი დამოკიდებულება არამც თუ არასწორია, არამედ უდიდესი საფრთხის შემცველია, ვინაიდან, თუ მეუფის პრინციპით ვიმოქმედებთ, მაშინ, რასაც არ აწერია სიტყვები „ქრისტე უარყავი" (სიგარეტი, ნარკოტიკი, ალკოჰოლი და ა. შ.), მაშინ ჩვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს ამ ყველაფრის მიღება და ეს ნორმალური იქნება?! **ერთმა მამაომ მითხრა, მე მივეცი კურთხევა ჩემს ერთ-ერთ მრევლს ჩიპიანი ბიომეტრიული საბუთების აღებაზეო, სამაგიეროდ, ის ჩავიდა იერუსალიმში, მოილოცა წმინდა ადგილები და ქრისტეს საფლავის ქვასაც კი ეამბორაო. ამაზე ვუპასუხე: იუდა საფლავის ქვას კი არა, თვით ქრისტეს ეამბორა, მაგრამ წავიდა ჯოჯოხეთში!** ასე რომ, არაფერი არ ღირს სასუფევლის დაკარგვად, თუნდაც იერუსალიმში წასვლა. ერთმა სტიქაროსანმა ისიც კი მითხრა, რომ ჩიპს არ გავაკეთებინებო მარჯვენა ხელში, მაგრამ იმავე ჩიპს საბუთში ჯიბით ვატარებო, ამაზე ვუპასუხე, ნარკოტიკი ხელში არ გაიკეთო, მაგრამ იგივე ნარკოტიკი ჯიბით ატარე, ნუთუ არ დაგიჭერენ?!

ბევრი სასულიერო პირისგან გამიგია, რომ ID ბარათი წინაპირობაა ანტიქრისტეს ნიშნის. კი, მეც ვეთანხმები, რომ ეს არის წინაპირობა, მაგრამ, **თუ ეს მხოლოდ წინაპირობაა და არავითარი საფრთხე არ გვემუქრება ამ ბარათის მიღებისას, მაშინ მიპასუხონ ამ სულიერმა მამებმა, რატომ ითხოვენ ასე დაჟინებით, თავს გვახვევენ და გვავალდებულებენ მის მიღებას ჩვენი „კეთილმოსურნე" ევროპელი ვაიმეგობრები და, რადგან მხოლოდ წინაპირობაა, ნუთუ ამის გამო შეიძლება უგულებელვყოთ და ასე უყურადღებოდ დავტოვოთ ეს პრობლემა** (ქართველი ერის აიდიზაცია). რაც შეეხება ზოგადად წინაპირობას, მე ამაზე ასე ვუპასუხებ ჩვენს ძვირფას სასულიერო პირებს: **სიგარეტის მოწევა წინაპირობაა პლანის მოწევისა, ადამიანთან კარტის თამაში წინაპირობაა პოკერკლუბში რობოტაპარატთან თამაშისა, ქალთან თვალით ფლირტაობა წინაპირობაა მასთან ხორციელი მრუშობისა. ასეთი დამოკიდებულებით გამოდის, რომ წინაპირობა თუა, ცოდვა არ არის?**

**ძვირფასო სასულიერო პირებო, ნუ ცდილობთ სიცრუის მამა გამოსცადოთ სიცრუის დეტექტორზე და ნუ ელოდებით, რომ ის სიმართლეს გეტყვით თავისი მზაკვრული გეგმის შესახებ!**




**ჩიპი შეიძლება იყოს არამარტო ტრადიციული გზით შექმნილი ელექტრონული მოწყობილობა, არამედ ორგანიზმის ცოცხალი უჯრედების გროვა, რომელზეც ინფორმაციაა დატანებული. ეს ახალი თაობის ჩიპია**

ბოლო დროს არც კი ერიდებიან ბოროტის მსახურები და ხილულადაც კი არის დასმული სამი ექვსიანი უამრავ ნივთზე (მაისურებზე, კეპებზე, ფეხსაცმელზე, სათამაშოებზე და საწერ კალმებზე) ჩინურ საწერ კალამზე სამი ექვსიანის ბოლოში წერია ლათინური A, სკეპტიკოსებს მსურს ვკითხო: ნუთუ ექვსიანების ბოლოში ლათინური A, ძნელი მისახვედრია, რომ ანტიქრისტეს ნიშნავს?! ასევე მინდა აღვნიშნო, რომ **ბოლო დროს მარკეტებში გამოჩნდა ენერგეტიკული სასმელი, რომელსაც გარედან აწერია მონსტერ (მხეცი) და ლოგოდ აქვს სამნაკაწრიანი სურათი, რომელიც ებრაულ ენაზე აღნიშნავს ასო „ვვვ"-ს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ასო „ვ" ებრაულ ანბანში რიგით მეექვსეა.** სიმბოლურად გამოდის, რომ ამ სასმელს აწერია **მხეცი (მონსტრი) 666.** აღსანიშნავია ისიც, თუ როგორ შეძლო ბოროტმა სულმა თავისი ნიშნის დატოვება თითქმის ყველგან და ყველაფერში. მაგ., ინტერნეტში ვერ შეხვალ, თუ არ აკრიფე www, რადგან ყველა საიტი შეიცავს სამ დაბლიუს www (666), რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს მსოფლიო აბლაბუდას (World Wide Web). ახლა უკვე ადვილი მისახვედრია, თუ ვინ ცდილობს, გააბას ადამიანები თავის ქსელში. **ინტერნეტის მომხმარებელი**



**დაკვირვებული იქნება, რომ უმრავლეს შემთხვევაში, საიტზე შესვლისას, შენი სურვილის მიუხედავად, ხდება შენი გადამისამართება ისეთ საიტებზე, რომლებზეც სხვადასხვა უხამსი რეკლამა და აფიშაა განთავსებული.**

ასეთ საკითხებზე ერთ-ერთმა სასულიერო პირმა ბრძანა, რომ გარეგნული ნიშნები (მაისურებზე, კეპებზე, ფეხსაცმელზე და თუნდაც მანქანის ნომერზე) არაფერს ნიშნავს და არანაირად არ მოქმედებს ადამიანებზეო. ამაზე ვუპასუხე, **თუ გარეგნული ნიშნები და სამოსი არ მოქმედებს, მაშინ ჯვრის მაგივრად ჩამოვიკიდოთ ფაშისტური სვასტიკა და სტიქაროსნებმა და მღვდლებმა სტიქარისა და ანაფორის მაგივრად ჩავიცვათ გახეული ჯინსები და მაისური პენტაგრამით (5-ქიმიანი ვარსკვლავი)...**

**ცოცხალი მაგალითი იმისა, რომ გარეგნულმა ნიშანმა, კერძოდ მანქანის ნომერმა LAD-666, კინაღამ დაღუპა მთელი ოჯახი. ჩემი ყოფილი მოსწავლის მამამ, რომელსაც ჰქვია ლადო, ეს სერია და ნომერი დააყენა მანქანაზე. მიუხედავად ჩემი უამრავი გაფრთხილებისა, რომ მოეხსნა ეს ნომერი, არ დამიჯერა და საკუთარ მანქანაში აფეთქდა. ის ღვთის წყალობით სასწაულებრივად გადარჩა.**

ასევე, თუ გარეგნული ნიშნები არაფერს ნიშნავს, მაშინ რატომ უბრძანა უფალმა ებრაელებს თავიანთი საცხოვრებელი სახლების კარებზე გამოესახათ ნიშანი, რათა გადარჩენილიყვნენ, ნუთუ უფალს გაუჭირდებოდა, გაერჩია ებრაელების სახლები ეგვიპტელების სახლებისგან? აქედანაც თვალნათლივ ჩანს, თუ უფალი რამხელა მნიშვნელობას ანიჭებს გარეგნულ ნიშნებს.

**უფალმა გაგვანთავისუფლა ცოდვის მონობისგან, ზოგიერთნი კი ისევ მიილტვიან, ოღონდ უფრო დახვეწილი მონობისკენ, რასაც ელექტრონული მონობა ჰქვია. გულდასაწყვეტი კი ისაა, რომ ამ საშინელი მონობისკენ, თვისი კურთხევით, მიგვაცილებს ზოგიერთი სასულიერო პირი, საიდანაც ვერაფერი დაგვიხსნის, რადგან ID ზომბებს (ID დემონებს) განეშორებათ სულიწმინდა, წაერთმევათ სინანული და ღვთის რისხვას დაიტეხენ თავს.**

ჩვენ უნდა ვიყოთ ძალზედ ფრთხილად, რათა არ შემოგვატყუონ ისეთი სიახლე, რომლის მეშვეობითაც და ჩვენი უგუნურის გაუფრთხილებლობით არ აღმოვჩნდეთ ელექტრონულ ტყვეობაში და არ გავხდეთ უმართავი ზომბები (შეშლილები), მაგრამ შეიძლება ამ სიფრთხილის გამო გაგვკიცხონ და დაგვცინონ. **წმინდა ანტონ დიდი წინასწარმეტყველებს, რომ დადგება ჟამი, როდესაც სამყაროს ისეთი შეშლილობა დაეუფლება, რომ შეშლილები გონიერებს უგუნურებად გამოაცხადებენ, საკუთარ თავს კი — გონიერად.** და აი, დადგა ეს ჟამი, როცა ულვთო, მედროვე, მატერიალურ კეთილდღობას მიჯაჭვული და ელექტრონულ კომფორტზე დამოკიდებული ადამიანები გონიერ, დაკვირვებულ და ფრთხილ ადამიანებს, რომელნიც დიდი სიფრთხილით ეკიდებიან ყოველ ელექტრონულ სიახლეს, ფხიზლად არიან და გვაფრთხილებენ, რათა არ აღმოვჩნდეთ ელექტრონულ საკონცენტრაციო ბანაკში, ასეთებს უგუნურებად და ხიბლში მყოფებად აცხადებენ.

**ქრისტესმიერი სიყვარულითა და დიდის მოწიწებით ვთხოვ იმ სასულიერო პირებს, რომლებიც ID ბარათის აღებაზე იძლეოდნენ კურთხევას და ახლაც აგრძელებენ და ეუბნებიან მრევლს, რომ პრობლემა არაა და შეგიძლიათ თავისუფლად აიღოთო, ნუ უგულებელყოფენ წმინდა წერილისა და მოციქულთა გაფრთხილებებს, რათა თავადაც არ დაიღუპონ და არ დაღუპონ მრევლიც, რომელიც უდიდესის იმედით თვალებში შესციცინებს მათ, რამეთუ დარწმუნებულია, რომ მათ უკვდავ სულებს არ გაიმეტებენ საუკუნო სატანჯველისთვის.** ამ თემებმა ჩვენ მიგვაახლოვა ფიქრთან თავგანწირვაზე და ბევრმა მას ხელი ჰკრა, როგორც საცდურს. ესეც დაშვებაა, ალბათ, რათა ნახონ, რომ არ არიან მზად თავგანწირვისთვის, ამიტომ ეძებენ გზებს, რომ როგორმე არ დადგნენ ამ განსაცდელის წინაშე. **ადრე ღვთის მსახურები ეძებდნენ მომენტს, რათა ქრისტესთვის აღსრულებულიყვნენ, დღეს კი საშუალებებს ეძებენ, რომ იქნებ კიდევ გაგრძელდეს ეს მატერიალური, დამყაყებული ყოფა „კომფორტული ჯოჯოხეთი", მაგრამ იმათ რაღას ეუბნებიან** (სტუდენტებს და ა. შ.)**, ვისაც კურთხევით უკვე აალებინეს ეს ავადსახსენებელი ID ბარათი?!**

უმორჩილესად გთხოვთ, რეალურად დაფიქრდეთ ამ საკითხებზე, გამოიკვლიოთ ესე ყოველი და იზრუნოთ ჩვენი სულების გადარჩენაზე; აჰა, მოგეცათ თავგანწირვის საშუალება და იჩქარეთ, რამეთუ ჟამი ახლო არს! ვისაც უნდა, საქმით დაამოწმოს ეგ სიყვარული.

მოგმართავთ მოციქული პავლეს სიტყვებით: **„გაფიცებთ უფალს, წაუკითხეთ ეს წერილი ყველა ძმას. ჩვენი უფლის — იესო ქრისტეს მადლი თქვენთან, ამინ"** (I თესალონიკელთა 5.27-28).

**ანტიქრისტე სწორედ პირფერულად მოდის, ის არავის მონად არ გამოაცხადებს მანამ, სანამ აბსოლუტურ ხელისუფლებას არ დაამყარებს და არც არავინ იტყვის ღიად, რომ დახაზულობის დატანება მიმდინარეობს**

**კახაბერ კაკაბაძე**

ვაჰ, დრონი...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სპარსეთში ჰარამხანების მრავალრიცხოვანი ლამაზმანებისთვის აშენებდნენ სასახლეთა კომპლექსებს შესანიშნავი ბაღებით, ფართო აბანოებით, აუზებითა და სამეურნეო ნაგებობებით. ქალების განკარგულებაში იყო მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი შტატი. ამ დიდ მეურნეობას განაგებდნენ საჭურისები, რომელთა ფუნქციები სასახლის მართვის ყველა საქმეს ითვალისწინებდა.**

# ჰარამხანების იდუმალი ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17-33 (204-220)

## ჰარამხანის საიდუმლო იარაღი – „ქალთა ყურანი“ (სპარსეთი)

სპარსეთის მონარქიამ 2500 წელიწადზე მეტ ხანს იარსება. მის მბრძანებლებს ჰქონდათ ჰარამხანები, რომლებიც ქალთა არნახული რაოდენობით იყო გამორჩეული. „კლასიკური ჰარამხანები“ სწორედ სასანიდთა დინასტიის მეფეთა ზეობისას გავრცელდა, რომელთაგან უდიდესი მეფე ხოსროვ I (531-579) იყო. იქ, ზოგიერთი მონაცემით, 1200 ქალი იმყოფებოდა, მაგრამ 651 წელს სასანიდების იმპერია დაიპყრეს მუსლიმებმა, სპარსელები გამაჰმადიანდნენ, ახალი სარწმუნოება კი ოთხ ცოლზე მეტის ყოლას კრძალავდა (ხარჭების ჩაუთვლელად).

მუსლიმი შიიტების ქორწინება იყოფოდა მუდმივ ქორწინებად და დროებითად **(მუთა),** როცა აფორმებდნენ კონტრაქტს, რომლის ძალით, ქალი თავისი ვნებით მოემსახურებოდა მავანს გარკვეული თანხის საფასურად და გარკვეული დროით.

ხელშეკრულების ვადა რამდენიმე საათიდან 99 წლამდე შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. ამ ჩვეულების წარმოშობას ქვეყანაში მცხოვრებთა საომარი სულისკვეთებით ხსნიდნენ — **ისინი ხშირად ხანგრძლივ ლაშქრობებში იმყოფებოდნენ. „მუდმივი“ ცოლების თანხლება იოლი საქმე არ იყო, და ტემპერამენტიანი სპარსელები თავიანთი ქვეყნებიდან შორს ყოფნის დროს დროებითი ცოლებით იკმაყოფილებდნენ ჟინს.** ამ ჩვეულებით ზოგჯერ ევროპელი მოგზაურებიც სარგებლობდნენ — **ყოველ დიდ ქალაქში იყო დროებითი ცოლების ამოუწურავი მარაგი.**

დროებითი ცოლები **(სიგა)** ნაკლები უფლებებით სარგებლობდნენ, ვიდრე მუდმივები **(აგდა)** და მათი რაოდენობა, ამ უკანასკნელთა მსგავსად, მხოლოდ ოთხით არ იზღუდებოდა. მუთა ხელს აძლევდა ღარიბებს, რადგან არც ქორწინის გადახდა, არც **მახრის** — გასამრჯელოს გაღება იყო საჭირო. მოსახერხებელი იყო მდიდრებისთვისაც, ვინაიდან საშუალებას აძლევდა, შეევსოთ თავიანთი ჰარამხანები არა მარტო ხარჭებით, არამედ ღარიბი ოჯახების ქალიშვილებითაც. **დროებით ქორწინებას საკუთარი ცხოვრების მოსაწყობად ის ქალებიც იყენებდნენ, რომელთაც უძნელდებოდათ მუდმივ ქორწინებაში შესვლა: განათხოვარი ქალები, ქვრივები, შინაბერები.**

ქალების კარჩაკეტილობა **ძირითადად არისტოკრატულ ოჯახებში, დიდებულთა შორის იყო გავრცელებული. მონობა, რომელიც სპარსეთში დიდხანს არსებობდა, საშუალებას იძლეოდა ჰარამხანების ხარჭებით განუზომელი რაოდენობით შესავსებად. ბატონის მათთან თანაცხოვრება კანონიერად ითვლებოდა. კანონიერი იყვნენ ამ კავშირით შეძენილი შვილებიც, რომელთაგან უფროსი ვაჟი მამის დანატოვარი ქონების პატრონი ხდებოდა, მიუხედავად იმისა, დედა კანონიერი ცოლი იყო თუ მონაქალი.**

ხარჭები, რომლებსაც ცოლების უფლებები არ გააჩნდათ, შეზღუდულ უფლებებს მაინც იღებდნენ იმ შემთხვევაში, თუ პატრონისგან შვილი ეყოლებოდათ. სანამ ხარჭის შვილები, რომლებიც ბატონის მიერ იყვნენ ჩასახული, ცოცხლები იყვნენ, მონაქალი **უმმ ვალად** — ბავშვის დედად მოიხსენიებოდა. მისი მიყიდვა სხვა პატრონისთვის დაუშვებელი იყო, ხოლო ბატონის სიკვდილის შემდეგ თავისუფალი ხდებოდა. ამ კავშირის შედეგად დაბადებული ბავშვებიც — ქალი თუ ვაჟი — თავისუფლები იყვნენ და დედის — ქრისტიანი მონაქალის შვილობა მათ მდგომარეობასა და ავტორიტეტს საზოგადოებაში არაფრით ვნებდა. **პატრონს, რომელიც თავის ხარჭას წინასწარ მიანიჭებდა თავისუფლებას, უფლება ჰქონდა, ცოლად მოეყვანა ყოფილი მონა.**

**ჰარამხანების მრავალრიცხოვანი ლამაზმანებისთვის აშენებდნენ სასახლეთა კომპლექსებს შესანიშნავი ბაღებით, ფართო აბანოებით, აუზებითა და სამეურნეო ნაგებობებით. ქალების განკარგულებაში იყო მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი შტატი. ამ დიდ მეურნეობას განაგებდნენ საჭურისები, რომელთა ფუნქციები სასახლის მართვის ყველა საქმეს ითვალისწინებდა.** საჭურისებს ებარათ საწყობების კლიტეები, ხაზინა ევალებოდათ ყველა საჭირო საქონლის შესყიდვა, ისინი აწარმოებდნენ თავიანთი პატრონების საზულალტრო ოპერაციებს, ხელმძღვანელობდნენ მსახურებს, ასრულებდნენ დავალებებს (მათ შორის, ყველაზე ინტიმურსაც), ასევე, იცავდნენ მათ ცოლ-შვილსაც.

**საჭურისები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ შაჰის კარზეც.** თუ რამდენად მრისხანენი იყვნენ ეს დაკოდილი კაცები, ამაზე **ალა-მაჰმად-ხანის** მაგალითიც მეტყველებს. მან მთელი ცხოვრება ომებში გაატარა და დააარსა ყაჯარების დინასტია (1796-1928 წლები).

**ამ საჭურისის დაუნდობლობა თავის თავზე იგრძნო თბილისმაც, რომელიც ალა-მაჰმად-ხანმა 1795 წელს გადაწვა, ყველა გაუპატიურებულ ქალს მარჯვენა მუხლის მყესები გადაუჭრეს, რათა პატივის აყრა მთელი ცხოვრების განმავლობაში დაღად გაჰყოლოდა. სხვა ქალაქის აღების შემდეგ მრისხანე საჭურისმა ბრძანა, კარიბჭესთან დაედგათ სასწორი, რომლითაც წონიდნენ ყველა მამაკაცის დათხრილ თვალებს. მაჰმად-ხანი ტანდაბალი იყო, ჩია და ქალივით სქელუკანალიანი, დაუნდობელი და ნიჭიერი. სრული გაპარტახებისგან საქართველო ამ ბოროტი ადამიანის მოულოდნელმა სიკვდილმა იხსნა: იგი საკუთარმა მსახურებმა გამოასალმეს წუთისოფელს.**



**ყველაზე უფრო ჩაკეტილი შაჰის სასახლე იყო, იქ შეღწევა მხოლოდ მბრძანებელთან განსაკუთრებულად დაახლოებულ პირებს შეეძლოთ, მაგრამ მისი ცოლების ნათესავი ქალებისა და მეგობრებისთვის კარი ღია იყო**

რაც უფრო დიდებული იყო პატრონი, მით უფრო მკაცრად ჰყავდათ გამოკეტილი მისი ქალები. არისტოკრატების ცოლებსა და ხარჭებს თავიანთი სახლის მიტოვება შეეძლოთ მხოლოდ ნათესავების მოსანახულებლად ან ქმართან (ბატონთან) ერთად საზაფხულო რეზიდენციაში გადასვლის დროს. ფეხით სიარული მათთვის ღირსების შეურაცხყოფას ნიშნავდა, ამიტომ ისინი გადაადგილდებოდნენ აქლემების ზურგზე დამაგრებული სპეციალური **ქეჯავახებით.**

**ყველაზე უფრო ჩაკეტილი შაჰის სასახლე იყო. იქ შეღწევა მხოლოდ მბრძანებელთან განსაკუთრებულად დაახლოებულ პირებს შეეძლოთ, მაგრამ მისი ცოლების ნათესავი ქალებისა და მეგობრებისთვის კარი ყოველთვის ღია იყო.** განსაკუთრებული დიდებულებით გამოირჩეოდა შაჰ აბას I-ის (1587-1629) სასახლე ისპაჰანში, სპარსეთის იმდროინდელ დედაქალაქსა და აღმოსავლეთის უმდიდრეს ქალაქში, რომლის მოსახლეობა იმ პერიოდისთვის არნახული რაოდენობით გამოირჩეოდა — 600 000! ამასთან, აღმოსავლეთის ქალაქებისთვის დამახასიათებელი შექუჩებულობა ისპაჰანისთვის უცხო იყო, ფართოდ იყო გაშლილი და უამრავი პარკი და ბაღი ზაფხულის ხვატისგან იფარავდა მოქალაქეებს. დიდი პარკით გამოირჩეოდა შაჰის გრანდიოზული სასახლის კომპლექსი, რომელიც მაღალი კედლით იყო გარემოცული.

**საზეიმო შესასვლელი სასახლეს შაჰის მოედნიდან ჰქონდა — პავილიონი ალიკაპუ. XVII საუკუნეში ეს შესასვლელი წმინდად ითვლებოდა, მის უკანა ეზოსა და ქუჩაში ნებისმიერ დევნილს შეეძლო თავის შეფარება. აქ მოხვედრილი ადამიანი ყველასთვის ხელშეუხებელი იყო, გარდა შაჰისა.**

სპარსეთის მმართველებს, როგორც ყველა მამაკაცს, ის უნდოდათ, რომ მათი ქალები ყოველთვის კარგ გუნება-განწყობილებაზე ყოფილიყვნენ. სეფევიდების დინასტიის (1502-1736) შაჰების საცხოვრებელში ჰარამხანისთვის გამოყოფილი იყო დიდი მოედანი, რომელზეც აღმართული იყო შენობა ქალთა ნათესავებისთვის. ისინი აქაურობას თვეობით სტუმრობდნენ სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე.

**გართობა ყველა ჰარამხანისთვის ტრადიციული იყო, უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ ჩაცმულობას, მორთულ-მოკაზმულობას და პატრონის სიყვარულის შენარჩუნებას.** ამით სარგებლობდნენ მოვაჭრე ქალები, მარჩიელები, რომლებიც ყოველთვის თავმოყრილნი იყვნენ შაჰის საბრძანებლის ცალკე შესასვლელთან. დიდებული სპარსი ქალების ტანსაცმელი მდიდრულობით იყო გამორჩეული. **თურქული ჰარამხანების მცხოვრებთა მსგავსად, მათაც უყვარდათ სამკაული და ყველაზე მეტად — ზურმუხტით მოოჭვილი სამაჯურები მკლავებსა და ფეხებზე, რომელთა სიმრავლე ქმრის სიყვარულის დამადასტურებელი იყო.**

ინით შეღებილ თმებს ამშვენებდა პატარა ქუდები. ინა პოპულარული იყო: ამ ბუნებრივი საღებავით ნარინჯისფერ-ყვითლად იღებავდნენ ხელისგულებს, ფრჩხილებსა და ტერფებს. **სახის დაფარვა საყოველთაო ტრადიცია არ ყოფილა. ყველაზე მონდომებით სახეს მალავდნენ ქალები, რომლებიც ქალაქის საშუალო ფენას ეკუთვნოდნენ. სოფლის და, განსაკუთრებით, მთის სოფლის ქალებს ასეთი რამ აზრადაც არ მოსდიოდათ. წესად არ ჰქონდათ.**

შაჰის ქალები მარჩიელების მომსახურებას არ თაკილობდნენ, ეს „კონტაქტები“ ძირითადად შაჰის გრძნობისა და ვნების აღსაგზნებად იყო მიმართული, რისთვისაც სხვადასხვა საშუალებას იყენებდნენ: ღამურების ტვინისგან დამზადებულ საცხს, ფოცხვერის ბეწვს, მაიმუნის ღვიძლს, ბუს ხერხემლის ხრტილებს, მგლის ნაღველს და დათვის ქონს. მბრძანებლის სიყვარულის მოსაპოვებლად ქალები მზად იყვნენ ამ ყროლი საშუალებების გამოყენებაზე უფრო მეტი მსხვერპლი გაეღოთ, მით უმეტეს, რომ სწორედ შაჰის კეთილგანწყობაზე იყო დამოკიდებული მათი შვილების კეთილდღეობა და არცთუ იშვიათად — სიცოცხლე.

**ჰარამხანაში მეტოქის ჩამოსაცილებლად ისეთ უტყუარ საშუალებას გამოიყენებდნენ, როგორიც საწამლავია. სწორედ სპარსულ ჰარამხანაში გამოყენებულ საწამლავზეა ლაპარაკი მეტ-ნაკლებად სარწმუნო ისტორიულ ლიტერატურაში.** ეს მოხდა არტაქსერქს II მნემონის (მმართველობდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 404-დან 352 წლამდე) ზეობის დროს, როცა პოლიტიკური მკვლელობა საწამლავის გამოყენებით ჩაიდინეს. არტაქსერქსის დედამ, სპარსეთის დედოფალმა პარისატიდამ, ამ ხერხით ჩამოიცილა თავისი ვაჟის საყვარელი ცოლი, ულამაზესი სტატირა, რომელიც ზოგჯერ ბედავდა არ დათანხმებოდა დედამთილს. შურისმაძიებელმა და ძალაუფლების მოყვარულმა პარისატიდამ, რომელიც შეშინდა, შვილზე გავლენა არ დაეკარგა, მოკლა რძალი. პლუტარქე „შედარებითი ცხოვრების აღწერაში“ მოგვითხრობს: **„დაიბადება სპარსეთში პატარა ჩიტუნია, რომელსაც შიგნეულობაში არავითარი სიბინძურე არ აქვს. მხოლოდ ქონია... ეს ჩიტუნია პარისატიდამ გაკვეთა დანით, რომლის პირს ერთი მხრიდან საწამლავი ჰქონდა წასმული. ეს ერთი მხარე ბალახს წაუსვა, მეორე — სუფთა, ხელუხლებელი, პირში ჩაიდო და დალეჭა, მოწამლული კი სტატირას გაუწოდა“,** რის გამოც იგი **„მოკვდა ტანჯვითა და საშინელი კრუნჩხვით“.**

შაჰის ქალიშვილებისა და დებისთვის ქმრებს ჩვეულებრივ სასულიერო პირებს შორის არჩევდნენ. ვაჟების ბედი კი ხშირად ტრაგიკულად სრულდებოდა. **ტახტის მემკვიდრეობის პრობლემა სპარსეთის მმართველ დინასტიებში ისეთივე მწვავე და დაუნდობელი იყო, როგორც ოსმანთა იმპერიაში, რასაც ხშირად ძმათამკვლელი ომები მოჰყვებოდა. მემკვიდრის სახელი ყო-** ▶

**გართობა ყველა ჰარამხანისთვის ტრადიციული იყო, უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ ჩაცმულობას, მორთულ-მოკაზმულობას და პატრონის სიყვარულის შენარჩუნებას**

ჰაჰ, დრონი...

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უცხოელები აღნიშნავდნენ, რომ სპარსი ქალები გამოირჩეოდნენ გონიერებით, მანერების სინატიფითა და განათლებულობით. მათ აუცილებლად უნდა სცოდნოდათ სპარსული პოეზია. ჰაფიზის, საადისა და ფირდოუსის თხზულებებს იზეპირებდნენ ისევე, როგორც ყურანის სურებს. ირანის შაჰის ცოლების წერილები დამშვენებული იყო პოეტური ციტატებით.

**ველთვის ცნობილი არ იყო. XVII საუკუნეში, მაგალითად, მინისტრებმაც კი არ იცოდნენ, ზუსტად რამდენი ვაჟი ჰყავდა შაჰს ან ბოლოს და ბოლოს ვის მიანიჭებდა უპირატესობას, რადგან სისხლისმიერი პრინცები ჰარამხანებში გარესამყაროსგან, ფაქტობრივად, სრულ იზოლაციაში აღიზრდებოდნენ. ნათესავთა შორის ბრძოლა ისე მწვავდებოდა, რომ ზოგჯერ დედები ერთი შვილის მხარეს იჭერდნენ მეორის საწინააღმდეგოდ, და ჰარამხანებში სისხლისმღვრელი დრამები ვითარდებოდა.**

სეფევიდების დინასტიის მეორე შაჰს თახმასპს (1524-1576) 12 ვაჟი დარჩა, თითოეულ მათგანზე მიმაგრებული იყო ქვეყნის ერთი რომელიმე დიდი და ძლიერი კლანის წარმომადგენელი. თავისთავად იგულისხმებოდა, რომ ყველა მათგანს სურდა ძალაუფლების სათავეში მოსვლა. სისხლისმღვრელი ბრძოლის შედეგად ტახტზე დაჯდა ისმაილი, რომელიც თახმასპას 20 წლის განმავლობაში ტუსაღად ჰყავდა. ახალმა შაჰმა მთელი თავისი ძალისხმევა ნათესავებზე შურისძიებას მოახმარა, მოკლა ექვსი ძმა, ბიძები და დეიდები და საბოლოოდ თვითონაც დაიღუპა. იმეფა მხოლოდ ერთი წელიწადი. ერთ-ერთი ვერსიით, შეთქმულებმა, რომლებიც ქალთა სამოსში იყვნენ გამოწყობილები, იგი მოკლეს თავის ჰარამხანაში. ისმაილის სიკვდილის შემდეგ ტახტი დაიკავა სუსტმა და უნებისყოფო შაჰმა მუჰამედმა, რომელმაც მმართველობის ყველა სადავე ძალაუფლების მოყვარულ და სასტიკ ცოლს — მაჰდ ულიეს გადასცა. მას ორი ვაჟი ჰყავდა — ჰამზა და აბასი. ჰამზა განსაკუთრებით უყვარდა და ტახტზე მის დასასმელად მორიგი ინტრიგა წამოიწყო, დაახოცინა ყველა, ვისაც შეიძლებოდა ხელი შეეშალა მისთვის მიზნის მიღწევაში, შეეცადა სასახლეში აბასის შეტყუებას, რომელიც, ჩვეულებისამებრ, ერთ-ერთი ტომის ბელადთან იმყოფებოდა. მაგრამ აბასმა იგრძნო, რომ რაღაც საშიშროება მზადდებოდა, უარი შეუთვალა მაჰდი ულიეს. ბოლოს და ბოლოს დაიღუპა ეს ბოროტი ქალი, რომელიც ჰარამხანაში შეპარულმა შეთქმულებმა მოკლეს. **მამის მემკვიდრედ შაჰი აბასი დაჯდა. მაგრამ იგიც დედაზე არანაკლებ ბოროტი გამოდგა, შეეშინდა თავისი უფროსი ვაჟის პოპულარობის, რომელიც ქართველი მეფის ასულისგან ჰყავდა და მოაკვლევინა პირმშო. მოგვიანებით კი თავის ორ ვაჟს თვალები დასთხარა.**

**XIX საუკუნეში ჰარამხანის საშინაო საქმეებში საგარეო პოლიტიკა ჩაერია, როცა რუსეთსა და სპარსეთს შორის 1828 წლის თურქმანჩაის ხელშეკრულებით, ყველა შაჰს სიცოცხლეშივე უნდა დაესახელებინა მემკვიდრე, რომელსაც რუსეთი პოლიტიკური არეულობის შემთხვევაში მხარს დაუჭერდა და დაიცავდა.**

ყველაზე შთამბეჭდავი ჰარამხანა სპარსეთის მუსლიმ მბრძანებელთა შორის ფატხ-ალის (1794-1824) ჰქონდა. იგი ყაჯარების დინასტიის მეორე წარმომადგენელი იყო. თავად მენშიკოვის 1826 წლის პატაკის მიხედვით, „შაჰის ცოლების ზუსტად დათვლა შეუძლებელია, მათი ხშირი შეცვლის გამო, რაც ჰარამხანაში ხდება ხოლმე. მათი რაოდენობა სადღეისოდ რვაასი სულით განისაზღვრება, რომლის ორი მესამედი განიხილება, როგორც შაჰის ნამდვილი მეუღლეები".

XIX საუკუნის 30-იანი წლების მოგზაურები ამ რიცხვს განსაზღვრავდნენ „ქალთა სქესის ათასამდე სულით". **80 წელს მიღწეული ფატხ-ალის მემკვიდრეთა (ვაჟების, ქალიშვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილების) რაოდენობა 935-ს აღწევდა, ხოლო შაჰის გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ ხუთი ათასი იყო. ამან შთააგონა სპარსელებს მისთვის მეორე ადამის სახელი ეწოდებინათ...** ხანის საყვარელი ცოლი მისი უფროსი ცოლის ქალიშვილი იყო(!), და მისი შვილები, ამ არაბუნებრივი კავშირის შედეგად დაბადებულები, ამავე დროს იყვნენ შაჰის შვილებიც და შვილიშვილებიც.

ამ დროისთვის სპარსეთის ყოფილი ბრწყინვალება მინელდა და დიდებულებისა და მდიდარი ოჯახების ქალიშვილები არ ისწრაფვოდნენ შაჰის ჰარამხანაში მოხვედრას. ცოლებს შაჰი ხშირად იცვლიდა და განქორწინებისთვის დაწესებული კომპენსაცია აღარ იყო მეფური, ყველა მორთულ-მოკაზმულობა და ტანსაცმელი ხაზინას ეკუთვნოდა, ჰარამხანაში უფრო მეტი ხარჭა და „დროებითი ცოლი" ცხოვრობდა, ვიდრე მუდმივი მეუღლე.

**XIX საუკუნისთვის ტყვე ქალების ნაკადმა იკლო, მაგრამ, ამის მიუხედავად, ჰარამხანებში იყვნენ ქრისტიანებიც — სომხები, ქართველები, რუსები და გერმანელები** (ეს უკანასკნელნი გერმანელი კოლონისტების დასახლებებში ცხოვრობდნენ), **რომელთაც იტაცებდნენ ან ატყვევებდნენ კავკასიაში — რუსეთის იმპერიის იმდროინდელ შემადგენელ მხარეში.** ეს ქალები, რომლებსაც ჰარამხანებს მიჰყიდდნენ, პატრონის საკუთრება ხდებოდნენ, მათი ხელყოფა უმძიმეს შეურაცხყოფად ითვლებოდა, განსაკუთრებით, როცა ეს შაჰის საკუთრებას ეხებოდა. **ტყვექალების სამშობლოში დაბრუნება უაღრესად რთული და საშიში ამოცანა იყო.**

**საშინელი ტრაგედია დატრიალდა თავრიზში (თანამედროვე თეირანში) 1829 წელს, რომელიც გამოიწვია მცდელობამ, დაებრუნებინათ სამშობლოში რუსეთის ქვეშევრდომნი — გერმანელი და სომეხი — შაჰის პრემიერმინისტრის ალაიარ-ხანის ჰარამხანიდან, მათთან ერთად — თვით შაჰის საჭურისი იაკუბ-მირზა (იაკუბ მარკარიანი), რომელიც ჭაბუკობაში მოიტაცეს და რომელიც სომხეთში დაბრუნებას ცდილობდა. ყველამ რუსეთის საელჩოს შეაფარა თავი.**

**რუსეთის ელჩმა, დიდმა რუსმა დრამატურგმა ალექსანდრ გრიბოედოვმა, რომელმაც კარგად იცოდა, რა დაემართებოდა საელჩოდან გასულ დევნილებს, ბრბოს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და არ გადასცა საელჩოს შეფარებული ადამიანები, მით უფრო, რომ მათ შორის რუსეთის ქვეშევრდომები იყვნენ. მას კანონი უმაგრებდა ზურგს — თურქმანჩაის ხელშეკრულებით, ტყვეებს, რომლებიც რუსეთში იყვნენ დაბადებულნი, სამშობლოში დაბრუნების უფლება ჰქონდათ. მაგრამ ფანატიკოსები ხელშეკრულების მუხლების დებულებებმა ვერ შეაჩერა, ისინი შეიჭრნენ საელჩოში და დახოცეს იქ მყოფი ადამიანები, მათ შორის, გრიბოედოვიც. ფახტ-ალიმ საელჩოს დარბევისა და რუსეთის ქვეშევრდომთა მკვლელობის საკომპენსაციოდ რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ს მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ალმასი „შაჰი" გადასცა.**


თურქმანჩაი, 1828 წლის 10 (22) თებერვალი

# XIX საუკუნეში ჰარამხანის საშინაო საქმეებში საგარეო პოლიტიკა ჩაერია, როცა, რუსეთსა და სპარსეთს შორის 1828 წლის თურქმანჩაის ხელშეკრულებით, ყველა შაჰს სიცოცხლეშივე უნდა დაესახელებინა მემკვიდრე, რომელსაც რუსეთი პოლიტიკური არეულობის შემთხვევაში მხარს დაუჭერდა და დაიცავდა

სპარსეთის შაჰის ჰარამხანაში ცხოვრება გარეგნულად დუნედ მიედინებოდა და ხასიათდებოდა ისეთივე ფარული ომებითა და პირველობისთვის ბრძოლებით, რომლებიც მსოფლიოს ყველა ჰარამხანაში მიმდინარეობდა. ცოლები ერთმანეთს ექიშპებოდნენ, ინტრიგები რთული და ჩახლართული იყო, შედეგები — დრამატული.

ფახტ-ალის უფროსი ცოლი იყო უბრალო მოცეკვავე, ბაზარში ქებაბჩის გამყიდველის შვილი, სახელად თაჯი-დალუეთი (ქვეყნის გვირგვინი). მას ექიშპებოდა ალა-ბეგიუმ-აღა, ყარაბაღის ხანის ქალიშვილი. ვის აღიარებდნენ მთავარ ცოლად, უსერიოზულესი საკითხი იყო, და ღამის ხანგრძლივ სხდომაზე გადაწყვიტეს, რომ ეს ტიტული ხანის ქალიშვილისთვის მიეკუთვნებინათ. მაგრამ მას შემდეგ, რაც წამოიზარდა თაჯი-დალუეთის მშვენიერი გოგო, უბრალო ქებაბჩის შვილიშვილი, შაჰის უსაყვარლესი ცოლი სწორედ ის გახდა, რადგან ამასთანავე შაჰის ქალიშვილი იყო. მას შეუქმნეს მომსახურეთა ცალკე არმია, მრავალრიცხოვანი რაზმი ქამარ-იუნკრების (გულიამ-ფიშხედმეტების).

სხვა ცოლები ფრიად ხელმოკლედ ცხოვრობდნენ. ხელფასი, რომელსაც იღებდნენ, განსაკუთრებით, ნასირ-ადდინის (1848-1896) მმართველობის დროს იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ უცხოელებს უკვირდათ, როგორ ახერხებდნენ ისინი თავიანთი მეურნეობის გაძღოლას. **სახლი, რომელშიც ცოლები და ხარჭები ცხოვრობდნენ, უბრალო, არაფრით გამორჩეული, მით უფრო, მდიდრული არ იყო. ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ მათი ოთახები ჯურღმულებს უფრო ჰგავდა, ვიდრე სასახლის სავანეს, რომელშიც ავეჯის ნაცვლად მრავალრიცხოვანი ჭურჭელი და პირსაბანი იატაკზე ელაგა.**

**უცხოელები აღნიშნავდნენ, რომ სპარსი ქალები გამოირჩეოდნენ გონიერებით, მანერების სინატიფითა და განათლებულობით. მათ აუცილებლად უნდა სცოდნოდათ სპარსული პოეზია. ჰაფიზის, საადისა და ფირდოუსის თხზულებებს იზეპირებდნენ ისევე, როგორც ყურანის სურებს. ირანის შაჰის ცოლების წერილები დამშვენებული იყო პოეტური ციტატებით.** ჰარამხანის ჩაკეტილ სივრცეში გასართობი ცოტა რამ თუ იყო, ამიტომ შაჰის ცოლები სიხარულით ხვდებოდნენ „ღია სამყაროდან" მოსულ მაცნეთ და მოამბეთ.

აი, როგორ აღწერს ვინმე ქალბატონი დიუგამელი მოჰამედ-შაჰის (1834-1848) ოთხიდან ერთ-ერთ ცოლთან სტუმრობას, რომელიც მაშინ თავრიზში იყო გადასახლებული.

მან აცნობა, რომ სტუმრობა სურდა და მიწვევა დაუყოვნებლივ მიიღო. თარჯიმნად ჰყავდა ქალი, რომელიც შესანიშნავად ფლობდა სპარსულ ენას. ჰარამხანის შესასვლელში მას საჭურისი დახვდა, რომელმაც ვიწრო დერეფნებით სტუმრები ფართო ოთახში მიიყვანა, რომლის იატაკზე ნოხები ეფინა. შაჰის ცოლი ოთახის სიღრმეში ძვირფასად მოჩითულ ბალიშზე იჯდა. მის გარშემო ქალები იდგნენ. ყველა მდიდრულ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. ქალბატონ დიუგამელსა და მის თარჯიმანს სკამი და ტაბურეტი შესთავაზეს.

ხანის ცოლი, სპარსული ჩვეულებისამებრ, სტუმარს კომპლიმენტებით შეეგება. მონაქალებმა თავდაპირველად ყავა მიართვეს, შემდეგ — ჩაი, დაბოლოს — ტკბილეული.

ტრაპეზის დროს მადამ დიუგამელს უამრავი შეკითხვა დაუსვეს. დამწრეთა განსაკუთრებული ინტერესი მისმა ტანსაცმელმა გამოიწვია, რომელსაც ყურადღებით, დეტალურად ათვალიერებდნენ. საყოველთაო გაოცება გამოიწვია კორსეტმა, რადგან ტუალეტის ეს საგანი სპარსი ქალებისთვის აბსოლუტურად უცნობი იყო. ქალბატონი დიუგამელი მოიქანცა გაუთავებელ შეკითხვებზე პასუხების გაცემით და გამომშვიდობება დააპირა. მასპინძლებს არა და არ სურდათ მისი გაშვება. მან ბოდიში მოიხადა და განუცხადა, რომ სადილზე ქმარი ელოდება.

**„ო! თქვენ გაქვთ ბედნიერება ქმართან ერთად ისადილოთ? — გაოცდა დიდებულ ქალთაგან ერთ-ერთი, — მე ეს ბედნიერება მხოლოდ ორჯერ მეწვია. მითხარით, რამდენი ცოლი ჰყავს თქვენს მეუღლეს?"**

**მადამ დიუგამელმა ღიმილით უპასუხა: „მე მისი ერთადერთი ცოლი ვარ".**

**„თქვენ გჯერათ ამისი?" — ირონიულად შეეპასუხა შაჰის ცოლი"** *(ი.ფ. ბლარამბელი, გახსენება).*

შაჰის ცოლის ურწმუნობა და ირონია გასაგებია, მაგრამ მაღალი წრის ოჯახებში პოლიგამია უკვე პოპულარული არ იყო და საქორწინო კონტრაქტის შედგენისას ქმარი შეიძლება დაევალდებულებინათ, სხვა ცოლები რომ არ შეერთო.

**საშუალო ფენის ქალები მდიდრებზე უფრო თავისუფლები იყვნენ. უფროსი ნათესავი ქალების თანხლებით მათ აბანოსა და მეჩეთში წასვლის უფლება ჰქონდათ, შეეძლოთ დასწრებოდნენ ზეიმებს, რომლებზეც მათთვის სპეციალური ადგილები იყო გამოყოფილი. ღარიბების ცოლების თავისუფლება უკვე ნაკლებად იყო შეზღუდული, რაც მათი ცხოვრების წესით აიხსნებოდა, რომელიც მინდორში, ბაღებსა თუ ოჯახებში სამუშაოების სპეციფიკით იყო ნაკარნახევი.**




გაგრძელება შემდეგ ნომერში

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ვაშლი Apple iPhone-ის ნაცვლად

**ავსტრალიელმა ქალმა 2 ცალი Apple iPhone-ის ნაცვლად 2 მწვანე ვაშლი იყიდა. შენაძენში მან 1500 დოლარი გადაიხადა. 21 წლის გოგონა უყურადღებობის გამო სასტიკად მოტყუვდა.** მან ინტერნეტში Apple iPhone-ის შეძენის შესახებ განცხადება განათავსა. გოგონას დაუკავშირდა ქალი, რომელმაც შესთავაზა Apple iPhone მისგან ეყიდა. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, გოგონამ ქალს ყუთები გამოართვა და მხოლოდ სახლში მისვლის შემდეგ აღმოაჩინა, რომ შეფუთვაში 2 ცალი მწვანე ვაშლი იდო. დაზარალებულმა პოლიციას მაშინვე მიმართა, მაგრამ სამართალდამცავებმა უარი თქვეს დამნაშავის მოძებნაზე და ეს შემთხვევა სხვებისთვის ჭკუის სასწავლებელ მაგალითად აქციეს.



# მანიპულირების 10 მეთოდი

**ამერიკელმა ლინგვისტმა, ფილოსოფოსმა და თეორეტიკოსმა აბრამ ნოამ ჩომსკიმ შეადგინა მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით ადამიანთა მანიპულირების 10 მეთოდი.**



### 1. ყურადღების გადატანა

საზოგადოების მართვის ძირითადი ელემენტი მდგომარეობს პოლიტიკურ-ეკონომიკური მმართველი წრეების მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებიდან და პრობლემებიდან ადამიანთა ყურადღების გადატანაში ნაკლებად მნიშვნელოვან შეტყობინებებზე, რომლითაც საინფორმაციო სივრცე გამუდმებით არის გადატვირთული.

ყურადღების გადატანის ხრიკი საკმაოდ არსებითია იმისთვის, რათა მოქალაქეებს არ მიეცეთ შესაძლებლობა, მიიღონ მნიშვნელოვანი ცოდნა მეცნიერების, ეკონომიკის, ფსიქოლოგიის, ნეირობიოლოგიისა და კიბერნეტიკის სფეროში.

„მოქალაქეთა ყურადღება გამუდმებით უნდა გადავიტანოთ ნამდვილი სოციალური პრობლემებიდან ისეთ თემებზე, რომელთაც რეალური მნიშვნელობა არ გააჩნია. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მოქალაქეები მუდმივად რაღაცით იყვნენ დასაქმებულნი და არ რჩებოდეთ დრო განსჯისთვის; უნდა შეგვეძლოს მათი გადატანა „მინდვრიდან ვაგონში“ (ციტატა წიგნიდან „ჩუმი იარაღი მშვიდი ომებისთვის“).

### 2. პრობლემის შექმნა, შემდეგ კი მისი გადაწყვეტის მეთოდების შეთავაზება

მოცემული მეთოდი სხვაგვარად ასეც იწოდება: „პრობლემა-რეაქცია-გადაწყვეტილება“. ამ ხერხის მიხედვით, ჯერ ხელოვნურად ქმნიან პრობლემას, ანუ ერთგვარ სიტუაციას, რათა მოსახლეობაში გამოიწვიონ განსაზღვრული რეაქცია იმისთვის, რათა თვითონ მოითხოვოს ზომების მიღება, რომელიც მმართველი წრეებისთვის არის აუცილებელი. მაგალითად, დაუშვებენ ძალადობის ესკალაციას ქალაქებში ან მოაწყობენ სისხლიან ტერაქტს იმისთვის, რათა მოქალაქეებმა მოითხოვონ კანონი უსაფრთხოების გაძლიერების შესახებ და გაატარონ პოლიტიკა, რომელიც, ფაქტობრივად, შეზღუდავს მოქალაქეთა თავისუფლებას.

### 3. მუდმივი გამოყენების მეთოდი

რაიმე არაპოპულარული ღონისძიების მიღება რომ უზრუნველყონ, მას თანდათანობით, დღითი დღე, წლიდან წლამდე ნერგავენ. სწორედ ამგვარად მოახვიეს თავს მოსახლეობას პრინციპულად ახალი სოციალ-ეკონომიკური პირობები (ნეოლიბერალიზმი) გასული წლის 80-იან და 90-იან წლებში.

სახელმწიფოს ფუნქციების მინიმუმამდე დაყვანა, პრივატიზაცია, მერყეობა, არასტაბილურობა, მასობრივი უმუშევრობა, ხელფასი, რომელიც უკვე ველარ უზრუნველყოფს ცხოვრებისეულ პირობებს. ყოველივე ამის ერთდროულად დაშვება რევოლუციას გამოიწვევს. ამიტომაც ეს ყოველივე თანდათანობით, ნელნელა ინერგება.

### 4. აღსრულების გადავადება

არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღების მომდევნო მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებას მას წარუდგენენ, როგორც „მტკივნეულად აუცილებელ“ ღონისძიებას, რათა მოცემულ მომენტში მიაღწიონ მოქალაქეთა თანხმობას მის განხორციელებაზე მომავალში. ბევრად ადვილია, მსხვერპლის გაღებას დაეთანხმო მომავლისთვის, ვიდრე მიმდინარე მომენტისთვის.

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს უეცრად არ მოხდება. მეორეც, იმიტომ, რომ ხალხის მასა ყოველთვის ელოლიავება თავის გულუბრყვილო იმედებს იმაზე, რომ ხვალ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება და, რომ მსხვერპლი, რომელსაც ახლა მისგან ითხოვენ, მომავალში საჭირო აღარ იქნება. ამგვარი პოლიტიკა მოქალაქეებს ნელნელა აჩვევს მოსალოდნელ ცვლილებებს და, როდესაც ამისი დრო მოვა, მათი მიღების პრობლემა არ იქნება — ადამიანი უკვე მორჩილად შეეგუება ამ პირობებს.

### 5. მიმართე ხალხს, როგორც ბავშვს

პროპაგანდისტულ გამოსვლათა უმეტესობა, რომლებიც ფართო პუბლიკაზეა გათვლილი, ისეთ არგუმენტებს, პერსონაჟებს, სიტყვებსა და ინტონაციას იყენებს, თითქოს სკოლამდელი ასაკის, ჯერ კიდევ გონებრივად უმწიფარ პატარებს ელაპარაკებოდნენ.

რაც უფრო ცდილობს ვინმე მსმენელის შეცდომაში შეყვანას, მით უფრო მეტად იყენებს ის ინფანტილურ მეტყველებით კონსტრუქციებს. რატომ? თუ ვინმე მიმართავს ადამიანს, თითქოს ის 12 წლის ან უფრო ნაკლები ასაკის ბავშვი იყოს, შთაგონების ძალით (ცხადია, ვარაუდის გასაზღვრული პროცენტით), ამ ადამიანის პასუხში კრიტიკული შეფასება უფრო ნაკლები იქნება, რაც 12 და უფრო ნაკლები ასაკის ბავშვებისთვის არის დამახასიათებელი.

### 6. უფრო მეტი აქცენტირება ემოციაზე, ვიდრე განსჯაზე

ემოციაზე ზემოქმედება არის კლასიკური ხრიკი, რომელიც მიმართულია, დაბლოკოს ადამიანთა რაციონალური ანალიზის უნარი, შედეგად კი — საერთოდ, მიმდინარე მოვლენის კრიტიკული გააზრების შესაძლებლობა. მეორე მხრივ, ემოციური ფაქტორის გამოყენება გზას კვალავს ქვეცნობიერისკენ, რათა ჩანერგოს იქ აზრები, სურვილები, შიშები, იძულებანი და ქცევის გარკვეული მოდელები.

### 7. მოქალაქეთა წაქეზება გაუნათლებლობისკენ

მოქალაქეებს უნერგავენ აზრს იმის შესახებ, რომ ძალზედ მოდურია, იყო ჩლუნგი, ურცხვი, უზრდელი და უხამსი...

### 8. მდაბიო განათლების კულტივირებით ადამიანების უმეცრებაში დამკვიდრება

ეს არის მეთოდი, რომელიც ცდილობს, მიაღწიოს ადამიანთა უუნარობას, გაიგონ იმ ხერხებსა და მეთოდებზე, რომელთაც მათი მართვისთვის იყენებენ და რომელთა მეშვეობითაც საკუთარ ნებას უმორჩილებენ. განათლების ხარისხი, რომელსაც უდაბლეს საზოგადოებრივ კლასებს სთავაზობენ, რაც შეიძლება უფერული, ღატაკი და საშუალო უნდა იყოს, რათა უმეცრება, რომელიც საზოგადოების დაბალ კლასებს მაღალი კლასებისგან განაცალკევებს, დარჩეს იმ დონეზე, რომელსაც დაბალი კლასები ვერ დაძლევენ.

### 9. საკუთარი დანაშაულის გრძნობის გაძლიერება

ამ მეთოდით ადამიანებს აიძულებენ, დაიჯერონ, რომ მხოლოდ ის არის დამნაშავე საკუთარ უბედურებებში, რომელიც მისი გონებრივი შესაძლებლობების უკმარისობის ან არაჯეროვანი ძალისხმევის გამო ხდება. შედეგად, იმის ნაცვლად, რომ წინ აღუდგეს ეკონომიკურ სისტემას, ადამიანი იწყებს თვითდამცირებას და ყველაფერში საკუთარ თავს ადანაშაულებს, რაც იწვევს დამთრგუნველ მდგომარეობას, საბოლოოდ კი — უმოქმედობას. ხოლო იქ, სადაც უმოქმედობაა, რაიმე რევოლუციასა და წინააღმდეგობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

### 10. ადამიანებზე იმაზე მეტი ცოდნის მოპოვება, რაც მათ საკუთარ თავზე უწყიან

ბოლო 50 წლის განმავლობაში მეცნიერების წარმატებებმა მეტად გაზარდეს ნაპრალი უბრალო ადამიანების ცოდნასა და იმ ცნობებს შორის, რომელსაც ფლობენ გაბატონებული კლასები.

ბიოლოგიის, ნეირობიოლოგიის და გამოყენებითი ფსიქოლოგიის წყალობით „სისტემამ“ ადამიანის შესახებ მოიპოვა უდიდესი ცოდნა, როგორც ფიზიოლოგიის, ასევე ფსიქიკის სფეროში. ამდენად, სისტემამ უფრო მეტი იცის ადამიანზე, ვიდრე თვით ადამიანმა საკუთარ თავზე. ეს ნიშნავს, რომ უმეტეს შემთხვევაში სისტემა უფრო მეტ ძალაუფლებას ფლობს და უფრო მეტად შეუძლია ადამიანთა მართვა, ვიდრე თვით ადამიანებს.

# ვილა — შენობის სახურავზე

**ერთი შეხედვით უცნაური არაფერია, მაგრამ თუ მაღალსართულიანი შენობის სახურავს შეხედავთ, დაინახავთ „კლდეს“, რომელზეც ჩინელ პროფესორს, ჩან ლინს, სახლი და პატარა ბაღი აქვს.** მას 6 წელი დასჭირდა იმისათვის, რათა კორპუსის სახურავზე ვილა აეშენებინა, თუმცა სამუშაოები ჯერ არ დამთავრებულა. პროფესორს შესყიდული აქვს მთლიანად ზედა სართული. ამასთან, მეზობლები მას ხმაურში ადანაშაულებენ და ასევე კედლებზე გაჩენილ ბზარებსაც მას აბრალებენ. პროფესორ ლინს 6 წლის ნაშრომს მთლიანად დაანგრევინებენ, თუ ის ვერ დაამტკიცებს, რომ მისი მშენებლობა შენობისთვის საზიანო არაა. ყოველ შემთხვევაში, მისი იდეა ნამდვილად კრეატიულია.









## მეცნიერები სასარგებლო ლუდს შექმნიან

**კოპენჰაგენის უნივერსიტეტის სპეციალისტები „მომავლის ლუდის“ შექმნაზე მუშაობენ, რომელიც როგორც გემოთი, ისე ქიმიური შემადგენლობით იდეალური იქნება. ექსპერიმენტის მიზანი სასარგებლო პროდუქტის შექმნაა.** უნივერსიტეტის სტუდენტებმა და მასწავლებლებმა საკუთარი ლუდსახარში გახსნეს, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვეს. დანიელი სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ სასმელის შექმნა თანამედროვე მოწყობილობების წყალობით შესაძლებელია.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სახლი წყალზე

**არქიტექტორთა კომპანიამ Vandeventer + Carlander შეიმუშავა საცხოვრებელი სახლის პროექტი, რომელიც მდებარეობს წყალზე, Lake Union-ის რაიონში, ქალაქ სიეტლში (ვაშინგტონის შტატში, აშშ). იგი მდებარეობს პიუჯეტ-საუნდის ყურესა და ვაშინგტონის ტბას შორის, აშშ-კანადის საზღვრიდან დაახლოებით 180 კმ-ის დაშორებით.**

ამ ქალაქს ადრე ერქვა ნიუ იორკ ალკი (New York Alki), ხოლო 1853 წელს ქალაქის სახელი შეიცვალა და დაერქვა სიეტლი (Seattle), ადგილობრივი ღმერთების სუკვომიშისა და დუვამიშის პატივსაცემად.

ამ ქალაქში კომპანიამ Vandeventer + Carlander დააპროექტა ორსართულიანი შენობა ტბაზე, 3 საძინებელი და სამი სააბაზანო ოთახით, მისაღებით, სამზარეულო-სასადილოთი. მისი საერთო ფართი 265 კვადრატულ მეტრს შეადგენს.

ასევე, ამ უჩვეულო სახლში არის ფართო ტერასა სახურავზე ასასვლელით, სადაც შეიძლება სიამოვნებით გაატაროთ დრო, დატკბეთ ტბისა და ქალაქის ღირშესანიშნაობების, მათ შორის კოშკის the Space Needle, ცქერით.

















## პამპერსი თანამშრომლებისთვის

**ჰონდურასში კომპანია Kyungshin Lear-ის ხელმძღვანელები საკუთარ თანამშრომლებს არაადამიანურ პირობებში ამუშავებენ.** იმისთვის, რომ ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისას დასაქმებული არ მოცდეს და საპირფარეშოში გასვლით დრო არ დაკარგოს, ხელმძღვანელობა პამპერსის ჩაცმას აიძულებს. კომპანიის თამაშრომლებმა გაუსაძლის პირობებზე ჟურნალისტებთან გულახდილად ისაუბრეს და განაცხადეს, რომ მიზერულ ანაზღაურებასთან ერთად შეურაცხყოფის ატანა უწევთ. მუშათა ადგილობრივი კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა დანიელ დურონმა კომპანიის ხელმძღვანელობა გაკიცხა და მუშებს დახმარება დაჰპირდა. მსგავს პირობებში კომპანიის 4 000 თანამშრომელია, ისინი რამდენიმე თვის განმავლობაში პრეტენზიებს ხმამაღლა ვერ გამოთქვამდნენ, ვინაიდან ადმინისტრაცია მათ სამსახურიდან გათავისუფლებით ემუქრებოდა.



## შრომისმოყვარეობა კლავს

**ზედმეტი შრომისმოყვარეობა ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის, მიაჩნიათ ბრიტანელ მკვლევარებს.**

სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ 11-საათიანი სამუშაო დღის დროს, ინფარქტის მიღების ალბათობა 70%-მდე იზრდება. კვლევა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ტარდებოდა და მეცნიერები სხვადასხვა სფეროში მომუშავე ადამიანებს აკვირდებოდნენ.

შედეგად, ცნობილი გახდა, რომ მათ, ვინც დღეში 11 საათს მუშაობს, გულის დაავადებების რისკი ეზრდებათ. ამიტომ მეცნიერებმა ზედმეტი შრომისმოყვარეობა ზემოქმედებით ნიკოტინს, ალკოჰოლს და ნარკოტიკს გაუთანაბრეს.



## სამაჯური მარტოხელებისთვის

**მარტოხელა გოგონები და ბიჭები პარტნიორს სხვადასხვა ხერხით ეძებენ. მსოფლიოში ყველაზე პოპულარულია გაცნობის საიტები, მაგრამ დიზაინერებმა, რინა მარდალმა და რობ იანგმა, ორიგინალური ხერხი მოიგონეს — სამაჯურები მარტოხელებისთვის.**

სამაჯურზე ამოტვიფრულია „მარტოხელა ვარ“, რაც საპირისპირო სქესს თქვენს სტატუსს უმალ აცნობს.

**„თუკი დაოჯახებულ ადამიანს საქორწინო ბეჭდით ვცნობთ, მარტოხელებს სამაჯურით ამოვიცნობთ. 21-ე საუკუნეში ახალგაზრდა მარტოხელა ადამიანების რიცხვი დღითიდღე იზრდება. სწორედ ამიტომ მათ ერთმანეთთან საკონტაქტოდ თანამედროვე საშუალებები სჭირდებათ. წარმოიდგინეთ, კლუბში შედიხართ და ვინმე მოგეწონებათ. მასთან გასაუბრებას ვერ ბედავთ, რადგანაც არ იცით, ჰყავს თუ არა პარტნიორი, მაგრამ როდესაც ამ სამაჯურს დაინახავთ, მიხვდებით, რომ მისი გაცნობა ღირს“,** — ამბობენ დიზაინერები.

სამაჯური 7 სხვადასხვა ფერისაა, მისი ღირებულება 6 გირვანქა სტერლინგია.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## პლანეტა, რომელზეც ახალი წელი დღე-ღამეში ორჯერ დგება

**მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა მზის სისტემაში ახალი პატარა პლანეტა აღმოაჩინეს. პლანეტა მზის გარშემო სრულ შემობრუნებას 8.5 საათს ანდომებს.** ახალ პლანეტას სახელად კეპლერ 78დ ეწოდა. მეცნიერების თქმით, მზესთან სიახლოვის გამო პლანეტაზე ტემპერატურა 2760˚გრადუსს აღწევს. იმის გამო, რომ პლანეტა დღე-ღამეში მზის გარშემო ბრუნვას ორჯერ ასწრებს, ახალი სინათლის წელიწადიც იქ დღე-ღამეში ორჯერ დგება. სავარაუდოდ, პლანეტაზე სიცოცხლე არ არის, პლანეტის ზედაპირი მდუღარე ლავას მოგვაგონებს. პლანეტის მასა ცოტათი მეტია დედამიწის მასაზე.





## უკუკავშირი რელიგიურობასა და ინტელექტს შორის

**როჩესტერისა და ბოსტონის უნივერსიტეტების სპეციალისტებმა მასშტაბური კვლევის შედეგები წარმოადგინეს — რელიგიურობასა და ინტელექტს შორის უკუკავშირია. სტატიას ჟურნალი Personality and Social Psychology Review აქვეყნებს.**

კვლევის ავტორების თქმით, ჭკვიანი ადამიანი ათეისტებში უფრო მოიძებნება, ვიდრე მორწმუნეებში. ამასთან, კონფესიას მნიშვნელობა არ აქვს. ინტელექტზე რელიგიურობის ხარისხი მოქმედებს.

მკვლევარებმა რელიგიურობის ხარისხი ისეთი კატეგორიებით განსაზღვრეს, როგორიცაა რელიგიური დოგმების მიღება, რელიგიური საზოგადოების ცხოვრებაში ჩართულობა და ეკლესიაში სიარულის სიხშირე.

მონაცემები 1928-2012 წლების პერიოდს მოიცავს და მასზე სხვადასხვა მკვლევარი მუშაობდა. 63-დან 53 ნამუშევარში ავტორები მიდიოდნენ დასკვნამდე, რომ რელიგიურობა ინტელექტის დაქვეითებასთანაა კავშირში.

მკვლევარებმა წამოაყენეს 3 განსხვავებული ჰიპოთეზა, რომლებიც განმარტავს კვლევის შედეგებს: ჭკვიანი ადამიანები ნაკლებად ითავისებენ რელიგიურ დოგმებს. გარდა ამისა, ავტორები ინტელექტს ანალიტიკურ აზროვნებასთან აკავშირებენ, რაც, მეცნიერების თქმით, ვერ ეთავსება რელიგიურობას. და ბოლოს, როგორც წესი, ჭკვიან ადამიანებს შეუძლიათ უფრო მეტს მიაღწიონ და დაგეგმონ ცხოვრება ისე, რომ ამაში რელიგია არ დაიხმარონ.



## ორთავიანი ბავშვი

**ინდოეთში 8 თვის ორთავიანი ბავშვი, სახელად ტოფაჯალი, ცხოვრობს. ჩვილს იშვიათი დაავადება აქვს. მსგავსი დაავადებით 40-45 ათასი ახალშობილიდან მხოლოდ ერთი იბადება.** ექიმებმა ბავშვს ოპერაცია გაუკეთეს. ქირურგების თქმით, ტოფაჯალის მეორე თავი პარაზიტი ტყუპია. რთული ქირურგიული ოპერაცია 5 საათს გაგრძელდა.

„მსგავსი სირთულის ქირურგიული ჩარევა ხშირად ცუდი შედეგით სრულდება. ბავშვის მშობლები გაფრთხილებულნი იყვნენ, რომ დიდი შანსი იყო, ოპერაციის დროს პატარა დაღუპულიყო“, — ამბობს ნეიროქირურგი სისირ დასი.

## მფრინავი თეფში Green-Airways

**მფრინავი თეფშები სამეცნიერო ფანტასტიკის ერთ-ერთი ცნობილი ელემენტია. ალბათ, ვერავინ წარმოიდგენს, ასეთი საფრენი აპარატების რეალურ არსებობას, თუმცა დიდი ხანია, მეცნიერები მსგავს პროექტებზე მუშაობენ.**

დელფტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორები მუშაობენ ახალი ტიპის ინოვაციური საფრენი აპარატის პროექტზე, რომელიც ეკოლოგიურად სუფთა და გარემოსთვის უვნებელი იქნება. ეს საფრენი აპარატი ჩვეულებრივ თვითმფრინავებთან შედარებით 50%-ით ნაკლებ ნახშირბადს გამოყოფს.

კონსტრუქტორებმა მართლაც რომ ინოვაციური და ფუტურისტული დიზაინი შეიმუშავეს. ეს საფრენი აპარატი ჯერჯერობით მხოლოდ ნახაზებშია წარმოდგენილი, თუმცა მასზე მომუშავე ადამიანები ირწმუნებიან, რომ 2 წელიწადში Green-Airways მზად იქნება.









## IT-აქტივისტები ახალ ინტერნეტს ქმნიან

**ახალი ქსელი მთლიანად თავისი მომხმარებლის მფლობელობაში იქნება და არ დაექვემდებარება სახელმწიფო თვალთვალსა და რეგულირებას.**

დაიღალნენ რა სამთავრობო აგენტურის თვითნებობისგან, ზოგიერთმა ადამიანმა გადაწყვიტა, საქმე ხელში თავად აიღოს და თითქმის ნულიდან შექმნას ახალი ინტერნეტი, რომლის მფლობელიც მისი მომხმარებელი იქნება. ინტერნეტი გამოიყენებს მეშ-ქსელის ტექნოლოგიას.

ეს უსადენო ქსელი განკუთვნილია იმისთვის, რათა ადამიანი ინტერნეტში უსაფრთხოდ, თვალთვალის რისკისა და რაიმე სახის ცენტრალიზებული ორგანიზაციის გარეშე ჩაერთოს.

მეშ-ქსელის ყოველი კვანძი, რომელიც შედგება რადიოტრანსივერისა და კომპიუტერისგან, მონაცემებს გადასცემს ქსელის სხვა ნაწილებისგან. თუ მონაცემები ვერ შესძლებენ გავლას ერთი გზით, მეშ-ქსელი მისთვის სხვა გზას იპოვის.

Hyperboria, ვირტუალური დანაშრევი, რომელიც საფუძვლად უდევს აშშ-ში მეშ-ქსელის შექმნის მცდელობას, წარმოადგენს ვირტუალურ ქსელს, რადგან არსებული ინტერნეტის ბაზაზე მუშაობს, თუმცა მთლიანად ეფუძნება სქემას პეერ-ტო-პეერ.

ერთრანგიანი, დეცენტრალიზებული, პირინგული ქსელი — ეს არის ოვერლეიური კომპიუტერული ქსელი, რომელიც მონაწილეთა თანასწორობას ეფუძნება. ხშირად ასეთ ქსელში არ არსებობს სერვერები, ყოველი კვანძი წარმოადგენს როგორც კლიენტს,




ასევე ასრულებს სერვერის ფუნქციასაც. კლიენტ-სერვერის არქიტექტურისგან განსხვავებით, ამგვარი ორგანიზაცია შესაძლებლობას იძლევა შენარჩუნდეს ქსელის შრომისუნარიანობა მისაწვდომი კვანძების ნებისმიერი რაოდენობისა და შეერთების პირობებში. ქსელის მონაწილეები არიან თვით ე. წ. პირები.

ეს ყოველივე, უფრო მარტივად თუ ვიტყვით, ნიშნავს, რომ ამგვარი ინტერნეტის მომხმარებელი ინფორმაციას გაცვლის პირდაპირ, დაშიფრული კავშირის გამოყენებით, რომელიც მას განასხვავებს ცენტრალიზებული სერვერისგან, რომელსაც ნებისმიერი ინფორმაციის წაკითხვა შეუძლია.



როდესაც ახალი მეშ-ქსელები ყენდება, Hyperboria უბრალოდ ჩართავს მათ მონაცემთა გადაცემის საკუთარ ქსელში.

**რამდენიმე სახლის იქით ყველასთვის საყვარელი, დიდი ქართველი მწერლის — ნოდარ დუმბაძის აგარაკი იდგა. ნოდარს სტუდენტობიდან ვიცნობდი. მისი მწარე ხვედრის ჭირისუფალი მეც ვყოფილვარ, ისევე, როგორც მისი იუმორის, ბედნიერი წუთების მომსწრე და თანაზიარიც.**

ფოსტა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «მზეო, ამოდი...»

**გურამ კალანდაძე, ცნობილი ინჟინერი, წარმოების დამსახურებული ორგანიზატორი და თბილისში პოპულარული პიროვნება, გასული საუკუნის 70-იან წლებში აფხაზეთში მუშაობდა — სოხუმში, ტყვარჩელში დიდ საწარმოებს ედგა სათავეში. კარგი კვალიც დატოვა ავტონომიურ რესპუბლიკაში — აფხაზებთან მეგობრობისა და სიყვარულის გარდა, — მატერიალური კვალიც, თუნდაც, სამკერვალო გაერთიანების მუშებისთვის აგებული 70-ბინიანი საცხოვრებელი სახლის, საბავშვო ბაღისა და სხვა სიკეთეთა სახით.**
**მეგობრობდა აფხაზეთის შემოქმედებით ელიტასთან, მასპინძლობდა თბილისიდან ჩასულ შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს.**
**ერთი სიტყვით, იქაც კარგი კაცი იყო.**
**დღეს ბატონი გურამი „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს თავისი მოგონების ერთ ფურცელს გადაუშლის.**

**გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში მუშაობა სოხუმში მომიწია. მშვიდი დრო იყო. უცხო ქალაქში ახლობლებისა და მეგობრების გარეშე ცხოვრება თავდაპირველად გამიჭირდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალაქში ადრეც ხშირად ვყოფილვარ მეგობრებთან ერთად: ვისვენებდით, ვერთობოდით და ახალი ურთიერთობებით დატვირთულები, გარუჯულები და ენერგიით სავსენი ვბრუნდებოდით თბილისში. ეს იყო სტუდენტობის დაუვიწყარი წლები...**

სოხუმში სამუშაოდ ჩასულს დაძაბული შრომა, ახლის ძიების სურვილი თბილისურ ნოსტალგიას მიმსუბუქებდა. იმ პერიოდში, ბათუმისგან განსხვავებით, სოხუმში შედარებით ნაკლები თბილისელი სპეციალისტი მუშაობდა. ამასთან, ბათუმი საზღვრისპირა ქალაქი იყო, თავისთავად — ჩიხი. სოხუმი ტრანზიტულ ქალაქს ჰგავდა: მოსკოვში, სოჭში, გაგრაში, ბიჭვინთაში, ლიძავაში წამსვლელ-მომსვლელი მეგობრები და ახლობლები მირეკავდნენ, ვხვდებოდი, ვტოვებდი ჩემთან, ვაცილებდი. ქართულ სტუმარმასპინძლობას საპასუხისმგებლო სამსახურებრივ მოვალეობას შეძლებისდაგვარად ვუთავსებდი. ცხოვრების ასეთ წესს დიდი ენერგია მიჰქონდა. ამიტომ დროდადრო, შაბათ-კვირას გულრიფშში ჩემი აფხაზი მეგობრის აგარაკზე ვისვენებდი...

რამდენიმე სახლის იქით ყველასთვის საყვარელი, დიდი ქართველი მწერლის — ნოდარ დუმბაძის აგარაკი იდგა. ნოდარს სტუდენტობიდან ვიცნობდი. მისი მწარე ხვედრის ჭირისუფალი მეც ვყოფილვარ, ისევე, როგორც მისი იუმორის, ბედნიერი წუთების მომსწრე და თანაზიარიც.

ნოდარი, რომელსაც უკვე ორი ინფარქტი ჰქონდა გადატანილი, 1976 წლის ზაფხულში, ხანგრძლივი შემოქმედებითი მივლინებით გულრიფშში ჩამოვიდა. აგარაკზე მარტო ცხოვრობდა, მშვიდ გარემოში. „მარადისობის კანონზე“ გამალებულად მუშაობდა.

თავისუფალ დროს ვაკითხავდი, ხილს, მოხარშულ სიმინდს მივართმევდი. თუ დრო ჰქონდა, საუბარსაც გავაბამდით. ზოგჯერ, დილით, სასეირნოდ გამოსული, მოადგებოდა ჩემი მეგობრის აგარაკის ჭიშკარს. „Чай будет?“ — დაიძახებდა. სახლის პატრონი სიხარულით მიიპატიჟებდა და სასიამოვნო მუსაიფიც გაიმართებოდა.

ერთ მშვენიერ მზიან კვირას, ნაცნობი შეძახილი გაისმა. გავედით და ნოდარი შემოვიპატიჟეთ. მოვიკითხეთ ერთმანეთი, მივუსხედით წინა საღამოს გაშლილ სუფრას, გავიხსენეთ აქაურ-იქაური და ჩაის სმას შევუდექით. ავწიე კონიაკის პატარა ჭიქა, ვადღეგრძელე, ჯანმრთელობა ვუსურვე. მწარედ გაიღიმა. ვაკვირდებოდი მის სახეს. იშვიათად მენახა ასეთი სევდიანი თვალები. დროდადრო ფიქრებში იძირებოდა...

ავიღე გიტარა და იმ მშვენიერი დილის ნეტარებით სავსემ წამოვიმღერე:

**მზეო, ამოდი, ამოდი,**
**ნუ ეფარები მთას,**
**სიცივეს ქალი მოუკლავს,**
**მიუალერსე მას.**
**მიუალერსე, უთხარი,**
**რომ სიყვარული გკლავს,**
**თორემ ქალია, იცოდე,**
**წავა, გაჰყვება სხვას.**


ჯუმბერ პატიაშვილი, გურამ კალანდაძე და ზურაბ წერეთელი

**გურამ კალანდაძე 70-იან წლებში აფხაზეთში მუშაობდა — სოხუმში, ტყვარჩელში დიდ საწარმოებს ედგა სათავეში. მეგობრობდა აფხაზეთის შემოქმედებით ელიტასთან, მასპინძლობდა თბილისიდან ჩასულ შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს**

დამთავრებული არ მქონდა, რომ ნოდარმა ხელები საფეთქლებზე შემოიწყო და თვალებში მიგნების ნაპერწკალი აენთო. მეტსახელით მომმართა: ტურკეც, ძამა, შენ აგაშენა ღმერთმა, ალჩუზე დამისვი ეს დილა. სწორედ ასეთ ლექსს და მელოდიას ვეძებდი. შენ აგაშენა ღმერთმა, — გაიმეორა, — მაგრამ მაი მასე არაა, — მოუქცია გურულად, — ამას ჩემებურად შევცვლიდი, ასე სწორი იქნება, წაუმღერა (ნოდარს შესანიშნავი სმენა ჰქონდა და კარგად მღეროდა):

**მზეო, ამოდი, ამოდი,**
**ნუ ეფარები მთას,**
**სიცივით ქალი დამზრალა,**
**მიუალერსე მას.**
**მიუალერსე, უთხარი,**
**რომ სიყვარული გკლავს,**
**თორემ ქალია, იცოდე,**
**წავა, გაჰყვება სხვას.**

ულაპარაკოდ დავთანხმდი, რადგან არც სიტყვები იყო ჩემი და არც მელოდია. ჩაი დავლიეთ, ცოტაც ვისაუბრეთ და ჭიშკრამდე მივაცილე.

ამ სიმღერის სიტყვები ნოდარმა რომანში „მარადისობის კანონი“ თავისებურად გამოიყენა. წაკითხვისთანავე გამახსენდა გულრიფშის ის მზიანი დილა.

ასე გავხდი დიდი მწერლის უნებლიე „თანაავტორი“.

**გურამ კალანდაძე**

# საქორწილო ტანკი



**ექვსგარეშეა, ისეთი ღონისძიება, როგორიც ქორწილია, უნდა დაამახსოვრდეთ მთელი ცხოვრება....ამ მიზნით ახალდაქორწინებულმა წყვილმა გადაწყვიტა, გამოეჩინა კრეატიულობა, გონებამახვილობა და გამომგონებლობა; მათ აირჩიეს ნამდვილი ტანკი, როგორც საქორწილო ავტომობილი.**

სპეციალურად ამ საქორწილო ცერემონიისთვის ტანკი თეთრად შეღებეს, ხოლო შიგნითა ინტერიერი დამშვენებული იყო მაქსიმალური კომფორტით.














# კოაბიტაციის რეჟიმში მოქმედი პარლამენტი გეგმავს იმპიჩმენტის გამარტივებული პროცედურის მიღებას

**საქართველოს პარლამენტი საკანონმდებლო ცვლილების მიღებას გეგმავს, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურები გამარტივდება. ასევე სიახლეა ის, რომ პროცესში უზენაესი სასამართლო ჩართული აღარ იქნება და დასკვნას მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლო მოამზადებს.**




აშკარაა, რომ „ქართული ოცნებისა" და „ნაციონალების" კოაბიტაციის რეჟიმში მოქმედი პარლამენტი ცდილობს, მოასწროს მსგავსი კანონების მიღება, სანამ საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. **თუ არჩევნებში ბურჯანაძე გაიმარჯვებს, რისი ალბათობაც სულ უფრო მატულობს, იმპიჩმენტის გამარტივების კანონის მიღება უკვე ახალი პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯად აღიქმება, რასაც ხალხის უკმაყოფილება მოჰყვება.** ისიც

**თუ არჩევნებში ბურჯანაძე გაიმარჯვებს, რისი ალბათობაც სულ უფრო მატულობს, იმპიჩმენტის გამარტივების კანონის მიღება უკვე ახალი პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯად აღიქმება, რასაც ხალხის უკმაყოფილება მოჰყვება**

ცხადია, რომ „პლასტელინად" წოდებული მარგველაშვილის შესაძლო გაპრეზიდენტება ამჟამინდელი პარლამენტისგან თავის დამზღვევი კანონების მიღებას არ მოითხოვს.

ესე იგი, **გამოდის, რომ თავად „ქართულ ოცნებაში" აღარ სჯერათ მარგველაშვილის გამარჯვების, რაკი ასეთ კანონს იღებენ. მაგრამ შეძლებს კი კოაბიტაციის გადარჩენას იმპიჩმენტით შანტაჟირების შესაძლებლობა?**

არა გვგონია, რადგან ბურჯანაძე, მარგველაშვილისგან განსხვავებით, „პლასტელინისგან" არ არის „დამზადებული" და, თუ ხალხის მხარდაჭერა ექნა, ვერანაირი იმპიჩმენტის მუქარა ვერ აიძულებს, სამარცხვინო კოაბიტაცია რეალურად არ დაასრულოს.

ეს კი ბევრს აშინებს, რადგან ნიშნავს „ნაციონალების" პოლიტიკურ დასასრულს, როგორც დანაშაულებრივი სისტემის შემქმნელი პარტიისა. არ იქნება არც „რებრენდინგი" და არც „გარეცხილ-გასუფთავებული" „ნაცების" ხელახლა მოვლინება. გიგა ბოკერიას ყოფნა ქართული სახელმწიფოსა და პოლიტიკის სათავეებში ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდება (თუ, რა თქმა უნდა, თავად ხალხი არ გამოუცხადებს მას ნდობას, რისიც ნაკლებად თუ სჯერა ვინმეს).

**სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ" მთლიანად გადაუხვია იმ დაპირებებიდან, რომელთა გამოც ხალხმა მხარი დაუჭირა. იმპიჩმენტის გამარტივების კანონი ამის კიდევ ერთი, უკვე მერამდენე დასტურია. საბედნიეროდ, პრეზიდენტს საქართველოში მთელი მოსახლეობა ირჩევს და არამხოლოდ პარლამენტი.** შესაბამისად, ის არ უნდა იყოს პარლამენტში მოკალათებული პოლიტიკოსების სათამაშო და მარიონეტი, არამედ პირველ რიგში — ხალხის უფლებების დამცველი; მით უფრო, რომ პრეზიდენტს ისედაც შეეზღუდა უფლებები და ის აღარ არის მთავრობის მეთაური.

დღეისთვის სრულიად აშკარად შეიქმნა სიტუაცია, როცა მოსახლეობას მხოლოდ ორი არჩევანი დარჩა: **ან გაგრძელდება და კიდევ უფრო დამძიმდება უკვე ჩამოყალიბებული პოლიტიკურ-მაფიოზური სტრუქტურების ბატონობა, სადაც ერთმანეთს შეერწყნენ ყოფილი თუ ამჟამინდელი „ნაციონალები", რესპუბლიკური პარტია, ირაკლი ალასანიას „თავისუფალი დემოკრატები", რომლებსაც აბსოლუტურად აღარ აინტერესებთ ხალხის აზრი, ან არჩევნებში გაიმარჯვებს ბურჯანაძე და მოხდება მთელი სპექტრის გაჯანსაღება და რეალური კონკურენციის გაჩენა ქართულ პოლიტიკაში.**

ამ შემთხვევაში კი ვერც იმპიჩმენტის მუქარა და ვერც სხვა მსგავსი (საკმაოდ უსუსური) ღონისძიებები ვერ შეძლებს ხალხისგან გამიჯნული, კაბინეტის „პოლიტიკოსების" დაცვას ამომრჩევლის კონტროლისგან. ამის შემდეგ მათ მოუწევთ, რეალურად დაამტკიცონ თავიანთი პოპულარობა, რადგან ველარ ამოეფარებიან ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტს და მისი, როგორც „ლოკომოტივის" წყალობით, ვერ შეხრიგინდებიან პარლამენტში. სწორედ ეს არის რეალური კონკურენცია პოლიტიკურ ძალთა შორის და არა ის სიტუაცია, როცა პოლიტიკოსები თავად ინიშნავენ თავს თანამდებობებზე და მერე ამის გამო საერთოდ აღარ ახსენდებათ მოსახლეობის ინტერესები.

**გოგი ვეკუა,**
პოლიტოლოგი


## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

## ძვლის პრობლემები

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრული ართრიტის, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე ზედმეტი წონის კორექცია თვეში 5-დან 15 კგ-მდე ჯანმრთელობისთვის უვნებლად, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება, მადის რეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით — მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით.

**ტელ. 218-46-08 (ოფისი)
555-62-09-01 ექიმი ქალბატონი მეგი**

## სიმაღლეში მომატება!

**გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?**

დაიწყეთ ახლავე!



574 47 39 04
0790 30 94 35

## მკურნალი საუკეთესო შედეგებით



გულ-სისხლძარღვთა დაავადებები: სიმსივნე, შაკიკი, ეპილეფსია, პაპილომა, მელანომა, თვალის კატარაქტა, გლაუკომა, სიელმე, ჩიყვი, ნევროზი, ფსორიაზი, სტაფილოკოკები, ჰეპატიტები, მიომა არასრული ჩამონათვალია იმ დაავადებათა, რომელიც წარმატებით განუკურნავს დინარა ლაზარიშვილს. გამაოგნებელი შედეგები პირველივე სეანსიდან ვლინდება.

თინა კერესელიძე:

— ძუძუზე შევნიშნე თხილისოდენა სიმაგრე. თანდათან იზრდებოდა. ექოსკოპიური გამოკვლევით აღმოჩნდა ავთვისებიანი სიმსივნე. მეტასტაზებს დაქსელილი ჰქონდა მთელი სხეული. მკერდის დვრილი მქონდა ჩაბრუნებული. დინარასთან მკურნალობიდან ერთ კვირაში სიმაგრე დაპატარავდა, სამ კვირაში მკერდის თავი ამოიბურცა, მეტასტაზებიც საგრძნობლად შემცირდა, ვაგრძელებ მკურნალობას.

**ტელ. 555-732-462**

## საუკეთესო მალამო ძვალ-სახსრის დაავადებათა სამკურნალოდ

ნანა პაიჭაძე ეფექტურად მკურნალობს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის სახსრის ართროზს, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, სახსრის ანთებას, ჰაიმორიტს და ყველა იმ დაავადებას, რაც ძვალ-სახსარს უკავშირდება.

ნინო არეშიძე:

წლების მანძილზე მაწუხებდა ხერხემლის მალის დისკოზი და კისრის მალების ოსტეოქონდროზი. გაუსაძლისი ტკივილების გამო მიჭირდა მოძრაობა. კლასიკურმა მედიცინამ ვერ მიშველა და ქ-ნ ნანას მივმართე. შვება პირველივე კვირაში ვიგრძენი. მეორე კურსის ჩატარების შემდეგ ტკივილები საერთოდ გამიქრა.

**ტელ. 599-54-64-81;
593-00-08-26; 2-90-51-89**

## მას შეუძლია თქვენი შველა

თუ თვლით, რომ თქვენს ცხოვრებაში უიღბლობის პერიოდი დადგა და არ გიმართლებთ, დახმარებისა და პრობლემების მოსაგვარებლად მიმართეთ პარაფსიქოლოგს და რეიკის ოსტატს ლატავრა ათუნაშვილს. მას შეუძლია დაადგინოს ამა თუ იმ პრობლემის გამომწვევი მიზეზი და შემოგთავაზოთ მისი მოგვარების ოპტიმალური შესაძლებლობა. ქალბატონ ლატავრას დახმარებით ბევრმა მიაღწია წარმატებულ კარიერას, იღბლიან ბიზნესს, ოჯახურ ჰარმონიას და სიყვარულს. ასევე მოუგვარდათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები.

**ტელ. 571-333-103**


საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009